

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამარ გუმბერიძე

ეროვნული ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტაცია
კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

10.01.01. - ქართული ლიტერატურა

დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრული პროფესორი
ნაზი ხელაია

ქუთაისი

2010

შინაარსი

შესავალი.....	2
თავი I - საქართველოს ეროვნული ორიენტაციის საკითხი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში	15
თავი II - ეროვნული ცნობიერებისა და ხასიათის თავისებურებათა სიმბოლური წარმოსახვა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში	67
თავი III - დაკარგული საზრისის ძიებისა და პირველქმნადობის შენარჩუნების იდეა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში	114
დასკვნა	168
გამოყენებული ლიტერატურა.....	176

შესავალი

კ. გამსახურდიას სახელი და მისი შემოქმედება დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს როგორც იმ ეპოქაში, როდესაც მწერალს უხდებოდა მოღვაწეობა, ისე თანამედროვეობაშიც. მას თანდაყოლილ შემოქმედებით ნიჭთან ერთად დაებედა, ყოველთვის საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფილიყო.

კ. გამსახურდია, როგორც თავისი შემოქმედებით, ისე მთელი არსებით, საქართველოს ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის იდეის შთამაგონებელი იყო, რადგანაც მისი სასიცოცხლო და შემოქმედებითი ინტერესები სწორედ სამშობლოს – საქართველოს მომავალთან იყო

შეზიარებული და ეს მომავალი მას სწორედ თავისუფალი, მთლიანი საქართველოს სახით წარმოედგინა.

მრავალთაგან მრავალი პრობლემაა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი პალიტრის წარმომჩენი და დამახასიათებელი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვსურს ეროვნული ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტაციის საკითხი თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის კონცეფციების სპექტრში წარმოვადგინოთ. ვერ ვიტყვით იმას, რომ აღნიშნულ პრობლემათა შესწავლის თვალსაზრისით კ. გამსახურდიას შემოქმედება ყამირი ნიადაგია ქართულ ლიტერატურისმცოდნეობისათვის, მაგრამ ისეთი მრავალფეროვანი მწერლის შემოქმედების დაკვირვებისას, როგორც კონსტანტინე გამსახურდიაა, ყოველთვის წამოიჭრება ახალი და საინტერესო პრობლემა.

მრავალრიცხოვანია იმ შრომების რაოდენობა, რომლებიც კ. გამსახურდიას შემოქმედებას ეძღვნება. ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში მრავალი ნაშრომი მოიპოვება, რომელიც საინტერესოდ გვიხსნის კ. გამსახურდიას შემოქმედების სხვადასხვა პრობლემას და მეტნაკლებად ეხება მწერლის ეროვნული ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტაციის საკითხს.

ქართულ სინამდვილეში კ. გამსახურდიას შემოქმედების ძირეული მკვლევარი გახლავთ ს. სიგუა („მარტვილი და ალამდარი“, სამი წიგნი; „კ. გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, თბ., 1989 წ.; „მხატვრული აზროვნება - გენეზისი და სტრუქტურა“, თბ., 2007 წ.) ამ ნაშრომებში კ. გამსახურდიას შემოქმედებითი თვალთახედვის არე კონკრეტულად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი. ა. ბაქრაძე („მითოლოგიური ენგაღი“, 2000 წ.; „მითი მთვარის მოტაცებაში“, „მნათობი“, 1967, №12; „დიონისოს თვითმკვლელობა“, „მნათობი“, 1968, №12; „მთვარის მოტაცების მედიტაცია“, „მნათობი“, 1967, №10, ა. ბაქრაძე „მწერლობის მოთენიერება“, 1990 წ.), რომლებშიც მკვლევარი გამსახურდიას რომანების საინტერესო პრობლემებს წარმოსახავს. ნიკოლეიშვილი ა., (XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 2007 წ.; XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 2005 წ.; „XX საუკუნის ქართული მწერლობა“, ქუთ., 2002 წ. „ქართველოლოგიური ეტიუდები“ I, 2010 წ.); მკვლევარი საინტერესოდ განიხილავს ეროვნული ცნობიერების საკითხებს კ. გამსახურდიას შემოქმედებაში. თ. დოიაშვილი („მატერიაზე გავლით სულობისაკენ“, „ცისკარი“, 1982, №1), შტეფი იუნგერი-ხოტივარი („დიონისოს ღიმილის სტრუქტურა და ფილოსოფიური ძირები“, „ცისკარი“, 1982 №10), გ. კანკავა („დიონისოს ღიმილის მითოსური სტრუქტურა“, „კრიტიკა“, 1983, №2;

„ქართული ისტორიული პროზის ტრადიციები „დიდოსტატის მარჯვენის თემატური პრობლემატიკიდან“, „მნათობი“, 1962, №5; „ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები“, თბ., 1969), ი. ჩხეიძე („მთვარის მოტაცების თავისებურება“, „მნათობი“, 1969, №4; „მთვარის მოტაცება და ხასიათები“, „ცისკარი“, 1962, №1), ა. ცანავა („წარმართობის პრობლემა კ. გამსახურდიას შემოქმედებაში“, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 17-18 მაისი; „მითოსური ასპექტები ვაზის ყვავილობაში“, „პოლიტიკა“, 1991, №5; „გამსახურდია და ქართული მითოსი“, „ერი“, 1991, 15 მაისი; „გამსახურდია და ხალხური შემოქმედება“, „ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები“, თბ., 1970). მ. ჯალიაშვილი („ქართული მოდერნისტული რომანი“, 2006), ნაშრომში მკვლევარი განიხილავს მწერლის მოდერნისტულ მსოფლმხედველობას, მაგრამ შემოიფარგლება კ. გამსახურდიას მხოლოდ ერთი რომანით „დიონისოს ღიმილი“ გ. გვერდწითელი (მწერლებზე და მწერლობაზე, თბ., 1949 წ. გამ. „საბ. საქართველო“); ლ. ჭანია (კ. გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, თბ., 1997 წ. გამ. „ბედია“); ნაზი ხელაია (მიუწვდომელი მწვერვალები; თბ., 2008 წ.); გაგა ლომიძე, („გაუცხოების პრობლემა კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, „ლიტერატურული ძიებანი,“ XIX, 1998 წ.); გიორგი მერკვილაძე, („ორი ბედი“, ცისკარი, 1963 წ. №12); რევაზ თვარაძე, („მთლიანი საქართველოს მესტიყვე“, ცისკარი, 1969 წ. №12); მიშველაძე რ., (უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 2000 წ.)

დასახელებულ მკვლევართაგან შეიძლება კ. გამსახურდიას ეროვნული ცნობიერების რაიმე ასპექტით წარმოდგენა, ზოგიერთის ნაშრომში რაღაც ერთი შტრიხით, მინიშნებით, ზოგან კიდევ გარკვეული სპექტრითა და მრავალფეროვნებით, მაგრამ არცერთ ავტორთან ეს საკითხი სისტემური, მთლიანი სახით არაა წარმოდგენილი, ვფიქრობთ, რომ კ. გამსახურდიას შემოქმედების და აზროვნების ამ კუთხით წარმოჩენა მნიშვნელოვანია.

საერთოდ მიგვაჩნია, რომ კ. გამსახურდია, როგორც თავისი შემოქმედებით, ისე მთელი არსებით, საქართველოს ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის იდეის შთამაგონებელი იყო, რადგანაც მისი სასიცოცხლო და შემოქმედებითი ინტერესები სწორედ სამშობლოს – საქართველოს მომავალთან იყო შეზიარებული და ეს მომავალი მას სწორედ თავისუფალი, მთლიანი საქართველოს სახით წარმოედგინა. რა თქმა უნდა, ეს შეუნიშნავი არ დარჩენილა მკვლევართაგან.

„კ. გამსახურდიას ყოველი ძიება მიდის ეროვნული მთლიანობის და დამოუკიდებლობის იდეასთან. ის, როგორც ითქვა, ცდილობს ქართული სულის სინთეზირებას მითოსურ, ისტორიულ და თანამედროვე განზომილებაში. პერსონაჟებიც ასეთი მისიის შესასრულებლად ისწრაფიან. პირდაპირ თუ არაპირდაპირ გმირების ბედი გადაკვანძულია სამშობლოს პრობლემასთან. პიროვნება და მამული განუყრელია. ამიტომ ფიქრობენ, ისინი ესოდენ ბევრს საქართველოს შესახებ. შეიძლება უტოპიური და მიამიტური იდეები (კონსტანტინე, თარაში), მაგრამ უაღრესად გულწრფელი. მწერალმა ეროვნული მთლიანობის და დამოუკიდებლობის იდეის პრაქტიკული ხორცშესხმა არათუ იქადაგა, არამედ კიდევ ასახა" (სიგუა 1989: 259).

კ. გამსახურდიას ყველაზე თვალსაჩინო მკვლევარმა სოსო სიგუამ მიუთითა, რომ ქართველთა დაუმონებელი, თავისუფლებისმოყვარე სული მხატვრულად განსახებული, ქართველი ერის დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის მარადიულ გამოვლინებად აქცია კ. გამსახურდიამ. მას შემდეგაც, როდესაც ქართველი ხალხის ეს მიზანსწრაფვა და ოცნებაც გადაიჭრება, კ. გამსახურდიას შემოქმედება ყოველთვის შეახსენებს ქართველს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ერის სულისდგმა, თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეის გაღვიძება და ამასთან ერთად მისი სულიერი კულტურის გაღრმავება.

„სავარსამიძემ და ემხვარმა გამოიგლოვეს საქართველოს ბედი, ეპოქის ქარბორბალას პირისპირ ამაო აღმოჩნდა კულტურა, ფიქრი და ტანჯვა. ახალი არ მიიღეს, მაგრამ ვერც მომავლის უკეთესი გზა იპოვეს, რადგან ყველაფერს წყვეტს ძალა და ძალაუფლება. წამოიჭრება ახალი საკითხი - რა მიზანს ემსახურება ძალაუფლება, როგორ მივდივართ იდეალისაკენ, რა გზით ვციდლობთ მის ხორცშესხმას („მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“) არზაყან ზვამბაიამ უარყო წარსულის მორალი, ზნეობა, ადამიანთა ურთიერთობის წესი და ყველაფრის თავიდან დაწყება მონინდომა, რაც ისევე შეცდომა და დანაშული იყო, როგორც ტრადიციებისადმი ბრმა ერთგულება. მაგრამ ხელოვანი არსაკიძე, მეცნიერი კორინთელი, გლეხი და ჯარისკაცი ელანიძე მწერლის ოცნებაში ქმნიან ერთიანი, ძლიერი და ჯანსაღი საქართველოს მოდელს, რომელსაც მიმართულებას აძლევს დავით აღმაშენებლის ფიქრი და მარჯვენა. ამდენად, არის დიდგორის გმირი არა მხოლოდ გარდასული დიდების ხატი, არამედ უპირველესად შეუმუსრველი ქართული სულის მახვილითა და კალმით გადამტანი წელთა უსასრულო მდინარებაში" (სიგუა 1989: 278).

მეტად შთამბეჭდავია ა. ბაქრაძის აზრი კ. გამსახურდიას ეროვნული მსოფლმხედველობის შესაცნობად. აკ. ბაქრაძეს თავადაც ჭეშმარიტ პატრიოტსა და ეროვნულ მოღვაწეს, ყოველთვის ძალუძს მწერლის შემოქმედებაში იმ არსებითისა და მნიშვნელოვანის დანახვა, რაც ერის ინტერესებს, მის იდეალსა და იდეებს ასახავს. კ. გამსახურდიას შემოქმედება ამ მხრივ საინტერესო პრობლემებს გვთავაზობს. აკაკი ბაქრაძეც თავის წერილებსა და წიგნებში მრავალმხრივ და მრავალფეროვნად წარმოგვიდგენს „დიდოსტატის“ ეროვნული მსოფლმხედველობის წარმომსახველი, ერის საჭირობოროტო და უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

„არავინ დაუგდო ყური, თორემ კონსტანტინე გამსახურდიამ დიდი ხნის წინათ ამხილა რუსეთის იმედით ყოფნის უსუსურობა და უნიადაგობა.“

„დიმიტრი ყიფიანს ეგონა: რუსის მეფე კარგია, რუსის მეფეს საქართველო უყვარს და პატივს სცემს საქართველოს თავად-აზნაურობის ისტორიულ გარანტიებს. მხოლოდ რუსის მინისტრები არ ვარგან.“

ნოე ჟორდანიას და არჩილ ჯორჯაძე ფიქრობდნენ ერთ დროს: არ ვარგა რუსის მეფე, არც რუსის მინისტრები, არც რუსის უნდარმერია. ყველანი მტრულად განწყობილი არიან ჩვენდამი, კარგია რუსის დემოკრატია.

დღეს ზოგიერთები ფიქრობენ: ყველა-ყველა და რუსი მსახიობები და რუსი მწერალი ეს კულტურის წარმომადგენელი არიან, ჩვენ ისინი გვიყვარს.

ჩვენ სულ სხენაირად ვფიქრობთ, ყველა კარგია თავის ადგილას, თავის დროს და თავის ქვეყანაში. ჩვენ გვაქვს ჩვენი გეზი, ჩვენი მწერლობა, ჩვენი კულტურული პოლიტიკა და ყველას იმდენად დავაფასებთ, რამდენადაც ისინი ჩვენ ანგარიშს გვიწევენ და სარგებლობას მოგვიტანენ“.

თუ ქართველი ხალხი და ქართული მწერლობა არ იქნება თავისუფალი, არ ივლის თავისი გზით, ვერც ერი და ვერც მწერლობა ვერ გახდება სრულყოფილებიანი თავისთავადი წვერი კაცობრიობისა, უნივერსუმისა, როგორც ჩვენი ხალხი, ისე ჩვენი მწერლობა მუდამ დარჩება სხვისი ჩრდილი, ჩრდილი კი ყველას კარგად მოეხსენება, რა იოლად ქრება“ (ბაქრაძე 1990: 221).

კ. გამსახურდიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ადამიანის ეთიკურ-ესთეტიკური მრწამსი მხოლოდ ერთი თაობის მონაგარი არ არის, მას თაობები აყალიბებენ და თარაშ ემხვარის მრავალსაუკუნოვანი გვარი და მისი ცნობიერება მტკიცედაა ჩადუღაბებული საქართველოს ეროვნულ ფესვებში. თარაშ ემხვარის ცნობიერების გარდაქმნა „დრო და უამის შესაფერად“ შეუძლებელია, თარაშ ემხვარი და მისი მსგავსნი იყვნენ, არიან და დარჩებიან საქართველოს ეროვნული

იდევებისა და იდეალების მატარებელი. სწორედ ამ აზრს ავითარებს ა. ბაქრაძე და გვარწმუნებს, რომ მისი მსგავსები გადაარჩინენ ქართველთა ეროვნულ ცნობიერებას.

„სრულიად აშკარაა, რომ თარაშ ემხვარი ბურჟუაზიულ საზოგადებაში ვერ იპოვიდა სულის სიმშვიდეს. ამ სუბიექტურ განცდას ისიც ერთვის, რომ არც ქართველი ხალხისათვის იქნებოდა მისაღები და გასაგები პოლიტიკური ცხოვრების ის ფორმები, რომელთაც ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოშობდა. „ფაშიზმი ჩვენი ხალხისათვის ისევე შორეული ამბავია, როგორც გელფების და ვიბელინების ბრძოლა. ეს მოძრაობა დიდმა ერებმა წარმოშვეს და როგორც ყოველგვარი ევროპული „იზმი“, იგიც უგულვებელყოფს ალბათ ჩვენი ხალხის ინტერესებს" (II, 77), – ეუბნება თარაშ ემხვარი ვახტანგ იამანიძეს. ასე რომ, ბურჟუაზიისაკენ მისაბრუნებელი გზა ერთხელ და სამუდამოდ მოკვეთილია თარაშისათვის...

არც ფაშიზმი და არც სოციალიზმი. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება სრულ აპოლიტიკურობას არ გულისხმობდა. ემხვარის სიმპატიები ეკუთვნოდა საქართველოს წარსულს, მისი სულის რაღაც ნაწილი ვარდანიძე-ემხვარების დროით ცხოვრობდა" (ბაქრაძე 1967: 138).

მკვლევარი ა. ნიკოლეიშვილი ხაზს უსვამს, თუ როგორ ილაშქრებდა კ. გამსახურდია რუსული აგრესიის წინააღმდეგ, რაც იმხანად უდიდეს მოქალაქეობრივ გაბედულებად უნდა ჩაითვალოს. კ. გამსახურდიას იდეალი თავისუფალი, რაინდული საქართველოა, რომელიც „ან ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, ან არავის".

„როგორც ცნობილია, კ. გამსახურდიას ისტორიულ ჟანრთან დაკავშირებით თავისი მკვეთრად განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა ჩამოყალიბებული, იგი თვლიდა, რომ არავითარი ისტორიული რომანი არ არსებობს, რომ ისტორია მხოლოდ მასალაა მწერლისათვის თანამედროვეობის მისწრაფებათა გამოსახტავად. ამგვარი თეორიის ავტორი, ბუნებრივია დავით აღმაშენებლის შესახებ დაწერილ რომანს მარტო გარდასულ ეპოქის ასახვას არ დაუსახავდა მიზნად და მასში დასმულ პრობლემებს თანამედროვე ყოფასაც განუყოფელად დაუკავშირებდა. ეს მართლაც ასეა.

„დავით აღმაშენებელი" საბჭოთა ეპოქის საჭირობორტო პრობლემებთან გენეტიკურად შესისხლხორცებული რომანია და მასში ჩვენი ისტორიული წარსულის ბევრი პრობლემა სწორედ ამ კუთხით, მკაფიოდ გამოვლენილი სიმბოლურ-ალეგორიული ფორმითაა გააზრებული.

მეორეც, „დავით აღმაშენებლის“ მონუმენტური მხატვრული სახის შექმნით კ. გამსახურდიამ ცადა „მანქურთიზმის“ ტყვეობისაგან დაეხსნა ჩვენი ეროვნული ცნობიერება და იდეოლოგიური ბანგისაგან შოკირებული ქართველი კაცის გონების თვალი ჩვენი ისტორიის ყველაზე დიდი სიმაღლეებისაკენ მიეპყრო“ (ნიკოლეიშვილი 2006: 204).

ა. ნიკოლეიშვილის ამ მოსაზრებამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ მრავალმხრივი და მრავალფეროვანია კ. გამსახურდიას ეროვნული ცნობიერება და მისი იდეა - თავისუფალი, ძლიერი საქართველოსი - მწერლის შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. საინტერესოა ისიც, რომ ა. ნიკოლეიშვილი ამ თვალსაზრისით „დავით აღმაშენებელზე“ გამოთქვამს თავის მოსაზრებას და ვფიქრობთ, ყველაზე მეტად სწორედ „დავით აღმაშენებელშია“ თავმოყრილი და წარმოსახული კ. გამსახურდიას ეროვნული მსოფლმხედველობა, მისი ეროვნული იდეები.

ქრისტიანობა საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის ისტორიულ სინამდვილეში ჩამოყალიბდა როგორც ერთიანი იდეოლოგიური ფორმა, რის საფუძველზეც შეიქმნა ქართული სახელმწიფოებრიობა, რომლის სიძლიერემაც მწვერვალს მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში მიაღწია.

სწორედ ამ ეპოქების ისტორიულ რეალობას ასახავს კონსტანტინე გამსახურდიას შესანიშნავი რომანები - „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“.

„კ. გამსახურდიასთვის ქრისტიანული რელიგია ჩვენი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითარსებობისა და „რასსიული იზოლიაციის“ დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი ძალაა. ეს სარწმუნოება თავიდანვე ისე ორგანულად შეესისხლხორცა ქართველი ერის ყოველდღიურ ყოფას, რომ მის ცნობიერებაში ეროვნულობა და ქრისტიანული რწმენა ფაქტობრივად ერთმანეთთან გაიგივებულ ცნებებად დამკვიდრდა“ (ნიკოლეიშვილი 2010: 223).

რ. მიშველაძე იმ წიაღსვლებსაც აყურადებს, რაც ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს კ. გამსახურდიას ეროვნული ხედვის არეალს. მითოლოგიურ-ფოლკლორული საწყისები მართლაც წარმმართველია კ. გამსახურდიას ეროვნული იდეებისა, რაც იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ეს ეროვნული იდეები ღრმადაა ფესვგადგმული საქართველოს წარსულში და მისი მომავლის განმსაზღვრელიცაა.

„კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით ლაბირინთში მესამე გზაც გაიღანდა. მწერალმა სცადა თავისი დეკადენტური განწყობილებანი ქართულ

ეროვნულ ნიადაგზე გადმოენერგა და მითოლოგიურ-ფოლკლორულ საწყისებზე დაემყნო" (მიშველაძე 2000: 232).

ნ. ხელაიას „მიუწვდომელი მწვერვალები“ ძირითადად კ. გამსახურდიას ორ პერსონაჟზე კონსტანტინე სავარსამიძესა და თარაშ ემხვარზე ამახვილებს ყურადღებას. ეს ორი პერსონაჟი ამ საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნში მეტად საინტერესო სპექტრითაა განხილული, თუმცა უნდა მივუთითოთ მასზეც, რომ ამ ორი პერსონაჟის ეროვნული სული და მსოფლმხედველობა ყველა სხვა პრობლემაზე მეტად და საინტერესოდაა წარმოდგენილი.

„კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟთა უმრავლესობა სამშობლოს სევდით გულგასენილი გმირებისა და რაინდების გაღერეა. მათთვის სიცოცხლე, სახელი და მამული ერთ სიბრტყეზე განფენილან და მათი ჰარმონია, მათი მთლიანობა უდრის ქართველს, მამულიშვილს. თარაშ ემხვარიცა და კონსტანტინე სავარსამიძეც სწორედ ამ თარგზე მოჭრილი მამულიშვილები ბრძანდებიან. საქართველო, მამული - ბავშვობიდანვე მათი შთაგონების წყარო და დედასავით საფიცარი სახელი იყო, რომლის შემგინებელს და იავარმყოფელს ყოველი ნაღდი ქართველისა და ვაჟკაცის სიცოცხლე ეწირებოდა.

თარაშ ემხვარისა და კონსტანტინე სავარსამიძის გაორებისა და სულიერი გაუცხოების მიზეზი რომ სამშობლოა, ეს კარგად ჩანს იქიდანაც, რომ გარკვეულ პრობლემებთან დაკავშირებით, მათ მსგავსი მოსაზრებები უჩნდებათ. ერთიც შეიძლება დავამატოთ, ფაქტიურად თავად მწერლის სულიერ თარგზეა მოჭრილი ეს ორი პერსონაჟი და თავად მწერლის მსოფლმხედველობა ცნაურდება ამ ორთა წარმოსახვაში" (ხელაია 2009: 265).

ავტორი დასაბუთებულად წარმოგვიდგენს აზრს იმის შესახებ, რომ კ. სავარსამიძე და თარაშ ემხვარი უდროობის გმირები არიან, დროის მანქანის უკუღმა ტრიალმა ეპოქის გმირებად სულ სხვა ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის ადამიანები წარმოგვიდგინა, ვიდრე ემხვარი და სავარსამიძე ბრძანდებიან, ვფიქრობთ ჩვენ და ავტორსაც მიაჩნია, რომ ემხვარი და სავარსამიძე იმიტომ რჩებიან რაინდული საქართველოს გმირებად და რაინდებად, მათ შეგუება არ ძალუძთ ქვეყნის ბედის ბორბლის უკუღმა ტრიალთან.

„როგორც თავად ნაწარმოების პერსონაჟები, ისე მათი წამოწყებანი, ოცნება და ფიქრები მიუწვდომელია. ლტოლვა და მარადიული ძიება მათ თანამედროვეების ფაუსტებად გვისახავს, მაგრამ მწვერვალები ყოველთვის მიუწვდომელი რჩება მათთვის“ (ხელაია 2008: 168-169).

გაუცხოების პრობლემა მსოფლიო ლიტერატურული პროცესის მომცველია. მკვლევარი გ. ლომიძე წერს, თუ რაოდენ გლობალური და ყოვლისმომცველია კ. სავარსამიძის სულიერი ტრაგედია. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ ხაზგასმით, რომ ამ გლობალური ტრაგედიის სათავე სამშობლოა. სამშობლოს უბედობაა განმსაზღვრელი იმ სულიერი კრიზისისა, რასაც კ. სავარსამიძის პიროვნება მოუცავს. ჩვენ ვეძებთ და ვიკვლევთ ამ ორი პერსონაჟის სულიერი მეტამორფოზის საკითხებს და ვრწმუნდებით მათი ეროვნული ცნობიერების სიღრმესა და სიმტკიცეში.

„იმდროინდელი საზოგადოება მწვავე სულიერ, კულტურულ და რელიგიურ კრიზისს განიცდის. ხელოვნებამ უკვე დაჰკარგა ადამიანებში ესთეტიკური გრძნობის განვითარების უნარი. ინდუსტრიის განვითარებამ იმსხვერპლა სილამაზის შეგრძნება. ფაბრიკა-ქარხნებმა, რკინის ხიდებმა და რეკლამებმა დაამახინჯეს ქალაქები. ლამაზი საგნების ჭვრეტა ადამიანს მხოლოდ მუხეუმებსა და ეკლესიებში შეუძლია. რომანის („დიონისოს ღიმილი“) ერთ-ერთი გმირი, პოეტი მენიე დანანებით აღნიშნავს, რომ თანამედროვე მხატვრები რელიგიურ მოტივს სულაც აღარ აქცევენ ყურადღებას, დოქტორი როშერი კი ამაზე ირონიით პასუხობს: „მეოცე საუკუნეში რელიგიურ მოტივებს ეძებთ?“ აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს, თუ რა სულიერ კრიზისს განიცდის საზოგადოება“ (ლომიძე 1998 : 298).

კ. გამსახურდიას პერსონაჟები საქართველოსადმი მამულიშვილური გრძნობითა და დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებით არიან შეპყრობილნი. საქართველოს სიყვარული, მისთვის თავდადებაა მათი სიცოცხლისა და აზროვნების ამოსავალი წერტილი. კ. გამსახურდიას შემოქმედება, მთელი მისი მოღვაწეობა ჩვენთვის სწორედ ამ ასპექტით ხდება საინტერესო.

„ჩვენ ძალაუნებურად აქ თვალი გაგვირბის „ვაზის ყვავილობისაკენ“, სადაც შედარებით ძლიერია „თანაფარდობის“ პრინციპი ძველისა და ახლის შეპირისპირების პროცესში, მაგრამ მაინც ძველის ტენდენციის გამომხატველი ადამიანების თუ ახლის სამსახურში ჩამდგარი ძველი თაობის ადამიანების ტიპური ნიშნების ხატვა გაცილებით ძლიერია უშუალოდ ახალი ცხოვრების პირმშო ადამიანებთან შედარებით“ (მერკვილაძე 1963 : 77-78).

გ. მერკვილაძის ამ მოსაზრებაში კარგად იკითხება ის, რომ კ. გამსახურდია ღრმად წვდება თანადროულობის ლიტერატურულ პრობლემებს. მისი ზოგიერთი პერსონაჟი (და განსაკუთრებით „ვაზის ყვავილობის“ პერსონაჟები) სწორედ თანამედროვეობით სუნთქავს და სულდგმულობს, მაგრამ თავად გ. მერკვილაძეც

მიუთითებს, რომ ავტორის სიმპათია მაინც ლიტერატურული კრიტიკის მიერ „ზედმეტ ადამიანად“ შერაცხულ თარაშ ემხვარისაკენ იხრებოდა. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ თარაში გახლავთ ძველი და მომავლის საქართველოს მარადიული თანამდევნი, უკვდავი სული.

„კ. სავარსამიძე, თარაშ ემხვარი, ვახტანგ კორინთელი - ეს სამეული თითქოს ნაირსახეობაა ერთი ხასიათის. ემიგრაციის საკითხი და ემიგრანტი - უსამშობლო კაცი არის თითქოს ის სამპიროვანი სახე, რომელიც აწუხებდა მწერალს. იგი ქმნის სამ სხვაგვარ ხასიათს, ისინი ავსებენ ერთმანეთს, და ამასთან თითოეული მათგანი თავის ადგილას ესადაგება იმ დიდ სოციალურ პრობლემას, რომელსაც მხატვრულად წარმოგვისახავს მწერლის მდიდარი ფანტაზია. ამ სამეულის პროტოტიპი შესაძლოა ფარსმან სპარსი იყოს - „უპრინციპო, გაყიდული, უსამშობლო კაცი“ (გვ. 814). ჩვენ მიგვაჩნია, რომ გამსახურდიას ეს პერსონაჟები მრავალსახეობას ქმნიან, მართალია, ისინი ჩადუღაბებულნი არ არიან საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ერთი საერთო ნიშანი ყველას ახასიათებს. საქართველოს ეროვნული ფესვებიდან არიან ამოზრდილნი და ისტორიის გაუკუღმართებული სპექტრიდან სათანადოდ არ იკითხება მათი ეროვნული სული.

„ფარსმანი გადაეგება როგორც ხელმოცარული კაცი“...

კონსტანტინე სავარსამიძეც გადაეგება, როგორც ხელმოცარული კაცი.

თარაშ ემხვარიც, ეს უაღრესად განათლებული, ევროპულ ცივილიზაციას ზიარებული დიდგვაროვანი, გადაეგება, როგორც ხელმოცარული კაცი. და ვნებათა ჭიდილის, სამყართა ჭიდილის, სოციალურ ძალთა შერკინების ასპარეზზე კ. გამსახურდია კიდევ ერთ საკითხს - ემიგრაციის საკითხს სვამს და წყვეტს საბოლოოდ ვ. კორინთელის სახით" (ჩხეიძე, მნათობი 1969: 122-123).

ირმა ჩხეიძის ამ წერილშიც საზგასმითაა გამოკვეთილი სამშობლოსა და უსამშობლობის ტრაგედია, მითითებულია ფარსმან სპარსის პერსონაჟის - „უპრინციპო, გაყიდული, უსამშობლო კაცის“ შესახებ და ვრწმუნდებით, რარიც ძალუძს მკაცრ ბედისწერას ნიჭის, ადამიანური ღირსებისა და დიდი გვარიშვილობის გათელვა, თუ იგი მშობლიურ იდეებსა და სამშობლოს ფესვებს არ არის შეზიარებული და ჩაზრდილი.

„კ. გამსახურდიას შემოქმედება იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა იყოს დიდი მწერალი დაკავშირებული თავის ეროვნულ ყოფასთან, მის ისტორიასთან ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სამყაროსთან; უამისოდ ვერ შეიქმნება თაობებისათვის მისაბადი, ამადლებული გმირების ისეთი სახეები, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ზოგადკაცობრიულს შეერწყმიან" (ცანავა 1991: 55).

აპოლონ ცანავას ეს მოსაზრება და მთელი წერილი „მითოსური ასპექტები ვახის ყვავილობაში“ ერთხელ კიდევ გვარწმუნებს მასში, რომ კ. გამსახურდიას საინტერესო შემოქმედების ამოსავალი წერტილი ეროვნული ცნობიერების პრობლემაა. ყოველივე, რაც მისი შემოქმედების საყრდენია საქართველოს წარსულიდან, მისი ეროვნული ყოფიდან ამოდის. სწორედ ამიტომაცაა ქართული მითოსი ასე საინტერესოდ და მრავალფეროვნად გახმოვანებული კ. გამსახურდიას შემოქმედებაში. ქართული მითოსი - ეროვნული ასპექტით კ. გამსახურდიას შემოქმედების ერთ-ერთი საინტერესო თემაა და გვარწმუნებს მწერლის ნაღდ და ღრმა ეროვნულ-მსოფლმხედველობაში. ჩვენ მიერ ეროვნულ-მითოსური ელემენტები გამსახურდიას შემოქმედებაში გამოკვლეულია. რა თქმა უნდა, ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ეს თემა სხვა მკვლევართაც საინტერესოდ აქვთ მიმოხილული, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ მითოსური პრობლემატიკა კ. გამსახურდიას შემოქმედებაში ეროვნული თვალსაზრისით გაგვეანალიზებინა და დავრწმუნდით კიდევ, რომ ქართული მითოსი კ. გამსახურდიასათვის ეროვნული პრობლემატიკის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების საყრდენია, რაც საშუალებას აძლევს მწერალს თავისი ეროვნული მრწამსი მკითხველამდე მიიტანოს.

„...საყველპურიო პატრიოტიზმი, ღვთის წყალობით, არასოდეს გკვლევია მაინცადამაინც. უმთავრესი სხვა რამ იყო, გაცილებით ძნელად განსახორციელებელი რამ: საჭირო იყო ისტორიული საზრისის პოვნა, მანამდე მხოლოდ ინტუიტიურად ნაგზნებ ისეთ ასპექტთა მიკვლევა, წარმოჩენა და დასაბუთება, რომელთა წიაღშიც ჭეშმარიტად სცნობდა თავისთავს დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მტვირთველი ერი“ (თვარაძე, ცისკარი, 1969 №12 : 70-71).

რევაზ თვარაძე თავადაც თვალსაჩინო მამულიშვილი და ქართული ლიტერატურის პირუთენელი შემფასებელი, რა თქმა უნდა, ღრმად წვდებოდა კ. გამსახურდიას ეროვნული ცნობიერების სპექტრს და სწორედ ამიტომაც ესახებოდა კ. გამსახურდია „მთლიანი საქართველოს მესიტყვედ“, ქვეყნის ეროვნული ცნობიერებისა და აზროვნების წარმმართველად.

თეიმურაზ დოიაშვილი, როგორც მკვლევარი და მოაზროვნე, ყოველთვის გამოირჩევა ინდივიდუალური შეხედულებებით. ამ შემთხვევაშიც იგი საინტერესოდ და მართლაც ინდივიდუალურად მოიაზრებს კ. გამსახურდიას ეროვნულ და ზოგადად ადამიანურ მსოფლმხედველობას, სულობის, ღვთაებრივის გააზრებითა და აღიარებით როგორ შეიძლება მივიღეთ კოსმიურ სულამდე - წერილში „მატერიაზე გავლით - სულობისაკენ“ დოიაშვილი მეტად საინტერესოდ

გვიხსნის „ცივილიზაციის უარყოფით როგორ მიემართებიან კ. გამსახურდიას პერსონაჟები სულობისა და ღვთაებრივობისაკენ.“

კ. გამსახურდიას შემოქმედება ყოველთვის იყო გაჯერებული საქართველოს ეროვნული პრობლემებით, ქართული სულის აღორძინების ოცნებით. მ. ჯალიაშვილი თავის ნაშრომში „ქართული მოდერნისტული რომანი“ მიუთითებს, რომ ქართული მოდერნიზმის წარმომადგენლებმა და მათ შორის კ. გამსახურდიამ „ქართული სულის რენესანსზე“ დიდად იზრუნეს.

„ქართული მოდერნიზმის იდეოლოგები იყვნენ: ა. ჯორჯაძე, კ. აბაშიძე, ცისფერყანწელები, კ. გამსახურდია. მათი წერილები აღსავსეა ქართული სულის რენესანსზე ფიქრით. ამ ოცნების განსახორციელებლად კი, მათი აზრით, საჭირო იყო ქართული სიტყვის განახლება, ფასეულობათა გადაფასება“, (ჯალიაშვილი 2006: 5).

ამავე ნაშრომში მ. ჯალიაშვილი ძალიან საინტერესო საკითხს აყენებს - განსხვავებით ევროპული მოდერნიზმისაგან ქართული მოდერნიზმი გამდიდრდა ეროვნული პრობლემატიკით და რაც ამ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა, ავტორი აღნიშნავს, რომ სხვა მწერლებსა და მოღვაწეებთან ერთად კ. გამსახურდიამაც დიდი როლი ითამაშა ქართული მოდერნიზმის ეროვნული მსოფლმხედველობით გამდიდრების საქმეში.

იგი წერს: „ქართული მოდერნისტული რომანი ბევრი რამით წააგავს ევროპულ მოდერნისტულ რომანს, მაგრამ ერთი არსებითი ნიშნითაც განსხვავდება - ეს არის ინტერესი ეროვნული პრობლემებისადმი. დემნა შენგელაიას, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის რომანებში ხან შეფარულად, ალეგორიებით და სიმბოლოებით, ხან კი ცხადად და გამჭვირვალედ ირეკლება საქართველოს ბედი. ამით ის აგრძელებს XIX საუკუნის რომანის ტრადიციას, მაგრამ, რა თქმა უნდა, პრობლემის მხატვრული გადაწყვეტის გზით კი მნიშვნელოვნად განსხვავდება“ (ჯალიაშვილი 2006: 12).

მითითებული ამონარიდიდან ნათელი ხდება, როგორც სხვა ქართველმა მოდერნისტმა მწერლებმა, ისე კ. გამსახურდიამაც თავის შემოქმედების უმთავრეს პრობლემად განახლება და მხატვრული სიტყვის ფორმის ორგანიზება დაისახეს მიზნად, მაგრამ ქართულ რომანს შეუნარჩუნეს არსებითი და უმნიშვნელოვანესი - საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და მთლიანობის პრობლემა. და შეიძლება ვთქვათ, რომ ეს საკითხი კ. გამსახურდიას ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესის წარმართველი იყო და ისიც დაგამატოთ, რომ სწორედ თავისმა

ეროვნულმა ცნობიერებამ წარმოაჩინა კ. გამსახურდია ქართველი ერის სულის მესაიდუმლედ და უსაყვარლეს მწერლად.

როგორც არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო, მიუხედავად ლიტერატურისმცოდნეთა დიდი ინტერესისა, კ. გამსახურდიას შემოქმედებაში ეროვნული ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტაცია ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში არცთუ ისე ღრმად და მრავალმხრივად განხილული. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ იმ სამეცნიერო შრომებს, რომლებიც ზოგადად გამსახურდიას შემოქმედების კვლევას წარმოსახავს და მივედით დასკვნამდე, რომ ფაქტობრივად არ არსებობს ნაშრომი, სადაც კომპლექსურად, ყველა ასპექტის გათვალისწინებით იქნებოდა გამოკვლეული კ. გამსახურდიას ეროვნული ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტაცია, აქედან გამომდინარე ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ მასში კომპლექსურად, მონოგრაფიულად საკვლევი პრობლემატიკის ზოგადთეორიული ასპექტის გათვალისწინებით შესწავლილია მწერლის ეროვნული ცნობიერება. სადისერტაციო ნაშრომში პირველადაა გაანალიზებული მწერლის ესეებსა და ლიტერატურულ წერილებში კ. გამსახურდიას მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებები ეროვნული ცნობიერების შესახებ და მათი მხატვრული ტრანსფორმაცია მწერლის შემოქმედებაში. ამ მიზნით სადისერტაციო ნაშრომში კონკრეტულად გავაანალიზეთ მწერლის ლიტერატურული წერილები და ესეები: „სიტყვა, ხატი, მუსიკა“ (1920 წ.), „მოზაიკები, მაგიური შანდლები“ (1921 წ.), „კარგი ევროპელი“ (1922 წ.), „ტრაგედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან“ (1922 წ.), „1921-1922 - 7 მაისი“ (1922 წ.), „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ (1922 წ.), „იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი“ (1922 წ.), „გოეთე თუ მისტიკოსი“ (1922 წ.), „ახალი ევროპა, ლიტერატურული პარიზი“ (1924 წ.), „აპოლოგია რუსთაველისა“ (1937 წ.), „სალიტერატურო ქართულისათვის“ (1945 წ.), „ქართული ენის მეურნეობისათვის“ (1956 წ.), „ერის მთავარი“ (1962 წ.).

საკითხის ამ მიმართულებით მონოგრაფიული შესწავლა, ფაქტობრივად პირველი ცდაა კ. გამსახურდიას შემოქმედებისა.

ზემოაღნიშნული განსაზღვრავს პრობლემის აქტუალობასაც, ვინაიდან კ. გამსახურდიას ლიტერატურული წერილებისა და ესეების გაანალიზების გარეშე შეუძლებელია მწერლის ეროვნული ცნობიერების სრულად წარმოჩენა. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში კ. გამსახურდიას ეროვნული ცნობიერების საკითხი სისტემური, მთლიანი სახით არაა წარმოდგენილი, ვფიქრობთ, რომ კ.

გამსახურდიას შემოქმედებისა და აზროვნების ამ კუთხით წარმოიხენა მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ რამდენად შეესაბამება კ. გამსახურდიას მიერ თეორიული ხასიათის წერილებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები იმ მხატვრულ კონცეფციებს, რაც მის შემოქმედებაში იჩენს თავს, განვიხილოთ თეორიული და მხატვრული ნაშრომები ეროვნული პრობლემატიკის გააზრების თვალსაზრისით.

ჩვენი ამოცანაა ავსხნათ და გავაანალიზოთ, თუ როგორ არის გამოვლენილი კ. გამსახურდიას ნაწარმოებებში სინამდვილისა და წარმოსახულის ურთიერთკავშირი, მათი მონაცვლეობა, როგორია მწერლის სიმბოლურ-სახეობრივი აზროვნება, როგორ ხდება ლიტერატურულ წერილებში გახმოვანებული ეროვნული იდეების ხორცშეხსნა მხატვრულ ნაწარმოებებში.

ნაშრომის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძველია თვალსაჩინო ქართველი მწერლების, მეცნიერ-ლიტერატურისმცოდნეთა, თუ ფსიქოლოგთა მხატვრულ-ესთეტიკური და თეორიული დებულებები, ასევე კ. გამსახურდიას შემოქმედების შემსწავლელი მკვლევარების შრომები, ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურა, სადაც განხილულია ზოგადად ეროვნული ცნობიერების, მწერლის შემოქმედებითი მეთოდისა და მისი ინდივიდუალური სტილის საკითხები. ჩვენი კვლევა გარკვეულად იყენებს ჰერმენევტიკულ მეთოდსაც.

დისერტაციის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგები და განზოგადებული დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნეს გამსახურდიას შემოქმედებით დაინტერესებული მეცნიერ-მკვლევარების მიერ, ასევე სალექციო კურსებში გამსახურდიას შემოქმედების შესახებ.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა სადისერტაციო ნაშრომი „ეროვნული ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტაცია კ. გამსახურდიას შემოქმედებაში“ შეიცავს კომპიუტერზე აწყობილ და დაბეჭდილ 170 გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან.

შესავალი

I. საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი კ. გამსახურდიას შემოქმედებაში

II. ეროვნული ცნობიერებისა და ხასიათის თავისებურებათა სიმბოლური წარმოსახვა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

III. დაკარგული საზრისის ძიებისა და პირველქმნადობის შენარჩუნების იდეა კ. გამსახურდიას შემოქმედებაში

დასკვნა

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I

საქართველოს ეროვნული ორიენტაციის საკითხი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

ჩვენი ქვეყნის სწრაფვას ევროპისაკენ საკმაოდ გრძელი და დრამატული ისტორია აქვს, მას შემდეგ, რაც 1453 წელს თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა, საქართველო დანარჩენი ქრისტიანული სამყაროსგან დიდი ხნით იზოლირებული აღმოჩნდა, რასაც უმძიმესი შედეგები მოჰყვა როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული

თვალსაზრისით, სწორედ ამ იზოლაციის გარღვევას ისახავდა მიზნად სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) სამწლიანი მოგზაურობა (1713-1716 წლებში) იტალიასა და საფრანგეთში, თუმცა ამოდ - აქედან არაფერი გამოვიდა.

ჩვენს ქვეყანაში, როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით ახალი ხანა იწყება 1801 წლიდან. პოლიტიკურად საქართველო კარგავს თავისუფლებას და რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდება, ხოლო კულტურულად, მართალია, სწორედ ამ დროიდან იწყება ქართული კულტურის ევროპეიზაცია, მაგრამ ეს პროცესი სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, საქმე ის გახლავთ, რომ ევროპულ ცივილიზაციასა და კულტურას უშუალოდ კი არ ვუკავშირდებოდით, არამედ რუსული კულტურის მეშვეობით, რომელიც თავად ევროპული კაცობრიობის პერიფერიას წარმოადგენდა.

დასავლურ სამყაროსთან პირდაპირი კავშირის დამყარება პირველად შესაძლებელი გახდა მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1918-1921 წლებში, როცა რუსეთის იმპერიაში დაწყებული დიდი პოლიტიკური ქაოსის მეშვეობით საქართველომ სამი წლით მოიპოვა დამოუკიდებლობა. მაგრამ მალე ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის მემკვიდრე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა და ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობა საერთოდ შეუძლებელი გახდა.

ილიამ და მისმა თანამოაზრებებმა ჩამოაყალიბეს საუკუნის იდეები და იდეალები, რომელთა განვრცობა და მხატვრულ ასპექტში წარმოსახვა მომდევნო თაობებმა ითავეს. ილია ჭავჭავაძის ეროვნული გეზი და ორიენტაცია მუდამუამს იყო წარმმართველი კ. გამსახურდიას მსოფლმხედველობისა, მან უდიდესი ზეგავლენა განიცადა დიდი ილიას ეროვნული და პოლიტიკური მრწამსისა და გვარწმუნებდა კიდევ, რომ საქართველოს მომავლისათვის სწორედ ილიას გზით უნდა ევლო მთელ ქვეყანასა და ყოველ ქართველსაც, მითუმეტეს მოაზროვნე, სამშობლოს ბედით დაინტერესებულ მოღვაწეთ, სწორედ ამ რწმენის გამო იყო, რომ კ. გამსახურდიამ ასეთი ემოციით გამოხატა ილიას სიკვდილით გამოწვეული ტრაგედია. წერილში „ერის მთავარი“ კ. გამსახურდია წერს: „აღბათ ბევრ მწერალსა და მოღვაწეს შეშურდებოდა მისი ტრაგიკული სიკვდილი, იგი წავიდა ჩვენგან შეუფასებელი, მაგრამ თავისი სიცოცხლის დასასრულით მან სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნა და ჩვენ წარმოგვზარდა მისი დიდი იდეების ქომაგად და მედროშედ. სანამდის ქართველი ხალხი იარსებებს ამ ქვეყნად, ილია ჭავჭავაძე მარად იცოცხლებს ქართველი ერის ხსოვნაში“ („ერის მთავარი“, კ. გამსახურდია ტ. VI : 659).

კ. გამსახურდიას ეროვნული სულისკვეთება თავისთავად გაგრძელებაა იმ იდეებისა, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მომწიფდა საქართველოში. მწერლის ისტორიული რომანები „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“, მხატვრული სიტყვის დიდოსტატთან ერთად გვაცნობს გულმსურვალე მამულიშვილს, რომლისთვისაც მწერლობა თვითმიზანი არ არის, მის რომანებში უპირველესად დაისვა და გადაიჭრა საქართველოს ეროვნული ორიენტაციის საკითხი. მართალია რომანები „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავილობა“ ისტორიული არ არის მაგრამ, ეროვნულ პრობლემათა საინტერესო გადაწყვეტას აქაც ახერხებს მწერალი. კ. გამსახურდიას ნოველები თუ მოთხრობები „ზარები გრიგალში“, „ტაბუ“, „დიდი იოსები“, „ამბავი ხუთასი ბოლნისელისა“, „ქალის რძე“ და სხვა ძირითადად მწერლის ეროვნული მსოფლგანცდის მხატვრული გახმოვანებაა.

კ. გამსახურდიას ლიტერატურული წერილები, ესეები, ნარკვევები თუ სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვები, საინტერესო მასალას გვაძლევს მწერლის ეროვნული მსოფლმხედველობის შესასწავლად. წერილები: „სიტყვა, ხატი, მუსიკა“ (1920 წ.), „მოზაიკები, მაგიური შანდლები“ (1921 წ.), „კარგი ევროპიელი“ (1922 წ.), „ტრაგედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან“ (1922 წ.), „1921-1922 - 7 მაისი“ (1922 წ.), „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ (1922 წ.), „იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი“ (1922 წ.), „გოეთე თუ მისტიკოსი“ (1922 წ.), „თეატრი და ექსპრესიონიზმი“ (1923), „ახალი ევროპა, ლიტერატურული პარიზი“ (1924 წ.), „აპოლოგია რუსთაველისა“ (1937 წ.), „სალიტერატურო ქართულისათვის“ (1945 წ.), „ქართული ენის მეურნეობისათვის“ (1956 წ.), „ერის მთავარი“ (1962 წ.) და სხვა მწერლის ეროვნულ პოზიციას გვახიარებს და გვარწმუნებს, რომ მისი მთელი ნაღვაწი მხატვრული შემოქმედება, თუ ზოგადად ლიტერატურული აზროვნება ერთ მთლიან სპექტრს ქმნის კ. გამსახურდიას ეროვნული ორიენტაციის გასარკვევად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მივიჩნევთ კ. გამსახურდიას მოსაზრებებს ეროვნული პრობლემის დასმისა და გადაჭრის თვალსაზრისით წერილებში „აპოლოგია რუსთაველისა“ (1937), „კარგი ევროპიელი“ (1922), „1921-1922 7 მაისი“ (1922), „ერის მთავარი“ (1962 წ.), „ქართველობა და უცხოეთის გენია“ (1917 წ.).

„აპოლოგია რუსთაველისა“ გვამცნობს კ. გამსახურდიას ეროვნულ მრწამსს ქართული მწერლობის, ქართული რენესანსის ძირეულ პრობლემებს. ქართველთა ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს თამაშობდა ზოგადად ქართული მწერლობა და კერძოდ, რუსთაველი და მისი გენიალური

მხატვრული წარმოსახვა. „კარგი ევროპელი“ მწერლის გარკვეულ გულისტკივილს გამოხატავს იმის გამო, რომ მიუხედავად იმისა, საქართველომ გარკვეული წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის, კერძოდ, ქრისტიანული კულტურის განვითარებაში, ჯეროვნად არაა წარმოჩენილი მისი დამსახურება საყოველთაო თვალსაზრისით, მითითებულია რამდენიმე უცხოელი მოღვაწისა და მათ შორის ყველაზე ღრმად და საფუძვლიანადაა მიმოხილული არტურ ლაისტის დეაწლი ქართული კულტურის მსოფლიო არენაზე გატანის მცდელობის საქმეში. მითითებული წერილებიდან ცალკე უნდა გამოვეყოთ - „1921-22 7 მაისი“, სადაც ჩვენი ქვეყნის წარსულის გმირული ტრაგედიებისა და საქართველოს მომავლის რწმენაა გაცხადებული, რომ ქართველთა დამარცხებები სხვა არა იყო თუ არა „ძალის მოკრეფა ახალი გამარჯვებებისათვის, რომ „დიდ პოლიტიკურ კატასტროფებს, ხშირად დიდ სულიერ გამოფხიზლებისაკენ მიჰყავს ერი“. მითითებულია, თუ რა დიდ როლს თამაშობს ქართული მწერლობა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში და საბოლოოდ მტკიცება იმისა, რომ ჩვენი რწმენა და იმედი ქართველი ერის ბრწყინვალე მომავლისადმი მუდამ უცვლელი და ურყევი იქნება“.

მწერლის ზემოაღნიშნული წერილები ერთი დანიშნულებისაა, დაგვანახოს საქართველოს ისტორიული მისია, დაგვეხმაროს ეროვნული სულის გადრმავეებაში, აგვიხსნას თითოეული ქართველის ფუნქცია საქართველოს საზოგადოებასა და ისტორიაში.

კ. გამსახურდია მუდამ ერთგულად სდარაჯობდა ქართველობის კერას, ეძებდა ხსნის გზას, თუმცა, ძალიან ძნელი იყო იმ ერთადერთი გზის მიგნება, რომელიც შენია და მითუმეტეს მაშინ, როდესაც პოლიტიკური ბრძოლების შუაგულში მოქცეულხარ და ათასგვარი ზღუდეები გადაგლობებია. მწერალი უჩიოდა ბრძასა და გაუხარებლ მოირას, ისეთი კულტურულ-ისტორიული ამოცანები, რომ დაგვაკისრა აღმოსავლეთში, რომლის განხორციელებამაც ჩვენი საუკეთესო ენერგია და სისხლი შეიწირა („კარგი ევროპელი“). სხვადასხვა გზების მოსინჯვისას იგი ასეც ფიქრობდა: „ორი კულტურული ქროლვა, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, რომელიც ასულდგმულეებდა მათდამი სინთეტურად განზრახულ ქართულ კულტურას ჩვენ მეტის დახარბებით უნდა შევეისუნთქოთ“ („კარგი ევროპელი“, კ. გამსახურდია, ტ. VI, 1963 წ., გვ. 514), ეს იყო მწერლის თეორიული თვალსაზრისი.

რომანში „დიონისოს ღიმილი“ გადატანილია ის კამათი 20-იან წლებში, რომ გამლილიყო და ვერ შეთანხმებულყვენ საქართველო აზიას ეკუთვნოდა თუ

ევროპას. უმეტესობა ევროპას ამჯობინებდა, მაგრამ ასეთ დროს საკითხს უმრავლესობა კი არ წყვეტს, არამედ ჭეშმარიტება.

კონსტანტინე სავარსამიძე („დიონისოს ღიმილი“) თავადაკლული ეძიებს რეალურ გზას. მისი პირადი ტრაგედია გაიგივებულია ქვეყნის მწარე ხვედრთან. მისი ყოყმანი და დაეჭვება გზაჯვარედინთან - უდიდესი ტკივილითაა გაუღენთილი.

20-იანი წლების ესეისტიკისაგან განსხვავებით, სადაც ევროპა ერთადერთ იდეალად დაუსახავს, მწერალი აქ მესამე გზას ეძიებს, როგორც აზიის, ისე ევროპის მიღმა.

- საქართველო მესამე იქნება.

მისთვის ეს პოლიტიკური ღოზუნგიცაა და ესთეტიკური მრწამსიც.

კ. გამსახურდია, როგორც თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ისე ლიტერატურულ წერილებსა და ესეებშიც „ქართველობის ბედის ვარსკვლავის მაძიებელია“. მას კარგად ესმის, რომ ახალი გზების ძიებისა და პოვნის გარეშე არა მხოლოდ ქართველობა, ვერც ერთი ერთი ვერ დაძლევს დროის წამოჭრილ ურთულეს პრობლემებს. წერილში „1921-1922 7 მაისი“ მწერალი მიუთითებს „ჩვენი საუკუნის მაჯისცემა, ჩვენი მსოფლიო დინამიკა ისეთის მძაფრი რიტმით როკავს, რომ ის ერთი, რომელიც ნერვებაჭიმული არ მოღუნავს თავის ბედის ეტლის სადავეს, იგი ან უფსკრულში გადაიჩეხება, ან არა და სადმე მსოფლიოს ყრუ შუკაში გაეჩხირება“ („პოეზიის დღე“, №3, 1922 : 6).

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ეს მესამე გზა, რომელზეც კ. სავარსამიძე მიგვანიშნებს, ეს არის გზა ხსნისა, შენეული, თვითმყოფადი, საკუთარი ფესვებით ნასაზრდოები.

საინტერესოა გავისხენთო „მთვარის მოტაცებაში“ კაროლინასა და თარაშის საუბარი, რომელშიც დიდი და მცირე ერების წარმომადგენელთა იდეური ჭიდილია არეკლილი.

„კეთილი ფრაუს“ მსჯელობა იმპერიული აზროვნების ტიპური ნიმუშია. მცირე ერების იერსახის შენარჩუნებაზე საუბარი მას ჩამორჩენად მიაჩნია. მის თვალში პროგრესულ მოაზროვნედ ის წარმოიხინდება, ვინც თვლის, რომ აფსაზებმა თავიანთი ზნე-ჩვეულებები უნდა უკუაგდონ და ევროპული ცივილიზაციის გზას დაადგინონ. უძველესი ტრადიციების, ადათ-წესების დაცვა ერს, მისი აზრით, ქვეყანას გარდაუვალ დაღუპვას უქადის.

რა თქმა უნდა მწერალს, ისევე როგორც „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟს, თარაშ ემხვარს, განსხვავებული შეხედულება აქვს. წერილში „მაგიური

„მანძლები“ იგი აღნიშნავს: „კრიტიკულმა სულმა დაანგრია ოჯახის ტრადიციები... ჩვენ დღეს კრიზისს განვიცდით, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს მოქალაქენი. ჩვენი თაობის ახალ თაობას ერთი რამ აერთებს, - ეს არის უარყოფა ჩვენი თანამედროვეობისა“. საინტერესოა მწერლის მიმართება საქართველოს თანამედროვეობისა თუ მისი მომავლისადმი, რაც გადმოცემულია წერილში „1921-1922 7 მაისი“. „ჩვენ გულშიც ანთია ჩირაღდანი ქართული ენის და ქართული გენიის სიყვარულის ცეცხლით დაკვესილი... საქართველოს გადმერთება, დიას, ჩვენ გვინდა, ჩვენ გვწყურია მისტიური სიყვარული საქართველოსადმი...“

ორივე წერილის მონაკვეთიდან კარგად იგრძნობა მწერლის დამოკიდებულება საქართველოს წარსულისა და მომავლისადმი. რა თქმა უნდა ეს განწყობილება გასდევს მის პერსონაჟს - თარაშ ემხვარსაც, მაგრამ კაროლინას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი დამპყრობლის უპირველესი მოთხოვნა „მემსგავსე მე!“. მისი სურვილია, ქართველებს (აფხაზებს) საკუთარი არც ენა გააჩნდეთ, არც კულტურა, არც ეთნიკური სახე, არც ზნეობრივი ღირებულებანი. პატარა ერის დიდთან შერწყმა-ათქვეფა, მშობლიური ენის უარყოფა, გეოგრაფიული სახელებისა და საკუთარი გვარ-სახელების „გავეროპელება“ - აი ქვეყნის პროგრესის კაროლინასეული რეცეპტი.

თარაში ღრმად აანალიზებს ევროპელთა „მზრუნველობის“ ჭეშმარიტ არსს, ქართველთა გარდაქმნას რომ ღამობენ. მათ ამ ხალხის სიყვარული კი არ ამოძრავებთ, არამედ ეგოისტური სწრაფვა, შთანთქან, თავიანთ დაუოკებელ მადას შესწირონ ისინი, მათი სურვილია, ამ უძველესი კულტურის მქონე ხალხს, აღარც საკუთარი სულიერი საგანძური ჰქონდეს, აღარც მატერიალური ღირებულებანი.

საქართველო, როგორც გამორჩეული კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა დამოუკიდებელი უნდა იყოს, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე უნდა მოიძებნოს მესამე გზა, საკუთარი – ეს გახლავთ კონსტანტინე გამსახურდიას ესთეტიური მრწამსი.

კ. გამსახურდიას ეროვნული ცნობიერება ჯერ კიდევ ბავშვობიდან მომწიფდა და ჩამოყალიბდა. ბავშვობიდანვე ოცნებობდა იგი რომ საქართველოსთვის დიდი გალავანი შემოეწყო და მტერთაგან ასე დაეცვა „შვიდი წლის ბიჭი ვიქადნიდი, წამოვიზრდები და ჩვენი ქვეყნის მტრებს გავეუუჟავ-მეთქი, მთელი ჩემი სიყრმის მანძილზე ვოცნებობდი, დიდი გენერალი გაემხდარიყავი, ლაშქარი შემედგინა და საქართველოს მტრები შემემუსრა“. (გამსახურდია ტ. VIII, 1967: 63)

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო „ეროვნული გლოვის ნიშნად შვიდმა კაცმა - კონსტანტინე გამსახურდიამ, ალექსანდრე აბაშელმა,

პავლე ინგოროყვამ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, გიორგი ნიკოლაძემ და სხვებმა შავი ჩოხა-ახალუხი შეიკერეს, რასაც დროდადრო ბრალად სდებდნენ" (სიგუა 1997: 86).

„1926 წლის 21 თებერვალს სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა გაიმართა. უპირველესი, რაც აინტერესებდა ხელისუფლებას იყო ერთადერთი საკითხი: „ქართული მწერლობა სცნობს თუ არა ამ რევოლუციას, რომელიც მოხდა. გამომსვლელებს შორის იყო კონსტანტინე გამსახურდია „ჩვენ აქ გვეკითხებიან: მოგწონთ თუ არა წითელჩაბალახიანი საქართველოვო. საქართველო რა ფერისაც უნდა იყოს ჩვენ გვიყვარს, მას ჩვენ ვერ გავექცევით და აქ საყვედურები გადაჭარბებულია და ეს არის შედეგი სწორედ იმ სიმწარისა, რომელიც დღემდე არღვევდა საქართველოს გულს“.

ამ სიტყვას დიდი რეზონანსი მოჰყვა. განსაკუთრებით გამოთქმამ „წითელჩაბალახიანი“ არაერთი გამომსვლელი გააღიზიანა. თავად მწერლისთვის კი უჩვეულო არაფერი მომხდარა. რამდენიმე წლის წინ (უფრო ზუსტად 1923 წელს) უსაყვედურეს „ყალბი ეროვნული ფერებით აზროვნება“ იმ პუბლიცისტურ წერილებში, რომლებშიც მავანთა აზრით, „უცხოეთის ქარი ჰქრის“, კონსტანტინემ მისთვის დამახასიათებელი სიმკვეთრით განუმარტა მათ, რომელნიც ყველაფერს ცისფრად აღიქვამდნენ, ან ამღვრეულ თვალებში მხოლოდ წითელი ფერი ედგათ: „რაც შეეხება ყალბ ეროვნულ ფერებს, ეს გემოვნების საქმეა, მე ახალი საქართველოს ფერები ცოტა სხვანაირად მაქვს წარმოდგენილი, ვიდრე იმ ხალხს, რომელსაც ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ფერადების მოძღვრებაზე“ (ნიშნიანიძე 2000: 12-13).

საქართველო გაუთავებლად არჩევანის წინაშე იდგა. მუდამ გზაჯვარედინზე მყოფი ეძებდა ხსნის გზას. ბედისწერად გადაგვექცა ევროპა თუ აზია?

„რუსი ცხენით მისდევს ევროპას, ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვეუბნება, არ ჩამორჩეთო, ჩვენც დასისხლიანებული მივრბივართ და გვეგონია, რუსი სიკეთეს გვიშვრებაო“, - ამბობს მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „არსენა მარაბდელი“ ალექსანდრე ორბელიანი.

რომანში ისტორიული სიმართლეცაა გამოთქმული და გაფრთხილებაც, რადგანაც „არსენა მარაბდელის“ შექმნისას ჩვენი ქვეყანა ხელახლა მოექცა რუსულ კაბალაში.

„ქართული ხელოვნების დაცარიელებულ დარბაზში - წერს ვახტანგ კოტეტიშვილი - ვიღაც ფრაკით შეიჭრა შიგ და კედლებიდან ხალიჩები ჩამოხსნა. ჩვენი სულის უგზოობის დროს ეს „ვიღაც“ ფრაკით მოგვევლინა და იკისრა გზის გაკვლევა. მზეს ზურგი შეგვაქცევინა“...

ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საშიშროება, ტრადიციულ ფასეულობების დაკარგვის პოტენცია ანუ „სულის უგზობის დრო“ გარეშე ძალის ენთუზიაზმს იწვევს და ამ დილემის წინაშე უდიდესი სიფრთხილით დგებიან ქართული კულტურის მოღვაწენი...

აღმოსავლეთი თუ დასავლეთი? გარკვეულ ტრაგიკულ ფონს ქმნის ის კამათი, 20-იან წლებში რომ გაშლილიყო და ვერა და ვერ შეთანხმებულიყვნენ, საქართველო აზიას ეკუთვნოდა, თუ ევროპას.

ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „თვალდაკრულ ევროპამ, მანიაკურ ექსტაზის დროს აზიელობა... ველურობის სინონიმად გამოაცხადა... გავეროპელებამ პსიხოზის ხასიათი მიიღო., ევროპამ შეგვშალა და ალბათ წაგვშლის კიდევ, თუ ასე გაგრძელდა“. ის მტკიცედ იდგა თავის თვალსაზრისზე: აზიაში დაგვიდამდა და აზიაშივე უნდა ველოდეთ ჩვენი ხელოვნების დილასო. უკან აზიისაკენ წინ წასასვლელადო („აზიისაკენ“) („ევროპა თუ აზია“ 1997 : 202).

გრიგოლ რობაქიძეც ამ მოსაზრებას ემხრობოდა, მაგრამ ვერც ევროპას თმობდა. ის წერდა: „და ჩვენ შევჩერდები შუა გზაზე: აღმოსავალსაც მოვცილდით და ვერც დასავალს ვეზიარეთ. მრავალი საუკუნე ვიტანჯეთ ჩვენ შუა გზაზე ყოფით... საქართველო ხომ ნატეხია აღმოსავლეთის და ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი აკვანი. ძვირფასია დასავლეთ ევროპა, მაგრამ ევროპისთვის აღმოსავლეთს ჩვენ ვერ დავთმობთ. უმჯობესი იქნება, მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ („ლეილა“) შევინურჩუნოთ აზიური ფესვები, მაგრამ ვესწრაფოდეთ ევროპას - ესაა გრ. რობაქიძის მრწამსი („ევროპა თუ აზია“ 1997 : 263).

ტიციან ტაბიძეც ცდილობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მორიგებას.

„გაფიზის ვარდი მე პრუდონის ჩავდე ვაზაში,

ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“.

კ. გამსახურდიამ კარგად იცის, რომ ყოველ ეროვნულ ბუნებასა და სახეში სხვადასხვა მინარევებიც მოიაზრება, წმინდა ქართული, წმინდა ეროვნული ვერ შექმნის ერის გლობალურ სახეს. საქართველოს უდიდესი ზეგავლენა განუცდია მეზობელი ქვეყნების კულტურებისაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ისაა, რომ ვერ მოხერხდა ქართველი ერის იმ ეროვნული გზიდან გადაყვანა, რაც მისი არსებობის უძველეს ქვაკუთხედში ჩაიდო. სხვათა ზეგავლენა, თუნდაც სპარსული და თუნდაც ბიზანტიური - ეს მხოლოდ შენაკადებია, რომელიც თავისთავადობას კარგავს, როდესაც ქართული ეროვნულობის ძლიერ მდინარეს ერთვის. ეს აზრი კ. გამსახურდიასთვის უცხო არ

იყო და ამიტომაც აცხადებს იგი რომ „საკუთარ ნიადაგზე მდგარნი ორ ძუძუს ვსწოდითო“.

წერილში „ქართველობა და უცხოეთის გენია“ მწერალი წერს: „ჩვენი ისტორიული როლი შემაერთებლისას ჰგავს. სპარსულ, მცირეაზიურ კულტურას ელინურ-ბიზანტიურთან ვაკავშირებდით და ჩვენ ეროვნულს, სპეციფიკურ ქართულ სახესა და ხატს ვაძლევდით ხოლმე.“

საკუთარ ნიადაგზე მდგარნი ორ ძუძუს ვსწოდით, ჩვენი სამშობლო ორ კულტურულ ნაკადის შემრთველ აუზს წარმოადგენდა“ (კ. გამსახურდია, ტ. VIII, 1967).

კ. გამსახურდიას კარგად ესმოდა, რომ ქართული ეროვნული ცნობიერება ორ ჭრილში უნდა დაგვენახა და გაგვეცნობიერებინა. სოციალ-პოლიტიკურ ყოფასთან ერთად, რელიგიის ძირითადი პრობლემატიკაც უნდა გაგვეანალიზებინა და ამ ორი არსის სინთეზირების ფონზე მოგვენახა ჩვენი სამომავლო გზა. ყოველივე ამასთან ერთად საქართველოს გეოგრაფიული სივრცე და მის მოსახლურე ქვეყნების დაუკვირვებლობაც გარკვეულ ზიანს მიაყენებდა საქართველოს სამომავლო დანიშნულებას. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მწერალს ბავშვობიდანვე აოცებდა ერეკლე მეორის ორსახეობა, კერძოდ, სპარსული ჩაღმა და მისი მართლმადიდებლობა, თუმცა ამ ფაქტის სათანადოდ გაგების გარეშე, ვერც საქართველოს მისიას შეიცნობდა მოაზროვნე, მართალია დიამეტრალურად საპირისპირო ატრიბუტიკა და პოლიტიკური მრწამსი იყო გამოხატული, როგორც ერეკლე მეორეს სურათში, ისე მთელ მის მეფობაში, მაგრამ სწორედ საქართველოს გეოსივრცე იძლეოდა ამ ორსახეობის დასაბამს და ეს პრობლემა საინტერესოდ აისახება კ. გამსახურდიას წერილში „თეატრი და ექსპრესიონიზმი“.

„ვინა სთქვა, საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის სინტეზი იქნებო? განა შეიძლება ცეცხლისა და წყლის, ღრვანისა და აქტივიზმის, ქაოსისა და კრისტალების, დასავლეთისა და აღმოსავლეთის სინტეზი? ეს სინთეტური მისწრაფება მუდამ გროტესკულ კარიკატურებად იქცეოდა ჩვენს ისტორიულ ყოფაში.“

მე ბავშვობიდან ვუყურებ საქართველოს მეფის ირაკლი მეორის სურათს და დღემდის გაუგებარია ჩემთვის ამ დიდი პიროვნების გაორებული სახეობა. თავზე სპარსული ჩაღმა და მკერდზე ანნას ორდენი - ჯვარი - და ეს ყოველად ქრისტიანი მეფე თავის საგვარეულო ღერბზე აწერდა:

„მე ფეხგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე“.

ქართული თეატრიც და ქართული ლიტერატურაც ამიერიდან მაღალი ტრიბუნა უნდა იქნეს. ძველი ფორმულა შემოვაბრუნოთ Ex occidentis Lux:" (კ. გამსახურდია, ტ. VI, 1963 : 648).

კ. გამსახურდიას მთელი შეგნებული მოღვაწეობა და შემოქმედება საქართველოს მომავალზე ფიქრს უკავშირდება და როგორც მის წარსულს, ისე აწმყოსაც საბოლოოდ იმ დასკვნამდე, მიჰყავს, რომ ამ პატარა ქვეყანამ საკუთარი, დამოუკიდებელი არსებობის გზა უნდა მონახოს. ვერც აღმოსავლეთისა და ვერც დასავლეთისაკენ სწრაფვამ ვერ შეძლო საქართველოს თვითმყოფადობის, მისი პოტენციური შესაძლებლობის გამოვლენა-განვითარება, ვერც აზია და ვერც ევროპა უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ინტერესების სრულყოფას. საქართველომ მესამე გზა უნდა იპოვოს და ეს მესამე გზა მის თავისთავადობაში, მის დამოუკიდებლობაში დევს. ამ მესამე გზის ფესვები საქართველოს წარსულშია საძიებელი, რომ კ. გამსახურდიას ეროვნული ცნობიერების მოდელი ქვეყნის წარსულის უღრმეს შრეებში იკითხება. სწორედ ამიტომ ცნობიერისა და არაცნობიერის ფენომენი, ასე მძაფრი ზეშთაგონებით წარმოსახება კ. გამსახურდიას შემოქმედებაში. კ. გამსახურდიას რომელი ნაწარმოებიც არ უნდა ავიღოთ, მასში ყოველთვის მოიძებნება სამშობლოს სიყვარულის იდუმალი განცდა. სადღაც სიღრმეში, მხატვრულ შრეებში ყოველთვის იკითხება და ხშიანდება თავისუფლების იდეა და რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, ეს იდეები და მხატვრული სახეები ისეა განფენილი, მხოლოდ მხატვრულ სტრუქტურას კი არ ამდიდრებენ, არამედ დიდი შთაგონებით ხასიათდებიან და მკითხველში ეროვნული გრძნობის აკუმულირებას იწვევენ. თანაც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შთაგონების ხარისხი იზრდება, როგორც მწერლის დიდი შემოქმედებითი ნიჭისა და ენერჯის, ისე მისი უაღრესად დიდი სულიერი და გონებრივი განათლებულობის გამო. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის გამოწვლილვით შესწავლამ, მათი ძირეული პრობლემების საკუთარ გონებრივ პრიზმაში გატარებამ მწერლის შემოქმედებაშიც ახალი მხატვრულ-სახეობრივი აზროვნების სპექტრი შექმნა. კ. გამსახურდიას ეროვნული ცნობიერების შემეცნებისას უნდა შევეცადოთ მის ნაწარმოებებში ამოვიკითხოთ ის საიდუმლოება, რასაც მითოსური არქეტიპები ქმნის და უპირველესად ვიცოდეთ თავად მითოსი რა არის; მითოსი სიტყვაში კონდენსირებული ადამიანთა საუკუნოვანი იდუმალი ოცნება და შეგრძნებაა, სახელდებულად ვერგაგებული ის აზრი და გრძნობა, რომელიც ვულკანივით მოედინება საუკუნეთა შრეებიდან და ჩვენივე თავის, ჩვენივე სახის შემეცნებაში გვეხმარება, მითშია დახატულ-

გააზრებული ისტორიის, მეცნიერებისა და ხელოვნების უზოგადესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემები, კაცობრიობის ისტორია მითიდან იწყება და სწორედ მითოსზე დაყურადებით, მისი არქეტიპული სახე-სიმბოლოების ახსნითა და მხატვრული გაანალიზებით არათუ ცალკეული ერების, მსოფლიოს წარსულიცა და მომავალიც შეიძლება ამოვიკითხოთ. უპირველესად კი შესაძლებელია ერის, ეროვნული მაჯისცემა, მისი ეროვნული მსოფლმხედველობა შეიცნო. უმითოდ და უწარსულოდ ეროვნული ცნობიერების ფორმირება შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე როდესაც ვაყენებთ პრობლემას „ეროვნული ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტაცია კ. გამსახურდიას შემოქმედებაში“ თავისთავად ცხადია, მწერლის ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელ იმ საწყის მოდელებზე უნდა გადავიტანოთ ყურადღება, რაც მწერლის ეროვნულ თვალთახედვას აყალიბებს. შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ კ. გამსახურდიას ეროვნული მსოფლმხედველობა იმ ზღაპრებიდან, მითებიდან, ლეგენდებიდან, თქმულებებისა და ამბებიდან იწყებს ფორმირებას, რასაც გამდელის - ეკაისაგან ისმენდა ყმაწვილი. მითებისა და ლეგენდების გარეშე ცხოვრება, რომ სისხლისაგან დაშრეტილი სიცოცხლე და არსებობაა, ამაზე თვით კ. გამსახურდიაც მიუთითებს:

„... აბა თქვენ იცით, რა ძნელია პოეტისათვის კრიზისი? კრიზისი ჩვენი სულის გამოფხიზლებაა ზმანებისა და მითის ჯადოსაგან.

კრიზისი? იდეების სიღარიბე, სტილის კრიზისი?“ (გამსახურდია, ტ. I 1992 : 104).

„ქართული კულტურის კრიზისი მაშინ იწყებოდა ხოლმე, როდესაც მისთვის დაისშვეოდა გზა მსოფლიო აზროვნების სიმაღლეებისაკენ, ან კიდევ მხოლოდ ერთი მიმართულებით იყო გახსნილი ეს გზა...

ქართული რენესანსული სულისკვეთების აღორძინება უწინარეს ყოვლისა ნიშნავდა აზროვნების ისეთ სიმაღლეს და ინტერესთა სფეროს ისეთ სიფართოვეს, რომელიც აუცილებელია უნივერსალური წყობის ფასეულობათა შესაქმნელად. ხელოვნების სხვა დარგთაგან მწერლობამ პირველმა დააყენა ხელახლა ქართული კულტურის სინთეზურობის პრობლემა. ამ პრობლემის გამო წუხილი მეტ-ნაკლები ინტენსივობით გამოვლინდა ჩვენი დროის ყველა დიდი მწერლის ნააზრევში.

კონსტანტინე გამსახურდია ერთ-ერთი პირველი იყო მეოცე საუკუნის დასაწყისი ხანის ქართველ მოღვაწეთაგან, რომლის წინაშეც მთელი სიგრძე-

სიგანითა და სიღრმით წამოიჭრა აღნიშნული პრობლემა" („ცისკარი", 1969 №12: 70-71).

„უმითოდ ყოფნა.

ჩვენთვის: არ ყოფნა

შუბლით ვესხები ახალ დროს, მითოსს მოკლებული დრო, ევროპის სულიერი კრიზისი, სრულებით არ არის სტილის კრიზისი ან იდეების სიღარიბე, მითოსს მოკლებული დრო უნდა დაძლეულ იქნეს.

... პირველთაგანვე იყო მითი. ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქმნა, რაც კი რამ შეიქმნა. მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფნას.

არსებობს ბედითი წუთი, როცა საგანი გამოაჩენს თავის ბუნებას და ეს საგანი, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინია მხედარს - ცივილიზებული სინამდვილეა, სინამდვილის არსებობა დიდხანს ასატანი იყო, მაგრამ ჩამოდგა ბედითი წუთი, როცა ადამიანის სულის ჰარმონია დაირღვა... გზა მივცეთ მითს, რომელიც საშინელს ფანტაზიის სფეროში გადაიტანს" (გამსახურდია, ტ. I 1992 : 104).

ფ. ნიცშე თვლიდა, რომ ბერძნული ტრაგედია იყო უმაღლესი ხელოვნება, რომლის უმჯობესი კაცობრიობას არაფერი შეუქმნია. ამიტომ ადამიანის სულისა და კულტურის ასაღორძინებლად საჭიროა ბერძნული ტრაგედიული ხელოვნების აღორძინება. ბერძნული ხელოვნების საფუძველი იყო მითი. ახალ ხელოვნებას, რომელიც კრიზისს განიცდის და რომელიც ბერძნული ტრაგედიის სიმაღლეზე უნდა ავიდეს, საფუძველად მითი უნდა დაედოს. ნიცშეს ეს აზრი ეწინააღმდეგებოდა სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების განვითარებას.

კ. გამსახურდიამ მართლაც მითებში, ლეგენდებსა და ზმანებებში ეძია ეროვნული ცნობიერების ძირები. სწორედ იმ შრეებამდე მივიდა, საიდანაც ჩვენი სამშობლო-საქართველო იწყება და აგვისსნა იქედან მოყოლებული, როგორ იქმნება და მდიდრდება ჩვენი ეროვნული თვალსაწიერი, რადგან დიდმა მწერალმა და მოაზროვნემ კარგად იცოდა, მარადიული წრებრუნვის შესახებ, რაც ზოგადკაცობრიობის ისტორიის თანამდევია, მაგრამ ცალკეული ერების ცხოვრების წესია, და ეროვნული შემეცნების განმსაზღვრელიცაა.

„მარადიული დაბრუნების იდეა ნიცშეს ერთი უმთავრესი იდეაა: იგი „ასე ამბობდა ზარატუსტრას" მესამე ნაწილის იმ თავშია გამოთქმული, რომელსაც „გამოჯანსაღებელი" ეწოდება.

„ყოველი მიდის, ყოველი ბრუნდება; მარად ბრუნავს ბორბალი ყოფისა, ყოველი კვდება, ყოველი კვლავ ჰყვავის, მარად რბის წელი ყოფისა".

„მარად უკუ მოიქცევა ის, ადამიანი, რომლით შენ მოიქანცე, პატარა ადამიანი“...

„ყოველნი საგანნი მარად უკუ იქცევიან და ჩვენც მათთან“

„მე თვით მარადი უკუბრუნვის მიზეზისა ვარ!“

„კვლავ მარად უკუ ვიქცევი ამა და ამავე ცხოვრებად, დიდით და მცირედით, რათა კვლავ ვასწავო ყველა საგანთა უკუქცევა“.

ეს ნიცშეს ერთ-ერთი უმთავრესი იდეაა, მაგარმ რთული და ბუნდოვანი, მარადიული დაბრუნების იდეის ნაირნაირი ინტერპრეტაცია არსებობს. ერეკლე ტატიშვილის თარგმნილი „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ბოლოსიტყვაობაში თამაზ ბუაჩიძე ასეთ განმარტებას აძლევს მას.

„ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, უკვე მოხდა! მოხდა მარადიულ, უსასრულო წარსულში. სწორედ იმიტომ, რომ იგი უსასრულოა, მოხდა ყველაფერი, რაც მოსახდენია. ეს კი ნიშნავს, რომ წარსული და მომავალი არ არიან დაპირისპირებულნი, როგორც ეს აქამდე ჩანდა. ყველაფერი უკვე მოხდა. ამიტომ მომავლისაკენ სვლა წარსულისაკენ სვლაა. დრო არის წრე. ყველაფერი მეორდება. ყველაფერი რაც იყო კვლავ ბრუნდება. წინსვლა და უკანსვლა. მომავალი ისაა, რაც იყო. წარსული ისაა, რაც იქნება. ის რაც ახლაა, მარად იყო და მარად განმეორდება“.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, „მითიურმა არ იცის დროის დინება. დრო არ იცნობს წარსულს, აწმყოს და მომავალს. მითიურში მარადიული აწმყოა. მაშასადამე, ის, რაც მითიურში არსებოდა, არსებობს დღესაც“.

მარადიული დაბრუნების კონცეფციით, ყველაფერი მეორდება, ყველაფერი, რაც იყო, კვლავ ბრუნდება. აქ მითიური და მარადიული დაბრუნება, ერთმანეთს გადაეჯახება, ერთიან აზრად ჩამოყალიბდა" (ბაქრაძე 1999 : 102-103).

ნიცშეს მარადიული დაბრუნების იდეა ღრმა ფილოსოფიური აზროვნების გამომხატველია, მაგრამ ამ იდეის განფენილობაში შეიძლება ეროვნული ცნობიერების პრობლემა ვიგულისხმოთ და საქართველოს წარსულიდან გამომდინარე, მისი მომავალიც ვიწინასწარმეტყველოთ – შეიძლება ვიწამოთ, რომ ჩვენს ერს დაუბრუნდება ის ამადლებული რაინდული თვისებები, რაც ოდესღაც ჰქონდა. ეს იყო კონსტანტინე გამსახურდიას ოცნება. მწერალი რომ საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთს დატრიალებდა მისი ფიქრი და ოცნება, როცა ერის ტერიტორიული და სულიერი მთლიანობა ასე სანუკვარი ჩანს თანამედროვეობის პრიზმიდან. სწორედ ამიტომ იყო რომ მხატვრულ სინამდვილედ გარდაქმნიდა ამ

დროის ისტორიულ რეალობას და თანამედროვეობასაც გმირული სულით აღანთებდა.

როგორც ყოველი კაცთაგანი, კ. გამსახურდიაც თავისი ბავშვობიდან მოდიოდა. ბავშვობაში ყოველი ადამიანი მეტნაკლებად პირველქმნილ არსებას ჰგავს და თავისი არსებობის ამ მონაკვეთში ყველაზე მეტად სჯერა იმის, რასაც ეთაყვანებოდა პირველკაცი.

„მამისეული სახლი ჩემთვის იყო უზარმაზარი სასახლე, ჩემი საწოლი ოთახიდან მოსჩანდა ოქროსკალთიანი ზეცის თვალსაწიერი, რომელიც შედამებისას აყვავდებოდა ხოლმე ნარინჯისფერი ღრუბლებით და ფეერიული ფერების ლიცლიცი სისარულით ავსებდა ჩემს ბავშვურ გულს“ (გამსახურდია ტ. VIII, 1967: 59).

საერთოდ ქართული და კერძოდ, მეგრულ ოჯახებში აღზრდა - უფროს-უმცროსობის, დედ-მამის პატივისცემის, ზრდილობის და ადამიანობის შესახებ არაერთგზისაა მითითებული. თვით კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცში“, ამ ფაქტის დადასტურებაა, რომ დედის სახე და მისდამი სიყვარული და თაყვანისცემა მთელი სიცოცხლე გახდევდა კონსტანტინეს და თითქმის ამ მშობლიურ გრძნობასთანაა დაახლოებული გამდელის სახეც.

„ჩვენი გადია ეკაია, დედაჩემის შემდეგ ყველაზე მეტად მიყვარდა ახლაც მახსოვს, როგორ ჩამიკრავდა იგი მკერდში. ცრემლმორეული მეტყოდა! მე მალე მოვკვდები, შენ რა გეშველება, ჩემო იმედო, უჩემოდ.. სამზარეულოში მას ჰქონდა უამრავი ხატი, მოცლილობის უამს ნიადავ ლოცულობდა.

მთვარის მოქცევის ამბები იცოდა კარგად და ყველაფერი, რაც მე დავწერე „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“ და „მთავრის მოტაცებაში“, მთვარის მოქცევისა და პაგანისტური, წარმართული ამბების გამო, ეს ყოველივე ეკაიას შეგონებებიდან მაქვს აღებული, მისგან მაქვს განაგონი უამრავი კოლხური ლეგენდები, ზღაპრები, შელოცვები...

მე უკვე აღარ მახსოვს ის ალეგორიული ლოცვები, რომელსაც ეკაია აღავლენდა ხოლმე ქრისტეს, წმინდა გიორგის და ღვთისმშობლის მარიამის სახლზე, როცა იგი რელიგიურ ექსტაზს მიეცემოდა.

ეკაიას ძლიერ მოსწონდა ჩემი იღუმალის განზრახვა, დიაკვნად გახდომის გამო. ეგეც უნდა გავამხილო: ეკაიას ეს პატივი ეცოტავებოდა ჩემთვის.

მეტყოდა კიდევაც

„რატომ დიაკვნობა, მერე მღვდელი უნდა გახდე ან ეპისკოპოსი, ბოლოს სიბერეში კათალიკოსი და საქართველო დაიხსენი ურჯულოების ხელიდან“ (გამსახურდია, ტ. VIII, 1967: 76-77).

კ. გამსახურდიას ბავშვურ ოცნებაში შემოჭრილი ეკაიას შეგონება - საქართველო ურჯულოთა ხელიდან დაეხსნა - საქართველოს მომავალი განმათავისუფლებელი მოძრაობის ორიენტირი გახდა.

თუნდაც ის ფაქტი, რომ წმინდა გიორგი კ. გამსახურდიას სულის მეოხი, თითქმის ქრისტეზე აღმატებულია მისი წარმოსახვითი, თავად მწერალი გვიხსნის, რომ ეს აზრი ბავშვობის განცდა-მოგონებათა გამომხატველია.

„ჩემთვის დიდხანს გაუგებარი დარჩა რად აწამეს მწიგნობრებმა და ურჯულოებმა ქრისტე, ან როგორ მოხდა ეს, გოლგოთაზე დაფლული მაცხოვარი რომ აღსდგა მკვდრეთით?

ქრისტეზე მეტად მიყვარდა წმინდა გიორგი, რომელიც ჩვენი ეკლესიის სახატესთან იყო დახატული.

დიაკონი ეგგენი მაჩვენებდა თეთრ ტაიჭზე მჯდარ რაინდს, რომელიც მახვილს აძგერებს უზარმაზარ ურჩხულს.

დიაკონი დაბეჯითებით ამტკიცებდა: წმინდა გიორგი ჩვენი მფარველია და იგი სდარაჯობსო ჩვენს საქართველოს.

როცა ქუხილი ატყდებოდა, ეკაია გვიამბობდა ამ უშიში რაინდის ვაჟკაცობის გამო, რომლის რაშის ტორების თქარათქური მოისმოდა ღრუბელივით წაგრაგნილი ციდან.

და ეს უცნაური ეპიტაფია გმირობისა მხნეობით მოსავდა სასწაულით კიდემდის აღვსილ ჩემს სულს“ (გამსახურდია, ტ. VIII, 1967 : 77).

წმინდა გიორგის სახე-სიმბოლოში ზოგადად მთელი საქართველო შეიძლება ვიგულისხმოთ. წმინდა გიორგისებრი შემართება დამახასიათებელია ქართველთათვის მტერთან ბრძოლაში. თავგამეტება და თავგანწირვა იდეისთვის, თავისუფლებისთვის და ძირითადად სამშობლოსთვის. ყველა ერს მისებურად უყვარს სამშობლო, მაგრამ ქართველს თითქოს მეექვსე განსაკუთრებული გრძნობა აქვს სამშობლოს შემეცნებისა. მრავალთაგან მრავალი ბრძენი, ნიჭიერი, ხალასი გრძნობის ქართველთა აზრითაა გაჯერებული თვით კონსტანტინესეული სამშობლოს სიყვარული.

„საქართველოდან ბერლინში, პარიზში, ციურისში, რომსა თუ ლონდონში მოხვედრილ ახალგაზრდას ემუქრებოდა უდიდესი საფრთხე - იმდენად მოენუსხა ან სულაც გაესრისა იქაურ კულტურას, რომ ყოველივე ეროვნულისათვის

საბოლოოდ ზურგი შეექცია, სკეპსისით გამსჭვალულს ორიენტაცია დაეკარგა და უნუგემო კოსმოპოლიტად ქცეულიყო... დღესდღეობით ქართველ კაცს საკმაოდ ნათლად აქვს (ყოველ შემთხვევაში - უნდა ჰქონდეს) გარკვეული თავისი ერის კულტურული რაობა და ჩინებულად მოეხსენება, რომ არავის წინაშე არ მართებს მორცხვად თავის დახრა. ბევრ, ძალიან ბევრ ახალგაზრდას აუბნია თავგზავერობული კულტურის დიდებულ მწვერვალთათვის თვალის გასწორებამ, რადგან უკომპასოდ უხდებოდათ ამ დამატრობელ სიმაღლეთა მოლაზვა.

ეს ისეთი სენი იყო, მისი საწინააღმდეგო იმუნიტეტის გამოსამუშავებლად არ გამოდგებოდა მარტოოდენ სულიერი მხნეობა და ურაპატრიოტიზმის მუავე-მუავე აბები. საამისოდ აუცილებელი იყო კაცს აგრეთვე ჰქონოდა არცთუ იოლად საშოვნელი წამალი, აზროვნების ძალმოსილებად სახელდებული. და კიდევ: იშვიათი უნარი საქვეყნო საქმისთვის პირადულის დათმობისა, დაუცადებელ შრომაში სამშობლოსთვის თავის დადებისა" (თვარაძე, ცისკარი, №12, 1969 : 70-71).

კ. გამსახურდიას სწამდა, როგორც თანამედროვე, ისე გარდასულ მამულიშვილთა ნააზრებისა და თავადაც ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა მამულისა და მამულიშვილობის ცნება-იდეას. კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად, ყველა მის თანამედროვე მოაზროვნე ქართველს მოჰყვებოდა ილიასგან მიღებული მუხტი სამშობლოს სიყვარულისა, და ყველა მათგანს გარკვეულად ინდივიდუალური, მაგრამ უმთავრესად საერთო ეროვნული მსოფლმხედველობა გააჩნდა, რაც თითოეულისაგან სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულსა და მისთვის არათუ თავდადებას, თავმეწირვასაც გულისხმობდა.

მისაკო წერეთელი განმარტავს:

„...ტერიტორიის მნიშვნელობა უბრალო სიტყვა არ არის. იგი დიაღია და უპირველესი. არც ისტორიულ ტერიტორიას აქვს უაზრო მნიშვნელობა. ის ნაწილი ტერიტორიისა, რომელიც ოდესმე შეიძლება სხვა ელემენტით იყოს დასახლებული, მაინც თავის კანონიერ პატრონს ეკუთვნის მართლის თვალთახედვით, თუ რასაკვირველია, ეროვნული ელემენტი იქ სავსებით არ არის აღმოფხვრილი. თუ იგი ერის ტერიტორიის ორგანული ნაწილია, დარჩენილი არის ოდნავ მაინც მისი კულტურული და ისტორიული ნაშთი, თუ ერის გულში მესხიერება ამ ახლო წარსულში კიდევ ღვივის, ერს სრული უფლება აქვს მისი დაბრუნებისა და თავისი კულტურის აყვავებისა, თუმცა მისი მოვალეობაა იმ ელემენტთა უფლებათა პატივისცემა, რომელნიც მას დროთა ვითარებაში ჩამოთესლებია.... აქ ჩვენი მოსახლეობა კიდევ დარჩენილა, დარჩენილა ჩვენი ისტორიული ნაშთები, ჩვენი კულტურა აქ ყვავოდა, აგერ ახლა, ახლო წარსულში, ჩვენს ისტორიულ

მეხსიერებაში ეს ნაწილები მჭიდროდ არის ჩაქსოვილი და იქ დასახლებულ უცხო ელემენტებს არავითარი პრეტენზიის წამოყენების უფლება არა აქვთ, გარდა მათ უფლებათა ჩვენ მიერ პატივისცემისა. ეს ტერიტორია ჩვენი ორი ათასის წლის საკუთრებაა, და სრული უფლება გვაქვს იქ ხელახლა ავაყვავოთ საქართველო. ჩვენ იგი გვჭირდება და იმ მიზეზით, რომ იგი ისტორიულმა ბედმა წაგვგლიჯა დროებით, ახლო წარსულში ვერ დავსთმობთ ამ საჭიროებას" (წერეთელი 1990 : 112).

როდესაც კ. გამსახურდიას თაობის, თუ წინათაობელ მოაზროვნეთა მსოფლმხედველობას ვეცნობით, ერთი საინტერესო დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ - მისი პერსონაჟები თავიანთი ეროვნული მსოფლმხედველობით იმ სახეებს განასახიერებენ, რომელიც ეპოქის სულსა და გონებას შეესაბამება. რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ არა საბჭოთა ეპოქას - არამედ დამოუკიდებელი საქართველოს დროსა და მაჯისცემას, როცა ინდივიდუალური მსოფლმხედვა და სამშობლოსადმი უანგარო დამოკიდებულების გრძნობა ღვივდებოდა და მწიფდებოდა ერში.

მიუხედავად ამისა, ეს დრო ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, მას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „ოცნებაჩაკლული" ხალხის გამოფხიზლებისათვის. ამ შემთხვევაში თავისთავად ის კი არ იყო არსებითი, რომ ჩვენზე ყოველმხრივ აღმატებული დამპყრობლის ზეგავლენის ქვეშ ვექცეოდით, არამედ ის, რომ ეს აღმატებულობა ხალხში თავისუფლების სულს ახშობდა. ქრებოდა მითი ოდესღაც საქართველოს ძლიერებისა და დამოუკიდებლობისა; ოცნებაჩაკლულ ხალხში ერის ფუნქცია იკარგებოდა. დამოუკიდებლობის თუნდაც იმ ხანმოკლე პერიოდმა უდიდესი როლი ითამაშა ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მას ხელოვანი ადამიანებისათვის. ერისათვის ტერიტორიულ დაპყრობაზე უარესი ხელოვნების დეფორმირებაა, თუ თავისუფლების იდეას ახმოვანებს ხელოვნება, თუნდაც სახე-სიმბოლოების, თუნდაც ალეგორიული მხატვრული სისტემით, ასეთ ერში რაც უნდა აღმატებული იყოს მასზე მტერი, ოდესმე უდავოდ იფეთქებს ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობა, რადგანაც ყოველი დიდი საქმე იღვივდება იბადება.

„1962 წლის მაისში, თბილისის 61-ე სკოლას სწევია ქართული პროზის დიდოსტატი, ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, სადამოს თბილ, გულახდილ ვითარებაში ჩაუვლია. შეხვედრის ბოლოს კი, ბატონ კონსტანტინეს უბრძანებია: „მე ვტოვებ ისეთ შვილს, რომელიც არ მოუთმენს ამ წყობას უკანონობას, შეებრძოლება იმპერიას, იბრძოლებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის,

იბრძოლებს მშვიდობიანი გზით. ვიცი ის გამარჯვებს, დაამარცხებს კომუნისტურ წყობას საქართველოში, მაგრამ ეს გამარჯვება იქნება ხანმოკლე. მეეჭვება, გადაურჩება თუ არა იგი დიდ იმპერიას შინაური მტრების შემწეობით, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა საქართველოს ისტორიაში" (გაზ. „ნიკოლაძის გზით" 2009 : 15).

დამოუკიდებლობის თითქმის სამმა წელმა (1918-1921 წწ.), პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი ვერაფერი მისცა ქვეყანას, მაგრამ უმთავრესი პრობლემა გამოკვეთა-შესაძლებლობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, ანუ კონკრეტულად გამოკვეთა იდეა საქართველოს მომავლისა და რაც ყველაზე მეტად საგულისხმოა, ხელოვნებას დანიშნულება მისცა, არა დამპყრობელთა „სამოგვის თასმების ლოკვა" უნდა გამხდარიყო იმდროინდელ შემოქმედთა მიზანი, არამედ ძიება იმ გზისა, რომელიც კვლავ აღანთებდა ერს მოქმედების სურვილით, რომელიც ხელს შეუწყობდა ერის პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლენას. ნადდი და ხალასი ხელოვნების დანიშნულება სწორედ ასე შეიცნობოდა, ხოლო მეორენი დროის მსახურებად იქცეოდნენ და სამომავლო ასპარეზისთვის ოცნებაც წარმოუდგენლად მიაჩნდათ, ისინი შემოქმედებად არც ჩაითვლებოდნენ, ისინი მხოლოდ დროის მსახურნი იყვნენ და არა ხელოვნებისა. თუ რაოდენ სწორად შეიცნო კონსტანტინე გამსახურდიამ ეპოქის მაჯისცემა, რაოდენ საინტერესოდ გადახარშა თავის შემოქმედებით ქურაში არსებული სინამდვილე, ეს საინტერესოდ იკითხება როგორც მის მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე პუბლიცისტიკაში.

კ. გამსახურდიას ყოველი ნაწარმოები, ყოველი ესე, თუ წერილი ერთი დანიშნულებისაა, შეგვაცნობინოს საქართველოს ბედითი ბორბლის ტრიალი და დაგვეხმაროს ჩვენზე სულისა და დანიშნულების შემეცნებაში:

„ჩვენმა საუკუნემ უარყო ყოველივე რელიგია, ვითარცა ფაქტორი და სათავე კულტურისა და სანაცვლოდ გაამეფა პრაქტიკული რელიგია სოციალიზმისა. ყოველ ეპოქას, ყოველ საუკუნესა და თაობას თავისი მომნანიებელი ჰყავს. „ჩვენც ხშირად გვესმის დღეს თანამედროვეთა საყვედური, რომ ჩვენს დროს ისეთი მუსიკოსები აღარ ჰყავს, როგორც იყვნენ რიხარდ ვაგნერი და სებასტიან ბახი, არც დიდი სტილის ფილოსოფია, არც დიდი სტილის ხელოვნება.

რომ ამ დროს პოეტები პროტოკოლისტები არიან, მისი მემუსიკენი-მთარგმნელები, მისი მოაზროვნენი - უნაყოფო ფელეტონისტები, მისი ხელოვან-კაბარეს მოშაირენი და ჭლექიანი ბოჰემელები.

ამიტომაც ეშინია ჩვენ დროს თავისი სახის სარკის, შეგნება უსრულობისა უკმაყოფილების პირველ წყაროა! ახალი სული გრძნობს, რომ მატერიალური ფაქტორი წარმავლობის მტვერია, მხოლოდ აკი გვარწმუნებდა კარლაილ, რომ მთელი ღონდონსიტის სიმდიდრე ერთ საცოდავ ფეხსაცმელების მწმენდელს ვერ გაამდიდრებსო!..

... უკუვიქცეთ ღვთაებრივ გულუბრყვილობისკენ, უკუვიქცეთ იმ უცნობ ღმერთისაკენ, რომელიც იჭენეულის ღიმილით გვიცდის ჩვენ ჩვენი სულის სიდრმეში!..

... მეტაფიზიკური შანდალი ფანტაზიისა უნდა ავანთოთ ისევე, როგორც გზა გავეუნათოთ ჩვენ უკან მომავალ თაობებს. ასე მესმის მე ჩვენი თაობის ვალდებულება და ამოცანა" („მაგიური შანდლები“, „ხელოვნება“, №2 - 1921 : 8).

თუ ცისფერყანწელები თვლიდნენ, რომ „ოცნებაჩაკლული" ქართველი ხალხისათვის უნდა ეჩვენებინათ მომავლის გზა, კ. გამსახურდიასათვის ამ პრაქტიციზმისა და მანქანის ზეობის ეპოქაში მთელი მსოფლიო „ოცნებაჩაკლულია" და ხელოვნების მისიაა, რომ ავანთოთ „მეტაფიზიკური შანდალი ფანტაზიისა" უნდა. მაქსიმალური სიფხიზლეა აუცილებელი ადამიანისა და ხელოვნების ბედით დაინტერესებულ შემოქმედთაგან, როგორმე შეუნარჩუნონ პულსაცია ხელოვნებას, როგორმე შექმნან ნოყიერი ნიადაგი მოაზროვნეთათვის და უნაყოფობა-ნაყოფიერებად გარდაქმნას.

განა ამოდ აცხადებს კ. სავარსამიძე „მე ვიტყვი სიტყვას - ათასები ყურს დამიგდებენ, მე ვიტყვი სიტყვას მშვენიერზე და ღვთაებრივზე და ჩემი სიტყვა თუ დაეცა ფხვიერ ყამირზე, ამ სიტყვას მერმე ათასები ისევ იტყვიან" („დიონისოს ღიმილი“, 7).

ე.ი. პოეზიამ სული უნდა აუნთოს, „ოცნებაჩაკლულს" ათასებს, მილიონებს. ადამიანს ისევ უნდა დაუბრუნოს სიცოცხლის ხალისი, მოქმედების სურვილი პოეზიამ და სიტყვის ძალით ადავსოს ადამიანები, თავისუფლების პათოსი იმ ძალად უნდა გადაიქცეს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რომ წარმართავს და უწინამძღვრებს, თუმცა როგორც გამსახურდიას პერსონაჟები ფიქრობენ, კაპიტალიზმმა პიროვნება ჩაკლა ადამიანში, შესაბამისად სიტყვაც „გლადიატორივით" კვდება სცენაზე:

„ჩვენი საუბრი თანამედროვე პოეზიას გადაწვდა.

„ის რაც დღეს ჩვენს ხელოვნებაში ხდება, გაუგონარი რამეა, განაგრძო მენიემ, სიტყვა გლადიატორივით კვდება სცენაზე, პოეზიაში სიტყვა რითმების აკრობატიკამ დაჩრდილა".

„მიზეზი?“

„კაპიტალიზმის კარუსელმა მოკლა ადამიანის პიროვნება, სადაც პიროვნული განცდა და გმირული გრძნობა არ არის, იქ სიტყვა ფულუროა“.

ყველაფერი სისულელეა პიროვნული განცდის გარეშე" (გამსახურდია 1992 : 7).

„...ბურჟუაზიამ შექმნა ევროპული კრიზისი, ჩაერია ისევ დოქტორ რომერი, ამიტომაცაა, ეს საოცარი მკვდრის სუნი ევროპულ თეატრს, პოეზიასა და მთელს ხელოვნებაში" („დიონისოს დიმილი“, 23).

არადა კ. გამსახურდიასა და მისი პერსონაჟების პორტრეტებში მკვეთრად აისახება სიცოცხლის სიყვარული, სიცოცხლითა და მშვენიერებით თრობის მისტერია. აქედან იღებს სათავეს მათი სამოქმედო ენერჯია და სწამთ, რომ ეს ენერჯია და ძალა სამშობლოს კეთილდღეობასა და მისი თავისუფლებისათვის ბრძოლას უნდა მოახმაროს ადამიანმა. როგორც კონსტანტინეს, ისე მისი პერსონაჟების ცალკეული ცხოვრებისეული ეპიზოდებისთვის სულიერი კრიზისი და ნიჰილიზმიცაა დამახასიათებელი, მაგრამ ისინი შიდა მდინარეების უხილავი წყაროებით მარაგდებიან და ზოგჯერ სიკვდილამდე მისულნი ფენიქსისებრ კვლავ განახლებული ენერჯიით ივსებიან.

„და ენერჯია?“

ენერჯია იმდენი, სამხრეთ საქართველოს მთებიც ვაბურთაო, არ დავიღლები". აცხადებს სავარსამიძე მრავალჭირნაცადი, თითქმის მრავალსიკვდილგამოვლილი და ისიც საინტერესოა, რომ სწორედ საქართველოს მთა-ველი, მისი მთები და ჯადოქმნილი ბუნებაა პერსონაჟისთვის განუზომელი ენერჯიის მიმნიჭებელი და მთელი ეს ენერჯია, პერსონაჟებს უპირველესად სამშობლოს დასახსნელად, მისი კეთილდღეობისათვის სურთ. იმ გზის ძიებისთვის, რომელიც მათ სამშობლოს თავისუფლებას აზიარებს სწორედ კ. გამსახურდიას პერსონაჟთა თავისუფლების იდეალი არის უკომპრომისო და შეუვალი. მათ ძალუძთ თავისი სიცოცხლე ზვარაკად მიიტანონ სამშობლოს საკურთხეველზე, ოღონდ ნანატრი თავისუფლება, მიიღოს ერმა.

ამ გზის ძიებაში არაერთგზის დაღამებიან მათ, არაერთგზის სიკვდილიც წამოწევიან, მაგრამ სანამ პირში სული უდგათ, მოქმედებენ და გაწბილებულნიც ახალ გზას ეძიებენ.

„აბა ეს მითხარი ჯიბუტი, (მეკითხება, ისევ ტაია შელია) ეს მართალია, შენ ლემენცების ხენწიფესთან მისულხარ და ჩვენი ხალხის გაჭირვება შეგიჩივლია“.

„ეს ნაწილობრივ მართალია, მორღუ, ვეუბნები ტაია შელიას, მაგრამ მე მარტო არა ვყოფილვარ, ჩვენ, რამოდენიმე ქართველმა ომი გამოვუცხადეთ რუსების ხენწიფეს და მერე ჩვენ ლემენცების ხენწიფესთან პირობა შევკარით, ჩვენ უნდა მოვხმარებოდით ლემენცების ხენწიფეს და თუ ის გაიმარჯვებდა, ჩვენი საქართველო ჩვენთვის უნდა დაებრუნებინა.

„კი მარა, ბაბა, მეუბნება ტაია შელია, რისების ხენწიფეს რომ ომს უცხადებდით, ვისი ან რისი იმედი გქონდათ? რისები ქვიშასავით ურიცხვია და ჩვენ ცოტა. ეს ხომ იცოდით?

„ჩვენ იმ ღმერთის იმედი გვქონდა, ბაბა, ჩვენ რომ გვეხმარებოდა ქვიშასავით ურიცხვ მტრების წინაღმდეგ“.

„ეს კაი, ბაბა, მაგრამ ამდენი თუ იყო ჩვენი კაცი მაგ ლემენცების ქვეყანაში?“

იქ იყვნენ ბაბა, ლემენცებისაგან ტყვედ წამოყვანილი ქართველები, ჩვენი სოფლიდანაც ბევრი იყო, ჯალალონია, ალანია, გაბესკირია და სხვა მრავალი“.

„თუ დაგეხმარნენ რამეს მაინც ჩვენები რისების ხენწიფის წინააღმდეგ?“ მეკითხება ტაია შელია.

„თავდაპირველად რომ მივედით, ქვები გვესროლეს, ბაბა, ჩვენებმა“

„ვეუბნებოდით! ძმებო დაგვიქციეს საქართველო, ქვიშასავით ურიცხვმა მტრებმა, დაცარცვეს ჩვენი წინაპრების სალოცავები, წაგვართვეს ჩვენი წინაპრების მიწები და უცხო ნათესავი ჩამოგვითესლეს. შეგვირყვნეს ენა - ჩვენი მამა-პაპის წმიდათა წმიდა, დაგვინგრიეს, ოჯახი, გაგვიბახეს რჯული და თავიანთი ჯარების საჯირითოდ გაიხადეს ჩვენი ქვეყანა, გვიშველეთ ძმებო და გავრეკოთ რისების ხენწიფის ჯარები ჩვენი საქართველოს საზღვრებიდან. ავაფეთქოთ ხიდები, ყაჩაღებივით დავუხვდეთ თემშარებზე, ცეცხლში გავახვიოთ მთელი საქართველო, რადგან ჩვენი საქართველო ან ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს – ან და არავის... ჯალალანიებმა, შამახიებმა და ალანიებმა, ჩემმა მეზობლებმა, კინაღამ მომკლეს ბაბა, ჩემთვის დედა ჯერ არავის შეუგინებია, მათ სულ რუსულად მაგინეს, მერმე რისების ხენწიფის დიდება იმღერეს, ბაბა, ჩვენმა მეზობლებმა ალანიებმა და ჯალალანიებმა“ („დიონისოს ღიმილი“, 328).

ამ ამონარიდში კარგად იკითხება არა მხოლოდ კონსტანტინე სავარსამიძის აზრი და განწყობილება, არამედ მწერლის ეროვნული ორიენტაციაც. თუნდაც ეს ფრაზა, „ჩვენი საქართველო ან ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს – ან და არავის“. ნათლად და კონკრეტულად გამოხატავს თავად ავტორის განწყობილებას, რაც

არაერთგზის დაუფიქსირებია მას, როგორც თავისი შემოქმედებით, ისე პუბლიცისტიკითა და თუნდაც სატელევიზიო გამოსვლებითაც კი.

ყოველი კულტურა საუკუნეთა განმავლობაში ქმნის საკუთარ ფასეულობათა სისტემას, რაც ყოველდღიურობაში ადამიანთა უმრავლესობის მიერ ხშირად ბოლომდე გაუცნობიერებლად რეალიზდება. არსებობს ეპოქები, როცა, ალბათ, ყველაფრის გაცნობიერება რაღაც სასიცოცხლო აუცილებლობას არ წარმოადგენს, მაგრამ როცა დგება ახალი ფასეულობების გაზიარების დრო, აუცილებელი ხდება როგორც საკუთარი, ისე ამ ახალი ფასეულობების საფუძვლიანი გააზრება.

ყოველ ერს გააჩნია გარკვეული ეროვნული მისია, მაგრამ ყველაზე ნათლად ეს მისია გამოიკვეთება მაშინ, როდესაც გარკვეული წინააღმდეგობა წარმოიშვება როგორც ერის შიგთავსში, ისე მეზობელ ეროვნულ ინტერესთა დაპირისპირებისას. საქართველო თავისი მკვეთრი ეროვნული ორიენტაციითა და ზედდართული გეოგრაფიული მდებარეობის გამო ყოველთვის ხდებოდა მეზობელი ხალხების, ევროპელთა თუ აზიელთა მხედველობის არეში და უდავოდ მათ ზეგავლენასაც განიცდიდა, თუმცა გამსახურდიას ე.წ. მესამე გზის ძიება სხვა არა არის რა, თუ არა მათი ზეგავლენისაგან ამოსვლა და საკუთარი გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა ისტორიულ გზაზე.

წერილში „ქართველობა და უცხოეთის გენია“ მწერალი წერს: „ჩვენი ტერიტორია ხალხთა ხიდი იყო. ჩვენი ისტორიული მისია ორ შეურიგებელ უკიდურესობათა და კონტრასტთა შერიგება-შეგუება, ორი დიდი სამყაროს: ევროპისა და აზიის სულის შეხამება. მთელი ჩვენი კულტურა ამ ორ დიდი სამყაროსგან გადმოსროლილი ჩრდილისა და სინათლის ნიუანსების ნათელყოფაა“ („ქართველობა და უცხოეთის გენია“, კ. გამსახურდია, ტ. VIII, 1967 : 168).

„კ. გამსახურდია ფორმისმიერი ტრანსფორმაციით აგრძელებს ილიას გზას და ქართული სულის და მსოფლმხედველობის არსებით ნიშნებს აზოგადებს, სადაც პიროვნება გარედან მოტანილ კანონებს ეცნობა, მაგრამ არ ემორჩილება, მხოლოდ იმ უცხოურს იღებს და ითვისებს, რაც მისეულის გამოხატვაში ეხმარება.“

ოსიპ მანდელშტამმა, რომელმაც თავისი მასშტაბიდან ქართული კულტურა ორნამენტალურ კულტურათა რიცხვს მიაკუთვნა, ვერ გაითვალისწინა მხოლოდ ერთი ფაქტორი: ესთეტიკური თეორიები, რომელიც ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების წიაღში იშვა, არასოდეს ყოფილა ისტორიული სინამდვილისაგან იზოლირებული, ყოველთვის თან ახლდა მსოფლიო არეალთან მიახლების გამო

საკუთარი ინდივიდუალობის დაკარგვის, სხვასთან უსახოდ შერწყმის შიში, ამიტომ ისტორიული ბედის უშუალო თუ ფარული მონაწილეობა ქართული კულტურის ორივე ორიენტაციაში (ევროპულსა და აზიურში) საფუძველთა საფუძველად აღიქმება.

... არა როგორც ესთეტიზმის კრიზისი, არამედ, როგორც ესტეტიკური მოდელი, არა, როგორც ეკლექტიკა, არამედ როგორც სინთეზი; დიონისურისა და აპოლონურის ჰარმონიული შერწყმით სწრაფვა მთლიანობისაკენ. არა როგორც კულტურათა გამყოფი საზღვარი, არამედ „ხიდი ევროპულ და აზიურ ცივილიზაციებს შორის“... და მაინც, როგორც ინდივიდის (ევროპელის) კონკრეტული სახე... რადგან სამივე ორიენტაციის (ევროპული, აზიური და ევრაზიური) ქართველ ადებტთა არგუმენტაციები ეროვნული ინდივიდუალობის შენარჩუნებისათვის არის გამიზნული" („ევროპა თუ აზია“, 1997 : 22).

კ. გამსახურდია არა მარტო რუსეთის ზეგავლენისაგან გასათავისუფლებლად იბრძოდა კალმითა და საქმით, არამედ არც ევროპასა და უპირველესად ამერიკას უყურებდა დიდი ნდობით და სიყვარულით.

„ის რაც ჩვენს თაობას აერთებს, ეს არის პროტესტი გადაჭარბებული ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ მიმართული. ჩვენ თუმცა მოწყვეტილნი ვიყავით უკანასკნელი წლის განმავლობაში ევროპისაგან, მაგრამ იდეები ხშირად ჰაერის ტალღას მიმოჰყვებიან, ამიტომაც ჩვენი უახლესი ლიტერატურის დვრიტა დასუნთქულია ამ ზოგად ევროპული სულიერი განწყობილებით.

ეს პროტესტი მიმართულია იმ საშინელი ამერიკანიზმის, იმ კოლოსალური მექანიზაციის წინააღმდეგ, რომელმაც ასე გაიტაცა ჩვენი საუკუნე, პოლიტიკურად ეს ამერიკანიზაცია საგრძნობელი გახდა ევროპაში მას შემდეგ, რაც ამერიკელი იანკები თავიანთ ტანკებით მოედვნენ ფლანდრიისა და შამპანიის მიდამოებს, გაუგონარი ამბავია - რომ ფერადი ხალხები მოსულიყვნენ ევროპის შინაურ საქმეებში ჩასარეგად.

მაშინებს იდეები დაჰყვება თან, რადგან მაშინა ისეთივე სვიმბოლიური გამოხატულებაა სულობისა, როგორც ფრესკები, სურათები, ქანდაკებანი.

ამ ამერიკანიზმს ახასიათებს წრეგადასული ბატონობა რაციონალიზმისა და უსასო სეკტიციზმი, ნიშანდობლივი თვისება ყოველივე დეგენერაციისა და სულიერი დეგრადაციის. ადამიანობა მეოცე საუკუნეში ველურული პსიხოზითაა შეპყრობილი. ამ უსაშველოდ მოფუსფუსე ეპოქას ახასიათებს გადაჭარბებული მნიშვნელობის მირწყვა და მიზომვა მატერიალურ ფაქტორებისადმი, თითქოს არ

წერილ იყოს, სიცარიელე გადანთქავს სამყაროებს და ისევე ცარიელი დარჩება ბოლოს" („მაგიური შანდლები“, „ხელოვნება“, №2, 1921 : 8).

რა თქმა უნდა, ყოველივე წინააღმდეგობიდან საუკეთესო გამოსავალი ის იქნებოდა, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, მაგრამ შეუძლებელია სინამდვილეს თვალი არ გავუსწოროთ და არ გავითვალისწინოთ იმ რეალური შეუქცევადობის ძალა, რომელმაც დამოუკიდებლობის შესაძლებლობა ეჭვქვეშ დააყენა, კ. გამსახურდიამ კარგად იცის, რომ დიდი ხანია დასამარდა ქართველთა უძლეველობის მითი. დიდი ხანია ვერ დგას საქართველო „ერად სხვა ერთა შორის.“

მონობისა და სხვაზე დამოკიდებულების სინდრომი, არათუ საუკუნეებითაა განსაზღვრული, დროის მცირე მონაკვეთითაც კი ხრწნის და ასხვაფერებს ადამიანთა ეროვნულ მსოფლმხედველობას, ზეგავლენას ახდენს მის ეროვნულ პოტენციალზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გულგრილობასა და განუკითხაობას ამეფებს ხალხის სულში. ქვეყნისათვის თავდადებისა და თავგანწირვის ძალა არვის შესწევს. ადამიანთა სულიერი ნიველირება იწყება და განახლებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა უქმდება. „ოცნებაჩაკლული“, ადამიანების გამოფხიზლება სწორედ კ. გამსახურდიას დონის შემოქმედთ ძალუძთ, რომელთათვის ეროვნულ გრძნობაზე აღმატებული არაფერია.

კ. გამსახურდია წერილში „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ საინტერესო ინტერპრეტაციას გვაძლევს თავისივე დამოკიდებულებაზე ქართულ და ევროპულ კულტურასთან. იგი აღნიშნავს, რომ 1) საჭიროა ქართული კულტურის მოდერნიზება, 2) რომ თავად მწერალი დასავლეთის კულტურის აპოლოგეტია 3) დღესდღეობით ერთადერთი სწორი გეზი ევროპის კულტურას აქვს აღებული და 4) არცერთი ეროვნების მწერალს არა აქვს მარტოოდენ „ნაციონალური იდეები“. მწერლის ეს მოსაზრებანი საინტერესოდ ყალიბდება, მაგრამ როდესაც მათი შედარება გვიხდება კ. გამსახურდიას მხატვრულ აზროვნებასთან, მხოლოდ „მოვარის მოტაცების“ პრობლემატიკა რომ განვიხილოთ ამ თვალსაზრისით, დავრმწუნდებით, რომ აქ ავტორი სულ სხვა ასპექტით წარმოსახავს თავის მოსაზრებას. თარაშ ემხვარი და მისი აზროვნება ევროპული კულტურისაკენ ნამდვილად არ მიგვახედებს და თავად მწერალი „დიონისოს ღიმილშიც“ მესამე გზის ძიებით, ანუ საქართველოს ევროპისა და აზიისაგან განდგომის თეორიას გვიმხელს.

კ. გამსახურდიას ეროვნული ცნობიერების შემეცნებისას ვცდილობთ მის ნაწარმოებებში ამოვიკითხოთ ის საიდუმლოება, რასაც მითოსური არქეტიპები

ქმნის. ეს საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ პრობლემების სწორად წარმოსახვადაც, რასაც მითოსური სპექტრი ქმნის ეროვნული ცნობიერების წიაღში.

კ. გ. იუნგისათვის მითი არის არა სინამდვილის ასახვა, არამედ ფსიქიური არსის გამოხატვა, არქეტიპები პლატონის იდეებს ჩამოჰგავს, თარაში ხომ სულ პლატონის „ფედროსს“ კითხულობს. „ფედროსი“ მისი ისეთივე ატრიბუტია, როგორც ჩოხა და სატევარი, კოსტუმი და მელონის ქუდი.

მუდმივი ფერისცვალება, სიკვდილი და კვლა აღორძინება უკუქცევადობა მითოსური აზროვნების პრინციპია" (სიგუა 1989 : 90).

მითოსური აზროვნების პრობლემატიკა თავისთავად ეროვნული აზროვნებასა და მსოფლმხედველობასთანაა დაკავშირებული. ეროვნული ცნობიერება ეს საუკუნეობრივი აზროვნების პალიმფსესტია, რომლის შრეების კვლევა-გაანალიზება იგივე მითოსური სტრუქტურის ფონზე უნდა განხორციელდეს. მართალია, ამ მითოსური სტრუქტურის საკითხებზე მსოფლიოში უკვე დიდი ხანია მსჯელობენ, მაგრამ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში იგი ჯერ კიდევ შესწავლის სტადიაშია და თუ არა რამდენიმე გამორჩეული ავტორი, ამ მხრივ თითქმის მთლიანი ვაკუუმი, ამ მხრივ მეტად საინტერესოა ისევე და ისევე უცხოელ ავტორების მოსაზრებათა გაცნობა და მათი შეპირისპირებით საკვლევი პრობლემის გაშლა-გაანალიზება. ამ საკითხის გასაშუქებლად აუცილებელია გავეცნოთ ხორხე ლუის ბორხესის სტატიას „კუს ავატარები“, რომელშიც ავტორი მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის არქეტიპისა და მესამე ადამიანის შესახებ. „ორი პიროვნება, რომელთაც საერთო ნიშან-თვისებანი აქვთ მარადიული არქეტიპის ტემპორალური გამოვლინებანია. არისტოტელე სვამს კითხვას: ადამიანებს და ადამიანს, ტემპორალურ პიროვნებასა და არქეტიპს აქვთ თუ არა საერთო თვისებები, ცხადია აქვთ და ესაა მათი ადამიანურობა... აქედან გამომდინარე არისტოტელეს მტკიცებით უნდა დაფუძვანთ კიდევ ერთი არქეტიპის არსებობა, რომელიც ყოველ მათგანს მოიცავს და ა.შ. „ადამიანი“ შეიძლება ვუწოდოთ ინდივიდებსა და იდეასაც, ამიტომ არსებობს მესამე ადამიანი, რომელიც განსხვავებული და გამიჯნულია პიროვნებისა და იდეისაგან“ (ქურნ. „ომეგა“, 2000 : 9).

სტრუქტურა, რომელსაც იუნგი იყენებს რელიგიური ანუ „ღმერთის სახე-ხატის არქეტიპის ცნობიერებისათვის გადაცემაში“. უდავოდ დაგვეხმარება მითოსთან ეროვნულის სახე-ხატის არქეტიპის ცნობიერებისთვის გადაცემაში. ყოველი ადამიანის სულში თვლემს წარსული, წარსული უხსოვარი

ისტორიისთვის თვალუწვდომი რეალობის სახით, თუ ჰაბარდის დიანეტიკიდან ამოვალთ, სულში კი არა, სისხლშია განფენილი და კოდირებული საუკუნეთა განმავლობაში ნანგრძობ-განცდილი. სისხლის მისტერიებში ბორგავს წარსულიცა და მომავალიც. ხომ აქვს ზოგიერთ კაცთაგანს უნარი მომავლიც ისევე რეალურად აღიქვას, როგორც აწმყო და წარსული, ე.ი. წარსულისა და მომავლის „რეალობები“ არსებობს, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგიერთთათვის არის მისაწვდომი, ხილული თუ გასაცნობიერებელი. უმრავლესობას ან რაღაც ორგანო გვაკლია მის აღსაქმელად, (თუნდაც შინაგანი თვალი, შინაგანი ხედვა დავარქვათ მას) ანდაც რუდიმენტად ქცეულია ეს ორგანო და მისი მოქმედებაში მოყვანა ისევე და ისევე ბუნების განუსაზღვრელ ძალას ძალუძს, არადა, ყველაფერია ჩვენში, წარსულიცა და მომავალიც, მაგრამ მისი შემეცნება გვიჭირს, თუმცა არიან ადამიანები, რომელთაც ისევე ძალუძს წარსულისა და მომავლის განჭვრეტა, როგორც ჩვენ, ჩვეულებრივი აწმყოსი.

„როგორც არ უნდა იყოს, ადამიანის ცნობიერება ერთსა და იმავე დროს სამი განზომილებისაა არის მიმართული: იგი ცხოვრობს და უშუალოდ აღიქვამს აწმყოს, მაგრამ მისი ყველა მიზანი და იდეა მომავალში არის განხორციელებადი, რომლის ასაგებად, არქიტექტონიკის გადმოსაღებად ის მიმართავს წარსულს. ადამიანი „ვერ ეტევა შემოსაზღვრულ დროში. მომავალი მისთვის პრინციპულად ღიაა, ამიტომ „სივიწროვის“ განცდის გამო დროის საზღვრის გადალახვის ინტენცია მასში წარსულისკენ მიიმართება“ (დალაქიშვილი 2001 : 51). ამდენად, ადამიანს წარსული მომავლისათვის ჭირდება, მაგრამ სად არის აქ აწმყოს ადგილი? ამ სამეულში აწმყო დომინანტობს, რაკი იგი მუდამ არის, წარსულივით არც „გამოხმობა“ ჭირდება და არც მომავალივით „გადატყორცნა“. სწორედ ამიტომ, ადამიანის ყოფიერების ამ გზაზე ერთადერთ დაბრკოლებად აწმყო გვევლინება. იგი ადამიანს მუდმივად თიშავს, ერთის მხრივ, მომავლისაგან, და, წარსულისაგანაც - მეორეს მხრივ. მაგრამ სწორედ აწმყოს აკისრია „ცენტრის“ ფუნქცია, მხოლოდ მას შეუძლია გააწონასწოროს და მოაწესრიგოს თავის ირგვლივ ყოფიერების ის ფორმა, რომელშიც ადამიანი მკვიდრობს. ამიტომ, მაშინ როდესაც წარსული აგებს მომავალს, აწმყო ერთსა და იმავე დროს წარსულად და მომავლად გვევლინება, ხოლო ამ კონტექსტში ადამიანური არსებობა არის „მარადიული განმეორებადობა“, რომელიც „მითის მარადიული კვლავდაბრუნების“ (მ. ელიადე) პირდაპირპროპორციულია. ჰაიდეგერის სიტყვით, „მუნყოფიერება „არის“ მისი წარსული თავისი ყოფიერების სახით, რაც, უხეშად რომ ვთქვათ, მუდამ მისი მომავლიდან „ხდება“ (ჰაიდეგერი 1989 : 4).

ამდენად, ადამიანი, რომელიც ცხოვრობს აწმყოში, მიმართავს წარსულს, რომ გადასწვდეს მომავალს. ამ გზაზე მითის, რიტუალისა და მაგიის როლი უნიკალურია. მათი საშუალებით, პირველმოვლენები, პირველარსებები, პირველსაგნები კვლავდაკვლავ ცოცხლდებიან აწმყოში და მომავალში, რასაც ელიადემ „მითის მარადიული კვლავდაბრუნება“ უწოდა. ლევი-სტროსი საუბრობს „არაცნობიერ სტრუქტურაზე“, რომელიც ძვეს თითოეული ტრადიციის, წესჩვეულებისა თუ სოციალური წყობის საფუძველში (ლევი-სტროსი 2001 : 31). „არაცნობიერი სტრუქტურიდან“ მომდინარე სახე-სიმბოლოები, რომლებიც იუნგისათვის „არქეტიპები“ ან „პირველყოფილი სახეებია“, გვევლინებიან ტენდენციებად „მოტივების ასეთი წარმოსახვების წარმოსაქმნელად. წარმოსახვები, რომლებიც შესაძლოა, მერყეობდნენ დეტალებში, მაგრამ ამასთანავე, არ კარგავდნენ თავიანთ ბაზისურ სქემას“ (იუნგი 1991 : 65). მითიური წარსული გვევლინება არა მხოლოდ „პარადიგმულ“ მოთხრობად, არამედ, იგი არის როგორც პირველსახეთა საღმრთო საცავი, ასევე საცავი მაგიური და სულიერი ძალებისა, რომლებიც რიტუალებისა და მითიური ეპოქის მოკვლევათა ინსცენირების დახმარებით, სადაც შესაქმის რეციტაციებია ჩართული, განაგრძობენ წესრიგის მხარდაჭერას“ (მელეტინსკი 1976 : 174). (ხ. თავდგირიძე, ქართული ფოლკლორი, 4(XX), 2008 : 17).

ფვიქრობთ, კ. გამსახურდია და მსგავსი ფენომენები, ამ წარსულ მომავალსაც ისევე ნათლად ჭკრეტენ, როგორც აწმყოს. სწორედ ამიტომაც, რომ მათ შემოქმედებაში ასე სულისშემძვრელად ცოცხლდება გარდასულ საუკუნეთა სახე-ხატები და ისინი სხვათათვის უცნობ მხატვრულ სინამდვილეს ქმნიან. იუნგი ბრძანებს, რომ „შინაგანი მზერის გამოსაცოცხლებლად ადამიანებს გზა უნდა მივასწავლოთ“, თუმცა თავადვე აღიარებს, რომ ფსიქესთან კონტაქტის დამყარებების გარეშე“ ამ საქმის თავის გათმევა არ ძალუძს. თუმცა ადამიანის სულში ჩაძირული „ატლანტიდის“ აღმოჩენა და გაცნობიერება ნამდვილად შესაძლებელი. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის ხაზი გამსახურდიას ეროვნულ ცნობიერებაზე გადის და ამ ეროვნულის სახე-ხატებს ანუ არქეტიპებს, მიაკვლია მწერალმა, რომ ნამდვილად საუკუნეთა განმავლობაში სისხლის ნაგრძობ-განცდილი რომ ნამდვილად გადმოგვცა მხატვრული სიტყვის ქარგაში, ამაში დარწმუნებული ვართ. თუნდაც მხოლოდ „დავით აღმაშენებელსა“, იქ დახატულ საბრძოლო ბატალიებსა და თავისუფლებისაკენ მღტოლველ დავითის სახეს რომ გავადევნოთ თვალი, ვირწმუნებთ, რომ ეს თავად მწერლის არსებაშია გადმოსახლებული მოაზროვნე და მებრძოლი მეფის სული. შეიძლება

დაბეჯითებით ვთქვათ, რომ სხვაგვარი დავითი წარმოუდგენელია, როგორც არ უნდა განძარცვო გამსახურდიას პერსონაჟი სიტყვის მხატვრული სამოსისაგან, მეფეთა-მეფის ღირსეული სახე მაინც დაგვრჩება. თითქოს დავითის თანამედროვეა მწერალი, თითქოს თავადაც იმ ეროვნული თვითშეგნების მატარებელია, რაც საუკუნეებით დაშორებულ აღმაშენებლის სახე-ხატს განადიდებდა. შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ დავითის დროინდელი ეპოქა საქართველოს ისტორიის შუადღეა - კ. გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროსთან შეპირისპირებით, მაგრამ ერთიკაა საინტერესო, - დავითის თანამედროვეთა ეროვნული თვალთახედვა უფრო გამჭვირავი, უფრო სამომავლო და უფრო ღრმაა კ. გამსახურდიას თანამედროვეთა ეროვნულ ცნობიერებასთან შედარებით.

ამ საკითხზე ნამდვილად ბევრი ვიფიქრეთ დავასკენით, რომ ეროვნული ცნობიერების სახე-ხატები, ანუ არქეტიპები თავისთავად აღმაშენებლის ეპოქაში მღელვარებდა მეტად და ეს იმიტომ, რომ მისი ეპოქა ჯერ კიდევ არ იყო დაშორებული მითოსურ შრეებს, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ფერმკრთალდება და ქრება სულიდან მითოსური სამყარო, ის გრძნეული სახე-ხატები, რომლებიც ასე გვაახლოვებდა პირველსაწყისთან, პირველქმნადობასთან და ბუნებრიობასთან. ჩვენ ადრეც მოვიშველიეთ კ. გამსახურდიას აზრი იმის შესახებ, რომ ვფიქრობთ, ეს ელემენტებიც განაპირობებს თანამედროვეთა გულგრილობას სამშობლოსა და ყოველივე ეროვნულის შემეცნებაში. გრძნობადახშული, სამშობლოს სიყვარულის შემეცნების ორგანო დაკარგულნი თუ გაუქმებულნი მამულიშვილებად ვერასოდეს ჩამოყალიბდებიან. მამულიშვილობის ნერვი ბუნებრივად ფეთქავდა დავითის თანამედროვეობაში. შემდეგ ისტორიულმა კატაკლიზმებმა, ისტორიის ქარტეხილებმაც განაპირობეს მისი დაცხრომა. მხოლოდ ერთეულებს და ალბათ ბუნებისაგან თუ ღვთისგან ხელდასმულთ გადმოჰყავთ მისი ცხოველმოსილება, მისი მარადიული არსებობის მითი და კ. გამსახურდია სწორედ ასეთ ხელდასმულთა შორის მოიაზრება ჩვენს მიერ, რომელმაც საუკუნეებს გამოარიდა ქართველთა ეროვნული ცნობიერება, საუკუნეთა სიღრმეებიდან ამოზიდა ეროვნული სულის ფრაგმენტები და ისეთი მთლიანი მოზაიკა შექმნა ეროვნული ხედვისა, მის არეალში მოქცეულნი ტყვექმნილნი გახდნენ მისი ეროვნული შეგონებებისა.

ყოველივე ქართულსა და ქართველურს ნაზიარები სული ევროპული და მსოფლიო კულტურის გაცნობის შემდეგ ერთხელ კიდევ მიუბრუნდა ეროვნულს და დაასკვნა, რომ ღირდა მისი ღრმა შრეებში წვდომა, ღირდა ქართველი ერის

კულტურის ისტორიის ძირისძირამდის გაცნობა და მის ფონზე ქართველის ზნეობრივი თუ ეროვნული სახის შეცნობა-გააზრება.

„რაც უფრო ღრმად ჩაგხედავთ ერის ფსიქიკას, ისტორიას, ხასიათს - მით უფრო შეიმეცნება ზოგადი, რამდენადც საკაცობრიო მოტივები საწყისი წერტილის უსასრულო, სფერული განვრცობაა შიგნითკენ ჩვეული სწრაფვით იძიება უძველესი მოდელი, პირველსაწყისი, არქეტიპი - წერს სოსო სიგუა და საოცრად შთამბეჭდავად გამოსახავს კონსტანტინე გამსახურდიას გმირების არქეტიპებს; სავარსამიძე - წმ. კონსტანტინე; თარაში - ერამხუტი; დავითი - ბაგრატ IV; მარიამი - გორგონა; არსაკიძე - იაკობი; თამარი - ღვთისმშობელი; დედისიმედი - აფროდიტე; გვანცა - არტემიდა; ვახტანგი - კიმოთე და ა.შ. ეს არის მიმსაგვსების და გაიგივების სურვილი. არსი უცვლელია, მაგრამ დრო ცვალებადი. ამიტომ გმირი ვერ ეგუება თავის ეპოქას. ყველა ზედაპირიდან ცენტრისაკენ ჩაბრუნებული სხივი ერთ წერტილში ერთდება.

სავარსამიძე ბავშვობიდანვე ეტრფის არგვეთის მთავარ წმ. კონსტანტინეს, ცდილობს თავის შორეულ წინაპარს დაემსგავსოს, თუმცა ზოგჯერ ყოვლივე მზამზარეულად დევს ადამიანის ცნობიერებაში. არქეტიპული მოდელი, ისევე როგორც ფიზიკური სხეული ადამიანისა, მის ცნობიერებაში მწიფდება და საბოლოო სრულქმნილ სახეს ღებულობს. კონსტანტინე სავარსამიძეს სწამს სახელების მაგია - ამიტომ ის შემთხვევითობაზე მეტად აუცილებლობად მიიჩნევს რომ „ძვირფასმა ნათლიამ ეს სახელი დაანათლა. ბავშვობაში მისი საწოლის წინ დავითისა და კონსტანტინეს სურათი ეკიდა, ისინი საქართველოსთვის წამებული რაინდები არიან. „მე თეთრტაიჭიანი წმ. კონსტანტინე, ჩაღის ღეროები - საქართველოს ურიცხვი მტრები“. ასე ფიქრობს ერმა კონსტანტინე. ჯერ კიდევ ერმა, დედამ ქუთაისიდან ფეხით წაიყვანა მოწამეთაში. დავითისა და კონსტანტინეს სახე-ხატებთან ერთად ახლა მის ცნობიერებაში მოწამეთის თეთრი მონასტერი ჩარჩა. მთელი სიცოცხლე „წმ. კონსტანტინეს გმირობასა და მარტვილობას უმიზნებდა“. წმ. კონსტანტინე მისთვის ქრისტიანი მარტვილი კი არ არის, არამედ პატრიოტი რაინდი. მისივე განცხადებით ქრისტიანობა ქართველთათვის უფრო თავდაცვის საშუალება იყო, ვიდრე რელიგია. რადგან ქართველის ბუნება დღესაც სანახევროდ წარმართულია. ლაიტმოტივური ხერხით იძებნება და ჩვენს ცნობიერებაში მკვდირდება სავარსამიძის არქეტიპი - წმ. კონსტანტინე.

736-738 წლებში საქართველოში არაბთა ლაშქრობა მურვან-ყრუს სარდლობით ისტორიული ფაქტია. სწორედ ამ დროს შეიპყრეს არგვეთის

მთავრები - დავით და კონსტანტინე. მურვან-ყრუ შეეცადა მათ მაჰმადიანურ სჯულზე მოქცევას, მაგრამ მათი გამირული სული სხვათა მორჩილებას, სხვათა მბრძანებლობას და მტრის ნების აღსრულებას არ იყო ჩვეული. როცა გულქვა სარდალმა საწადელს ვერ მიაღწია, ისინი მოწამოებრივი სიკვდილით დაასჯევინა. სავარსამიძეს სულ ჰგონია, რომ მოელის მისი სეხნიასებრ „გამირული აღსასრული“ (სიგუა 1989 : 91). საერთოდ ლიტერატურულ კრიტიკაში კონსტანტინე სავარსამიძის სახე ახსნილია, როგორც ფანატიკური, გამხმოვანებელი წმინდა კონსტანტინეს გამირობისა, ერთგვარად მის დიდ სახელს შეფარებული მეოცნებე რაინდია იგი. შეიძლება უფრო შორსაც წავიდეთ, და თავად კონსტანტინეს მიერ ახსნილი პლატონის სულთა მიგრაციის თეორია მოვიშველიოთ, ჩვენ ვსაუბრობდით ადამიანის უთვალავ უნარზე, შესაძლებლობებზე, რომელთა შესახებ ინდივიდს არავითარი წარმოდგენა არ აქვს, მაგრამ საკმარისია, დადგეს შესაბამისი წუთი, გარკვეულმა გარემოებამ შეიძლება გეიკარნახოს სამოქმედო, პროგრამა, რომლის გააზრებასა და აღსრულებაზე ჩვეულებრივ ვითარებაში ვერასოდეს ვიფიქრებდით. სავარსამიძის შემთხვევაში ვფიქრობთ, პირიქითაა, იგი გამირული და რაინდული ტიპის პიროვნებაა. სულთა მიგრაციის თეორიის თანახმად, მასში მთლიანადაა გადმოსული არგვეთის ერისთავის გამირული სული. ის ბუნებით გამირია, ოღონდ მისი გამირობისა და რაინდობის ასპარეზია გამქრალი. რაინდული საქართველოს ფენომენი არ არსებობს და ამიტომაცაა, რომ ის „უდროობის“ გამირი ასე იტანჯება. მის სულსა და სისხლში ბობოქრობს წარსული, მისი ფიქრი და ოცნება სინამდვილეს ისეა დაცილებული, ზოგჯერ შეიძლება სიგიჟედ ჩავუთვალოთ პერსონაჟის გამირული მისწრაფებები, მაგრამ თუ ადამიანის სულის დაყურადება ძალგვიძს, დავრწმუნდებით, რომ კ. სავარსამიძის პერსონოლოგიური პორტრეტი ვერ ჯდება მისი დროის საქართველოს სახეში. ის იმდენად სხვა და უცნობია თანადროულობისათვის, საყრდენსა და მოსასვენებელ ადგილს ვერსად პოულობს. რა თქმა უნდა, არც უცხოეთის თარგზეა იგი მოჭრილი, პირიქით, საქართველოსთვის ტანჯვა და ოცნებაა მისი ბედითი სასჯელი. თვალის დაუხამხამებლად შეუძლია შეწიროს სიცოცხლე მისი მომავლისათვის ბრძოლას, მაგრამ მისი ცხოვრების ტრაგედია წმინდა კონსტანტინესაგან განსხვავებით ისაა, რომ ამის შესაძლებლობა არ იქმნება იმდროინდელ საქართველოში, გათითოვალეული, საშოვარზე დახარბებული იმდროინდელი ქართველობისათვის კონსტანტინე სავარსამიძის, თუნდაც თარაშ ემხვარის ნატურა, იმდენად უცხოა, ისინი ყველაზე ავბედითი ტერმინით - „ზედმეტი ადამიანების“ სახელდებით ინათლებიან, მაშინ, როცა ფიზიკურად,

სულიერად და ხშირად გონებრივად არასრულყოფილნიც კი ეპოქის გმირები ხდებიან. და როდესაც ამ „ზედმეტი ადამიანის“ ტვირთწამოკიდებულ კონსტანტინეს თუ თარაშის სახეებს ვეცნობით, უდავოდ გვაინტერესებს, საიდან იღებს სათავეს მათი უდიდესი ტრაგედია? რა განაპირობებს მათი ამ ცხოვრებისაგან უარყოფას?

რა თქმა უნდა დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი თვით მათ პიროვნებაში მათ სრულფასოვნებაში, მათ ეროვნულ ცნობიერებაში უნდა ვეძიოთ. დამონებული და დაპყრობილი ქვეყნის შვილებისათვის დამღუპველია ის ამაღლებული სული, ის უდიდესი სიყვარული საქართველოსი, რაც მათი მამულიშვილობისთვისაა დამახასიათებელი, მართლაც, ნაღდი მამულიშვილები, გმირები და რაინდები დაბეჩავებული, სხვისი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნის ცხოვრებაში ვერ დამკვიდრდებიან. არა აქვს მნიშვნელობა დამპყრობელი იმპერიის დროშას ააფრიალებს თუ კომუნიზმის იდეით შეეცდება ეროვნული სულის დამსხვრევასა და განადგურებას. დამპყრობლებს ერთეულები ვერ გაუმკლავდებიან, ისინი მხოლოდ შეეწირებიან სამშობლოს სიყვარულს, მაშინ, როცა ეროვნული მოძრაობის ლიდერები და მესაჭენი უნდა გამხდარიყვნენ. დროისა და ეპოქის შესაბამისობა-შეუსაბამობის კანონი არაერთგზის გამხდარა ცალკეულ დიდ, თუნდაც გენიოს, პიროვნებათა ტრაგედიის სათავე. მაგრამ ყველაზე მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავად კონსტანტინე სავარსამიძისა და თარაშ ემხვარის პიროვნებას, მათ მთლიანობას ეპოქისადმი შეუსაბამობით არაფერი აკლდებათ, პირიქით მათი სრულყოფილების, სულიერი და ფიზიკური მთლიანობის პრობლემა მწერლის მიერ გადაჭრილია, ეს თავად ეპოქაა არასრულფასოვანი და გაუწონსწორებელი, ესაა გვადი ბიგებისა და მექი ვაშაკიძეების დრო, ადამიანებისა, რომელთა პიროვნული სახის სრულქმნა და გამთლიანება ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. ხოლო ისინი, რომლებიც ბუნებამ და პიროვნულმა უნარ-ჩვევებმა და მიდრეკილებებმა სრულყოფილებამდე აამაღლა, დრომ და ეპოქამ ზედმეტ ადამიანებად აქცია. ამ შემთხვევაში ჩვენ კონსტანტინესა და თარაშის ზედმეტი ადამიანობა იმდენად არ გვაინტერესებს, რამდენადც ეროვნული ცნობიერება, სწორედ ეროვნულობის ასე მძაფრი განცდის, რაინდული საქართველოს სულიერი მოთხოვნილების გამო ხდებიან ისინი ზედმეტი თანადროულობისათვის. მაგრამ ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესი ამ პერსონაჟების გაცნობისას არც ისაა, იმარჯვებენ თუ მარცხდებიან ისინი, მთავარია, რომ არსებობენ, მთავარია, რომ სამშობლოს სიყვარულის მაგალითს გვაძლევენ, მთავარია, რომ არ მოექცნენ მეფის თვითმპყრობელობის თუ საბჭოთა იმპერიის

წნების ქვეშ. მათ ისეთი სულიერი ბარიერი აღუმართეს თანამედროვეობას, შეუძლებელი იყო მათი პიროვნული დეფორმირება, მათი სხვად ქცევა, რის გარეშე იმდროინდელ ცხოვრებასთან მისვლას ვერ შეძლებდნენ. და თუ თავად კონსტანტინე გამსახურდია მის გმირებს, რაღაც კუთხით მაინც შესაბამისობაში მოიყვანდა ეპოქასთან, მაშინ ეროვნული ცნობიერება უდავოდ გაქრებოდა, ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლას მომავალი არ ექნებოდა. ყოველთვის, როდესაც კ. გამსახურდიას პროზის სტრუქტურას ვაკვირდებით, მის პერსონაჟთა კლასიფიკაციას ვახდენთ, იმ დასკვლამდე მივდივართ, რომ ავტორი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება თავის გმირებს, ესათუთება მათ ეროვნულ ცნობიერებას, უფროსილდება მათ სულს, რომ დროსა და ეპოქის ცთომილებას გაარიდოს, რამეთუ თავადაც ძალიან კარგად უწყის, რომ ამ გმირთა სახეებით იკვებება ერის სამომავლო სული. ამ გმირთა პორტრეტებზე იჭრება ქართველთა სულიერი თარგი. ამ გმირთა ეროვნული ცნობიერება განსაზღვრავს საქართველოს მომავალ ეროვნულ-განმანათავისუფლებელ ბრძოლებს. მაგრამ საინტერესო ისიცაა, რომ ყოველივე ეს ნაწარმოებთა ერთი თვალის გადავლებით, ერთი წაკითხვით არ არის შემეცნებელი. მთავარია ავტორმა ინტერესი და სიყვარული აღგვიძრას პერსონაჟებისადმი და მერე ჩვენი ცნობიერების ქურაში ათასგზის გადაიხარშება, თქმული-ვერთქმული თუ ნაგულისხმევი და ამ ნაგულისხმევის შემეცნებელია გამსახურდიას ნამდვილი მკითხველი. ნაღდი და ეროვნული ქართველი, საქართველოს მომავლისათვის ბრძოლაში სიკვდილსაც ამაყად რომ გაუსწორებს თვალს.

კ. გამსახურდიას კარგად ჰქონდა შეგნებული მწერლის დანიშნულება იმდროინდელ საქართველოში, ისიც კარგად ესმოდა, რომ სწორედ მწერლობამ გადაარჩინა ქართული სული და რომ სწორედ მწერლობაა „ძველისა და ახალის შემაერთავი ხიდი“. ისიც უწყობდა, თუ რა როლი ითამაშა ქართული სულის აღორძინებისა და გადარჩენის საქმეში XIX საუკუნის 60-იანმა წლებმა და კერძოდ ილია ჭავჭავაძემ:

„ილია ჭავჭავაძემ, რომელიც დიხაც განიცდიდა თავისი სამშობლოს მონობას, ამ სვედაკარგულ მოხევეს წარმოათქმევინა უდიდესი პრინციპი ჩვენი საუკუნისა: ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნესო.

ამ დიდი იდეის მოლაშქრე იყო ილია ჭავჭავაძე და ამ დიდი საქმისათვის ბრძოლას მსხვერპლად შეეწირა იგი.

აღბათ, ბევრ მწერალსა და მოღვაწეს შეშურდებოდა მისი ტრაგიკული სიკვდილი, იგი წავიდა ჩვენგან შეუფასებელი, მაგრამ თავისი სიცოცხლის

დასასრულით მან სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნა და ჩვენ წარმოგვზარდა მისი დიდი იდეების ქომაგად და მედროშედ.

სანამდის ქართველი ხალხი იარსებებს ამ ქვეყნად, ილია ჭავჭავაძე მარად იცოცხლებს ქართველი ერის ხსოვნაში" (გამსახურდია ტ. VI, 1963 : 579).

თავადაც კარგად ჰქონდა მწერლის მისია შემეცნებელი და სწამდა, როგორც ილია ჭავჭავაძემ და მისმა პერსონაჟებმა „წარმოზარდეს" ქართველთა ეროვნული სული, მომდევნო თაობის მწერლებსა და მოღვაწეებსაც თავიანთი შემოქმედებითა და აზროვნებით, ასევე უნდა შეეწყოთ ხელი თავისი დროის ქართველთათვის.

სწორედ, ამიტომაც კ. გამსახურდიას ნაწარმოებთა პერსონაჟების უმთავრესი დანიშნულება ეროვნული სულის გამოღვიძებაა ერში.

ამ მხრივ საინტერესოა კ. გამსახურდიას ისტორიულ გმირთა სახეები, სინამდვილედ და მხატვრული გამონაგონიც მათი ტიპების სრულყოფისათვის, მაგრამ ამ გმირთა შორისაც გამოჩნეული არიან კონსტანტინე სავარსამიძე და თარაშ ემხვარი.

„თარაშის ცხოვრების გზას განსაზღვრას მისი სულიერი არქეტიპი - ერამხუტ ემხვარი, რუსთ ხელმწიფის მოძულე, მასთან ბრძოლის მსხვერპლი.

თარაშს უფრო შორეული წინაპარც ჰყავს - ვარდან ჰემუხვარი, მისი გვარის დამწყები, რომელიც დასწყევლა კათალიკოსმა. მასაც არაერთხელ იგონებს თარაში. შედამებულზე ბუხრის წინ მჯდარი. ბაღლი თავის თითებს ეთამაშება „ცერი ეს ცნობილი რაინდია - ვარდან ვარდანიძე" თარაში სახლში პოულობს თამარ მეფის სიგელს და კათალიკოსის ეტრატს, რომელმაც ფსალმუნების ასლამერვე ლექსით ანათემას მისცა ვარდანიძე-ემხვარების გვარი. 800 წლის შემდეგ ტარიელ შერვაშიძემაც დასწყევლა თარაში. ვარდანიტ იწყება და თარაშით იხურება ემხვარების გვაროვნული მატიანე, რომლის დასაბამი და დასასრული წყევლით არის დათარიღებული.

ვარდანი - კარნუ ქალაქის ამღები გმირი - არის ემხვარების გვარის არქეტიპი, რომლის გენები საუკუნეთა მანძილზე თითქმის არ შეცვლილა და ყოველი ემხვარი ისევ უცნაური, ურჩი, თავნება და დაწყევლილი იყო, როგორც ვარდანი.

ერამხუტი ხალხური სახელის ლიტერატურული ფორმაა, როგორც ვიცით, მითიურ ამირანს, მეგრულ ვერსიებში არამხუტუ ჰქვია.

როგორც ს. სიგუა წერს, თარაშის სახის ასოციაციურ ძიებას ამირანის მითამდე მიყვავართ, სვანეთში - მყოფ თარაშს „ამირანის ძალი აწვება მკლავებში" როცა ავტორმა საბოლოო განაჩენი გამოუტანა თავის გმირს, შენიშნა: „გუშინ,

გუშინწინ ჭაბუკი ამირანი ეგონა თავი, ბნელ გვირაბში ძალის შემნახველი" ვახტანგ თამანიძისადმი მიწერილ უკანასკნელ ბარათში თარაში უარყოფს თავის ამირანობას.

ამირანი ძველი საქართველოს მუდმივი ტანჯვის, ჭირთა თმენისა და ბრძოლის ხატია. თარაშის სულის სიმი შორეულად მას უერთდება, რადგან მისი არსება შთანთქმულია წარსულის მიერ. ერამხუტის სახით იგი ისტორიულ საქართველოს ეტრფის; როგორც გარდასულ საუკუნეთა შვილი, მსგავსებას პოულობს ამირანთან ამირანი ხომ ქრისტესთან ჭიდილში დამარცხდა. თარაშიც ახალმა იდეოლოგიამ გაანადგურა. თარაშის მიჯნურს ხომ თამარი ჰქვია, უპირველესი ქართველი ქალის სახელი, მაგრამ თამარი იგივე ყამარია, რომელიც ამირანმა მოიტაცა. ულამაზესნი ეკუთვნის უმამაცესს. „სახელი: თამარ, რომ საუკუნეთა მანძილზე რეკავდა თარაშ ემხვარის შემეცნებაში, სათნო, ლამაზი და მითებით გაბრწყინებული, მზითა და სინათლის სავსებით მოსილი. ასეთი იყო ეს სახელი მისთვის ოდესღაც“, ე.ი. როცა თავი ამირანი ეგონა, მაგრამ „საუკუნეთა მანძილზე“, იმასაც ნიშნავს, რომ ამირანისა და ყამარის სახელებმა მრავალი მიჯნურის გული გამოიარა. თარაში ხომ სიმბოლურად საუკუნეებს იტევს, პირველადამიანიდან დღევანდელობამდე. ყამარი არაბულად მთვარეს ნიშნავს, ამიტომ თამარისადმი სიყვარულშიც ცნაურდება ქართველთა უძველესი ღვთაების კულტი, რომელიც მას ენგურის ზვირთებმა წაართვა. თარაშისათვის ძველი სამყარო მთვარის სახეში გაერთიანდა, რომლის მეტაფორა არის თამარ შერვაშიძე" (სიგუა 1989 : 93-94).

„... ამირანი ბერძნულ პრომეთეს, სომხური ეპოსის მჰერს, აფხაზ აბსისვილს, ოსური ნართების ბათრამს მოგვაგონებს" („ქართული ფოლკლორი", 2008 : 194). ამონარიდი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ყველა ერის „ამირანები" უპირველესად ეროვნული გმირის სახის მოდელს ქმნიან. ეს აზრი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ როგორი სიმბოლოებით აზროვნებს კონსტანტინე გამსახურდია თავისთავად ამირანის სახე პალიმფსესტის პირველ პირივით დევს თარაშის პერსონოლოგიურ პორტრეტში. თარაშის სახე მეტად რთული პალიმფსესტია, სადაც სულის სიღრმეებში, მას ახალი პროტოტიპები მოეძებნება, რომელთა სინთეზირებით თანამედროვეობის ამირანის - თარაშის სახე იხატება. რა თქმა უნდა, კ. გამსახურდიას მკითხველი უნდა ერკვეოდეს როგორც ფოლკლორული სახეების პლასტებში, ისე მისი ეროვნული სახე-ხატების სიმბოლიკაში. როგორც უკვე მივუთითეთ, გამსახურდიას პერსონაჟთა პერსონოლოგიური პორტრეტები მრავალგანზომილებიანია და მხოლოდ ერთ რაკურსში დანახვა ამ სახეებისა,

ცალმხრივობისა და გაუგებრობისთვისაა განწირული. ძნელია მათი იმ რაკურსით აღქმა, როგორც თავად მწერალმა დატვირთა ეს მხატვრული სახე-სიმბოლოები, მაგრამ ზოგადად მაინც შესაძლებელია, მივუახლოვდეთ იმ სიღრმეებს, საიდანაც ეს გმირები ამოიზარდნენ მწერლის ეროვნულ ცნობიერებაში.

სოსო სიგუა განმარტავს, რომ „კ. გამსახურდია ქმნის თარაშის ცხოვრების მითს. ამიტომ მისი სახე მუდამ მითოლოგიის შუქზე იკითხება. თარაში რეალურად ოცდაათიანი წლების მოქალაქეა, მაგრამ სიმბოლურად არის ლანდების სამყაროდან გადმოსული ერამხუტი, ამირანი, სახარების „ძე შეცდომილი“ („უძღები შვილი“), შექსპირის რომეო, ბიბლიური აბელი, მონადირე ბეთქილი, ბატონები, ეროსი, აპოკალიპსის მხედარი.

თარაშის სახე ცხრა სხვადასხვა პლანში იშლება. ცხრა საკრალური რიცხვია, თითოეული პლანი (პიპოსტასი) ღვთაებრივი საწყისის განსახიერებაა. მითოლოგიაში ამიტომ აქვთ დევებს სამი, შვიდი, ცხრა თავი, თარაშის ბუნებას მივყავართ დევის ალეგორიამდე, რომელიც წარმართულ ასპექტში ღვთაებაა, ქრისტიანულში- ურჩხული, თანამედროვე პირობებში - ზეკაცი. ამით პერსონაჟის არამიწიერი, განსაკუთრებული მისია ცნაურდება. თავის მრავალსახიანობას თარაშიც ამჩნევს“ (სიგუა 1989 : 92-93).

თარაშ ემხვარის საუკუნეობრივ სისხლში დაღეჭილია კოდი ამ მრავალპლანიანობისა, იმ სხვადასხვა უნარ-მიდრეკილებათა, რაც თარაშის პიროვნების განსაკუთრებულ მოდელს ქმნის, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მწერალს სურს თავისი გმირის სამშობლოსთან მიმართების პრობლემა წამოსწიოს წინ. ყოველი პლასტი, რომელიც გმირის მრავალსახეობას ქმნის, ძირითადად ერთ მიზანს ემსახურება. რომ საუკუნეობრივი რუდუნება და განუზომელი ტრფიალი მშობლიური მიწისადმი, მშობელი ხალხისადმი, მრავალი რაკურსით წარმოგვიდგინოს მწერალმა, თარაში, უპირველეს ყოვლისა, წარსულიდან ამოსული გმირია და წარსულისვე გამაიდვალებული, არიან აწმყოს, თანამედროვეობის გმირი სახეები - არიან მომავლის გმირებიც, მაგრამ რამდენადაც თარაშის სახე უპირველესად სამშობლოს და მის ეროვნულ ინტერესებთანაა შეჯერებული, მისი სხეულის ყოველი ნერვი ამ წარსულითა და ეროვნული გრძნობით თრთის. საყოველთაო, ყოველდღიურ ჩვეულებრიობაშიც თარაში სხვათაგან განსხვავებულია, თუნდაც არაშორეული წარსულია მისი ოცნებების თუ მოგონებების საფუძველი.

„ამ მრავალი აღნაგობით წარმოდგენილ“, მრავალსახა თარაშის პორტრეტში ჩვენ საუკუნეებს და საუკუნეთა გმირებს ვუმზერთ, იმ გარდასულ გმირებს,

რომელთა შესახებ უკვე გვექონდა საუბარი და რომლებმაც შექმნეს თარაშ ემხვარის მრავალმხრივი და ეროვნული სახე, რომლის წარმოსაჩენად კ. გამსახურდიას მრავალგვარი სახე-სიმბოლოების შექმნა სჭირდება. იმ სახე-სიმბოლოებისა, რომლის მიღმა მთელი ჩვენი ეროვნული ძირები მოსჩანს, მთელი ჩვენი აწმყო-მომავალიც იკითხება, თუმცა საინტერესოა ისიც, რომ ამ სახე-სიმბოლოთა სინთეზირებით გაცოცხლებული თარაშის პერსონლოგიური პორტრეტი მეტისმეტად რთულია და ალბათ სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. ის შრეები, რომელიც თარაშის სახეშია სინთეზირებული, მთელ ეპოქებს და მის სულს მოიცავს, რომელთა ახსნა-განსახოვნება სწორედ ეროვნული მსოფლმხედველობით უნდა დავიწყოთ და რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ჩვენთვის თარაში სოციალისტური ეპოქიდან არც იწყება და არც აქ მთარვდება. თარაში მარადიული სულია საქართველოსი, რომელიც ფარნავაზისა და ფარსმან ქველის ეპოქებიდან მოდის და როდესაც ვუმზერთ, როგორ იმშვენებს ვეროპულ ტანსაცმელს შეჩვეული მისი სხეული ეროვნულს და რომ ერამხუტ ემხვარის სახეს განასახიერებს იგი ქართული სამოსით, გმირის სახის მრავალპლანიანობის, მისი მრავალმხრივობისა და გარდამავლობის პრობლემა ახსნილია. სპორტული აღნაგობის და თითქმის თანამედროვეობასთან შეჯერებული მისი ფიზიკური პორტრეტი, უფრო მეტ შესაბამისობაში მოდის გარდასულ ეპოქასთან და გარდასულ ეროვნულ გმირთან. ისიც საინტერესოა, რომ ყოველივე ამის გააზრების შემდეგ გვიჩნდება სურვილი თარაშის, კონსტანტინე გამსახურდიას სხვა საქართველოს წარსულის ამსხაველ რომანებში გადაყვანისა და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ფრიად განსწავლული, თანამედროვეობასთან გარკვეულად შეპირისპირებული გმირის სახე, მშვენივრად ერგება მეფე გიორგის, დავით აღმაშენებლის თუ თამარის ეპოქებს. ამ მეფეთა მოღვაწეობის ხანა, ხომ საქართველოს ეროვნული მოღიანობისათვის ბრძოლითაა ნიშანდობლივი, ამ ეპოქათა გმირები, ხომ უაღრესად ეროვნული, უაღრესად თავისთავადნი, ინდივიდუალური ბუნების არიან, და სწორედ ამ ეპოქათა სახე-ხატია თარაშის სახით თანამედროვეობაში გადმოსული.

მიგვაჩნია, რომ მისი სახე-სიმბოლო ეროვნულობის მითიურ კალეიდოსკოპში მრავალი ასპექტით წარმოისახება. როდესაც კ. გამსახურდიას გმირებს ეცნობი, თითქოს ირღვევა მიჯნა ეპოქებისა, თითქოს ყველა მათგანს გააჩნია ერთი რაღაც უდიდესი საერთო, გამაერთიანებელი ხაზი, რომელიც კარგავს მათი ეპოქების სხვადასხვაობის მახასიათებლებს თუ მეფე გიორგის, დავითისა და თამარის ეპოქებს ერთ სპექტრში მოვიაზრებთ და მათ სახეებსა და მახასიათებლებში

საერთო ხაზს ვიპოვით, ეს თითქოს შესაძლებლობის მიჯნებს არ სცილდება, მაგრამ, როდესაც თარაშ ემხვარის თუ კონსტანტინე სავარსამიძის ბუნება, მიზანი და უნარ-ჩვევებიც მათ სახეებთან ფიქსირდება, ეს კი უნდა გვიკვირდეს, თუმცა, როდესაც ღრმად და გულმოდგინეთ ჩავიხედავთ მწერლის ლაბორატორიაში, თუ შევაპირისპირებთ ეპოქებსა და მათ უმთავრეს დანიშნულებებსა და ფუნქციებს, აღმოჩნდება, რომ საქართველოს ყველა დროის ეპოქის მოთხოვნილება მეტნაკლებად ეროვნულ პრობლემებთან მიმართებაში ფიქსირდებოდა. რა თქმა უნდა, ეროვნული გმირის მოთხოვნილება ყოველი დროის საქართველოში იდგა, მაგრამ რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, ეროვნული გმირის ასპარეზიც ყოველჟამს განსხვავებული იყო. ავიღოთ თუნდაც მეფე გიორგი, ეს ორ კუროპალატს შორის „გამოსრესილი“ მამულიშვილი, თავად კ. გამსახურდია შესანიშნავად ამბობს იმას, რის განმარტებასაც ჩვენ ვაპირებთ:

„მე სულ თორმეტიოდე წლისა ვიყავი, როცა „ქართლის ცხოვრება“ მომაჩენა ხელში შემთხვევამ თუ ბედმა, ჩემი გარდაცვლილი ძმის, ბესარიონის ბიბლიოთეკაში ნაპოვნი. ბაღლობიდანვე მიყვარდა და მოცუბდა, აბხაზთ მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისდამი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვეშაპს შებმია ეს შესანიშნავი რაინდი.

მიყვარდა იგი, ორ კუროპალატს შორის გამოსრესილი მეფე (აქ იგულისხმება მამა გიორგისა, ბაგრატ III კუროპალატი და ძე გიორგისა ბაგრატ IV აგრეთვე კუროპალატის“ („დიდოსტატის მარჯვენა“, 393). ერთია გმირობითა და ვაჟკაცობით შემართული სული რაინდი მეფისა და მეორე სარბიელი, სადაც მისი რაინდული ბუნება და მეფური გონიერება უნდა გამოვლინდეს და როგორც თავად მწერალი მიუთითებს, ამ „შესანიშნავ რაინდს“ ბედმა ჯერ ორი კუროპალატის ჩრდილი დაჰფინა და არამც და არამც არ მისცა საშუალება მთლიანად გამოეკვინა ის დიდი პოტენცია გმირობისა და რაინდობისა, რისთვისაც მისი სული და სხეული იყო შემზადებული. არათუ საქართველოს იმდროინდელმა ვითარებამ, საგარეო ურთიერთობებმაც განაპირობა მისი გმირობა საუკუნეებს არ გადმოჰყოლოდა. თავად კ. გამსახურდია აღნიშნავს: „ვინც დაახლოებით წარმოიდგენს თუ რა დიდი მხეცი იყო ბასილი II, ბუღგართმმუსვრელი, რომლის იმპერია განფენილი იყო აპენინის ნახევარკუნძულიდან ბასიანამდის, ბალკანეთის უკიდურესი სამანებიდან არაბეთის უდაბნოს კიდემდის, მისთვის გასაგები იქნება, თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმჟამინდელი საქართველოს მეფე გიორგი, პირველი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზანტიისა და ამ

უბადლო ვაჟკაცს, რომელსაც მატთანე უწოდებს „უშიშარს ვითარცა უხორცოს“, ქართულ ქრონიკაში მხოლოდ ორიოდ გვეხვები აქვს მიძღვნილი.

მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მღუღარება ჩემი სულისა. აპოლოგია ამ შემთხვევაში უხეირო სიტყვაა. მე არ ვეწევი ხელაღებით აპოლოგიას ნაციონალური ისტორიისა, რადგან საამისოდ საკმაოდ მომწიფებულ მსოფლიო მოქალაქედ წარმომიდგენია თავი და ეგეც ვიცი, არაფერი ნაციონალური საყურადღებო არაა, რასაც უნივერსალური მნიშვნელობა არ მიერწევება.

კიდევ ერთი მომენტი უნდა ვახსენო აქვე, ოდითგანვე ქართული მწერლობის უმთავრესი თემები იყო: მამულის დაცვა, ომი, მიჯნურობა და ნადირობა...

ოცზე მეტი საუკუნის მანძილზე არსებითად სამ რამეში ისახელა ქართველმა კაცმა თავი. ომში, მწერლობასა და ხუროთმოძღვრებაში" („დიდოსტატის მარჯვენა“, 393).

მოყვანილ ამონარიდში მკაფიოდ იკითხება თავად კ. გამსახურდიას ეროვნული ორიენტაციის საკითხი. ჯერ ერთი მიჩქმალული გმირობის გამოსარჩლება თავისთავად ეროვნული ფენომენია. ის ფაქტიც, რომ ქართველმა თავი არსებითად ომში ისახელა და ქართული მწერლობის თემებთან - მიჯნურობასა და ნადირობასთან ერთად, რომ მამულის დაცვა და ომი იყო უმთავრესი, თავისთავად ესეც ეროვნული ფენომენის შეცნობის საფუძველია.

მოხუცი ექვთიმეც ხომ საინტერესო აზრს გამოთქვამს მწერლობისა და გმირობის შესახებ, „მე ასე მესმის, შვილო, მწერლობა გმირობის გამოსარჩლებაა, მხოლოდ მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი და სხვა არაფერი" და როდესაც საკითხი ასე დგას, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავად მწერლობაცა და მითუმეტეს, ქართული მწერლობა, ეროვნული ორიენტაციის გამომსახველი ფენომენია, რადგანაც გმირობის გამოსარჩლება ყოფილა იგი.

თავად კ. გამსახურდიას ყოველთვის კარგად ჰქონდა გააზრებული მწერლის დანიშნულება საზოგადოებისათვის. არათუ მწერლის შემოქმედებას, მის პერსონოლოგიურ პორტრეტსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი და თავის ლიტერატურულ წერილებში ისე საინტერესოდ წარმოსახავდა შემოქმედისა და კერძოდ მწერლის, სახე-ხატს, როგორც თავის პერსონაჟთა სახეებს და რაც ყველაზე მთავარია, ამ შემთხვევაშიც ხაზგასმით მიუთითებდა, თუ რა დიდ როლს თამაშობდა მწერლის ეროვნული შემეცნება. მთლიანად მისი ეროვნული პორტრეტი საზოგადოებაზე.

„მწერლის შეფასებაში დიდად მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი მორალური აღნაგობა. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა თვალშეუდგამ სიმაღლემდე აიტანეს მწერლის ავტორიტეტი. ამიტომაც შეიშენეს მათ სამშობლოს მამისა და ერის მამამთავრის სასიქადულო სახელი და მარად უჭკნობი სიყვარული დაიმკვიდრეს ქართველი ხალხის გულში.

ჩვენი დროის ქართულ მწერლობაში არ მომკვდარა ილიას, აკაკის და ვაჟას მთლიანი პატრიოტული მორალი და ზნეობრივი სისპეტაკე. ნიკო ლორთქიფანიძეს, გარდა ოსტატობისა, მუდამ ამშვენებდა თავისი კაიკაცობა და მამულიშვილობა. ჯერ კიდევ ჩემს სიმჭაბუკეში წაკითხული მაქვს მისი ერთი ესკიზი „იყიდება საქართველო“. ამ ნაწარმოებში მწერალი ქირდავდა ჩვენს უგნურ თავადაზნაურობას.

ნიკო ლორთქიფანიძე სიცოცხლეში ვერ მოესწრო ჯეროვან დაფასებას, მიუხედავად ამისა, მისი მწერლული მემკვიდრეობა წარუხოცველი დარჩება ქართველი ხალხის ცნობიერებაში" (გამსახურდია ტ. VI, 1963 : 670).

როდესაც ამ დონემდე აჭყავდა მწერლის ფუნქცია და თითქმის ეროვნული სახის მოდელად ესახებოდა იგი კ. გამსახურდიას, რა თქმა უნდა, ეროვნული პრობლემის წარმოსახვას, მწერლისაგან საზოგადოების ეროვნული სულის გაღვივებას, იგი უმნიშვნელოვანეს საკითხად თვლიდა და ისტორიული რომანების სერია, რომელიც ასე ამშვენებს არა მარტო კ. გამსახურდიას შემოქმედებას, არამედ მთელ ქართულ მწერლობას, საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად შევიცნოთ მწერლის ეროვნული მრწამსი. „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ ამ მხრივ დიდ შესაძლებლობას გვიქმნის.

მითითებული ნაწარმოების გაცნობის შემდეგ ყოველი მკითხველი უდავოდ ერთ დასკვნას გააკეთებს, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეალის შთაგონებითაა მთელი ნაწარმოები გაჯერებული.

ბუნების სილამე, თავისუფლება და გენიალობა, როგორც ვაჟა-ფშაველასთან, ისე კონსტანტინე გამსახურდიასთან - ადამიანის სულის შემაფხიზლებელია. ვაჟა-ფშაველასთან – მთებიც კი თავისუფლების მოლოდინში არიან, ის ფილოსოფიური ტრიადა, რითაც გამოხატულია მთების გულისთქმა, სხვა არა არის, თუ არა ალეგორიული მიმართება საქართველოს მომავლისადმი, მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. როდესაც ეროვნული ცნობიერების საკითხი დგება, უდავოდ უნდა დავაყურადოთ მწერლის ბუნებასთან მიმართების პრობლემა და ვთქვათ, რომ გამსახურდიას მიერ მხატვრულ სახეებში გაცოცხლებული ბუნების შემოქმედებითი მხატვრული აუცილებლობითაა

ნაკარნახევი. ბუნების მშვენიერების, თავისუფლების ლაღი სუნთქვა ესმარება ადამიანს, თავადაც მიიღტვოდეს თავისუფლებისაკენ. თავადაც ყოველთვის თავისუფლების იდეებით იყოს შთაგონებული.

და საერთოდ რა დონეზეა აყვანილი კ. გამსახურდიასთან ბუნება და ბუნების მოვლენები, თუნდაც ამ აზრიდან შეიძლება ვიგულისხმოთ:

„იმ ვარსკვლავს დააკვირდი უფლისწულო, ირმის ნახტომის კიდეზე ბოროტი თვალი ხომ არაა ნეტავი? სწორედ ამ ადგილას იყო ის ვარსკვლავი, რომელიც კონსტანტინეპოლში გამოჩნდა ოცდასამი წლის წინათ. დოკიდა დაარქვეს მას. სახრჩობელას წააგავდა, დასავლეთისაკენ მიდიოდა მსგავსად მთვარისა, დიდი თურქობა მოჰყვებო ამას, აგრე ამბობდნენ იდუმალთა მიმთხრობნი - სთქვა მახარაიმ და თავადაც მიაშტერდა ცთომილს“ („დავით აღმაშენებელი“, 45). ბუნებისა და ადამიანის, ბუნებისა და საზოგადოების მთლიანობისა და ჰარმონიულობის თემა ყოველთვის დომინირებს კ. გამსახურდიას შემოქმედებაში. მწერალმა ყოველთვის იცის, რომ ბუნების შეუმეცნებლობა, მასზე თვალის მორიდება, სიბრძნესა და სინამდვილეს დააშორებს ადამიანს. „დავით აღმაშენებლიდან“ თუ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენიდან“ მრავალი საგულისხმო მხატვრული შტრიხები შეიძლება მოვიშველიოთ. ჯერ მარტო ის ფაქტი რაოდენ საინტერესოა, თუ როგორ წვრთნის და აზიარებს სიბრძნეს უფლისწულს მახარაი ბუნებასთან მიმართებაში და თანაც ბუნებრივი მოვლენების ახსნით, როგორ უღვივებს ეროვნულ გრძნობებს.

„ცაცხვის ქვეშ ჩამოჯდა, გოლიათეში ურთხელის მორზე, ასე ჰგონია სულ ორიოდე დღის წინათ მჯდარიყოს, იგი აქ ჯერაც უასაკო ყრმა. აქ უამბობდა მახარაი ხილთა ქებას და თვეთა ქებას.

„მიჰრაკანი, მეომარი“ ჭრელი ჯაჭვი აცვია ზედ, ბუკი ჰკიღია ქამარზე და ასე იტყვის...”

დაიწყებს მახარაი, დადუმდება განზრახ, რათა ცნობისწადილი გაუსინჯოს ბავშვს.

„რას იტყვის, ძია ბატონო, მიჰრაკანი?“

„აკი გუშინ გითხარი, აღარ გახსოვს?“

„კიდევ მითხარი, კიდევ“ - ევედრება ყრმა.

„მიჰრაკანი ასე ამბობს, რაინდი ვარო თოროსანი, ეს მე შეგმუსრე ზამთარი, ყინვის ჯავშანი შემოვაცილე მიწასდა ან ზაფხულს ვიხმო ბუკითა“.

„ახლა ეს მითხარი, ძია ბატონო, თეთრი მშველი თუ არის მართლაც სადმე?“

არა, თეთრი მშველი მხოლოდ ზღაპარშია ცნობილი“.

შელამდებოდა თუ არა ვარსკვლავეთს უჩვენებდა მახარაი, ასწავლიდა, რა და რა თვენი მიითვლიან ზოდიაქებს ვერძისას, კუროსას, ღრიანკელისა და სასწორისას" („დავით აღმაშენებელი“, 74).

ამ ამონარიდით აქ არა მარტო ბუნებისა და ადამიანის თანაზიარობის სიბრძნეა ნაგულისხმევი, არამედ მასში თვით რაინდული საქართველოს მახასიათებლებიც დევს, თავისთავად მიჰრკანის დახასიათებაში რომ საბრძოლო განწყობილება იკითხება, ეს ჭეშმარიტებაა, „თოროსანი რაინდი“ მიჰრკანი ქართველთა ბუნებითა და შემართებით ხასიათდება, ე.ი. ბუნებისა და ადამიანის (ამ შემთხვევაში ქართველის) თანაზიარობის პრობლემასაც გარკვეულად ისევე ეროვნული იდეის გახმოვანებამდე მივყავართ. და ის ფაქტი, რომ ასე იწვრთნებოდნენ იმდროინდელი მეფისწულები, თუ ზოგადად ქართველები, გვაფიქრებინებს - ბუნება, ქართველი და მათი მოქმედება, მათი ეროვნული იდეალები ერთ ხაზზე იყო განლაგებული. ამიტომაც იყო ქართველთა საომარი ხელოვნება საყოველთაოდ განთქმული, რადგანაც ყოველივე ბუნების წესს ექვემდებარებოდა. არა მარტო თავის შესანიშნავ რომანებში - წერილებსა თუ ნარკვევებშიც ბუნების მეხოტბეა კ. გამსახურდია და ქართველთა ეროვნული სულიც, რომ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითა და მისი საუცხოო ლანდშაფტითაა გაძლიერებული, ესეც კარგად იკითხება:

„არასოდეს დავიღლები კავკასიონის ცქერითა, მის ქედებზე, მის კალთებზე, მის გასწვრივ მგზავრობით. ეს მან შთააგონა ბერძნულ გენიას უბრწყინვალესი მითი ღმერთებთან მებრძოლი, გაუტყეველი ნებისკაცისა, რომელმაც კაცთა მოდგმის გადასარჩენად ცეცხლი წარსტაცა ზეცას.

როცა უცხოობიდან შინ ვბრუნდები, კავკასიაში შემოსვლის უმაღლე აღმეძვრება ხოლმე სურვილი ვაკოცო კავკასიონის ხედით შემოსილ პირველ თხემთაგანს.

სულიერად ამაღლებს ადამიანს კავკასიონის ცადაბჯენილი ქორედების მზერა.

კავკასიონი იყო შეუვალი ბარიერი ჩრდილოსი, ამ ქედს გადაღმიდან გვიტევდნენ ხაზარები და ჰუნები, მოკლედ ის ხალხები, რომელთაც გოგსა და მაგოვს უწოდებდნენ უძველეს ანალებში.

კავკასიონი, ეს იყო საიმედო ციტადელი, რომელსაც ზურგს აყრდნობდა ჩვენი ხალხი სამხრეთისა და აღმოსავლეთის ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მხოლოდ დავით აღმაშენებლის გენიამ შესძლო ჩრდილოს ჯგუფის თურქები - ყივჩაღები, სამხრეთელ თურქთა-სელჯუკიანების დასათრგუნველად გამოეყენებინა"... (გამსახურდია ტ. VI, 1963 : 748).

ოღა კავკასიონისდამი მეტად მრავალმხრივი ასპექტით წარმოსახა ავტორმა და რა მიმართებითაც არ უნდა განვიხილოთ იგი, უპირველესად ეროვნული პრობლემას უკავშირდება და გვიჩნდება მოსაზრება, რომ კავკასიონი და ზოგადად ბუნება, ისევე სულიერი პერსონაჟია კ. გამსახურდიას შემოქმედებისა, როგორც ადამიანები და ერთიც შეიძლება დავამატოთ, როგორც ქართველთა ეროვნული მსოფლმხედველობა და მრწამსი, ასევე ეს გაპიროვნებული ბუნებაც საქართველოს ეროვნული მთლიანობის წარმოსადგენად მწერლის მიერ გასულიერებული, ერთ-ერთი უმთავრესი შტრიხია – მისი ეროვნულობისა.

ბუნებასთან შეთანხმებული აზრი და მოქმედება ადამიანისა, ეს ნამდვილად გამარჯვების გზით სიარულია, რაც კარგად იცოდნენ ჩვენმა ბრძენმა წინაპრებმა და სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის ძალა, რომელიც ერთზე მოსულ ათ მტერს ამარცხებდა. დავით აღმაშენებლის დიდი სახელი და საქართველოს გაყვანა ერთად სხვა ერთა შორის, სწორედ გონების, სულის და სხეულის არაჩვეულებრივი წვრთნითა და დიდ საქმეთათვის დაბადებული მეფის ბედისწერითაც იყო ნაკარნახევი. აცინგანებიც ხომ კითხულობენ დავითის მომავალს და ამ მუცლითმეზღაპრობიდანაც იხატება ერის მესაჭე და ერისთვის თავგანწირული გმირისა და მეფეთა მეფის პორტრეტი.

„სასიცოცხლო ნიშანი მძაფრია, თავისმთავარი მტკიცე, გულისმთავარი - (შეყოყმანდა) და მერმე ჩაიპუტუნა: - მერყევი, ბედისმთავარი - აქაც დადუმდა მცირეს და შემდგომ ამისა დასძინა - სახიფათო.

ოღონდ ეგაა, სხვა უფლისწულნი ბედნიერ ვარსკვლავს აჰყავს ხოლმე დიდების ტახტზე წინაპართა მონაგარი მათი ზედსაყრდენელი, ხოლო შენ ო., ბასილეკუ, უბედობის ცეცხლში უნდა გამოიბრძმედო, შენ ის ფოლადი ხარ, რომელსაც სუსხში აწრთობენ ხოლმე სარკინოზნი, გრიგალებში გამოზრდილს ვერას გავენებენ ამ სოფლიურნი ღელვანი" („დავით აღმაშენებელი“, 84).

საერთოდ, როდესაც კ. გამსახურდიას მხატვრული სისტემის პრობლემებს ვაკვირდებით, ერთ დასკვნას ვაკეთებთ - მცირე ნიუანსებიც კი პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რეალურად თუ სიმბოლურად იქითკენ მიემართება, რომ საქართველოს წარსული და მომავალი წავიკითხოთ და ვიგრძნოთ ყოველივეში. დავით აღმაშენებელი და მისი ბედისწერა ეს იგივე საქართველოა. ამ ტეტრალოგიიდან ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, საკუთარ გულისთქმასაც

იშვიათად მისდევს ჯერ კიდევ ყმაწვილი მეფე, საყვარელი ქალის გამოც კი ვერაგითარ დათმობაზე ვერ მიდის, რადგან მისი ეროვნული ცნობიერება ყოველივე სხვა პრობლემის დამთმობია. არც ისაა მართალი, თითქოს მეფენი ყოვლისშემძლენი იყვნენ და მათ შეეძლოთ ყოველ წუთში ისეთი რამ მოიმოქმედონ, რასაც კაიკაცობა და გულჩვილობა უკარნახებს მათ.

„ამქვეყნად ყოვლისშემძლე უფალია ერთი, მე რომ ყოვლისშემძლე ვყოფილიყავი, კაცი არ დარჩებოდა ბორკილდაუყრელი ჩემს საბრძანისში. აქამდის საქმე აგრე იყო, ჩვენი ქვეყნის მტერნი, რომელთაც ჩვენი ცნობების მიხედვით მუდმივი კავშირი ჰქონდათ ლიპარიტ ამირასთან და რატისტან, ისე ძლიერნი იყვნენ, მათ ყოველ წუთში შეეძლოთ როგორც ლიპარიტისა, ისე ბანუ ჯაფარის და კახთა მეფისათვის გამოეგზავნათ მაშველი ლაშქარი, ახლა მე ასე თუ ისე უფრო გულმშვიდად ვარ, შენ ატყობდი ალბათ, კარგა ხანია რაც თრიალეთი ავიდე, ამ ხნის მანძილზე მე არ ვიცოდი ძილი და მოსვენება თუ რა არის, სპას ვამზადებდი, გზებს ვაკეთებდი, ციხეებს ვამაგრებდი, ღამდამობით თან დავეყვებოდი ჩუხჩთა, თურქის მარბიელებს დავსდევდი, მტრის მსტოვართა შეპყრობით და მათი დაკითხვით ვიყავი გართული.

... ყოველ დღეს და ყოველ წუთში მზად ვიყავ შემოჭრილ მტერს სათანადოდ შევეგებებოდი!“ („დავით აღმაშენებელი“, 764).

დავით მეფის ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ მიიღია მეფობის ტვირთი. ყველა ხელისუფალს უნდა ესმოდეს, რომ მეფობა თუ დიდი თანამდებობა, მხოლოდ უფლებები კი არ არის, უადრესად დიდი მოვალეობაცაა ქვეყნისა და ერის წინაშე. დავით აღმაშენებლის წინამდებარე სიტყვებიდან გამომდინარე, მხოლოდ მოვალეობაა და სხვა არაფერი. და ის, ვინც მხოლოდ თავისი უფლებებისა და სურვილის მიხედვით მეფობს თუ ხელისუფლობს, არც ეროვნული გრძნობები გააჩნია და რაც ხელისუფლად ვარგა. დავით მეფის სიტყვები და მთელი მისი სამოქმედო პროგრამა, ერთგვარი ტრაქტატია, რომელიც ყველა ქართველ მეფეს თუ ხელისუფალს კარგად უნდა შეესწავლა და საქართველოს ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოეყენებინა, რადგანაც სწორედ დავით აღმაშენებელია საქართველოს სინამდვილეში ის მეფე, რომლის გონივრულმა, წინდახედულმა ეროვნულმა ნაბიჯებმა, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში არნახული შედეგები მოიტანა. საქართველოს სახვალიო, სამომავლო გზა სწორედ მისი მეფობის ეპოქაში გამოიკვეთა და რაც მთავარია, მისი მეფობის შემდგომი პერიოდის, მართლაც იმ ნაყოფს ისხამდა, რაც ბრძენთა ბრძენი და გმირი მეფის წინდახედულმა ნაბიჯებმა მოიტანა საქართველოს

ეროვნულ ცხოვრებაში. ცალკეული ინდივიდები, დიდი პიროვნებები, მართლაც უდიდეს როლს თამაშობენ ისტორიაში. ეს როლი დავით აღმაშენებლის სიდიადემდე შეიძლება ამადღდეს და დამაქცევარნიც რომ ბევრი ყოფილან საქართველოში, არც ესაა უცხო და უჩვეულო ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის. გამსახურდიას, როგორც „ქართლის ცხოვრების“ ზედმიწევნით კარგად მცოდნეს, ბავშვობიდანვე სულითა და გულით სამშობლოს სიყვარულით ანთებულს, იზიდავდა იმ მეფეთა ცხოვრებისეული ეპიზოდების გაცნობა, ვინაც საქართველოს ეროვნულ ცნობიერებას, მის ეროვნულ ყოფას დიდი კვალი დააჩინეს. სამშობლოს ეროვნულ ინტერესებს დაუქვემდებარეს მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება. კ. გამსახურდია ღრმად ჩასწვდა დავით აღმაშენებლის ეროვნულ ფენომენს. მან იგრძნო ის ძალა და ხიბლი ჭაბუკი მეფისა, რამაც საქართველოს ძლიერება და მომავალი შეუქმნა. დავით აღმაშენებლის პერსონოლოგიური პორტრეტის უმთავრესი შტრიხი ეროვნულობის განცდა და ეროვნული სულის განმტკიცებისთვის ბრძოლაა საქართველოში. პირადი ბედნიერების უარყოფი, საქართველოს მომავალსა და ბედნიერებას სწირავს ყოველივეს. საუკუნეებში თუ გამოერევიან ერთეული პიროვნებანი, იდეისთვის თავშეწირულნი, იდეებით გასხივოსნებულნი გონებითა და აზრით, რომელთაც სხვაგვარად არ ძალუძთ ცხოვრება. მათთვის მხოლოდ სამშობლო და მისი ინტერესებია ბედნიერებაცა და უბედურებაც. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ასეთებს ძალუძთ მილიონების იდეებითა და „აზრით დაელექტროება“, როგორც თავად კონსტანტინე მიგვითითებდა. შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ დავითის ეროვნული მრწამსითა და შეგნებით დიდხანს იყო საქართველო დაელექტროებული. კარგა ხანს კვებავდა ქართველს დავითის ეროვნული სული, საქმენი სამამაცონი და საგმირონი, სწორედ ამით მიიქცია მან კ. გამსახურდიას ყურადღება. თავისთავად კ. გამსახურდიას კარგად ესმოდა დავითის როლისა და ფუნქციის შესახებ საქართველოში, დავითისდარი მეფეები რომ ჰყოლოდა საქართველოს, დღევანდელი ჩვენი სამშობლო, სულ სხვაგვარად წარმოჩინდებოდა სხვა ერებს შორის. ამიტომაც იყო, რომ ასე დიდტანიან რომანს უძღვნის დავითის ეროვნულ სულს და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მწერალი, მაგრამ საინტერესოა ისიც, რომ დავითის რეალურ ცხოვრებაზე უფრო თვალსაჩინო და საინტერესოა ის მხატვრული სინამდვილე, რომელიც მწერლის ცნობიერებამ წარმოსახა. „ქართლის ცხოვრებაზე“ შეყვარებული ყმაწვილკაცის სურვილი იყო „მეფეთა ისტორიის“ მხატვრულად გახმოვანება, რამეთუ მხატვრული სიტყვა და აზრი თვით ამ დიდ პიროვნებებზე მეტად შთამბეჭდავად მოქმედებს მასებზე და ჩვენც ნაშრომის დასაწყისიდანვე მივუთითეთ იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი

ზეგავლენა მოახდინა მწერლის ეროვნულმა ცნობიერებამ საქართველოს ეროვნულ გამოფხიზლებაზე. სწორედ სიტყვის დიდოსტატის დამსახურებაა ის ეროვნული მოძრაობის ტალღა, რომელმაც 90-იან წლებში გადაუქროლა საქართველოს და საუკუნეობით ნანატრი თავისუფლების გზაზე გაიყვანა.

თავად კ. გამსახურდია ის ეროვნული ფენომენია, რომელსაც სწამს საქართველოს მომავლისა და თავისი პერსონაჟების. თარაშ ემხვარისა და კ. სავარსამიძის დარად განიცდის საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას. „ქართლის ცხოვრების“ იდუმალმეტყველმა ფურცლებმა ჩამოაყალიბეს კ. გამსახურდიას ეროვნული სული. არსებულმა ვითარებამ მიიყვანა მწერალი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ისტორიული რომანების სერიით საქართველოს მთელი წარსული წარმოედგინა მკითხველისთვის, შეეფხიზლებინა ერის ეროვნული ნერვი და მიეყვანა დასკვნამდე „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“. მან გაიარა ეროვნული ცნობიერების ის გზა, რომელიც ქართველი სამოციანელების აზროვნებასა და შემოქმედებაში გამოიკვეთა. გზა, რომელიც ქართველ სამოციანელთა, ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობის წარმმართველი გახდა, რომელმაც მომდევნო თაობათა სულიერი მისიაც იკისრა. კ. გამსახურდიას და მისი თანამედროვეების ეროვნული ცნობიერება საქართველოს საუკუნეობრივი ეროვნული სულითაა გაჯერებული. ამ თაობასაც თავისი გოლგოთა არგუნა არსთგამრიგემ, ეროვნული თავისუფლებისთვის მომართულებს ბედნავსად წამოეწიათ 1921 წლის 25 თებერვალი. თაობა, რომელიც ეროვნულ პრობლემებს ეძებდა და აანაღაზიბებდა საქართველოს ისტორიის ანალებში, რომელიც დიდი ილიასა და ზოგადად სამოციანელთა ეროვნულ იდეებს ეზიარა და საბედნიეროდ კიდევაც ეღირსა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, ერთბაშად მტრის მიერ ანექსირებულ ქვეყნის შვილად იქცა. მაგრამ ამ ხანმოკლე თავისუფლებამაც გარკვეული აზრი შეიტანა სამომავლო აზროვნებასა და, ეროვნულ მოძრაობაში. ამ დრომაც გარკვეული გამოცდილება მისცა თუნდაც თვით კ. გამსახურდიას ეროვნულ მსოფლმხედველობას. ამ საშინელი დღეების ექო მხატვრულად აისახა კ. გამსახურდიას ნოველებში.

„დიდი იოსები“ ტრაგიკული ქვეყნის ტრაგიკული შვილის აპოლოგიაა. ყოველმხრივი ადამიანური ღირსებით შემკული დიდ იოსები, „ხანმა უნდობარმა“ ამორალურობის ჭაობში ჩაითრია, დიდი იოსების სულიერი რღვევა და სიკვდილი უფრო ადრე იწყება, ვიდრე მას მანქანა გაიტანდა, უპატიოსნესი ადამიანი უმწეობამ და ამორფულმა დრომ სულიერ დეგრადირებამდე მიიყვანა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად მისი აღსასრულით

მთავრდება. მაგრამ განა მარტო დიდი იოსებია დროის მსხვერპლი, მთელი საქართველოც ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე დამდგარა, საქართველო საკუთარი შვილების მიერ გაძარცვულსა და ყელგამოჭრილ დედას დამსგავსებია.

„კიდევ ერთი პერსონაჟი, რომლის აჩრდილი ლაიტმოტივად გასდევს მთელს ნოველას და ამდენად, ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია, ესაა მოხუცებული ქალი, რომელსაც თვალის ჩინი წართმევია, ამ ქაოსსა და უბედურებაში აღარაფრის გარჩევა რომ არ ძალუძს, უმწეოდ იშვერს ხელებს და ორად-ორ სიტყვას ბუტბუტებს სასოწარკვეთილი „გამქურდეს, მიშველეთ“, მაგრამ ამ ორომტრიალში მის გასაკითხად არავის სცალია. ბოლოს, უცნობი ბაღის სკამზე ჩამოსვამს: „იჯდა დასტიროდა ჩუმად, ადგილის დედას მიაგავდა საქართველოსას, საკუთარი შვილების მიერ გაძარცვულსა და ყელგამოჭრილს.“

„ის მოხუცი მეც შემხვდა“, - დაწერს მწერალი, სხვებსაც შეხვდებოდა, ყველას შეხვდებოდა იმ დღეს, დღეს, როცა ფასეულობებმა თავისი ღირებულება დაჰკარგეს და რაც შეიძინეს, იმასაც გროტესკული სახე მიენიჭა. გარეთ ქუჩაში სხვადასხვა ჯურის ქონების, რწმენის ადამიანი დადის აფორიაქებული. დუქანში კი ასვე არაერთი ეროვნების და მრწამსის ადამიანი ზის ერთმანეთის გვერდით...

... აღრეული თანასწორობა, განურჩევლად ყველა ერთმანეთის გვერდით, მთავარია შემდგომ, ვინ როგორ დამსახურებას „მოიპოვებს“ ხელისუფლების წინაშე, რა დასჭირდება ახალ ქვეყანას, როგორი იდეალები ექნება და რა მისაბაძი გმირები ეყოლება. ერთი რამ კი მწერლისათვის ფაქტია, გაქრებიან ტფილისური ამქრები, ხელოსნები, ოქრომჭედლები, მეთულუხჩეები, თერძები, ხარაზები, მეუნაგირეები და ამ ჩამონათვალში სხვადასხვა განმარტების გვერდით არცთუ უმტკივნეულოც: „ქართული უნაგირი ქართულ წითელ კავალერიას აღარ სჭრიდება“, სახელიდა შერჩება მხოლოდ ეროვნული, საქმიანობა კი საქართველოს აღარ წაადგება“ (ნიშნინიძე 2000 : 39).

ნამდვილი ბაბილონის აღრევა დაიწყო იმ დღეების საქართველოში და ყველაზე მკვეთრად ეს ეროვნული უბედურება თბილისს დაატყდა თავზე და თბილისში გამოიკვეთა. მთავრობა დაიბნა და რასაკვირველია, მისმა დაბნევამ მთელ ერში გამოიწვია აჟიოტაჟი. ყველა ნიადაგმოწვევტილ ხესავით დაეცა სულიერად. ადამიანები მექანიკურად მოძრაობდნენ და არც თავი ახსოვთ და არც სამშობლო. მთელს საქართველოში უბედურების ზარები რეკდნენ და ქართველები საქართველოს ტოვებდნენ

კ. გამსახურდიას მოგონებიდან:

„- წითელი არმია ტფილისისაკენ დაიძრა, ბოლოს მოაღწია 25 თებერვალმა. მთელი ინტელიგენცია ბათუმისაკენ თან წაყვა უორდანიას მთავრობას. მე დედაჩემი სოფელში გავაგზავნე. იმ დამეს მე და გერონტი ქიქოძემ გვიანამდის ვისეირნეთ რუსთაველის პროსპექტზე“, სტუდენტი გოგონების სადგურში გასაცილებლად წასული, თავადაც ვაგონში აღმოჩნდა. ბათუმში შესვედრილმა გერმანიის ელჩმა რაუშერმა კი შესთავზა: „თუ გნებავთ იტალიის სამხედრო კრეისერზე მოგაწყოთ და ბერლინს წაბრძანდითო“. ბოლო წუთს გადაუფიქრებია წასვლა, კაპიტანს გაოცება ვერ დაუმაღლავს „მე მოსვენებას არ მაძლევდნენ ტფილისელი ლტოლვილები და თქვენ სადღა მიდიხართ მეთქი. ეს ვუთხარი, მადლობა მოვახსენეთ და ნავში ჩაგჯექი“ (ნიშნინიძე 2000 : 41).

კ. გამსახურდიას ვერაფრით წარმოედგინა, თუნდაც უაღრესი ძნელებდობის უამს საქართველოს დატოვება.

კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული ცნობიერების წარმმართველი საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობაა. არავის სულიერ თუ ნივთიერ ფასეულობებზე არ რჩება მას თვალი. მისი სულიერი საყრდენი საქართველოს წარსულში დევს. დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის საქართველოა კ. გამსახურდიას ეროვნული შთაგონების საზრისი. გარდასულ საუკუნეთა გმირების და გმირობის ექოა მისი ცნობიერების ღერძი და ქართული მითოსიდან თანამედროვეობაში შემოჭრილი იდეები თუ არქეტიპები, ერთგვარი თეზისები ხვალინდელი ქართველისა, მომავლის საქართველოს აღმაშენებლისა. მითოსისა და რაინდული საქართველოს შეჯერებით მიღწეული გზაა საქართველოს იდეა, იდეა-ადამიანი, რომელიც მომავლის სიმბოლური გამოსატყულებაა.

კ. გამსახურდიას არა მარტო შემოქმედება - მისი რომანები, ლექსები, ნოველები, თუ მისი პუბლიცისტიკა, არამედ მთელი მისი არსება ეროვნული სულისთქმითაა გაჯერებული.

კ. გამსახურდიას შეგონებით არა მარტო მწერლობა, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგთა ყველა წარმომადგენელი თანამოძმეთა ეროვნული თვითშეგნების გამღვივებელი უნდა იყოს. მეცნიერი თუ ხელოვანი, როგორც თანამედროვეობას, ასევე დიდი სიყვარულით უნდა ეკიდებოდეს ქვეყნის წარსულსაც:

„უდიდესი ბედნიერებაა მეცნიერისათვის წამალგადასულ პალიმფსესტებს განშიფრავდეს, სადავო თარიღებს მტკიცედ დაადგენდეს, წარსულის დიდ ვნებათა გამო მოუთხრობდეს თანამედროვეთ, წარსულის გულთამხილავი იყოს დიდი, თანაც თანადროული (გამსახურდია ტ. VI, 1963 : 323).

ნათელი გონებით აშუქებდეს ბნელ ლაბირინთებს წარსულისას, ასევე თვალგამართულად შესცქეროდეს აღორძინებულ დღევანდელობას და მომავლის მზეს, რადგან ამანა ყოველივე მწიგნობრობა, რომელიც წარსული თანადროულობის სიყვარულით არაა გამთბარი...

... მთლიან ციხედ იქცა საქართველო, მაგრამ თავდაცვისთვის თავგამოდებული ბრძოლის ცეცხლშიაც მან შესძლო მსოფლიო კულტურისათვის მიეცა: მერჩულე და რუსთაველი, ბექა ოპიზარი და გიორგი მთაწმინდელი, ჩვენი შესანიშნავი ხუროთმოძღვრება, თვალისმოძრელი ფერწერა, ბრწყინვალე მემკვიდრეები და მდიდარი ფოლკლორი, დმანისის, ბოლნისის, წულრულაშენის, მცხეთის „ომკის, ატენის, გელათისა და ყინწვისის ამგებნი, შემკობნი და მომხატველნი" - აცხადებდა კ. გამსახურდია და მოტანილი ამონარიდიდან საინტერესოდ იკითხება, თუ რა ეროვნულ მისიას აკისრებდა მწერალი მეცნიერებასა და ხელოვნებას. „მთლიან ციხედ გადაქცეული საქართველო მეცნიერებასა და ხელოვნებაშიც თავის სიტყვას ამბობდა და იმ დიაპაზონით, რომ მსოფლიოსაც აწვდენდა ხმას. და ყოველივე ეს ქართველთა ეროვნული ენერჯის ბუნებრივ მდინარებად აღიქმებოდა. მწერლის აზრი გვიმატებს რწმენას, რომ იგი ყოველგან და ყველაფერში ეროვნული სულისა და ქართველთა ეროვნული თვითმყოფადობის მაძიებელი იყო.

თავი II

ეროვნული ცნობიერებისა და ხასიათის თავისებურებათა

სიმბოლური წარმოსახვა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

ეროვნული აზროვნება, ეროვნული ბუნება და ხასიათი საუკუნეთა უძველეს შრეებს მოიცავს. ეროვნული აზროვნების მოდელი საუკუნეთა სიღრმეში უნდა ვეძიოთ და ამ ძიების სფეროს, უპირველეს ყოვლისა, მითოსური სპექტრი ქმნის. ამასთან ერთად ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები უხვად მოიცავს იმ მახასიათებლებს, რითაც შეიძლება ეროვნული აზროვნება და ერის ხასიათის მაგისტრალური ხაზი გამოვკვეთოთ.

რაც უფრო კარგად იცნობს მწერალი თავისი ხალხის ისტორიას, წვდება მისი უძველესი კულტურის ნიშნებს და მასთან ერთად მსოფლიო ისტორიასა და კულტურის ნიუანსებში ერკვევა, მით მეტად გაიზიარებს ეროვნული აზროვნების

ძირეულ ნიშან-თვისებებს, რაც თავად მწერალსაც დიდად ეხმარება მხატვრული სიტყვის ქარგაში მოაქციოს თავისი ხალხის ეთიკურ და ეთნიკურ თავისებურებათა პრობლემები, ჩაწვდეს ერის ფსიქოლოგიურ სიღრმეთა შრეებს და რაც ყველაზე საინტერესოა, თავადაც შეიცნოს და სხვებსაც დაეხმაროს ერის სულის შეგრძნებაში.

კ. გამსახურდია შემოქმედთა იმ განსაკუთრებულ კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც თავიანთი დიდი ცოდნითა და სიტყვის გამომსახველობითი ძალისხმევით შეუძლიათ გააცოცხლონ ეროვნული პრობლემების უღრმესი შრეები, ჩაწვდნენ ერის კულტურისა და სულიერი სიღრმის უშორეს პლასტებს და უნდა ვთქვათ ისიც, რომ თავისთავად საქართველოს ისტორია, ქართული კულტურის შესანიშნავი ნიმუშები იძლევა იმის შესაძლებლობას, მწერალმა თავისი ფანტაზიით, მხატვრული სინამდვილით კიდევ უფრო მეტად გააფართოვოს და გააღრმავოს ისეც მდიდარი მონაცემები ეროვნული მახასიათებლებისა.

ქართული ფოლკლორი უხვ მასალას იძლევა ეროვნული ცნობიერების სიღრმეების ზიარებისთვის, თავად კონსტანტინე გამსახურდია ზედმიწევნით კარგად მცოდნე ქართული მითოსისა და ზოგადად ქართული ზეპირსიტყვიერებისა, საინტერესოდ წარმოგვიდგენს მათ. ყოველივე ეს მხატვრულიტერატურული ასპექტით წარმოსახული, შესაძლებლობას გვაძლევს გავეცნოთ, მხატვრულ სინამდვილედ გარდაქმნილ ისტორიას.

მითოსი და მითოსური წარმოსახვა თავისთავად განსაზღვრავს მოაზროვნე ერის ცნობიერებისა და ხასიათის თავისებურებებს, მის სიმბოლიკას. რაც უფრო შორეული წარსულიდან იგრძნობა ერის მითოსური წარმოსახვის ელემენტები, იმდენად შორეული საწყისი აქვს მას ერის აზროვნებისა და მისი სულიერი ფორმირების პროცესში. კ. მალინოვსკი ნაშრომით „მითი პირველყოფილ ფსიქოლოგიაში“ ასკენის, რომ „მითი არქაულ საზოგადოებაში, ე.ი. იქ, სადაც იგი ჯერ არ ქცეულა „გადმონაშთად“, ასრულებს წმინდა პრაქტიკულ ფუნქციას, ხელს უწყობს ტრადიციებისა და ტომობრივი კულტურის სიცოცხლისუნარიანობას. პირველყოფილი ადამიანის ფსიქოლოგიაზე თავისი დაკვირვების შედეგად მეცნიერმა დაამტკიცა, რომ მითი აზრის კოდიფიცირებას ახდენს, განამტკიცებს მორალს, ადამიანებს სთავაზობს ქცევის გარკვეულ წესებს“.

მალინოვსკის ამ დასკვნიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მითები, ლეგენდები, თქმულებები თუ ზღაპრები, ეს ხალხთა უძველესი კულტურების სიმბოლოებია, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა თანამედროვე მსოფლიოს ხალხთა განვითარება-ჩამოყალიბებაში. შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ ხელი

შეუწყვეს ხალხთა როგორც წეს-ჩვეულებების ჩამოყალიბებას, ასევე განსაზღვრეს მსოფლიოს ხალხთა აზროვნების დონეც.

კ. გამსახურდიას შემოქმედებაში გახმოვანებული უძველესი ქართული მითები გვიხსნიან ქართველი ხალხის უღრმეს შრეებს და გვარწმუნებს მასში, რომ ეს მითები, ლეგენდები, თქმულებები თუ ზღაპრები განმსაზღვრელია როგორც ქართველთა ეროვნული აზროვნებისა და ზოგადად მსოფლმხედველობისა, ასევე ერის ბუნების და მისი თვითმყოფადი ინდივიდუალური ხასიათისა. არგონავტების მითის საუკუნოვანი შრეები ბოლომდე თანამედროვეობაშიც კი არ არის სათანადოდ გაშიფრული და კოლხი ქალის, მედეას ფენომენის წვდომა, ამ არაჩვეულებრივად განვითარებული და მეცნიერული მიღწევებით გაჯერებულ საუკუნესაც კი არ ძალუძს. არგონავტების თუ სხვა მითების სტრუქტურის გამოკვლევა სრულყოფილად მრავალ საგულისხმო და არსებით პრობლემას წამოჭრის ერის აზროვნებისა განსაზღვრისათვის.

შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ერის აზროვნებისა და ხასიათის თავისებურებათა სიმბოლურ ნიშნებს კ. გამსახურდია საინტერესოდ კითხულობს ქართულ მითოლოგიაში და ამ მითოლოგიურ მოდელს მიზნობრივად იყენებს მხატვრულ აზროვნებაში. სწორედ მითოლოგიურ მოდელში დევს საზრისი ქართული ეროვნული ცნობიერების, ქართველთა ეროვნული შემართებისა, იგრძნობა თავისუფლების და დამოუკიდებლობის პათოსი. ამ პრობლემის ასხნა, რა თქმა უნდა, კ. გამსახურდიას შემოქმედებაზე დაკვირვებით, მისი ანალიზითაა შესაძლებელი. ძირითადად კი კ. გამსახურდიას მხატვრული შემოქმედების მაგისტრალური ხაზი სწორედ ეროვნული აზროვნების. მხატვრულ ასახვაზე გადის. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კ. გამსახურდია ქართული სიტყვის მაგიას, მის მხატვრულ ძალას, სწორედ მითითებულ პრობლემათა წარმოსახვისა და განვითარებისათვის იყენებს, რადგან მან იცის ქართველთა რაინდულ ბუნებასთან ერთად, ქართული სიტყვა, მისი მხატვრული ფენომენი უდიდეს როლს თამაშობდა ერის აზროვნების ფორმირების საქმეში.

აკაკი წერეთელი განადიდებდა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობას ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების განვითარების საქმეში, კ. გამსახურდიას აზრითაც, როგორც „ვეფხისტყაოსანი“, ისე მთელი ქართული მწერლობა, ქართული ფოლკლორი თუ „ქართლის ცხოვრება“ აყალიბებდა ქართველი ერის ცნობიერებას, მის ბუნებას, მის მთელ არსებას.

მითებისა და ლეგენდების აუცილებლობის, მათი ფუნქციის შესახებ კ. გამსახურდია საინტერესო აზრს გამოთქვამს წერილში „ტრადიციის წარმოშობა

მისტიკის სულიდან" „რა ღარიბი იქნებოდა ჩვენი ფანტაზიის პარნასი, რა ცარიელი იქნებოდა ჩვენი ადამიანური ხსოვნა, რომ მას ამ მითის, ამ ლეგენდის დამახსოვრების უნარი არა ჰქონოდა... ცარიელი იქნებოდა ჩვენი ფანტაზია, რომ ჩვენ ნიცშესავე სიტყვებით „თაყვანისმცემელი ცხოველები“ არ ვიყოთ... რომ ჩვენ არ გვეყოს წარმოდგენისა და პიეტეტის ძალა ამ მითის, ამ ლეგენდის დასაჯერებელი („ტრადედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან“, კ. გამსახურდია, ტ. VII, 1983 წ.) სწორედ მწერლის ამ აზრის გახმოვანებაა მთელი მისი შემოქმედება.

კ. გამსახურდიას რომელი ნაწარმოებიც არ უნდა ავიღოთ, მასში ფართო რაკურსით იხსნება მითოსური სიმბოლოების მხატვრული სახეები. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა წმინდა გიორგის სახე. წმ. გიორგი საუკუნეების განმავლობაში ქართველთა ეროვნულ სულს კვებავდა. მისი არქეტიპული მოდელი განსაზღვრავდა ერის სულიერ მოდელს, მის რაინდობასა და სიმამაცეს.

„წმინდა გიორგის იკონოგრაფია გვაძლევს გასაღებს მისი კულტის გენეზისისათვის. როგორც აღინიშნა - ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი, რომელიც გმირავს დრაკონს, იკონოგრაფიაში უპირატესად გვხვდება XII საუკუნიდან, ხოლო უფრო ადრინდელ ხატებზე იგი უფრო ხშირად გამოსახულია, როგორც უბრალოდ, შეჭურვილი რაინდი, ან მხედარი - დიოკლეტიანეზე გამარჯვებული, თუმცა ადრეული იკონოგრაფიისათვისაც არ არის უცხო ცხენოსანი წმინდა გიორგი. წმ. გიორგის არქეტიპი და ინსპირატორი მიქაელ მთავარანგელოზი, ბიბლიის მიხედვით არის არხისტრატეგოსი ღვთის ზეციური მხედრობისა (ისტორიული წმინდა გიორგიც მხედართმთავარია მეფისა), მიქაელი ჰკლავს და ამარცხებს კოსმიურ დრაკონს, ხატებზე და ფრესკებზე იგი გამოსახულია გველზე შემდგარი, მახვილით ხელში.

რაინდობა იყო უმაღლესი ფორმა სულიერი პედაგოგიისა, რომელიც იწვევდა გარდაქმნას ბუნებრივი (უცხენო) ადამიანისას სულიერ ადამიანად (მხედრად) რომლის მითიური არქეტიპები იყვნენ წმ. მიქაელი, წმ. გიორგი, სანტიაგო დე კომპოსტელი და სხვანი" (გამსახურდია ზ. 1991 : 162-165).

ქართველი ერი წმ. გიორგის ყველაზე მეტ თაყვანს სცემს. არცერთი წმინდანის სახელზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმ. გიორგის სახელზეა აგებული.

ვახუშტის აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში „არ არიან ბორცუნი და მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი ეკლესიანნი წმიდის გიორგისანი" (ჯავახიშვილი 1991 : 131).

ქართულ წარმართულ პანთეონში მზე მდედრობითი სქესის ღვთაებაა, მთვარე - მამრობითის. მთვარის კულტის ადგილი წმინდა გიორგიმ დაიკავა. ორშაბათს ძველ ქართულ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ კალენდარში მთვარის დღე ეწოდება. მას საკრალური მნიშვნელობა აკისრია. მთვარის დღე უქმეა და ამიტომ თაყვანს სცემენ მთვარის დღეს.

სავარსამიძის, ტაია შელიას, ხარბედიების მფარველია სუჯუნის წმინდა გიორგი.

მთვარის დღეს თაყვანს სცემენ კაც ზვამბაია, თარაში, ძიძა მისი - ხათუნა, გვანჯ აფაქიძე, ანტონ ქუთათელი, გიორგი, მახარა, ლიპარიტ ორბელიანი.

სავარსამიძე ტაია შელიას გაზრდილია, მას სჯერა წმინდა გიორგის ძალმოსილებისა და თაყვანს სცემს მას.

ილორის წმ. გიორგის ხატს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა ადგილების ხატთა შორის. ილორის ეკლესიაში ვერცხლით მოჭედილი ხატი აღწერილი აქვს გრაფ უვაროვის ასულის საარქეოლოგიო კომისიას. ხატთან ერთად ინახებოდა ვერცხლით მოჭედილი სატევარი ლაზური ხელოვნებისა რომელიც შემოუწირავს ერთ მდიდარ ლაზს.

მეგრელთა რწმენით, წმ. გიორგის თავის დღეობაზე ნოემბრის 10-ს, ყოველ წელიწადს მოჰყავდა ხოლმე თითო თეთრი ხარი, ძალზე გასუქებული. დღეობის წინა დამეს, დამის სათევად მოსული მლოცველები რომ დაიძინებდნენ წმ. გიორგი თურმე ეკლესიის გაღვანში შემოიყვანდა ხარს და გაუშვებდა. მეორე დილას ყველანი დაინახავდნენ მშვიდად მდგარ რქებიან ხარს, რომელსაც ნაწირავენ დაჰკლავდნენ და პატარ-პატარა ნაჭრებს დაურიგებდნენ მლოცველებს.

სწორედ ეს ამბავი უამბეს მაჰმადიან ლაზს. იმან შორს დაიჭირა, რომ არ მოეშვნენ - ირწმუნე ჩენი სარწმუნოებაო, ლაზმა უთხრა: ქრისტიანობას ვირწმუნებ, თუ ოსმალეთში, ჩემს სახლში საუკეთესო ხარი რომ მყავს, თქვენი წმ. გიორგი თავის დღეობაში მართლა ილორში მოიყვანს და მე თვითონ შემეძლება მისი დანახვაო. მაშინ წმინდა გიორგის ვიწამებ და თქვენ რჯულზე მოვინათლებიო, კარგი, - უთხრეს მეგრელებმა. ლაზი გულში იცინოდა, ხოლო მეგრელები წმინდა გიორგის სთხოვდნენ, გამოეჩინა თავისი ძალა და უცხო კაცის წინაშე მის თანამომეტ სირცხვილი არ ეჭამნათ.

წმინდა გიორგიმ, თუ ილორელებს დაუჯერებთ, ღამით მოიყვანა ლაზის სახლში დაბმული ხარი. მეორე დღეს ყველამ და მათათნ ერთად ლაზმა დაინახეს ეკლესიის გაღვანის ეზოში მდგარი ხარი.¹⁶

ხარის დაკავშირება წმ. გიორგის კულტთან გვხვდება კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“.

„ხატმა იწყინა ალბათ

„რას ამბობ დედაკაცო, რისთვის გაუწყებოდა ხატი ანგელოზს?“

„ჩვენ ჩვენი ვალი უნდა მოვიხადოთ. ჯორა უნდა შემოვავლოთ“.

„... მორღუმ სამჯერ შემოატარა მოზვერი ჩემი ლოგინის გარშემო. რაღაცეებს ბუტბუტებდა. მალ-მალე ახსენებდა წმინდა გიორგის. ძიძამ შავტარიანი დანა მოუტანა. მორღუმ კარის ზღურბლამდის მიიყვანა მოზვერი. ცალი ყურის წვერი უღმობლად წაათალა. გადააგდო.“

წამოვხტი ლოგინიდან., შემეცოდა ჯორა და ვიტირე. ძიძა მანუგეშებდა:

„ნუ სტირი, სქანსანთელო, შენ შემოგავლეთ თავზე ჯორა, წმინდა გიორგი სუჯუნა შეიწირავს შენს მაგივრად“.

„მთვარის მოტაცების“ პერსონაჟები: კაც, თამარი, თარაში, ლუკაია, გვანჯ აფაქიძე და სხვები ილორის წმინდა გიორგის უკავშირდებიან.

„ჰეი ვარა, შენხელა, რომ ვიყავი, სათოფე მანძილზე წინ მიუშვებდი ენგურში ცხენს, მსარულით გადმოვენტებოდი უკან, ძუაზე ხელს მოვავლებდი და კისერზე აბგაგადაგდებული მივსდევდი უკან“.

„მერე აპრილში დადრა?“

„სწორედ აპრილში რიცჰა“

„აპრილში დაამსხვრიე ის ვახმისტარი დადრა?“

„დიახ აპრილში, აპრილი ბედნიერი თვეა ჩემს ცხოვრებაში“ (I. 24).

კაც ზვამბაიას საყვარელი თვეა აპრილი, გიორგობისთვე და საერთოდ „მთვარის მოტაცება“-ში მოქმედება აპრილში იწყება და აპრილში მთავრდება.

„მთვარის მოტაცება“ იმასაც ნიშნავს, წერს სოსო სიგუა, რომ ენგურმა (ერთის მხრივ რევილუცია, მეორეს მხრივ აქეროტი) ჩანთქა მთვარე - წმ. გიორგი, ე.ი. ემხვარმა დაკარგა დამოუკიდებელი საქართველო, წარმართულ-ქრისტიანული წარმოდგენებით აღსავსე სიცოცხლის მთავარი მიზანი.

თარაშისა და არზაყანის ბავშვობა მითოსის სუნთქვითაა გაჯერებული.

„თარაში და არზაყანი მთელი დღე ფეხშიშველა დატოპავენ თხრილებსა და ჭაობებში, კიბოების დარანებს მიაგნებენ, ღორჯოებს იჭერენ ლოდებს ქვეშ, გველებს და ხვლიკებს ქვით უსრესენ თავს და ესენი გველები როდია, არამედ უშველებელი ურჩხულები, ხოლო ერთსაც და მეორესაც ურჩხულების მმუსრველ წმინდა გიორგიდ მოაქვთ თავი.“

„ნან, ეხვეწება თარაში ძიძას:

„რამხელაა ილორის წმინდა გიორგის ზარა?

„რომელი ზარა?“

„დიდი ზარა“

ძიძა ხელს აჩვენებს:

„ამხელა!“

„არა, ამხელა“

„მაინც?“

„წისკვილის გელაზის ოდენა“

„ნან შეევედრება თარაში ძიძას“

„წმინდა გიორგი რაფერ ცხენზე ზის?“

„თეთრზე, სქან სანთელო, სულ თეთრ ცხენზე!“

„ნან, კიდევ შეევედრება თარაში ძიძას: გიორგობას დადია რატომ დაჰკეტავს ილორის ჭიშკარს?“

„დადია ჭიშკარს დაჰკეტავს, რომ ეზოში არავინ შეუშვან, ვიდრემდის წმინდა გიორგი არ მოვა და სამსხვერპლო ხარს არ მოიყვანს“.

„მერმე, მერმე?“

„მერმე, დავენაცვლე იმის მადლს, წმინდა გიორგი მოიყვანს ხარს“.

„მერმე?“

„მერმე დადია მოვა მეორე დღეს. ეკლესიას გახსნის და მსხვერპლს დაუკლავს ილორის წმინდა გიორგის“.

„ნან, ილორში მართლა თუ არის წმინდა გიორგის მშვილდი?“

„როგორ არა, შვილო, მე მინახავს“

„მორდუსაც უნახავს?“

„ყელას უნახავს?“

„ნან, ვის ესროლა ბოძალი წმინდა გიორგიმ?“

„ვეშაპს ესროლა, სქან სანთელო“,

„მერმე მოჰკლა, ნან?“

„მოჰკლა, აბა რას იზამდა“. („მოვარის მოტაცება“, 81-82).

ლუკაია ლაბახუა შვიდ წელს ილორის მნათე იყო. გიორგობის დღეს ტაძრის კარებთან დაემხობოდა, დიდი და მცირე გადაჯეგავდა და შიგ ასე შედიოდა. იგი შეწირული იყო ილორის თეთრი გიორგისადმი.

ლომკაც ესვანჯიასაც ილორის ტაძარში ამწყვდევდნენ.

სუჯუნის წმინდა გიორგის ქადაგია მოხუცი კოხტა თელია. გიორგობის წინა დამეს ეკლესიაში დაამწყვდევდნენ, რათა მეორე დღეს ქვეყნის მომავალი

გაეცხადებინა კოხტას ენაარეულმა, ქაჯურმა ბოდვამ პატარა კონსტანტინეს სული შეარყია და „თუთაში“ დაემართა. სუჯუნის წმინდა გიორგის ამიტომ შესწირა ტაია შელიამ კონსტანტინეს საყვარელი მოზვერი, ე.ი. ბავშვის მაგივრად თეთრტაიჭოსანმა მხედარმა საქონლის სისხლი მიიღო.

სვეტიცხოვლის კურთხევის დღეს მელქისედეკ კათალიკოსმა აურაცხელ ხატებს შორის გამოარჩია წმინდა გიორგის ხატი ქართველი ოქრომქანდაკებლის მიერ შესრულებული და შეჰღაღადა - „განკურნეო დიდოსტატი არსაკიძე“.

ნოველა „ტაბუ“-ს შესახებ ზ. გამსახურდია წერდა, რომ მასში აღწერილია წმ. გიორგის ტრიუმფი ბოლშევიზმზე. ხახუ ხარბედია გიორგობის წინა ღამეს საყდარში ჩაკეტეს, წმინდანი გამოეცხადა და დაარიგა. უფლის ნება მან მეორე დღეს ხალხს აუწყა.

„ყველა მოუთმენლად ელოდა 23 აპრილს. მოაწია გიორგობამ. აიყვანეს სოფელში დარჩენილები, საქონელი სუჯუნს წაასხეს. სულზე ცხრა ხარი დაიკლა იმ ღამეს, უმაგალითო ღამისთევა გაუმართეს წმინდანს.“

ხახუ ხარბედია ჩაჰკეტეს საღამოს საყდარში და, ვენაცვალე მის ძაღას და მადლს, წმინდანი გამოეცხადა და დაარიგა. მეორე დღეს ქადაგად დავარდა ხახუ ხარბედია და აუწყა ნაჭყვედელებს წმინდანის ნება. მლოცველები ნაჭყვედში დაბრუნდნენ. ხელფეხი შეუკრეს ხვარამზეს და მორევში გადაადგეს. წყალმა არ მიიღო ეშმაკის თანაზიარი. ხვარამზე სამგზის დადადეს. დაანგრეს ხვარამზეს სახლი. ბალავერში მორგვის ოდენა შავი მორიელი იპოვნეს.

სუჯუნის გიორგის ბოძალზე ააგეს მორიელი და ეკლესიის ცაცხვზე ლურსმანით მიაჭედეს სამგზის.

და წარსთქვა, ლოცვა ხახუ ხარბედიამ ქადაგმა, ბრძენმა:

„სახელითა მამისათა და ძისათა,

და სულითა წმინდისათა

მონახვენო დედიანო, მონახვენო ძმიანო, მონახვენო შვილიანო...

ხიდან ჩამოგარდნილი ხარ?

ფურცლიდან ანაყოლი ხარ?

რა ხარ? რა მოვანი ხარ?

ჩაგაგდებ ცეცხლსა რვალისასა: გაგაქარვებ თვალსა წამისასა დაგჭრი ალითა: მალითა: სუჯუნის ხელბოძალითა.

გამიშვი და გაგიშვებ: გამიშვი და გაგიშვებ: შენ: გეპყრას: და შენ: გეპაროს: შენ: შეგეპყრას: და შენ: გეკავოს: მრისხანე ბატონო საუჯუნისაო" (გამსახურდია ტ. I, 1992 : 124,125).

გურამ კანკავამ „ტაბუს“ „მითოსური რეალიზმის“ ნოველა უწოდა. „ტაბუ პირველად სწორად წაიკითხა ზვიად გამსახურდიამ. მისი აზრით, ნოველაში აღწერილია წმინდა გიორგის ტრიუმფი ბოლშევიზმზე, რომელიც სიმბოლიზებულია წითური ეშმაკისა, და ქალბიჭა აკუმის, ხვარამზეს მიერ შობილი მორიელით. წითურმა ეშმაკმა ჯერ ურთიერთს მიუსია მარგალები და აფსუები, ხოლო შემდეგ თავის მიერ შობილ მორიელს დააგესლინა და ამოაწყვეტინა. განა არ არის ეს კონკრეტული წინასწარმეტყველება მომავლისა?"

დავით თევზაძე წერს: „ტაბუში მხატვრულად ასახულია - ქართველ-აფხაზთა ტრაგიკული ბედი, ჩვენი ისტორია, ჩვენივე (აფხაზთა და ქართველთა) წინდაუხედაობა.

„ტაბუ“ მრავალ განზომილებაში იკითხება (სოციალური, რელიგიური, როგორც ეს შენიშნეს გ. კანკავამ და ს. სიგუამ), მაგრამ მისი მთავარი თემა აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთობის საკითხია.

დ. თევზაძე დეტალურად განიხილავს მეტაფორულ, სიმბოლურ-ალეგორიული სახეებსა და მინიშნებებს:

1. „ნათურქალის ტყეში მოსული ვიღაც შაფხოხიანი წითური კაცი გამოსატავს პროპაგანდისტის სახეს, მწერალი არ აკონკრეტებს მის ვინაობას, „ვიღაც თითქოს მიწიდან ამოძვრაო“ („წითური კაცი ჩვენს გვარში არ ურევია“ - ამტკიცებს ხარბედია, ე.ი. სოფელში მოსული უცხოა), ამგვარად, მისი შაფხოხიანობა ეროვნულობაზე არ მიგვანიშნებს: იგი განზოგადებული სახეა. ფერად „შავი“ (ჩოხა) კი აღიქმება უბედურების მომასწავლებლად. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ შაფხოხიანმა შავი „ჩოხის კალთები შავ დროშასავით ააფრიალა“ ე.ი. იზეიმა გამარჯვებამ

2. წითელი ფერი („წითური კაცი“, „წითელი ჩაბალახი“, წითელი ჩაბალახით თავგახვეული“) მიგვნიშნებს არა მხოლოდ ნავსს, არამედ სისხლის ღვრას, წითელ რუსეთს, წითელ არმიასა და წითელ დროშას.

„წითელი კაცი“ სოფელმა შეიცნო, იგი სატანა, ავი სული, ცბიერი, გაწვრთნილი იდეოლოგი - პროპაგანდისტია...

3. „ხვარამზე იცნეს“ ე.ი. ადგილობრივია, მდებარი (უნდა აღვიქვათ, როგორც ნიადაგი).

4. წითური კაცისაგან ხვარამზეს დაორსულება იკითხება, როგორც ახალი იდეოლოგიის დამკვიდრება საქართველოში.

5. შავი მორიელის დაბადება (ხვარამზესა და სატანის პირმშო). „ბურღივით დაღვარჩნილ ფეხებიანი მორგვისოდენა" სახე - სიმბოლოა ბოროტის, მკვლელის, სიბნელის.

ამგვარად „წითური ეშმა" აღვივებს ეთნიკურ ომს (მარგალები - ქართველები, აბსუები - აფხაზები);

„ტაბუ" თავისი შინაარსით ტრაგედიაა, მაგრამ ქართველთა რელიგიური რწმენა იხსნის სოფელს (გიორგობა დამეს ეკლესიაში ჩავედი. ხახუ ხარბედიას წმინდანმა ჩააგონა უბედურების მიზეზი: სოფელმაც „ეშმაკის თანაზიარი" ხვარამზე „სამგზის დადალა; დაანგრია ხვარამზეს სახლი; ბალავერში მორგვის ოდენა შავი მორიელი იპოვა).

სუჯუნის გიორგის ბოძალზე ააგეს მორიელი და ეკლესიის ცაცხვზე ღურსმანით მიაჭედეს სამგზის.

ასეთია დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას კონცეფცია ერთ-ერთ ქართულ სოფელში აფხაზთა და ქართველთა შორის ატეხილ ომზე, რაშიც უცხოს ადანაშაულებს.

ზ. გამსახურდიას აზრით, „წითელი ეშმა", რომელმაც ურთიერთს მიუსია მარგალები და აფსუები „ბოლშევიზმის სატანაა", ე.ი. მის სადაურობას ან ეროვნულობას მნიშვნელობა არა აქვს: იგი შეიძლება იყოს კავკასიელიც, რუსიც" (თეფზაძე 1996 : 32).

ამრიგად, წმ. გიორგი გახლავთ სახე განმანთავისუფლებელი გმირისა, ბოროტების დამთრგუნველი ნათლის რაინდისა. იგი გახლდათ ქართველთათვის იდეალი და მისაბაძი მაგალითი. ამ ასპექტში ხატავს კ. გამსახურდია წმ. გიორგის სახეს თავის შემოქმედებაში, და როგორც უკვე მივუთითეთ, საუკუნეთა განმავლობაში სწორედ წმინდა გიორგი იყო ქართველთა სულიერი სრულყოფისათვის იდეალი. თითქოს მის თარგზე იჭრებოდა ქართული რაინდობის სული და მათი ბრძოლისუნარიანობაცა და ამტანობაც წმ. გიორგის სახე-ხატით იყო შთაგონებული.

მითოსურ ასპექტში შეიძლება განვიხილოთ თარაშ ემხვარის სახე, ქართულ კულტურასა და საქართველოს წარსულზე უზომოდ შეყვარებული, საქართველოს მომავალზე მეოცნებე გმირის, რომელიც ყოველთვის მზად არის სამშობლოსთვის თავგასაწირად.

ნაწარმოების სხვა პერსონაჟებიც გრძნობენ თარაშის განუზომელ სიყვარულს საქართველოს კულტურისა და მისი წარსულისადმი.

„სჩანს ძლიერ ჰყვარებია თავისი გრძელი ნაწნავები, ფიქრობდა არზაყანი: რამდენჯერაც არ სთხოვა არზაყანმა, თამარმა ყური არ ათხოვა, ბიჭურად არ შეიკრიჭა თავი. თარაშ ემხვარს მოსწონს ალბათ, რადგანაც თარაშ ემხვარს ყველაფერი მოსწონს, რაც ატავიზმის და ტრადიციების წიაღიდან გამოდის" („მთვარის მოტაცება“, 31). ფიქრობს, არზაყანი და არ სცდება, სწორედ ამით განსხვავდებიან ეს ძუძუმტეები ერთმანეთისაგან, რომ ერთის სიზმარი, ფიქრი და ოცნება საქართველოს რაინდული წარსული და მომავალია, ხოლო მეორე, რადგანაც თვალს ვერ უსწორებს ისტორიის სიდრმეებს, სოციალისტური საქართველოს მომავალსაც სჯერდება, იმის გამო, რომ მისი ოცნება და ფიქრი ამის იქით ვერ მიდის.

ნაწარმოების დასაწყისიდანვე ცნაურდება მწერლის რუდუნება წარსული თქმულებებისა და ლეგენდებისადმი, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ლეგენდებსა და თქმულებებში ახმოვანებული ეროვნული ცნობიერება, ეროვნული ჩვევები ათასგზის აღემატება თანამედროვეობას თავისი სიღრმითა და შინაარსით.

საინტერესოა მოხუცი მებორნის მიერ ნაამბობი:

„შარშან აქ ვიღაც ცხენოსნებმა გამოიარეს, ისინიც მარულაზე მიდიოდნენ. ერთი ამბავი დააგდეს ამ ციხის გამო ნათქვამი, რუხის ციხესთან ომი ყოფილა ოდესღაც. გაღმა ქართველები მდგარან, გამოღმა აფხაზები და თათრები. დიდხანს უტრიალეს თურმე ქართველებმა რუხის ციხეს, მერმე გალაუნურ ბრძოლაზე გადასულან. ქართველებს ვინმე ჩოლოყაშვილი გამოუშვიათ, აფხაზებს ვიღაც ემხვარი. ჩოლოყაშვილი ჭადარა კაცი ყოფილა, ემხვარი უწვერული ჭაბუკი და სწორედ აქ, სადაც ჩვენი ბორანია, შეხვდნენ ერთმანეთს თურმე ჩოლოყაშვილი და ემხვარი.

„ემხვარი ეკვეთა პირველი და ხმლის ამოღება მოასწრო.

„რას უცდი, ჭაბუკო? - შესძახა ჩოლოყაშვილმა

„უფროსისაგან პირველ მოქნევას ველიო“.

გადახვევიან ერთურთს ორივენი, იმ დღიდან დამეგობრებულან“.

„ძველ დროში“, ჩააგდო სიტყვა კაც ზვამბაიამ, მტრებს შორისაც მეტი თავაზი იყო" („მთვარის მოტაცება“, 37).

მწერალს იმიტომ სურს ამ თქმულების მხატვრული გახმოვანება, რომ დაგვანახოს ერის ზნეობრივი სახე წარსულში. უფროს-უმცროსობის ეტიკეტის დაცვა, რომ ისეთი საბედისწერო წუთის დროსაც, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა შეერკინონ მებრძოლები ერთმანეთს, აუცილებელია

ადამიანურ ღირსებათა წარმოჩენა. იმის რწმენა, რომ სიკვდილის შემდეგაც თუნდაც ღირსეულად მოგონება ადამიანისა, მისი საამქვეყნო ყოფაა.

მწერალს ნაწარმოებში საგანგებოდ შემოჰყავს კაროლინა, რომ მკვეთრად დაგვანახოს, ჯერ კიდევ როგორ სულდგმულობს ერში ძველი ტრადიციები და ჩვეულებები. უცხო თვალისათვის ადვილად შესამჩნევია ის ეროვნული თავისებურებანი, რაც ქართველთა ეროვნულ ცნობიერებას წარმართავს. უცხოელი კაროლინასათვის მეტად განსხვავებულია ქართველთა ზნე-ჩვეულებანი. ის არ მალავს თავის გაკვირვებას:

„იცით ჰერ? – წასწურულა კაროლინამ თარაშ ემხვარს, ხუთი წელია რაც მე აფხაზების რძალი ვარ და ხუთას წელსაც რომ ვიცოცხლო, თქვენს ჩვეულებებს ვერასოდეს შევეგუები. არსად ამდენი სტურმები არ იციან, როგორც თქვენში, არსად ამდენ დროს არ ანდომებენ ჭამას და ლაპარაკს. ალბათ უდიდესი ენერგია ლაპარაკსა და ჭამაში გეხარჯებათ, ყველაფერზე უფრო ის მაოცებს, თქვენ ყველანი სახით, ტიპით, ქესტიკულაციით, ხმით და ჩვევებით ერთმანეთს რომ ჰგავხართ ასე ზედმიწევნით. აიღეთ თუნდაც ამ სუფრის მენახენი...

„პატივცემულო ფრაუ, - ეუბნებოდა თარაშ, - ჩვენი სიძლიერე სწორედ ისაა, რომ თქვენ ჯერ კიდევ ერთგვარნი გეჩვენებით. მე ვამაყობ, რომ ჩვენი ხალხი დღესაც მისდევს იმ ჩვეულებებს, რომელნიც მემუარებში შეტანილი აქვთ ძველ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებსა და მოგზაურებს.

გახსოვდეთ: ვინც გამოცვლილა, იგი გადაგვარებულია კიდევაც" („მოვარის მოტაცება“, 74).

ამ დიალოგიდან ირკვევა, რომ ქართველებს ჯერ კიდევ შემორჩენიათ საუკუნოვანი ტრადიციები და ჩვეულებები, ზოგადად, ეროვნული აზროვნება. საყურადღებოა თარაშ ემხვარის შენიშვნაც. „ვინც გამოცვლილა იგი გადაგვარებულია კიდევაც, როგორც პერსონაჟის, ისე მწერლის აზრითაც ქართველთა სიძლიერე და გამძლეობა სწორედ მის უცვლელობაში, მის ეროვნულ აზროვნებასა, ტრადიციებსა და ჩვეულებებშია განფენილი.

არა თუ სამშობლოში ინარჩუნებენ ქართველები თავის სახეს, უცხო ქვეყნებშიც, თავისთავადნი და სხვათაგან განსხვავებულნი რჩებიან. ამ მხრივ საინტერესოა თარაშის მამის ჯამსუდ ემხვარის პორტრეტი, მისი ჩვეულებები, რომელიც ანაქრონიზმია საზღვარგარეთული ყოფის მოდელისათვის: „რუსული გალოშები არ გაიხადა. ბერლინური საშინელი წვიმები ისედაც გულს უკლავდა. მაჯაგანით გაახდევინა თარაშმა ჩოხა.

ევროპული კოსტიუმი რომ ჩაიცვა, ასე მგონია კაბა მაცვიაო, ქოლგას ვერ შეეგუა, მღვდელი ხომ არა ვარო. თავის თეთრ ჩაბალახს ვედარ შეეღია.

ახლა ჩაბალახის გამო აუტყდა ქუჩის ბრბო. ვერავის გაეგო რად ეკიდა ბერიკაცს კისერზე ეს თეთრი შალის ნაჭერი...

ერთ სასტუმროში გვიანამდის დარჩა. ჩაცმისას ჩაბალახი ხელიდან გაუვარდა ნაღვინეგს. მიეჭრა ვიღაც თავხელი ამერიკელი, დაინტერესებულმა ხელი წაავლო ჩაბალახს და რაკი შეიტყო ბერიკაცმა ინგლისური არ იცოდა, ჯერ ლოყაზე გაისვა ჩაბალახის ტოტი, მერე ხელზე, ჯამსული სდუმდა, ახლა თავის ყავისფერ ბოტფორზე წაისვა, მუნჯურად ეკითხებოდა, პირის საწმენდად გინდა, ხელისა თუ ფეხსაცმლისაო, მაშინ გაუშალა და ისეთი სილა აჭამა ჯამსულ ემხვარმა იმ გათავხედებულ ამერიკელს, რომ სამი ხელოვნური კბილი ჩაულეწა" („მთვარის მოტაცება“, 91).

ამ მონაკვეთში საინტერესოდ დაიხატა ჯამსულ ემხვარის პორტრეტი, მისი ინდივიდუალური ბუნება. ნათელი გახდა, რომ მსგავსი ადამიანების სახეცვლილება ძნელია, რამდენადაც ყოველივე ის, რაც მათ ბუნებაში ბავშვობიდანვე გამჯდარა, ისე ღრმა შრეებსაა შენივთებული სულში, მისი აღმოფხვრა შეუძლებელია.

რადგანაც ჯამსულ ემხვარის მხატვრულ სახეზე გავამახვილეთ ყურადღება, შეუძლებელია მთლიანად არ წარმოვიდგინოთ საყრდენმორღვეული პიროვნების ტრაგედიის სახით მისი არსება. თუმცა ერთიც უნდა ვთქვათ, ჯამსულის ტრაგედია მისივე ბუნებიდან, მისივე მტკიცე ხასიათებიდან და ჩვეულებებიდან მომდინარეობს, რაც ისე მკვდრი და აუცილებელია მისი პიროვნებისათვის. გარდაქმნა და გადასხვაფერება ჯამსულისა არ ხერხდება. და არც არის სასურველი და შესაბამისი მისი მთლიანი მხატვრული პორტრეტისა და მსგავსი ბუნების ადამიანებისათვის.

„მაინც როგორი საოცარი ბედი ჰქონდა ჯამსულრ ემხვარს, საითაც არ უნდა წასულიყო, სწორედ ასეთ „აკრძალულ“ კარებს მიაღებოდა.

მუდამ მუავე და პილპილიანი საჭმელების მონატრული იყო.

დაიხუთა ბერიკაცი ციკლოპიურ ქვის შენობებში, მუდამ მწვანეზე ოცნებობდა და შიშველი მიწის სუნი ენატრებოდა. ამიტომაც პარკებსა და სკვერებში განუკითხავად გადადიოდა მწვანე გაზონებზე, ხან მოტოციკლების და ველოსიპედების მოტვლეპილ ბილიკებზე, ხანაც ფხვიერ საცხენო შარებზე სიარულს არჩევდა. ამიტომაც მუდამ აჯარიმებდნენ, იჭერდნენ და ლანძღავდნენ" („მთვარის მოტაცება“, 92). და ყოველივე ეს ხდებოდა იმის გამო, რომ ჯამსული

თავისი ერის ნამდვილი შვილია, მტკიცე დამცველი თავისი ეროვნული უნებისა, რა თქმა უნდა, სწორედ ამ სიმტკიცემ მიიყვანა იგი სამარის პირას, მაგრამ მისი სხვაგვარი ყოფნა წარმოუდგენელი იყო და ალბათ არც თავად ისურვებდა სახეცვლილ სიცოცხლეს.

თუმცა იმდროინდელ ყოფაში ხშირად ხდებოდა ადამიანთა სახეცვლილება. მრავალთაგან მრავალი სიცოცხლის შესანარჩუნებლად ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდა დროის წინაშე და ამის ნათელი მაგალითებიც გვხვდება უმთავრესად, ეპიზოდურ პერსონაჟებს შორს. მაგალითად მღვდელი - სევასტი ლაკერბაია, მან „ანაფორა გაიხადაო და ახლა ასე ამბობსო, ოცდახუთი წელი ღვთის ქებით თავს ირჩენდაო და აწი თავისი სიბერე ღვთის გამოებით უნდა გაათრიოს" („მთვარის მოტაცება“, 94) თუნდაც ანუსია მონაზონმა რომ აბორტი გაიკეთა. „ყველაზე საინტერესო სახე ნაწარმოებში შემგუებლობისა - შარდინ აღშიბაია და ჯოკიაა. ამ მედროვეთა პორტრეტებს მწერალი თავგების შემგუებლობის უნარს ადარებს. თუმცა ჩვენ ამჟამად ამ პრობლემებისაგან შორსა ვართ, მხოლოდ ჯამსუდის სახესთან მათი კონტრასტულობის გამო მოვიგონეთ მათი უჯიშობა და უნიადაგობა.

ჩვენთვის ამჟამად უმნიშვნელოვანესია სიმტკიცე და შეუვალობა ქართველთა ზნე-ჩვეულებებისა, მათი ეროვნული ცნობიერებისა, რაც ასე საინტერესოდ აისახება როგორც ზოგადად ქართული ცხოვრების სინამდვილეში, ისე ცალკეულ პერსონაჟთა ინდივიდუალურ მახასიათებლებში. რომანში გამოწველილგითაა ასახული ქართული ზნე-ჩვეულებანი, ამ ჩვეულებათა განმტკიცება მოზარდთა სულში. მათი წაშლა, მათი აღმოფხვრა არავითარ ძალას არ ძალუძს. საინტერესოა, თარაშის გამზრდელის, კაც ზვამბაიას, სახე. იგი ნამდვილი დიდაქტიკოსია, ეროვნულ ძირებზე ამოზრდილი და ჩამოყალიბებული.

„კაც ზვამბაია ასწავლის ბაღლებს უბელო ცხენებით ჯირითს, ხანჯლის ხმარებას, ლეკურის მოქნევას, გაჭენებულ ცხენიდან გადმოსტომას და ისევ ზედმოქცევას, ისინდის თამაშს.

ამოიღებს სატევარს კაც, უჩვენებს თარაშს და არზაყანს ცალკერძად გალესილს:

„გახსოვდეთ, სატევარი არასოდეს პირდაპირ არ უნდა აძგეროთ მტერს. ეს სალახანებმა იციან, ასეა, სატევარს მარჯვედ უნდა წაავლო ვადაში ხელი, ზევიდან მოუქნიო და ჩამოსთალო.“

უკვე ჯარობაში - ოსხაპუეში გამოდიან ბიჭები, განსაკუთრებით თარაშს უყვარს ოსხაპუე, იქ ხინტიკირიას თამაშობენ ახლად მოჩიტული სოფლის

ტოლბიჭები" („მთვარის მოტაცება“, 100). და არა მხოლოდ პირდაპირი გზით ხდება ყმაწვილების ეროვნული სულის წრთობა - ყველა დღესასწაული, ახალი წელი, მირსობა და სხვა მრავალთან დაკავშირებული ტრადიციული რიტუალები ავსებენ წარმოსახვის სფეროებს. თანაც ყოველივე ეს დღითი დღე და წლებით ისე ჯდება ცნობიერებაში, მათ გარეშე არსებობა შეუძლებლად მიაჩნიათ ადამიანებს.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ ძველდება და ახალი თაობები ივიწყებენ ან იბრძვიან დრომოჭმული ადათ-წესებსა და ჩვეულებებს, მაგრამ არის ასევე ბევრი რამ, რომელთა აღმოფხვრა შეუძლებელია და თარაშ ემხვარის ცნობიერებაში - ბაღდობისდროინდელი გასართობ-შემეცნებითი თამაშები, რიტუალები და ჩვეულებები ისეა ფესვგადგმული, ევროპაში სწავლა-განთლება მიღებულს, იქ წლებით ნაცხოვრებსა და სრულიად ნაზიარებს განსხვავებულ კულტურასთან, მაინც ენატრება ბავშვობა, საქართველო, გარდასულ ხანაში ნაგრძობ-განცდილი. თავისთავად ცხადია, რომ თავად თარაშის სულის შრეები გაჯერებულია ყოველივე იმ ეროვნული სახე-ხატებით, რომელიც ასე ინდივიდუალურსა და გამორჩეულ საპექტს ჰქმნის მის პიროვნებაში.

თარაშთან ერთად იზრდებოდა არზაყანი, მითუმეტეს ორივეს აღმზრდელი არზაყანის მამა - კაც ზვამბაია იყო. მაგრამ თარაშის სული და სისხლი უფრო ღრმად შეიმეცნებს იმ ყოველივეს, რაც ეროვნულ სპექტრს უკავშირდება, ვიდრე არზაყანისა. რა თქმა უნდა, ინდივიდუალური მახასიათებლები პიროვნებისა, ყოველთვის საინტერესოა და ამ ინდივიდუალურ მონაცემებზე დაყრდნობით იქმნება თარაშ ემხვარის ასე საინტერესო სახე - ეროვნული ცნობიერებითა და ეროვნული სულით, რომელსაც თავისი დიდი ცოდნის ეროვნულ კულტურასთან შერწყმა სურს. სწორედ ამიტომაცაა მისი სადისერტაციო თემის კვლევის საგანი, „კოლხური ფეტიშიზმი“, თუმცა იმდროინდელ საქართველოში თარაშის აზროვნებისა და ცოდნის შემეცნებელი ალბათ ძალიან ცოტა თუ იქნებოდა, სწორედ ამან განაპირობა თარაშის დისერტაციის უარყოფა უნივერსიტეტისაგან. თარაშ ემხვარი გრძნობს, რომ სხვათა ქვეყნების განათლების სისტემამ, მათმა ეროვნულმა ცნობიერებამ ბევრი რამ დააკლო მასაც და მის თაობასაც:

„როგორც დასაგეშ მიმინოს აბრეშუმის ძაფით თვალებს ამოუკერავენ, მერმე მარცხენა ხელზე დაისვამენ და მთელ ღამეს ააა-ს ჩამძახიან ყურში, რათა თავისი წარსული გადაავიწყონ, თანდაყოლილი ენერჯის პირველადი სილადე გააცალონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩამძახოდენ ყურში ააას... ევროპელი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები შვიდი წლის განმავლობაში“, - ეუბნება თარაშ ემხვარი თამარს.

„და მე სულ სხვა გავხდი, ვიდრე აქ ვიყავი და ახლაც იგი არა ვარ, რაც უნდა ვყოფილიყავი, რაც იქ მისწავლია, აქ აღარ გამომადგა რა, რაც აქ შემძიქნია, იქ არ გამომადგება“.

„მამასთან ერთად მთელ ევროპაში ყიალის დროს მე გავეცანი დაწვრილებით ევროპის ყოფა-ცხოვრებას, პრესას და ინდუსტრიას. მართალი გითხრა, შევდრკი, ეს ყოველივე როს შევიცანი. ახლა რა უნდა გააწყოს ჩვენისთანა პატარა ერმა?...

ახლა დასაველეთის დიდი ერები მოდიან თავიანთი ჰაუბიციებით, ჰაეროპლანებით, პრესით, თეატრით და ლიტერატურით და ჩვენ რა უნდა დაეუპირდაპიროთ მათ სამაგიეროდ? მიტომაც ვყოყმანობდი შინ დაბრუნებას“.

„რაღა შორს მივდივართ, კაროლინა ხომ შენი რძალია, ჩვენი რძალია, აფხაზეთის რძალი, ხომ მართებული იქნებოდა, რომ მას ჩვენი ენა შეესწავლა, ჩვენი ჩვეულებები შეეთვისებინა, მაგრამ იცის, ეს მას არა სჭირია. ეს არ აინტერესებს, რადგანაც ჩვენ ცოტანი ვართ. აბა ორასი მილიონი ვიყოთ ძლიერი სახელმწიფო გვქონდეს, მდიდარი ლიტერატურა მაშინ აქეთ შემოგვეხვეწებოდა, მასწავლეთო...“

... თარაშ ემხვარის წინაშე დიდი ასპარეზი იყო, მაგრამ სადაც დიდი ასპარეზია, იქ მოასპარეზეც მრავალია. დედა კი ოქუმიდან იწერებოდა, სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას, საკუთარში მაჟალოს დათესვა გერჩიოსო“ („მთვარის მოტაცება“, 105).

მოტანილი ამონარიდიდან კარგად იგრძნობა, თუ როგორ შლის ეროვნულ ცნობიერებას უცხოური სწავლა-განათლება, როგორ აცლიან მათ თანდაყოლილ პირველად ცნობიერებას და სხვათა ნებაზე ფრენას აჩვენებენ. ყველაზე ტრაგიკულია თარაშის აღიარება „რაც იქ მისწავლია აღარ გამომადგა და რაც აქ შემძიქნია იქ არ გამომადგება“. ე.ი. ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი ახალგაზრდა გაორებული ბუნების ხდება და მისი სულიერი ჰარმონია ირღვევა, ფსიქიკა იბზარება და ეროვნული მრწამსი იკარგება.

სხვა ვის და კონსტანტინე გამსახურდიას ნამდვილად აქვს უფლება მსგავსი დასკვნა გააკეთებინოს თავის პერსონაჟებს, რადგანაც მან თავად იგემა კარგიცა და ცუდიც უცხოეთისა, თავად იგრძნო მისი დადებითი თუ უარყოფითი ზეგავლენა.

კ. გამსახურდიას რომანებში როგორც ვთქვით, „პოლიფონიურობა“ ბატონობს. ამასთან ერთად გამოთქმული აზრი ხშირად ალგორითული დანიშნულებისაც არის. ზოგჯერ იმის გარკვევაც ძნელია ნაწარმოებში გამოთქმულ აზრს თავად მწერალი ეთანხმება თუ არა, ამის საილუსტარციოდ თუნდაც „ვაზის

ყვავილობაში" ცეროდენას, ამ მეტად ანტიპატიური პერსონაჟის აზრია საინტერესო და მისადაგებული იმ პრობლემებთან, რომელიც „მოვარის მოტაცებაში" თარაშ ემხვარის მიერაა გამოთქმული. „საერთოდ თანამედროვე ტექნიკის შემოსვლა ჩვენს სოფელში არც ისე სახარბიელოა, როგორც ეს ბევრს ეოცნებება, ცივილიზაცია საბოლოოდ მოსპობს ეროვნებებსა და მათ ნაციონალურ თავისებურებას ნიველირებას მოუწყობს. მხოლოდ პრიმიტიულმა სახალხო მეურნეობამ შეინახა ხალხთა ნაციონალური იერი. ინგლისურმა ენამ დაიპყრო როგორც რკინიგზის, ისე გემების მეურნეობანი, ფრანგულმა - დიპლომატია და საერთაშორისო ამბები" („ვაზის ყვავილობა“, 415).

ეს აზრი შეესაბამება თარაშის მოსაზრებას და ვფიქრობთ, თავად მწერლის განწყობილებასაც, მაგრამ „ვაზის ყვავილობაში" ისეთ კონტექსტშია გამოთქმული, გვაფიქრებინებს, რომ მწერალი ამ მოსაზრებას არ იზიარებს. თავისთავად ცხადია, თუ რატომ დასჭირდა კ. გამსახურდიას მისი ასეთ მიმართებით წარმოსახვა.

მეტად ნიშანდობლივია დედის შეგონება „სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას, საკუთარში მაჟალოს დათესვა გერჩიოსო". დედა მაიას უდავოდ ეროვნული ცნობიერება გააჩნია, ეს კარგად იკითხება მის მიერ თარაშისადმი მიწერილ წერილებში.

მხოლოდ თარაშის სახე რომ წარმოვსახოთ ეროვნული ცნობიერების მაგალითად კ. გამსახურდიას შემოქმედებაში, დავრწმუნდებით, რომ თარაშის ეროვნული აზროვნება ღრმა და სრულფასოვანია. თარაშ ემხვარის ღრმა განსწავლულობა, მისი ინტუიტიური ცოდნის ფენომენი, ისეთ მნიშვნელოვან ნიუანსებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც მას საშუალებას აძლევს ჩაწვდეს თავისი ერის ნამდვილ სახეს, თვით წვრილმანებშიც კი მრავალფეროვანი და საგულისხმო აზრი ამოიკითხოს, თუნდაც ეს ფაქტი: „თარაშ გაფაციცებით ათვალიერებდა ხალხის ჩაცმულობას, რადგან მას სჯეროდა, რომ არაფერში ისე მკაფიოდ არა ჩანსო კაცობრიობის კულტურის მრავალსახიერი საპირე, როგორც კოსტიუმების ისტორიაში. ხალხების ზნენი და ჩვევანი მათი ტანისამოსით განიზომებო - ეუბნებოდა იგი თამარს, ძაბულისა და არზაყანს...

.. სახისა, ჩაცმულობისა და მიხვრა-მოხვრის ნიშატით არჩევდა თარაშ ემხვარ ბარელებისაგან - მთებიდან ჩამოსულ გრძელსატევრიან გლეხებს. მათ ბეწვიანი ნაბდის პაჭიჭები და ყურებიანი ქართული ქალამნები ეცვათ. ამგვარ გრძელწვერიან და მხარბეჭიან გლეხებს მიაწერსო ხალხური ზეპირისტიყვაობა ქაჯების მუსვრას - ამბობდა თარაშ ემხვარი" („მოვარის მოტაცება“, 169).

მაგრამ მარტო აქ არ ჩერდება ემხვარის ცნობიერება, მან ძალიან კარგად იცის ის, რომ ქართული ეროვნული კულტურის მრავალფეროვნება ქართული ხმალ-ხანჯლებისა და სატევრების მრავალსახეობაშიც შეიძლება ამოიკითხო. ჯერ ერთი აქ ქართველ ოსტატთა გული და სული ცნაურდება და არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვინ და როგორ ატარებს მათ. როგორია მათდამი დამოკიდებულება საზოგადოდ ერისაგან. თვით იარაღის ტარებასა და მოხმარებაშიც ცნაურდება ერის კულტურა:

„თარაშ ემხვარი ყურადღებით ათვალიერებდა ჯვარელების ვერცხლის მასრებს, ბრტყელსა და გრძელ სატევრებს. ქართული და ლეკური აწ გადასული ოქრომჭედლობის იშვიათ ნიმუშებს ამჩნევდა აქა-იქ. მათი ქამრებიც მოსწონდა თარაშს, მრავალთავიანი ენებით, საქონეებით, საწამლეებით დამშვენებული. ზოგიერთ მოხუცებულს ვერცხლით მოზიკული, ზარნაშიანი დამბაჩები ზურგს უკან გაერტო, მართალია ბიჭები დასცინოდნენ კიდევაც ამგვარი დონ-კისოტური შეჭურვილობით დაბაში ჩამოსულთ, მაგრამ ისინი არაფრად აგდებდნენ ამას...

... თამარმა ვიღაც ტანწობილი მოხუცებულისაკენ მიახედა თარაში, სატევრის ქარქაშის ზედაპირზე გასაოცარის ოსტატობით ამოკვეთილი იყო ოდნავ შესამჩნევი მინიატურების დარად ვაზის ფოთლების, კლერტოების, პწკალების ჩუქურთმები, ხოლო ქამრის ენებისა და საქონეების კიდურებზე ნახევარი მთვარე. თარაშმა თავაზიანად გამოჰკითხა ბერიკაცს ამ ქამარ-ხანჯალის ამბავი...

... „იცი თამარ, როგორი ურყევი ძალა მოეპოვებათ ამ უსულო საგნებს, ისინი საუკუნეების უღვევ მეწყერებს გადარჩენილნი ზღვის კიმელებსაგით ჩარჩებიან ხოლმე ალაგ-ალაგ და ისე მუნჯად ინახავენ უხსოვარ დროთა გარდასულ სურნელებას, მე თავბრუ მესხმის, როცა მოვიგონებ თუ რა ბნელი დროიდან მოდის ეს ოქროთი და ვერცხლით წელის დამშვენების ამბავი, ძველ ეგვიპტელებს უყვარდა იგი.

ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე მოუნდომებიათ ამ ოქროს მინიატურულ ჩუქურთმების გამოყვანისათვის რომელიმე ლეკს, ან ტფილისელ ოსტატს. აწი აღარავინ მოიცლის მათ გასაკეთებლად („მთვარის მოტაცება“, 171).

მოტანილი ამონარიდი უდავოდ მეტყველებს თარაშის ამოუწურავ ცოდნაზე. სწორედ ამ ცოდნის საშუალებით შეგვიძლება ამოვიკითხოთ ქართველთა ეროვნული კულტურის მახასიათებლები.

კ. გამსახურდიას ყველა ნაწარმოებში იგრძნობა ქართველთა ეთიკური, ეთნიკური თუ საწესჩვეულებო მახასიათებლებისდამი უდიდესი ინტერესი:

„თედომ იდაყვზე ხელი მოუცაცუნა პროფესორს, დარღვეული სახლის ბალაურისაკენ წაიყვანა, კორინთელმა ნასახლარზე დარჩენილ დედაბობს დაადგა თვალი.

„დიდად საინტერესო მოვლენაა ეს დედაბობი“, ეუბნება პროფესორი თედოს და გოდერძის, სულ ახლოს მივიდა დედაბობთან, ხელი შეახო და სთქვა:

„მუხაა!“

მუხაო, დაუმოწმა თედომ

„ამ დედაბობის მოშლა არ დამანება პაპაჩემმა. სანამ მე ცოცხალი ვარ, აგრე იყოსო“, ამბობს გოდერძი“ („ვაზის ყვავილობა“, 432).

ეს დიალოგი კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობიდან“ მასზე მიგვანიშნებს, რომ მწერალი დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა ყოველივე ქართულის, ეროვნულის გამოვლინებას და სათანადოდ წარმოსახავდა მას თავის შემოქმედებაში.

თვით ტანსაცმლის ფორმა, მაგალითად ქართული ჩოხა-ახალუხის ჩაცმა-მორგების წესშიც კი შეიძლება ამოვიკითხოთ ქართული ბუნება-ხასიათი, რასაც მიუთითებს კიდევ გონებამახვილი გერმანელი ქალი.

ახალუხის დილების შეკვრა მთელ ფილოსოფიად მიაჩნია თარაშს.

„ეს დილები, ეუბნებოდა თარაშ ემხვარ კაროლინას, რელიგიური მედიტაციისათვის შეუქმნიათ. ალბათ მორწმუნე კაცი თითო დილის შებნევისას თითო ლოცვას ამბობდაო“ („მთვარის მოტაცება“, 201). კაროლინა თარაშის ამ შენიშვნის შემდეგ ასეთ დასკვნას აკეთებს:

„ახლა კი ვხედავ, როგორი დიდი მოთმინების პატრონი ყოფილანო აფხაზები და მეგრელები, ყოველ დილას 32 ამგვარ დილს ვინც იბნევსო“ („მთვარის მოტაცება“, 201).

საინტერესოა ქართულ ზნე-ჩვეულებათა ამსახველი ეპიზოდები, და შეუძლებელია არ შენიშნოთ მთელი იმ ტომებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ. საქართველო ამ მხრივაც მრავალფეროვან სიმბოლიკას ქმნის. ყველა კუთხესა და ტერიტორიას ზოგჯერ იმდენად თავისთავადი, სხვათაგან განსხვავებული ნიშნები ახასიათებს, თითოეულ მათგანზე დაკვირვება მეტად საინტერესო და უხვ მასალას იძლევა. რომანში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეგრელთა, აფხაზთა თუ სხვათა ინდივიდუალურ მახასიათებლებს და თითოეული მათგანი თავისთავადაც რამდენიმე კულტურული შრის მომცველია. „რომელი კულტურის ნაშთებს არ შეეყრება კაცი სვანეთში: ირანული

მაზდეანიზმი გნებავთ, ქალდეული მთვარის კულტი თუ ძველბერძნული მისტერიები, ეუბნება მწერალს ინგლისელი მეცნიერი მისტერ ემერი - იმასაც ბრძანებს რომ „ამდენი ჯაფა და ხიფათი არც აფრიკის ჯუნგლებში, არც ტიბეტზე გადასვლისას არ შემხვედრია. არც ამდენი ჯერაც უნახავი მინახავს და გაუგონარი გამიგონია" („მთვარის მოტაცება“, 535).

საინტერესოა მწერლის პასუხი უცხოელის გაკვირვებაზე: „იცით, მისტერ, მე ახლაც სვანეთს მივდივარ, მაგრამ უცნაურზე მონადირე მე არ გახლავართ. საკვირველი რამ ყოველ კაცს შეუძლია საკუთარ ბაღჩაშიც აღმოაჩინოს, დასასრულ საკუთარ სულში რომ ჩაიხედოს ყოველმა ჩვენგანმა, იქაც ბევრს ვნახავთ უცნაურსა და გაუგონარს.“

ფვიქრობთ, ამ განმარტებაშიც უდავოდ მწერლის მხარესაა სიმართლე, უძველესი ქვეყნის მცხოვრებთ ხომ სისხლიც უძველესი აქვთ და სისხლს ხომ ყველაფერი ახსოვს. ჰაბარდის „დიანეტიკით“ თუ ვიხელმძღვანელებთ ჩვენი ერის სისხლის მეხსიერებაში მთელი ჩვენი წარსულია ჩადებული თუ ჩაკირული, შესაბამის შემთხვევასა და გარემოებაში, თუ ამის შესაძლებლობა ეძლევა, ქართველი სწორედ ამ დიდებული წარსულის შესაბამისად წარმოაჩენს თავის სახეს. შეიძლება ვთქვათ, თითოეული ქართველი კაცთაგანი სახე-სიმბოლოა მთელი წარსულის, მთელი უსასრულო გარდასული ეპოქებისა, რომელმაც უამრავი ნივთიერი თუ სულიერი კულტურის ძეგლები დაგვიტოვა. თარაშ ემხვარიც ხომ წარსულ დროთა შექმნილ, დღეს უკვე სამუზეუმო ექსპონატებად ქცეულ ნიმუშებს ერთგვარი ძრწოლით შესცქერის და ეს სიმბოლური სახე საქართველოს წარსულისა, თითქოს მომავლისათვის გამოწვდილი ხელია, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მომავალი.

ამ გარდასულ კულტურაში დაკვირვებული თვალი საქართველოს მომავალსაც გარკვევით იგრძნობს და დაინახავს. კონსტანტინე გამსახურდია თავის წერილებშიც აღნიშნავს.

„ცხადია, დიდი ერის ნატეხი ვართ, თუმცა წარსულშიც არ ყოფილა ჩვენი ქვეყანა ისეთი ბაზისი ახალ იდეათა და მიმდინარეობათა, როგორც ძველი ინდოეთია, სპარსეთი, ახალი საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი. არ ყოფილვართ ახალ იდეათა ჯვაროსანნი, არც თუ რეფორმატორული მისია დაუკისრებია ჩვენთვის ისტორიას.“

ჩვენი ეროვნული ცხოვრების დუდილი ჩვენივე ქვეყნის ზღუდეებს არ გასცილებია...

... იტყვიან ამის მიზეზი ქართული ეროვნული ოჯახის, ქართველთა ნათესავის სიმცირეაო.

მართალია ერთი ერის თანამოზიარეთა სიმრავლეს დიდი წილი უდევს ერის კულტურულ ცივილიზაციურ მუშაობის განაყოფიერებაში, მაგრამ აქ უბრალო პროპორციების კანონების მობოდიშებით ვერას დავამტკიცებთ...

... ჩვენ კულტურულ ზრდას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ჩვენი ისტორიული გზა, ნათელსა და სწორ გზატკეცილს როდი ჰგავს. იგი უფრო უღრან ტყეებში და კლდე-ღრეებში მავალ შარას მოგაგონებთ, უფსკრულებით რომ გაწყვეტილია აქა-იქ" (გამსახურდია ტ. VIII 1967 : 145).

ზედმიწვევით სწორადაა მიგნებული ქართველთა კულტურის ზოგადსაკაცობრიო კვარცხლბეკამდის მიუღწევლობის მიზეზი. სწორედ იმ წყვეტილმა ეპოქებმა, სწორედ იმ ათასგზის განადგურებამ და კვლავ აღორძინებამ, რაც უთვალავი მტრის შემოსევით იყო განპირობებული, შეუძლებელი გახდა მსოფლიო არენაზე გაგვეტანა ჩვენი თვითმყოფადი, ეროვნული კულტურის ძეგლები, სწორედ ამან განსაზღვრა ის, რომ საუკუნეების განმავლობაში ყოველივე ქართული განმსოლოებული რჩებოდა მსოფლიო არენიდან.

სვანეთში გადახვეწილი თარაში კიდევ უფრო უახლოვდება იმ ძირებს, რომელიც მის ბუნებაში ერთგვარად პატრიარქატისადმი ნდობას და მოწონებას ადვიძებს. თარაშ ემხვარი გრძნობს საქართველოს წარსულს, რომელიც მთელი მისი მრავალრიცხოვანი ტომების კულტურითაა წარმოდგენილი, რაც ერთგვარ სამუხეუმო განწყობილებას ქმნის და ადამიანი თითქოს რეალური ყოფიდან, წარმოსახვისა და ფანტაზიის სამყაროში გადაჰყავს. ისეც მეტად განათლებული და საინტერესო სახე თარაშ ემხვარისა, ამ კულტურულ სახე-სიმბოლოთა ზიარებით კიდევ უფრო მეტად იტვირთება და მთლიანად შეუსაბამო ხდება იმ გულცარიელი და ოცნებაჩაკლული დროის, რომელმაც თითქოს გამოიგონა ადამიანები, რომელმაც ადამიანებს წარსული მთლიანად წაართვა.

მაგრამ თავისთავად კ. გამსახურდიას, როგორც მწერლისა და როგორც ზოგადად მოაზროვნის დიდი დამსახურება ისაა, რომ თავისი შემოქმედებით ცდილობს ტოტალიტარიზმისაგანგან დაიხსნას ზოგადად ხელოვნება და კერძოდ ლიტერატურა. ის თავის შემოქმედებაში საქართველოს წარსულს, მისი არსებობის სიმბოლიკით აცოცხლებს და ასულიერებს თვით უსულო საგნებსაც.

ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში უპირველესად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე აბსოლუტური კონტროლი იყო დაწესებული და თუ

ვინმე ამ კონტროლის ხაზიდან გასვლას შეეცდებოდა, ისინი დევნისა და შევიწროებისათვის იყვნენ განწირულნი. ზოგჯერ იმასაც არ ჯერდებოდნენ ტოტალიტარიზმის იდეოლოგები, დაუმორჩილებელთა თავისუფლების აღკვეთასაც კი მიმართავდნენ. რეპრესიები ყოველთვის იყო მოსალოდნელი და ზოგჯერ ყოველივე არა მარტო თავისუფლების, სიცოცხლის ლიკვიდაციითაც კი მთავრდებოდა.

არსებული ეპოქის მკაცრი ხელი არაერთგზის გადაწვდა კ. გამსახურდიასაც. თავისი მხატვრული სიტყვით, დიდი ცოდნითა და ინტუიციით თითქმის მთელი ეპოქა შექმნა სინამდვილისა, რომელიც გვარწმუნებს, რომ – წარსულში მომავალიც იგულისხმება.

თითქოს არათუ პერსონაჟის, არამედ თავად კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებია, იმედითა და რწმენით რომ ადავსებს მკითხველს:

„მე უგუნებობას არ ვეძლევი, მინდა გავჯანსაღდე, მშობლიური მიწის სურნელით განვიკურნო, მინდა უცხოური ჩვეულებანი უკუვაგდო და ჩემს ხალხს დაეუბრუნდე. უგუნებობას ვებრძოლო, ნისლიან ქვეყნებიდან წამოყოლილს. ამიტომაც ვნადირობ და მთებში დავდივარ, რათა პაპახემის მოუღალავი სისხლი აჩქამდეს ჩემს ძარღვებში, წინაპართა გულისა და მუხლის სიმაგრე კვლავ მოვიხვეჭო. ადამიანი ყოველ წუთს მზად უნდა იყო სიკვდილისათვის, მაგრამ არ უნდა დნოდეს. სახეზე არ უნდა გეტყობოდეს მოწყენის ჩრდილი. ყოველთვის ისე უნდა გეჭიროს თავი, თითქოს ნადიმზე მიდიოდეს

... ძველ საქართველოშიაც ასე იყო: ჩვენი ქრისტიანიზმისათვის უცხო იყო დასავლეთის მრუმე მისტიციზმი, ჩვენი უდიდესი პოეტები უნაღვლო მომღერლები იყვნენ, ჩვენი ხალხური პოეზიაც სიხარულით, სიცილით და მზითაა სავსე („მთვარის მოტაცება“, 353).

თარაშ ემხვარის აზრი ყოველთვის მიუთითებს ერთზე, საქართველო დიდი ეროვნული წარსულის ქვეყანაა და ჩვენი ერის ბუნება-მახასიათებლები სანიმუშო და მისაბაძია. თარაში თანამედროვეობის პროპაგანდისტი ვერაფრით გახდება, რადაგანც მისი სულის არქეტიპები წარსულშია ჩამარხული და ყოველივე ლამაზი და ამადლებული, რაც მას იზიდავდა, დღესდღეობით ან ქრება, ანუ უკვე გამქრალია, აკი თავადაც აცხადებს:

„დავრწმუნდი: ის სამყარო, რომელიც მე განუზომლად მიყვარდა, ვეღარასოდეს აღსდგება აწი. ხუნდებიან ჩემი საყვარელი ფერები, ქრებიან ჩემი სანატრელი სიმღერები და ეს ლოფორთქინასავით სახეცვლილი ქვეყანა მე მეჩვენება როგორც უფერული ტრამალი" („მთვარის მოტაცება“, 353).

ამ უფერული ტრამალისთვის ფერების მინიჭება არვის ძალუძს და თარაშის ოცნება, მისი ფიქრი და აზრი, ძველი რაინდული საქართველოსკენაა მიქცეული, რომლის ეროვნული ცნობიერება განსაზღვრავს თარაშის ეროვნული აზროვნების მოდელს. გარდასული დროის მითებსა და ლეგენდებში ხმოვანდება თარაშის წარმოსახვა. მითიურ სამოსელშია გახვეული მთლიანად ეროვნული აზროვნების სიმბოლიკა. თარაშმა ყოველივე შეისწავლა, ყოველივე გაითავისა და იმასაც მიხვდა, რომ იაზონები არასოდეს დალევია საქართველოს. საერთოდ ვფიქრობთ, რომ იაზონს არა მარტო ოქროს საწმისი მიაქვს საქართველოდან, მიჰყავს მისი უმთავრესი განძი - მედეა. ეს მართლაც გრძნეულებითა და გონიერებით აღსავსე ქალწული. მშვენიერებითაც განთქმული და შესაბამისად ნიჭიერი, მეცნიერებასა და მედიცინაში ფრიად განსწავლული. მედეა ჩვენი აზრით ყოველივე მშვენიერებისა და ამაღლებულის სიმბოლოა მითოლოგიაში. ამ სიმბოლოს გატაცებით, ირღვევა ქვეყნის მთლიანობის, მისი უძლეველობის მითი.

ერთი რამ არის საინტერესო მწერლის მიერ არგონავტების მითის სიმბოლიკასთან დაკავშირებით, იგი ყოველთვის ფრაგმენტულად, ანდაც არასერიოზული სახითაა მოხრობელთა მიერ გადმოცემული:

„ხუმრობით, ლაღობით უთხრობდა არგონავტების კოლხეთში მოსვლის მითს, იაზონის მიერ მედეას მოტაცების ამბავს. უეჭველია, კოლხეთში იყო აიას კუნძული. აქ ყოფილათ მითიური კირკე.

მერმე უამბო თამარს, თუ როგორ გაუმართა აეტეს მეფემ ნადიმი იაზონს. უნდოდა ბერძნები დაეთრო და გემი არგო დაეწვა იდუმალ. აქ კი აფროდიტემ ვნებით ალაგზნო აეტეს, თავისი ცოლი ევრილიტე მოანდომა და ჩაუშალათ მეფეს უცხოელების გაუღების გეგმა" („მოვარის მოტაცება“, 408).

საინტერესოა გვანჯ აფაქიძისეული ინტერპრეტაცია მითისა: „მე მუდამ მძაგდა მაგ უცხოელები. ცოტა ისტორიებში ჩახედული ვარ, არგონავტებიდან მოკიდებული, უცხოელი მუდამ მძარცველად ჩამოსულა ჩვენში. ყოველი კაცი იმის ცდაში იყო: რამე ეყიდნა, წაეგლიჯა და მოეთხარა ჩვენგან, ალბათ შენც წაგიკითხავს ისტორიებში, ჩვენი ქვეყნისთანა მდიდარი ინდოეთის აქეთ არა ყოფილათ, ასე სწერია ამ ისტორიებში. ჩვენი წინაპრებიც ჩვენისთანა ბედოვლათები იყვნენ ალბათ, ძალად ხომ ბევრი გაიტაცეს, ბევრიც გაგვიჩუქებია და გაგვიმზითვებია. ბიძი მე ერთი წიგნი ჩამივარდა ამას წინათ ხელში. ღმერთო, რა მზითვები გაუტანებიათ თურმე ბიზანტიაში გათხოვილ ბაგრატიონების ქალებისათვის ჩვენ სულელ მეფეებს" („მოვარის მოტაცება“, 221).

მართალია გვანჯ აფაქიძის მონათხრობი მითის ფრაგმენტს მოიცავს, მაგრამ რა კონტექსტში წარმოგიდგენს მისი ავტორი, ეს არის მთავარი და საერთოდ უცხოელებთან დამოკიდებულება არასოდეს არ ქმნიდა საქართველოს სამომავლო საყრდენს. პირიქით, თავად უცხოელები სარფიანობის, პრაგმატიზმის თვალთშეშერდნენ ჩვენს სამშობლოს და ყოველთვის ნებით თუ ძალით თავიანთი სურვილების აღსრულებას აღწევდნენ.

და როგორი სახითაც არ უნდა გადმოიცეს ეს მითი, ფრაგმენტული, ხუმრობანარევი თუ სერიოზული ინტერპრეტაციით, დასკვნა ერთია - როგორც კ. გამსახურდიას პერსონაჟებს, ისე თვით მწერალსაც სწამს, რომ უცხოელების სწრაფვა კოლხეთისაკენ ანგარებითა და მომხვეჭელობით იყო გამოწვეული.

მითის გარკვეული ვერსია შარდინ აღშობაიამაც გადმოსცა, თუმცა შარდინი მხოლოდ დილეტანტია, იგი მოჩვენებითი განსწავლულობით ქალებზე თავის მოწონების მანიითაა შეპყრობილი და ამიტომაც მთლიანად ამახინჯებს არა მხოლოდ არგონავტების მითს, არამედ მთელ მითოლოგიას და საქართველოს ისტორიასაც. „და ბრძანა მეფე აეტესმა თურმე უცხოელები მთელს კოლხეთში ამოეწყვიტათ, მაშინ ბერძნებმა მშვენიერი ლეგენდები შეთხზესო: კოლხეთის მეფეს აეტესს არეას საკურთხეველთან ცეცხლისმფრქვეველი ხარები მიუბამსო, ხოლო ოქროს საწმისიან ვერძს გველეშაპი ინახავსო?

არა?“ („მთვარის მოტაცება“, 396)

ეკითხება თარაშს შარდინი და ჩვენც გვიჩნდება კითხვა, რატომ და თანაც რამდენჯინამე, რისთვის ხდება მითიური რეალობის დარღვევა, რატომ ასე ფრაგმენტულად და არაორდინალურადაა იგი გადმოცემული და ასეთ დასკვნას ვაკეთებთ. როგორც საქართველოს ისტორიის იმ ეპოქამ, რომელიც ასახულია ნაწარმოებში, გააყალბა და გააუფასურა ყოველივე ეროვნული და ღირებული საქართველოში, მითებიც ისევე განიცდიან დეფორმაციას და ის ეროვნული სული და სიბრძნე, რაც ზოგადააა ჩადებული მითოლოგიაში, დეფორმირდება და იკარგება. თუ არა და თავად მწერალმა კარგად იცის ქართული მითოლოგიაც და ის იდეები და იდეალები, რაც ქართულ მითოსშია გახმოვანებული. მაგრამ დარღვეულ, დეფორმირებულ დროსა და საზოგადოებაში, მითის დეფორმირებაც ხდება. ის სახე-სიმბოლოები, რომელიც მითოსში დევს, ისევე ხუნდება, როგორც თარაშ ემხვარის ნაოცნებარი ფერები და სიმღერები. ყველაფერი იშლება და უფერულდება. ერთდროს მკვეთრ ეროვნულ იდეოლოგიაზე ფორმირებული სახელმწიფოს დეფორმირებაც ხდება.

არა მარტო „მთვარის მოტაცებაში“, „დიონისოს ღიმილშიც“ მუდმივი ძიებისა და ეროვნული ცნობიერების ფორმირების პროცესზეა ყურადღება გადატანილი.

კონსტანტინე სავარსამიძის ეროვნული ასპარეზი რომ დროითა და გარემოებითაა შევიწროებული, ამის განხილვა და მტკიცება ზედმეტად მიგვაჩნია, მაგრამ რატომაა ასე დიდი ტრაგედია ეროვნულ ფესვებს მოწყვეტა. ესაა საინტერესო. ვფიქრობთ, საერთოდ ადამიანი და მითუმეტეს საქართველოში, ბავშვობიდანვე ეროვნული ღერძის გარშემო ტრიალებს, ეროვნული ზნე-ჩვეულებანი განსაზღვრავს მის ბუნებას, მის პიროვნებას.

ამის შესახებ უკვე მიუუთითეთ, რომ კონსტანტინე სავარსამიძე ბავშვობიდანვე ეზიარა ქართულ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს და მისი სული ამ მახასიათებლებითა გაუღენთილი. და ერთ დღეს იგი ხვდება რომ არა მარტო თავად, მისი სამშობლოც, უმიზნო, საკუთარი ტრაექტორიიდან ამოვარდნილ ცდომილად ქცეულა უკვე სხვა ერებს შორის და ამის შეგნება გარკვეულად წონასწორობას აკარგვინებს. ამ სიტუაციაში იგი კარლ გუსტავ-იუნგის მიერ დახატულ ადამიანის პორტრეტს მოგვაგონებს.

„რა სისულელეს არ სჩადის ადამიანი, რომ საკუთარ თავს გაექცეს: ხან ინდურ იოგას მისდევს, მთელი გულმოდგინებით, ხან დიეტას იცავს, ზეპირად სწავლობს თეოსოფიას, მონოტონურად იმეორებს მაგიურ ტექსტებს და ეს იმიტომ, რომ საკუთარ თავში ვერ გარკვეულა და არც იმის სჯერა, რომ საკუთარ სულშიც შეიძლება ნახოს რამე სასარგებლო. ასე იქცა სული თანდათანობით თავისებურ ნაზარეთად, იმ ნაზარეთად, საიდანაც სიკეთეს აღარ უნდა ველოდოთ“ (გუსტავ-იუნგი 2005 : 103). - ამბობს იუნგი და გვარწმუნებს ადამიანი კარგავს თავის პიროვნულობას.

„ადამიანს უჭირს საკუთარ თავზე იზრუნოს. მის სულში არის რაღაც ისეთი, საიდანაც შეიძლება რაიმე დაიბადოს. მოთმინებით უნდა დავაკვირდეთ იმას, რაც სულში ხდება, მაგრამ ბევრი და საუკეთესო მასში მაშინ ხდება, როცა იგი არც გარედან და არც ზემოდან არ იმართება“ (გუსტავ-იუნგი 2005 : 105). და იუნგის განცხადებით ადამიანმა თავის სულში უნდა მიაგნოს საყრდენს. გარემო და სიტუაციები ვერ უნდა მართავდეს მის ცნობიერებასა და მოქმედებას.

რა თქმა უნდა, იუნგის ეს მოსაზრება საინტერესოა და სხვათაგან მართული ადამიანის სრულყოფილებაზე ფიქრი და საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც ის ასევე სრულყოფილ და მოწესრიგებულ საზოგადოებაში ცხოვრობს. მაგრამ იქ, სადაც იწყებენ იდეის „განხორციელებას“ ძალით, დაჭერა-გადასახლებით, ტოტალური შიშის დანერგვით, არ აკრთობთ არც ტანჯვა, არც

სისხლი, არც მსხვერპლი ოღონდ აკვიტებული იდეა „საქმედ აქციონ“, ე.ი. ყოველივეს იკადრებს ტოტალიზატორი ტოტალიზმისთვის - ამაღლებულ სულსა და იდეებზე ინდივიდუალიზმზე და პერსონოლოგიურ სახეზე საუბარი ზედმეტია, აქ ყოველგვარი ადამიანური ღირსება დაკარგულია და როგორც ა. ბაქრაძე მიუთითებს „უღირსებო კაცი“ ხდება ქვეყნის წარმმართველი და მესაჭე, თარაშ ემხვარი თუ კონსტანტინე სავარსამიძე კი „ზედმეტ ადამიანებად“ იქცევიან.

იმდენად მძიმეა „ზედმეტი ადამიანობის“ ტვირთი, მიუხედავად ამაღლებული პიროვნული მახასიათებლებისა და საინტერესო პერსონოლოგიური სახეებისა, ისინი თავისი ამ ზედმეტობით განწირულნი არიან. მათთვის ეროვნული ნიადაგიდან, ეროვნული ცნობიერებიდან მოწყვეტა სიკვდილის ფასია, მათი ცხოვრების ლაიტმოტივი თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსთვის ოცნება და ბრძოლაა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების წესის შემქმნელნი და მესვეურები ვერაფრით იქნებიან, რადგანაც როგორც ა. ბაქრაძე აღნიშნავს, ამ საზოგადოების, ეპოქის გმირები „განჯგონებული“ ადამიანები არიან, რომელთაც არც მოეთხოვებათ და რაც ძალუძთ ლოგიკური აზროვნება. თარაშ ემხვარის თუ კონსტანტინე სავარსამიძის ტიპები გამონაკლისი არიან და თავისთავად ხომ არის ცნობილი, რომ გამონაკლისი ვერასოდეს შექმნის წესს. იმდროინდელ საზოგადოების ცხოვრების წესს „განჯგონებულები“ ქმნიან და არა ეროვნული სულითა და ეროვნული ცნობიერებით გაჯერებული ტიპის ადამიანები, რომელთაც თარაში და კონსტანტინე მიეკუთვნებიან.

შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ორი გმირი თავისთავად თავისუფლებისა და ეროვნულობის სიმბოლოს ქმნის კ. გამსახურდიას შემოქმედებაში, თუმცა როგორც უკვე მივუთითეთ, ეროვნული ცნობიერების ფორმირების პროცესი კ. გამსახურდიასთან ჯერ კიდევ შორეული წარსულიდან იწყება და მართალია, თანამედროვეობის მეფე გიორგი და დავით აღმაშენებლის სულიერი და ეროვნული მახასიათებლებიც შეიძლება ვეძიოთ ამ ორ გმირში, მაგრამ ვხედავთ ისინი უდროობის გმირები არიან, დროისა, იმდროინდელი საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებიდან ამოვარდნილნი, „ეპოქის ზედმეტი ადამიანები.

„დიონისოს ღიმილი“ სიმბოლურ-ალეგორიული ნაწარმოებია, იმ არქეტიპულ მოდელებთან ერთად, რომელიც რომანს მხატვრულ დატვირთვას აძლევს, სამშობლოსა და მისი დაუძინებელი მტრის სიმბოლურ-ალეგორიული მოდელი იქმნება და ეს წარმართავს როგორც მთელი ნაწარმოების დინამიკას, ისე მის

სიზმრისეულ ალეგორიებსაც და კონსტანტინე სავარსამიძის საბედნიეროდ, მოელი მისი მხატვრული სახე-სიმბოლო სამშობლოსა და მისი თავისუფლებისათვის შემოქმედებითი ბრძოლის ასპარეზია.

სლანსკის სახე, როგორც რეალურად, ისე სიზმრითაც ადაშფოთებს და ამძვინვარებს სავარსამიძის წარმოსახვას. ეს აკვიატება შემთხვევითი არ არის. სლანსკის სახეში განსახიერდა როგორც ძველი იმპერიული, ისე კომუნისტური რუსეთი, საქართველოს წარსულის წამშლელი და იავარმყოფელი, მისი მომავლის თავისუფლების შემბოჭველი, ყველა იმ სიდიადის წარმტაცი და მიმოვისებელი, რაც სავარსამიძის სამშობლოს სამომავლო მიზანდასახულობას ქმნიდა. სმარაგდის ბეჭედი ერთგვარი სიმბოლოა საქართველოსი, რადგანაც ეს ძვირფასი თვალი სხვებთან ერთად საქართველოს მეფეთა გვირგვინებსაც ამკობდა, ხოლო სლანსკი იმ ბეჭდის ქურდია, რომელშიც სმარაგდია ჩასმული.

ს. სიგუა ამ ფაქტს ასე ხსნის: „სლანსკიმ კონსტანტინეს ააცალა ჯენეტის მიერ ნაჩუქარი სმარაგდის ბეჭედი... ჯენეტი კონსტანტინესათვის საქართველოს სიმბოლოა, ქალი, რომელიც მუდამ ქრისტეზე ღოცულობს. წმ. გიორგის ერთგულია, უცხოელი სძულდა, მაგრამ მაინც უცხოელის ცოლი გახდა და ასე გაუბედურდა. სლანსკიმ ბაგრატიონთა დინასტიის გვირგვინიც მიისაკუთრა, იმ ბაგრატიონებისა, რომლებიც ათასი წელი ისხდნენ გაერთიანებულ საქართველოსა თუ მისი ცალკეული კუთხეების ტახტზე. სლანსკის თამარის აღმასიც მიუთვთისებია... სლანსკიმ წაართვა სავარსამიძეს მამული, დედა და ცოლი. ამიტომ უყვირის იგი მეტოქეს: „სლანსკი, მე და შენ ერთ სახლში ვერ დავეტევით“, „უკუდექ ჩემი სისხლით გაღეშილო“...

ისინი ურთიერთმოპირისპირე რასის შვილები არიან, შეურიგებელი ბუნებისა. „სლანსკი! შენ - ყინულეთი, მე - მზისგული, შენ - თოვლი, მე - ცეცხლი, შენ - მურტალი, ღორის ტყავის ფარივით ფართო და რგვალი, მე - ქართველი, ხანჯალივით ბასრი და წვეტიანი“... - სლანსკი, ასჩვიდმეტი“, - შესძახებს სავარსამიძე. ეს არის ბრძოლის პაროლი, რომლის დროსაც არგვეთის მთავრის ხრმალით გადაუთელა მოსისხლარს ხრმალი...

ასჩვიდმეტი, ასჩვიდმეტწლიანი ტანჯვის პაროლია რომანოვების იმპერიაში 1801-დან 1918 წლამდე, რომელზეც თავის სტატიაში „№1917“ მიგვითითებს კონსტანტინე გამსახურდია. ამიტომ უნდა მოკვდეს ეს აპოკალიპსის მხეცი თუ დრაკონი, საზიზღარი, ხანჭვალოსფერი თვალებით რომ შემოსცქერის.

მამა, მამული, ფესვები, ეძახის სავარსამიძეს, მაგრამ მის სამკვიდროს გადაძთიელი დაპატრონებია, მისთვის ადგილი არსად რჩება - არც უცხოეთში და

არც სამშობლოში. არც სამშობლოს ენა ესმის მას და სამშობლოსაც არ ძალუძს შეიგრძნოს მისი სიყვარული და ესთეგობა.

„ქრისტიანული რწმენისადმი თავის შურისმაძიებლურ დამოკიდებულებას სავარსამიძე ეროვნული ფაქტორითაც ხსნის. იტალიელ გამომძიებელთან პაექრობის დროს, მაგალითად, იგი პირდაპირ ამბობს, რომ ქრისტეს ჯვარცმის დანგრევით მას სურდა ყველა იმ უბედურების გამო „ეძია შური“, რომელიც მის ქვეყანას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულებამ დაატეხა თავს. „ჯვრის დანახვაზე, - ამბობს სავარსამიძე, - ჩემი განადგურებული ქვეყანა მომაგონდა. დავლევწე ჯვარცმა და ვგმე ქრისტე, ჩვენი დამაქცეველი... ქრისტეს ჯვარს შეეწირა დიდი საქართველო; მე იმ საქართველოზე ოცნებამ მომიშხამა საწუთროება და დღევანდელი საქართველოც მან შემადგულა. ასე გამწარდა ჩემი ახალგაზრდობა. აღარ მწამს ამ ქვეყნად აღარც ღმერთი, არც ისტორიის სამართალი... მე მეორეჯერაც ჯვარს ვაცმევედი ქრისტეს საქართველოს სისხლის გამოსასყიდად. მე ბავშვობიდან არ მიყვარდა მისი დაღრეჯილი სახე... ახლაც არ მესმის, რათ დაღუპეს საქართველო ჩემმა წინაპრებმა ამ უდაბნოს ღმერთის სახელით!“ (ნიკოლეიშვილი VI, 2005 : 76).

რომანში საინტერესოა ტაია შელიას სახე, რომელსაც ავტორი „ნახევარსულიანს“ უწოდებს. იგი სავარსამიძის „მიწიერი“ აღმზრდელია, მისი ორჯერადი პიროვნების მიწიერი მწვრთნელია, მიწის ძალითა და წარსულის მადლით ნაკურთხი კეთილი ეროვნული გენიაა, რომელიც ინსტიქტის ჩამწვდომობითა და გაუცნობიერებელი მიწიერი ალღოთი „უსამშობლო ღრუბლების“ სიმაღლეებს აგრძნობინებს ერის რჩეულებს. მხოლოდ აგრძნობინებს, რადგან ტაია შელია ნახევარსულიანია; თეორიული ცოდნა მისთვის მიუწვდომელია. მაგრამ იგი თავის აღსაზრდელს მზიან სიმაღლეს სულიერ სიმაღლედ უსახავს. სწორედ ამაზე მიუთითებს რომანში დასამახსოვრებელი სტრიქონები ლექსისა: „ისლის სახლი, ისლის სახლი! ქარი, ქარი ქარი! შენ მაჩვენე მზის სიახლე და ზდაპრების მხარე...“

„დიონისოს ღიმილი“ უმეტესწილად სახე-სიმბოლოების პრიზმაშია წარმოჩენილი. აქ თითქმის ყოველ საგანში, ყოველ მოვლენასა და მითუმეტეს არსებაში ორმაგი და ზოგჯერ სამმაგი სიმბოლიკა შეიძლება ამოვიცნოთ. ვაზის სიმბოლო რამდენიმე დანიშნულებითაა წარმოსახული კონსტანტინესთან. ზოგადად ვაზი მამულის სიმბოლოდ, მისი ეროვნული ძირების მკვებავ წყაროდაც წარმოისახება და ვაზის აჩეხვა და მისადმი ერთგულების დაკარგვა სამშობლოს დაღატადაც კი აღიქმება. ეს სახე-სიმბოლო დომინირებს სავარსამიძის მთელ

ტრაგედიაში და მამისგან, ანუ სამშობლოსგან დაწყვეტილი სავარსამიძე სწორედ ამ ღალატის გამო, (შეიძლება ვაზის აჩეხვაც მოვიხაროთ ამ შემთხვევაში) ხდება უნაყოფო, ბერწი, რომელიც ყოველივეს რასაც და ვისაც დაუახლოვდება და შეეხება უნაყოფობისა და უსასობისაკენ უბიძგებს. სანამ საქართველოს დამოუკიდებლობა არ აღსდგება, სანამ მამული მამულიშვილებს არ დაუბრუნდებათ, სავარსამიძისდარნი ასევე უნაყოფობითა და ტრაგიკულობით დაღდასმულნი დარჩებიან.

სოსო სიგუა საუბრობს ვაზის კულტის შესახებ. „დიონისოს ღიმილში“ ვენახი ნაყოფიერების და სამშობლოს სიმბოლოა. „სავარსამიძე სიზმრად ხედავს აღდგენილ და გაერთიანებულ საქართველოს, უცხოეთიდან მობრუნებულს ჟარამან მინდელი მოუთხრობს, თუ როგორ გაძლიერდა ქართლოსის მოდგმა. სავარსამიძემ პატარა ვენახი გაიშენა, სამშობლოში დასახლდა და ოჯახს მოეკიდა., ყველას ეუბნება: „ქართული სისხლი სხვაში არ გასცვალოთ, თორემ ჩემს ვენახში წილს არ დაგიდებთ“ („დიონისოს ღიმილი“).

მაგრამ ეს სიზმრად ხდება. ცხადში კი სავარსამიძემ ვენახი აჭრა, რომლის გაშენებას მამამ სიცოცხლე შესწირა, მიწები გაჰყიდა და უცხოეთში გაემგზავრა. მან თავისი ტოტემი - ვაჟი გაანადგურა, თავი შეაფარა შეგებისა და თრობის ღმერთს დიონისოს, მის რელიგიურ რიტუალებსა და მეტამორფოზებს. დიონისოს კულტი ვენახს უკავშირდება. ამიტომ, ვენახი წარმართობის გამოხატულებაა, მაგრამ წმ. ნინო საქართველოში ვაზის ჯვრით მოდის. ვაზი ერთდროული სიმბოლოა მშობლიური წარმართობისა და ნაციონალიზებული ქრისტიანობისა. სავარსამიძე ოცნების სფეროში რჩება. ხოლო ვახტანგ კორინთელი კახეთში, კერძოდ - გველეხის ზეგანზე, ვაზის უძველესი ქართული კულტურის გავრცელებას ხელმძღვანელობს. ვენახის გაშენებებით, როგორც პირდაპირ, ისე სიმბოლურად, სამშობლოს აყვავებას ემსახურება. სავარსამიძის ოცნება მან რეალობად აქცია. სიჭაბუკის ზმანება ასე შეიცვალა და აღიბეჭდა „ვაზის ყვავილობაში“ (საერთოდ მწერლის კონცეფციაში ვენახი მუდამ მამასა და მამულს უკავშირდება).

ვახტანგი ეთანხმება ნიორთავას და ვარაუდობს, რომ ვაზი და ღვინო ქართველებისაგან უნდა წაეღოთ ბერძნებს. ჰომეროსი ხომ გვეუბნება „წინწკლების მფრქვეველ ღვინოზე“, რომელიც ოდისევს მიაართვა კოლხთა მეფის აიეტის დამ - კირკემ. ზოგს მიაჩნია, რომ ველური ვაზი მოიშინაურეს და ყურძნის წვენისაგან პირველად ღვინო ქართველმა ტომებმა დააყენეს.

სოსო სიგუა განიხილავს ცხენის კულტს და აღნიშნავს რომ, კ. გამსახურდიას საყვარელი ცხოველია ცხენი. მკითხველს ადამიანთა დარად ახსოვს დარდიმანდი, არაბია, გუნტერი, ცირა („მოვარის მოტაცება“), ქუჯაია, სკეითია („დავით აღმაშენებელი“). ხარი და ცხენი ქართველი კაცის ისტორიული თანამგზავრია, პირველი შრომის სიმბოლოა, მეორე - ბრძოლისა.

კ. გამსახურდიას ცნობიერებას და მხატვრულ წარმოსახვას ყოველთვის ამდიდრებდა ის უხვი ნაკადი ლიტერატურისა თუ ზოგადად აზროვნებისა, რომელიც მსოფლიოს კულტურამ შექმნა. მის შემოქმედებაში დომინანტობს ბიბლიური თემატიკაც, ბიბლიური სახე-სიმბოლოები თავისებური ასპექტით შემოდის მწერლის წარმოსახვაში და ზოგჯერ ახალ მხატვრულ განზომილებასაც წარმოშობს. მწერალი რა თქმა უნდა არ იმეორებს ზუსტად იმ ვარიაციებს, რაც ბიბლიურ სიუჟეტებში დევს, მაგრამ მისი მხატვრული პალიტრა ახალი ფერებით მდიდრდება და აპოკალიფსური მხედრის სახე სხვადასხვა ასპექტით წარმოჩინდება. და ერთიც არ უნდა დავივიწყოთ, ეს სახეები შემოდის სიზმრის, ოცნების თუ მოჩვენებების სახით. თამარის სიზმარში აპოკალიფსურ მხედრად გარდაქმნილი თარაშის სახე რა თქმა უნდა ახალ განზომილებას ქმნის, მაგრამ მიმანიშნებელია იმ დიდ ტრაგედიაზე, რაც ემხვარისა და შარვაშიძის ქალის მომავალშია გათვალისწინებული.

კონსტანტინე გამსახურდია ბიბლიური მითებიდან ყველაზე ხშირად აპოკალიფსს ესესხება („იოვანეს გამოცხადება“).

წმინდა მამის განმარტებით, უფლისაგან მოვლენილი სხვადასხვა სახის განსაცდელი საბოლოოდ გამოჰკვეთს ადამიანის თავისუფალ ნებას, თუ რომელი გზა სურს აირჩიოს სულის სამუდამო სამყოფისათვის, როგორც წინასწარმეტყველებიდან ირკვევა, ზოგანი უფლის სიყვარულს ეწირებიან, ზოგნი კი წუთისოფლისკენ მიდრეკით სულს სამუდამო ჯოჯოხეთს უმზადებენ ე.ი. რომ გადაარჩინო სული „აპოკალიფსური ცხენის“ მხედარი უნდა გახდე.“

კ. გამსახურდიას ნაწარმოებთა სიუჟეტში ხშირად ერთვის „იოვანეს გამოცხადების“ სახეები: შარდინ აღშიბაია ლუკაიას სადღეგრძელოში მოიხსენიებს ვრცელ ციტატას აპოკალიფსურ ვეშაპზე: სტუდენტი გივი - მეკურტნე იოსებს მოაგონებს მეექვსე მოქცევის აპოკალიფსურ ნიშანს და სათანადო ადგილსაც ზეპირად ეუბნება; ცოქალა სოსო მოუთხრობს, „თუ როგორ მოვა ისევ ნაზარეველი ანგელოსის საყვირის ხმაზე, როგორ აღსდგებიან მიცვალებულები“, ცხვილოსციხელ ცოქალა „აპოკალიფსურ მეძავად“ იწოდება...“

კ. გამსახურდიას მთელი შემოქმედება თითქმის ერთი მთლიანი ეროვნული პროგრამაა, რომელიც გვიხსნის საქართველოს როგორც წარსულის ისე, მომავლის პრობლემებს და გარკვეულ დასკვნას გვაკეთებინებს - ვინ ვიყავით, ვინა ვართ და ვინ უნდა ვიქნეთ. მიუთითეთ, რომ როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე პუბლიცისტიკაში მწერალი და მოაზროვნე უმთავრეს საკითხად სწორედ ეროვნული ცნობიერების პრობლემას მიიჩნევს და ყოველთვის, მიზეზ-შედეგობრიობიდან გამომდინარე, შესაძლებლობას გადაძევს საქართველოს მომავალი განვითარებისთვის.

წერილში „1921-22 7 მაისი“ მწერალი მიუთითებს: „ვიდრემდის ქართულ რასის მაჯებში მწვანე სისხლი სჩქევს, ქართველობას ვერაგინ წაართმევს საუკუნეების ბრძოლებში მოპოვებულ ეპიტეტს: „ერი ღმერთებთან მეზრძოლი“ და კ. გამსახურდიას სულს სწორედ ამ ეპიტეტის პრიზმიდან განვითარების საქართველოს მთელი ისტორია და თავის ისტორიულ რომანებში ამ ასპექტში წარმოგვიდგინოს თანამედროვეობაში გაცოცხლებული მხატვრული სახეები ისტორიული პერსონაჟებისა („1921-22 7 მაისი“, „პოეზიის დღე“, №3, 1922 : 7).

მწერლისათვის თვითმიზანი არ იყო საქართველოს წარსულის მხატვრული ასახვა, მას კარგად, ესმოდა, რომ სწორედ ამ წარსულში იყო ჩადებული საძირკველი საქართველოს ხვალისდელი დღისა, თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ შემთხვევითობაც ხშირად არის განმსაზღვრელი ერის დიდების, თუ უბედურებისა. სწორედ ასეთი შემთხვევითობა იყო საქართველოსათვის პოლიტიკურ არენაზე თათარ-მონღოლთა გამოსვლა. ჯერ კიდევ ქვეყნად და სახელმწიფოდ ჩამოუყალიბებელი მომთაბარე ტომები, თითქმის მსოფლიოს გადაწვდნენ და საუკუნეობით ნაშენები და განვითარებული იავარყვეს და გაანადგურეს.

ის ეროვნული მიზანდასახულობა, რომელიც დავით აღმაშენებელს გააჩნდა საქართველოს სამომავლო სარბიელზე, თათარ-მონღოლთა ზვავად მოვარდნილმა ურდოებმა გადათელეს და გააქრეს, თანაც ყველაზე დიდი უბედურება ის შეიქნა იმდროინდელი საქართველოსთვის, რომ დავითისა და თამარის მიერ რუდუნებით ნაშენებ-ნაღვაწი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა ქვეყნისა, თანდათანობით შესუსტებულ-დეფორმირებული ხდებოდა მემკვიდრეთაგან. ალბათ, საქართველოს ბედითი ბორბლის უკუღმა მოტრიალებას ნიშნავდა. თათარ-მონღოლთა პირველივე, დაზვერვით ოპერაციებისას თამარის ძის - გიორგი ლაშას მათთან ბრძოლაში მოწამლული ისრით დაჭრა. ლაშას გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების მზე ჩაესვენა. შეიძლება

დაბეჯითებით ვთქვათ, რომ არა მარტო თათარ-მონღოლი იყო უდიდესი უბედურება საქართველოსთვის, არამედ თვით რუსუდანი და მისი მეფობის ხანაც, მისივე არასახელმწიფოებრივი, არამედ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებები, რის შედეგსაც მისი გარდაცვალების შემდეგაც, არა თუ წლების, საუკუნეების განმავლობაში იმკიდა საქართველო. ყველაზე დიდი ავბედობა ქვეყნისა, ნამდვილად რუსუდანს მოჰყვა და თითქმის წაიშალა მის დიდ წინაპართა აზრისა და დამსახურების ნაკვაღევი ქვეყანაში, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას, თამარის შემდგომი ხანა საქართველოს ისტორიისა თითქმის არც აინტერესებს, გიორგი პირველიდან მოყოლებული დავით აღმაშენებლამდე და შემდეგ მხოლოდ თამარი და მისი ეპოქაა დიდებულ რომანებში მხატვრული სიტყვის ქარგაში მოქცეული.

წერილში „1921-1922 7 მაისი“ კ. გამსახურდია წერს: „დღესაც როგორც გუშინ, ათასი იარიდან ისისხლება ქართველი ერი, მაგრამ ტანჯვის ბარძიმში, გარდა შხამისა, მუდამ მოიპოვება ენერჯისა და გამძლეობის მომგვრელი შარბათი, რომელიც მუდამ ახალი ბრძოლებისა და შემოქმედებისათვის აღგვანთებს. რაც არ უნდა სთქვან ყოველდღიურობის პოლიტიკოსებმა და პრაქტიკულად განწყობილმა ადამიანებმა ჩვენი რწმენა და იმედი ქართველი ერის ბრწყინვალე მომავლისადმი მუდამ უცვლელი და ურყევი რჩება“ („1921-1922 7 მაისი“, „პოეზიის დღე“, №3, 1922 : 7).

გიორგი პირველისა და დავით აღმაშენებლის სახეები ეროვნული ენერჯით გვაგვსებენ და კვლავ გვიჩნდება იმედი ერის ბრწყინვალე მომავლისა.

საქართველოს ეროვნული პროგრამას, ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების პრობლემატიკას, აშუქებს „დიდოსტატის მარჯვენა“ მიუხედავად იმისა, რომ ორ კურაპალატს შორისაა გამომწვევადეული გიორგი მეფე, და თანაც ფხოველ ქალზეა შეყვარებული, იგი ეროვნულ ინტერესებს არასოდეს დაღატობს. თვით საყვარელი ქალის გამოც კი არ შეივრდომა ქვეყნის ორგული, საერთო ეროვნული ინტერესებისგან გამდგარი ერისთავები. კოლონკელიძის თვალების დათხრაზეც არ უწევს წინააღმდეგობას ზვიადს, რადგანაც იცის, რომ ურჩი ერისთავი თვალებდათხრილიც ყოველჯამს საშიში იქნება საქართველოსთვის, მისი მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უამს. საყვარელი ქალის თხოვნაზეც შეუვალია მეფე:

„შორენამ შეცხადებულივით იკივლა, მიეჭრა უკვე ზეამდგარ მეფეს:

მე მაპატიეო მამა,

როცა მოღუშულ, მღუმარე სახეზე თანაგრძნობის ნატამალიც ვერ ჰპოვა, მუხლი მოეკვეცა და გიორგის ფერხით დაეცა ატირებული.

მეფე დასწვდა, ბალღივით აიყვანა იგი ხელში და ნატებით მორთულ ტახტზე დაასვენა გულშემოყრილი.

გამობრუნდა მეფე და დარბაზიდან აპირებდა გასვლას, ახლა გურანდუხტი მივარდა დაწვებდასოკილი, მუხლზე მოეხვია მეფეს:

ნუ დამიქცევ ოჯახს, ამ ერთხელაც შეუნდე თალაგვას.

გვიმსახურეო მე დე ჩემი უბედური თანამეცხედრე, ჩემი ერთადერთი შვილი.

სამოსის კალთებს უკოცნიდა, ეხვეოდა მუხლებზე.

მეფემ წამოაყენა ერისთავის მეუღლე, თავაზიანად შეაშვებინა სამოსის კალთისათვის ხელი, მშრალად, უგულოდ უთხრა:

ოში სპასალარია მბრძანებელი, მე არას მკითხავსო ზვიადი".

გულისტქმის აყოლა მეფეთათვის სახელმწიფოს დამღუპველი რომ არის, ეს კარგად იცის თავად მწერალმა და მის მიერ დახატული პერსონოლოგიური პორტრეტები მეფეებისა, მართლაც მონუმენტებივითაა ჩამოსხმული, მათ კარგად უწყვიან, რომ

„მეფე ხარ და ხამს...

მეფე ხარ და გმართებს...

მეფე ხარ და გევალება..." („დიდოსტატის მარჯვენა“, 92)

„ასეთ წუთებში მეფედ არყოფნას ნატრობდა გიორგი.

როგორც კი შემოუტევედა უგუნებობა, აიყვანდა მალემსრობლს უშიშარაისძეს და მეფის მეაბჯრეთაგანს ერთს, გავიდოდა მცხეთიდან, საფურცლეს გადაღმა, რომელიმე მუხის ქვეშ მიუგდებდა მონასპათ ცხენს, იხეტილებდა ველად, მუხის გარშემო წრეს უვლიდა, უვლიდა წრეს და ბუნებაში განმარტოებული ეძიებდა მოსხებას გულისას...

წელიწადში ორჯერ, ირმის მყვირალობისა და წეროთა გადაფრენის თვეებში, ინით წვერს შეიღებავდა გიორგი, სელის სამოსელსა და სამოგვის წაღებს ჩაიცვამდა, აიყოლიებდა მდაბიორებს, მეხამლეს - რუისძეს ქიტესას, მეჯინიბეს - გაბრიელ კოხრიჭაისძეს, ბაზიერს - ესტატე ლომაისძეს, თავად გლახუნა ავშანიძეს დაირქმევდა ხუმრობით.

მთელი კვირა გადაიკარგებოდნენ სიყრმის მეგობრები, ნადირობდნენ ნარეკვავის ტყეებსა და არაგვის ჭალებში...

... მხოლოდ ასეთ წუთში სჯეროდა გიორგის, რომ ეს ქვეყანა მარტოდენ საომრად არ ყოფილაო გაჩენილი" („დიდოსტატის მარჯვენა“, 101).

კარგად იცოდა გიორგიმ, რომ მეფობა მხოლოდ უფლება და გულისთქმა კი არ იყო, არამედ უდიდესი მოვალეობა ქვეყნისა და ერის წინაშე.

ეროვნული ცნობიერების ძალმოსილებითაა გაჯერებული მთელი ნაწარმოები, ძირითად პრობლემად „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“ დომინირებდა „ხელოვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში“. რატომღაც ლიტერატურულმა კრიტიკამ ასე გადაჭრა ეს საკითხი და თავადაც ყოველი აზრი ნაწარმოების ასეთი გაგების სტრუქტურას დაუმორჩილა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, უმთავრესი დერძი ამ ნაწარმოებისა საქართველოს ეროვნული ცნობიერების მოწესრიგების საკითხია. თუ ტრაგიკული ბედის პრობლემას დავაყენებთ, არა მარტო ხელოვანია ტრაგიკული „დიდოსტატის მარჯვენაში“. არსაკიძე - როგორც სოციალური ფენომენი, გარკვეული არტახებით დაბადებიდანვეა შებოჭილი. გიორგი მეფე, თუ თავს არ შეიზღუდავს, თუ საქართველოს ძლიერების, თავისუფლებისა და მთლიანობისათვის ბრძოლას არ დაუქვემდებარებს თავის გულისწადილს, პირადი ბედნიერების, მიღწევა არ გაუჭირდება, თითქმის ერთი ხელის გაწვედენაზეა ბედნიერება, მაგრამ „ომში სპასალარია თურმე მბრძანებელი“, და რაოდენ დიდი ტრაგედიაა მისთვის საყვარელი ქალის ასე განუკითხავად დატოვება, ადამიანური ბუნებისთვის მიუწვდომელი არ დარჩება. რატომ არ უნდა გვაშფოთებდეს თავად გიორგი მეფის ბედი, რატომ არ უნდა ვუთანაგრძნობდეთ მას? არსაკიძეზე ტრაგიკულიცაა გიორგი. არსაკიძე საყვარელი ქალისაგან თანაგრძნობას მოკლებული არ არის, თავად არსაკიძესაც ხომ არ შეუძლია სატრფოსთვის ყველაფრის დათმობა, ხომ სთხოვა სული სანატრელმა, მაგრამ სვეტიცხოვლისთვის შეეწირა იგი და თხოვნა ვერ აუსრულა შორენას. რატომ არ ვაყენებთ მსგავს პრობლემას გიორგი მეფესთან დაკავშირებით. გიორგიმაც იმიტომ ვერ აუსრულა თხოვნა სატრფოს, რომ იგი თავისთავს არ ეკუთვნოდა, სული და გული სამშობლოსათვის ჰქონდა შეწირული, რატომ აქამდის არაფერი გვითქვამს გიორგი მეფის ტრაგედიაზე, მან თავადაც ხომ გაგვიმხილა თავისი შინაგანი ტკივილები.

„მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია, ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი და მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია „პიპა“ („დიდოსტატის მარჯვენა“, 375).

ყველაზე თანადროული იდეა, რასაც „დიდოსტატის მარჯვენაში“ ამოვიკითხავთ, ეს არის ერთმორწმუნეობის, ანუ ერთი იდეოლოგიის საფარქვეშ დიდი ქვეყნისაგან მცირერიცხოვანი სახელმწიფოს დაპყრობის ცდა.

ბიზანტიასთან სჯულის ერთიანობით დაბრმავებულმა თავისი სამეფო გადასცა ბასილი კეისარს სენაქსიმმა, სომხეთის მეფემ. გიორგი პირველს კი, ქართველთა მეფეს კარგად აქვს გაცნობიერებული რას უქადდა ბიზანტია საქართველოს.

„ბასილი კეისარს ეს უნდა ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე, სანამდის პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი ბასილი კეისარი“ - ასეთი შეუვალია მეფე გიორგი.

ერთ-ერთი მწვავე თემა, რაც კონსტანტინე გამსახურდიამ წარსულიდან გამოიხმო ეს გახლავთ თემა ქვეყნის აშლილობისა, თვისტომთა წინააღმდეგ უცხოტომელთა მოხმობისა. სწორედ ასეთმა ქმედებამ ათქმევინა მომაკვდავ მეფეს „როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს“.

სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის მშენებლობა შინააშლილობითა და გარეშე მტრების მუქართ შეჭირვებულ ქვეყანაში გიორგი პირველის ეროვნული ღირსების ერთ-ერთ სიმბოლოდ აღიქმება. სვეტიცხოველი დასტური იყო იმისა, რომ საქართველო არც კულტურული მეტოქეობს ასპარეზზე დაუდებდა ტოლს იმპერიას. ბიზანტიური ხარისხების ტარება გიორგი მეფეს ეროვნული ღირსების შელახვად მიაჩნდა და არც კეისრისაგან ნაბოძებ მწვანე ეტლებს ეტრფოდა იგი. მეფე გიორგიმ ბერძნულიც იცოდა, არაბულიც, მაგრამ სასახლეში მხოლოდ ქართულად ესაუბრებოდა უცხოელებს. ამ ეტიკეტის დაცვა ეროვნული აზროვნების გამოხატულება იყო.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ მთელი ის სინამდვილეა გაცხადებული, რაც მწერალმა თავისი შემეცნებით აღიქვა. საუკუნეების გამოცდილებას ეზიარა კონსტანტინე გამსახურდია, „ქართლის ცხოვრებიდან“ თუ ზოგადად საქართველოს ისტორიიდან. ერის ბუნებაზე დაკვირვებამაც არაერთგზის დაანახვა როგორც მისი ამაღლებული, ისე უარყოფითი ზნე-ჩვეულებანი, ხელოვანის და ხელოვნების საკითხი, რომ დიდად აინტერესებდა თავადაც ხელოვანს და მსოფლიო ხელოვნების ღრმად მცოდნე მწერალს, ეს თავისთავად ცხადია, მაგრამ შეუძლებელია უმთავრესი არ ვიგრძნოთ და შევიმეცნოთ ნაწარმოებიდან აქ პირველადი მაინც ერის სული და ცნობიერებაა. ბაზისი ცხოვრებისა ეროვნული

ყოფის ელემენტებია და ამ მყარ საყრდენზე აღმოცენდება შემდეგ ხელოვნება და ხელოვნების ყოველი ძეგლი.

ფიქრობთ, არაა აუცილებელი წინა პლანზე ხელოვანის ბედისა და ხელოვნების წამოწევა, მაშინ, როდესაც ხელოვანის ტრაგედიაზე აღმატებულია თავად მეფისა და ქვეყნის ეროვნული ბედი. მითუმეტეს ერის, იმ უარყოფით უნებისა, რომელიც ასე საინტერესოდაა გადმოცემული გიორგი პირველის მონოლოგში, და რაც, თანამედროვე საქართველოს ეროვნული ტრაგედიის მიზეზიც რამდენგზისმე გამხდარა.

ამიტომაც მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ლიტერატურული ნაწარმოების კითხვისას რეალობას არ მოვწყდეთ, ნამდვილისა და არსებითის დანახვისა და გაანალიზების ძალა უნდა შეგვწევდეს. ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართული მეფობის ინსტიტუტი, ეროვნულობის ინსტიტუტიც იყო. გიორგი პირველისა და დავით აღმაშენებლის სახეები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მსოფლმხედველობრივ პრიზმაში, მეტად საინტერესოდ გვიხსნის ქართველ მეფეთა ეროვნულობისა და ზოგადად მეფობის ინსტიტუტების იმ მნიშვნელოვან პრობლემებს, რამაც ასე არაჩვეულებრივი სახე მიიღო მხატვრულ ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ მხატვრული სინამდვილე და რეალობა ერთმანეთს მთლიანად არასოდეს ემთხვევა, მაგრამ მხატვრულ სინამდვილეში ნაწილობრივ მაინც აისახება რეალობა. მითუმეტეს, დავით აღმაშენებლის შემთხვევაში, მწერალი სინამდვილიდან თითქმის არასოდეს უხვევს, ეს არის მხოლოდ, რომ მხატვრული ფერებით ამკობს და ამშვენებს სინამდვილეს.

და არა მარტოდენ მეფობის ინსტიტუტი იყო ეროვნულობის მესაჭე და ალამდარი. ქრისტიანული სარწმუნოება და მისი მესვეურებიც ამ ეროვნული ცნობიერების გამაღრმავებელნი იყვნენ და რა თქმა უნდა სამეფო ინსტიტუტიც. ისინი ხშირად არათუ მისი გამაღრმავებელნი, წამყვანნი და ტონის მიმცემიც იყვნენ ეროვნული ცხოვრების.

„ეკლესიების მასობრივი ნგრევისა და ათეისტური იდეოლოგიური პოლიტიკის ზეობის ხანაში კ. გამსახურდია თავისი ნაწარმოებით საეკლესიო მშენებლობის განმადიდებლის როლში მოგვევლინა. სვეტიცხოველისადმი, როგორც ღვთაებრივი რწმენის ტაძრისადმი, აღვლენილი ხოტბა უკვე ნიშნავდა ავტორის შინაგან მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას სოციალისტური ეპოქის იდეოლოგიასთან.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ სვეტიცხოველის ტაძარი ქართველი კაცის ცნობიერებაში დამკვიდრებული იყო, როგორც საქართველოს ერთიანი

სახელმწიფოებრიობის სიმბოლო, ჩვენი დიდი ისტორიული წარსულის ერთ-ერთი ყველაზე საამაყო ძეგლი. ამდენად, მისი განდიდება არა მარტო ღვთაებრივი რწმენისადმი ჩვენი ხალხის ტრადიციულ თაყვანისმცემლურ დამოკიდებულებას გულისხმობდა, არამედ იმაგდროულად ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის რომანტიკულ განდიდებასაც. სახელმწიფოებრიობადაკარგულ და განახლებული რუსული იმპერიის ნაწილად ქცეულ ქვეყანაში დიდ სახელმწიფოებრივ წარსულსა და კულტურაზე ამგვარი საუბარი კი, რაც რომანტიკული ნოსტალგიით ადავსებდა ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტის გულს, ბუნებრივია, ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული იდეოლოგიური ნორმების ჩარჩოებში ვერ მოთავსდებოდა და აშკარად ნიშნავდა მწერლის მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას ეპოქალურ სინამდვილესთან" (ნიკოლეიშვილი VII, 2007 : 203).

ამ მხრივ „დიდოსტატის მარჯვენიდან“ მთელი ქართული საქრისტიანოს სიმბოლურ სახედ გვევლინება მელქისედეკ კათალიკოსი. მწერალი მეფეთა სახეებთან ერთად ისეთი რუდუნებით ძერწავს ეკლესიის პატრიარქთა პორტრეტებს, რომ რწმენასა და სარწმუნოებისადმი თაყვანისცემის გრძნობას ამტკიცებს მკითხველში.

საინტერესოა მელქისედეკის მონოლოგი:

„ჯანმრთელობა ჩემი ფრიად შერყეულია, ზვიად ბატონო, უფლის ნებაა ეგეც. არც მე მწადის საქართველოს დაქცევის მოწმე რომ გავხდე. უმალ დამხსნებია ეგ თვალნი და ყურნი დამგმანვია, სმენად ბოძებულნი უფლისა მიერ.

რამეთუ ნეტარ არიან იგინი, ვისაც სიკვდილი უმალ უწევს, ვიდრე საკუთარის თვალით იხილავდნენ სამშობლოს თვისის იავარყოფას.

ნეტარ არიან იგინიცა, ვინცა გულმართალ წინაპართა აჩრდილებს შორის ლანდადქცევას არჩევენ. გადაშენების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა წიადში ყოფნას.

ვაი მათ, ვისაც იერემიასებრ გოდება წილად ხვდეს, სამშობლოს თვისის დარღვეულ გოდოლთა და ნაცისვართა შორის.

უშჯულობა მოძალებულ არს საქრისტიანოსა ზედა, ასეთ დროს შჯულის სიმტიცე და ზნეობის სისპეტაკე თუ ვერ შევინარჩუნეთ, ვერას გვიშველის ის ციხეები, რომელთაც მეოხებითაც მეფისათა აშენებ, ზვიად ბატონო შენ.

ქვეყანა თავზე დაგვემხოვა, იავარქმნიან საქრისტიანოს და ვედარც ის ცეცხლისმფრვეველი ხმლები გააწყობენ რაიმეს, გიორგი მეფე რომ აწრთობინებს ფარსმანს, უშჯულოსა და მუცლით მეზღაპრეს.

რადგან ყოველთა დამბადებლისა და ყოველის მხილველის თვალი სუფევს, ზვიად ბატონო, ყოველგან და მდოგვის მარცვალიც ვერსად დაცემა, თვინიერ ნებისა და ხედვისა მისისა...

„ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა სასოება“ იყო ბაგრატის, ამიტომაც განავრცოვო მან საქართველო, არცთუ ვინმეს აუგიაო ამდენი ეკლესია სხვას, ვახტანგ გორგასალის შემდეგ“ („დიდოსტატის მარჯვენა“, 156).

მელქისედეკის სიტყვა საქართველოს დიდი სიყვარულითაა შთაგონებული. მღვდელმთავარს ესმის საქართველოს ძნელბედობის თავისებურებანი, ისიც ძალიან კარგად უწყის, რომ საქრისტიანო სამყაროსთან ურთიერთობა გარკვეულად მისი ეროვნულობის განმამტკიცებელიცაა და ბიზანტიასთან ურთიერთობის მომხრე ამიტომაცაა იგი. თუმცა ერისკაცნი სხვაგვარად ფიქრობენ და არცთუ უსაფუძვლოდ. ისტორიამ საინტერესო მაგალითები მოგვცა იმისა, ქრისტიანობის მესვეურმა და მსოფლიო არენაზე თითქოს დამცველის ფუნქციით მოვლენილმა მრავალგზის წარტაცა მიწები საქართველოს. მაგრამ მაინც „კ. გამსახურდიასათვის ქრისტიანული რელიგია ჩვენი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითარსებობისა და „რასსიული იზოლაციის“ დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი ძალაა. ეს სარწმუნოება თავიდანვე ისე ორგანულად შეესისხლხორცა ქართველი ერის ყოველდღიურ ყოფას, რომ მის ცნობიერებაში ეროვნულობა და ქრისტიანული რწმენა ფაქტობრივად ერთმანეთთან გაიგივებულ ცნებებად დამკვიდრდა“ (ნიკოლეიშვილი 2010 : 223).

სასულიერო და საერო პირები ფიქრობენ საქართველოს წარსულსა და მომავალზე, მათთვის სამშობლოსა და ერზე ზრუნვა უზენაესი მოვალეობაა. სამშობლოს ბედი და უბედობაა მათი ცხოვრების არსი და სწორედ ამ პიროვნული აზროვნების მკვეთრი წარმოსახვაა მწერლისათვის მნიშვნელოვანი. ის მკვეთრი საერისკაცო თუ სასულიერო შტრისები, რომლითაც გიორგი, როგორც მეფე და მელქისედეკი, როგორც კათალიკოსი გამოირჩევიან კ. გამსახურდიას შემოქმედების ძირითადი ლაიტმოტივია. მხატვრული სიტყვის დიდოსტატის მიმართება ეროვნული ენერჯისადმი სწორედ მეფეთა და სასულიეროთა არსებითი მახასიათებლებით აიხსნება და „დავით აღმაშენებლის“ პერსონაჟთა პერსონოლოგიური სახეები ამ ნიშნითაა საყურადღებო მკითხველისათვის.

„დავით აღმაშენებელი“ - „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენისაგან“ განსხვავებით საოცარი პათოსით შექმნილი ნაწარმოებია. თუ გიორგი პირველის სახე იმიტომ იზიდავდა მწერალს, რომ იგი ორ კურაპალატს შორის გამოსრესილი მეფე იყო - დავითის მთელი ცხოვრება სხვამხრივ აინტერესებს:

„ძველი ბერძნები მუდამ აფროსილებდნენ ხელოვანს ცნობილი სენტენციით - არც ნაკლები არც ზედმეტი.

მონსტრუალობის, გადაჭარბების და შინზრდილი პატრიოტული ისტორიის გზით რომ ვიაროთ, შესაძლო იქნება ყოველი ფირალისაგან ნაპოლეონი ან გარდანექმანი გამოვიყვანოთ.

ისტორიული მასალის გადამუშავებისას მე მუდამ იმას ვცდილობდი, არ გადავცდენოდი იმ სამანებს, რომელიც მოცემულია როგორც ქართულ, ისე მეზობელ ერების მატრიანებში.

დავით მეფის ბრწყინვალე ფიგურას არც ესაჭიროება „მონსტრუალობა“. იგი თავისი ეპოქის უმამაცესი და უგანათლებულესი სუვერენი იყო. იმ ბნელ საუკუნეებში, როცა გერმანიის იმპერატორები ძლივს ითვისებდნენ წერა-კითხვას, ცნობილია, კარლოს დიდმა მიხრწნილობისას ძლივს ისწავლა თურმე ხელის მოწერა, ხოლო სელჯუკიანთა დიდი სულტანი თოდრიულბეგი ალფ არსლანი და მალიქ-შაჰ სავსებით უწიგნურნი იყვნენ“ („დავით აღმაშენებელი“, 768). ისტორიულ სინამდვილეს არ ამეტებს მწერალი, როცა დავითის განსწავლულობას და მის ინდივიდუალურ თუ ეროვნული აზროვნების მახასითებლებზე ამახვილებს ყურადღებას. თავადაც აღნიშნავს და ჩვენც ვეთანხმებით, რომ დავითის სახეს მართლაც არ სჭირდება „მონსტრუალობა“, რადგან იგი ისტორიამ თუ ქართულმა ფოლკლორმა ცოცხლად და საინტერესოდ შემოგვინახა. დავითზე გადმოღვრილი დიდი სიყვარული მწერლისა, რომელიც ნაწარმოების ყველა გვერდიდან გამოსჭვივის, მართებულია და ჩვენც ვგრძნობთ მეფის არაჩვეულებრივ სულიერ ძალას და სამშობლოსადმი „გარდარეულ სიყვარულს“, რამაც მას შეუძლებელი შეაძლებინა. ისეთ ძლიერ სახელმწიფოებს მოახრევინა ქედი, რომლებიც საქართველოს ფრიად აღემატებოდნენ. სწორედ ეს იწვევს მწერლის სიყვარულსა და აღფრთოვანებას ამ უდიდესი მეფითა და განუმეორებელი ეროვნული გმირით, თუმცა ბერძენთა ბრძნულ შეგონებას არასოდეს დალატობს.

„დავით აღმაშენებლის სახე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მსიბლავდა. ... აღტაცებული შევცქეროდი დავითის დიდრონ ცისფერ თვალებს, ნიკაპთან ოდნავ გაუღალეებულ წვერს, აღმასებით მოოჭვილ გვირგვინს, კეისრულ წითელ წაღებსა და ბოლოს, მის ომახიან ფიგურას, ფრესკაზე გამოსახულს.

მოგზაურობისა და განსწავლის წლებში დიდხანს ვატოლებდი და ვაზომებდი მას ბიზანტიის იმპერატორებს... საქართველოს დამხობისა და დაქცევის პერიოდში წარმოშობილ უჭკუო მეფეებს, რომელთაც ისეთივე უნიჭო შაირები დაგვიტოვეს, როგორც პოლიტიკა ჰქონდათ.

ამ შედარებისას უფრო და უფრო იზრდებოდა ჩემს გულში სიყვარული და თავდადება დავით მეფისადმი, რომელსაც ჩვენ ვაფასებთ უპირატესად, როგორც თავაკაცს ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლისას ისლამური ობსკურანტიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ...

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, დავითის ვაჟკაცობამ, მისმა ბრძნულმა პოლიტიკამ და ქართველი ხალხის თავგამეტებულმა ბრძოლამ გადაარჩინა XII ს. კავკასია როგორც გამუსლიმებას, ისე ფიზიკურად განადგურებას" („დავით აღმაშენებელი“, 769). როგორც მწერლის ამ სიტყვებიდან ჩანს, არა მარტო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღირსების ტვირთი აუწევია მარჯვედ დავით აღმაშენებელს, კავკასიაც მისი ბრძნული პოლიტიკით და თავგამეტებული ბრძოლის შედეგად გადაარჩენია მრავალ უბედურებას.

თავად მწერალმაც აღნიშნა, რომ დავითის რეალურ სახეს გაზვიადება და განდიდება არ სჭირდება მხატვრულ ლიტერატურაში, ის თავადაა სიმბოლო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა.

დავითის დიდებული სახე ნაწარმოებში მეტად დიდ მხატვრულ-ემოციურ ფონს ქმნის. მისი გამეფებიდან მოყოლებული მკითხველი ინტერესით ადევნებს თავს ამ უებრო გმირსა და მეფეს, გონიერსა და დაკვირვებულს, ყოველჯამს იმისთვის რომ არის მზად, ყოველივე მნიშვნელოვანი შეიმეცნოს და დაიმახსოვროს, თავადაც არაერთგზის ისეთ საინტერესო პრობლემებს წამოჭრის და მიაგნებს, ვგრძნობთ, რომ ღრმად მეცნიერული განჭვრეტა ძალუძს მის გონებას ყოველივესი, მაგრამ ერთიც აღსანიშნავია, მისი გულისყური ყოველთვის უმთავრესი მიზნისკენაა მიმართული - სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა. ეს არაჩვეულებრივი პოტენციის პიროვნება მთლიანადაც შეეწირა ამ დიდ საქმეს.

კ. გამსახურდიასათვის, საქართველოს წარსულზე, გარდასულ გმირებსა და ეროვნულ მოღვაწეებზე ფიქრი განუყოფელია. რა პრობლემაზეც არ უნდა ფიქრობდეს მწერალი, რა საკითხსაც არ უნდა წარმოსახავდეს, მისი კალამი და ცნობიერება მაინც მათ უკავშირდება და მართლაც როგორც „ტოილოთი დაბმული ცხენი“, ნიადაგ მათ უტრიალებს, სხვადასხვა რაკურსით წარმოსახავს ეროვნულ გმირთა სახეებსა და დანიშნულებას.

„ჭეშმარიტად არც ერთი ნაგებობა არაა ისე მტკიცე, როგორც ის, რომელიც მამაცი წინაპრების ძვლებზეა აშენებული...“

მე ვიგონებ რუსთავის ციხეში მომხდარ ბრძოლებს, დავით აღმაშენებელსა და გიორგი ჭყონდიდელის, ჩვენი ისტორიის სხვა მამაც გმირებს, ხოლო ამხანაგი

ნესტორი კვლავ ახალი რუსთავის ამბებს უბრუნდება" („რუსთავი“, კ. გამსახურდია, ტ. VIII, : 236).

დავითის სახე ზოგად-ისტორიულ ფონზე არა მარტო თავისი დროის საქართველოს, არამედ ყოველი დროის საქართველოს ეროვნულ-განმანათავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლოა. კონსტანტინე გამსახურდიასაგან დავითისა და მისი დროის საქართველოს მხატვრული ასახვა განსაკუთრებული დანიშნულებისაა, გმირის სახის დახატვით, მწერალს სურს გააღვივოს ეროვნულ-განმანათავისუფლებელი ბრძოლის იდეა ქართულ საზოგადოებაში, რომ თავისუფლებისა და გმირობის სული არ ჩაქრეს ხალხში.

დავითის დროინდელ საქართველოში გარეშე მტერთა თავდასხმებისაგან და ბუნების სტიქიისაგან გამეტებული ხალხში მაინც რჩებოდა სამომავლო იმედი.

„დავითმა კვლავ თემშარას გადაღმა გადაიტანა მზერა. გულნაღვლიანი გასცქეროდა ჩანაცრულ ნაფუძარებს. მარნებიღა გადარჩენილიყო ზოგიერთ ეზოში. ერთგან ასწლოვანი ხენიც გადაეტრუსა ცეცხლს. ერთადერთი მსხლის ქვეშ ლასტის ფაცხა მოედობათ. სამი ბაღლი და ერთი შავოსანი დიაცი ჩალიჩობდნენ მზვარეში.

მხედრების თვალწინ ლასტის ჭიშკარზე შეფრინდა უზარმაზარი მამალი, სისხლივით წითელი ბიბილო განზე ჰქონდა გადაზნექილი. მთლად აღისფერი ფრთენი ძალოვნად შემოჰკრა ერთურთს და იყივლა.

შერგილმა შენიშნა: გუნება გაეხსნა მეფეს.

„დაილოცოს ამქვეყნად საწყისი მამრისა, იგია შურისმგებელი ძალა, რომელიც დაიქუსებს-ხოლმე ჩანაცრულ ფუძეზე!“ - სთქვა დავითმა („დავით აღმაშენებელი“, 257).

მთელი ნოველაა ეს აბზაცი, ყოველივე მოკლედ და ლაკონურადაა გამოთქმული.

მსხლის ქვეშ ლასტის ფაცხას თავშეფარებული ოჯახის ტრაგედია თავისთავად ნაგულისხმევია. შავოსანი დიაცის სამი ბაღლი საქართველოს მომავალია, მაგრამ მწერალმა თავისუფლებისა და მომავლის სიმბოლო „უზარმაზარი მამლის“ ყივილით გვამცნო, რასაც ჯეროვანი შეფასება მოჰყვა დავით მეფისაგან „ჩანაცრულ ფუძეზე დამქუსებული ძალისა“.

მთელ ამ ვრცელ ტექნოლოგიაში ასეთი სახე-სიმბოლოები, ერთგვარი მინიშნებები - იმედის მომცემი და სამომავლო ბრძოლისათვის შემგულიანებელი ყოველთვის იკითხება ნაწარმოებში.

ყველა პრობლემა მაინც დავითის გარშემო იყრის თავს. მწერალი პირდაპირ თუ არაპირდაპირ დავითის სახეს გადმოსცემს, მის ირგვლივ ტრიალებს მუდამ მწერლის აზრი და გულისთქმა. თუნდაც გიორგი მეფის „სოფლის სამღურავი“ მოვისმინოთ, საბოლოოდ მაინც დავითზეა ყურადღება გადატანილი.

დავითი ნამდვილად იმდროინდელი საქართველოს აზროვნებისა და მოქმედების ბრუნვის ღერძი, ურომლისოდაც ქვეყანა მართლაც ვერ იარსებებდა.

„ქვეყანა წახდა, მთანი-და შემოგვრჩენ უცვლელნი კვლავ, მდინარენი თავიანთ სადენს მიჰყვებიან, მაგრამ იცვალნენ ზნენი და ჩვევანი ჩვენს თვალწინ, გულბოროტნი გახდნენ კაცნი, სულის მშვიდობა შემოაკლდა მორჩთა თაობას. მახსოვს, როცა სამშვილდეთგან ტახტით მოვიყვანეთ სულკურთხეული მეფე ბაგრატე უფლისციხეში... განსვენებული დედაჩვენი სასთაულთან უჯდა, ნანობდა მომაკვდავი: ომებს შევალე ჩემი წუთისოფელი, მიწიერი მეუფობა ყოველივე ამო ყოფილათ სიკვდილის წინაშე. ჩემი ვაჟი დავითი თავის პაპას დაემგვანა, შამან, ვეუბნები, ვიკმართ მეთქი რაც გვაქვს, მას სულ ომები სწყურია“ („დავით აღმაშენებელი“, 284) - აცხადებს მეფე და გაოცებულია, რატომ ვერ ხვდება მისი მემკვიდრე, რომ იმქვეყნად ისეთი არაფერი მიჰყვება ადამიანს იმისათვის ამდენი ზრუნვა, ამდენი ჯაფა და ამდენი ბრძოლა ღირდეს, თანაც ამქვეყანაშიაც ვინაა დამფასებელი დიდ საქმეთა, პირიქით, მოღალატენი და მტრები ჭარბობენ მუდამ. არვინ იცის სინამდვილეში როგორ აფასებდა მეფე გიორგი თავისი ძის გმირულ საქმეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში აქ საინტერესოდ იკითხება დავითის საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის პროგრამა და ისიც, რომ მასზე არავითარი შეგონებანი არ მოქმედებს, თვით მამის აზრსაც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს მეფე, მას სწამს თავისი მოქმედების უზენაესობისა და მხოლოდ ერთი - გულისთქმითაა შეპყრობილი, შორს გადარეკოს საქართველოს საზღვრებიდან მტრები და ორგულნი, ბოროტნი და ქვეგამხედვარნი, რომელთაც არ სურთ საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ვერც მოუაზრებიათ, როგორ შეიძლება ამის მიღწევა.

არადა ერს მაინც სწამს თავისი, თუმცა ჭაბუკი, მაგრამ გაწონასწორებული, გონებადამჯდარი მეფისა. საინტერესოა ამ მხრივ ჯონდი ერისთავის და მოხუცი მწყემსის საუბარი:

„ღმერთი იყო შენი შემწე კეთილო მოხუცო, ასე მგონია საქრისტიანოს არავინ დაანებებს წასაბილწავად შენს პატრონს“.

მოხუცმა თვალი გაუმართა სტუმარს და უთხრა:

„მეც ენგრე ვგონებ, შვილო, დავით მეფეს მოელიან თრიალეთის საერისთაოში, ენგრე უბნობენ ბერნი ქრისტიანობის ქომაგიაო ჭაბუკი მეფე“ („დავით აღმაშენებელი“, 325).

საქმე ის არის, რომ მოხუცი მწვემისი ლიპარიტ ორბელიანის მსახურია, მაგრამ მისი მოღალატური ბუნების გამო, გასტეხია გული მასზე მოხუც მწვემს და ამიტომაცაა, რომ პირუთვნელ აზრს გამოთქვამს იგი დავით მეფის მისამართით, თუმცა წარმოდგენაც არა აქვს, რომ დავითის ერთგულ ჯონდი ერისთავთან საუბრობს.

დავით მეფის პირდაპირი თუ არაპირდაპირი დახასიათება მწერლისაგან ყოველთვის რაღაც შტრიხს მატებს მის პერსონოლოგიურ პორტრეტს, უმიზნოდ და უმნიშვნელოს არასოდეს არაფერს ამბობს მწერალი თუნდაც:

„დავითს წესად ჰქონდა, თათბირი ყველასაგან გულდინჯად მოესმინა, მაგრამ უდიდეს საიდუმლოს თავად ინახავდა გულში“ (გამსახურდია 1968 : 358).

ამ ერთ წინადადებაში ერთი ხელისმოსმით დაიხატა, გონიერი და წინდახედული მეფის სახე, ერთი – გულდინჯად ისმენს ყველას აზრს და მეორეც - „უდიდეს საიდუმლოს რომ თავად ინახავს გულში.“ სწორედ ამ დაკვირვებულობით, სხვათა მოსმენის დიდი ნიჭითა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით შესძლო დიდმა მეფემ გაეთვალისწინებინა ყოველივე ნიუანსი მომავალი ბრძოლებისა და საქართველოს გამარჯვებით დაეგვირგვინებინა ყველა საბრძოლო ოპერაცია.

მეფის არაჩვეულებრივი სულიერი ძალა და რწმენა მებრძოლებზე გადმოდოდა, მათი ძალისხმევა ასკეცდებოდა.

„ლიპარტიანი გააოცა ამ ამბებმა. სამასი მხედრის ამარა როგორ აპირებსო თურქებთან შებმას? მაინც ვედარაფერი შეჰკადრა პატრონს...

მუხათგვერდს ქვემოდ გადალახა დავითმა მტკვარი...

„არავის მიენდო მხედველსა სხვასა, არამედ თვით მარტო წავიდა. ყოვლად უსაჭურველოდ, ხმლითა ოდენ და თან წარიტანა წიგნი ღვთის მეტყველი და ამცნო სპათა არა შეეძვრად ყოველივე მისვლამდე მის მათ თანა; ხოლო მონათა ათ ხუთმეტთა ჰყვეს ბრძანებული მათდა და წამოიღეს ნახირი ღოჭინის ხვეითა და მოუწივნეს თურქნი და შემდგომი დიდისა ჰომისა, ჩამოჰყარნეს მონანი და დაუხოცნეს ცხენნი, გარნა ქვეითნიცა იბრძოდეს ფიცხელად.

ხოლო მეფე ცხენსა რა გარდახდა, არა ჰგონებდა, ჯერეთ მოსვლასა, შეექცა კითხვასა და ესოდენ წარიტყვენ მისგან გონებითა, რომელ სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე, ვიდრემდის ხმაი რაიმე კვლისა შემოესმა ყურთა

მეის დაუტევა წიგნი მუნვე და ამხედრებული მიჰყვა მის ხმისა და ვითარც ზედ წარადგა მონათა თვისთა, ესე ვითარსა ღვაწლსა შინა მყოფთასა და რამეთუ ამორვიდა თავისთა სპათა უკეთუმცა მათდა ცნობად წასულიყო, მონათა დაუხოცდეს. მსწრაფლ შთაბრიალდა მეფე, ვითარცა არწივი და დააბნია ვითარცა კაკაბნი, მსწრაფლ ესოდენი მოსწყვინდა რომელ მათნი ცხენნი, კმა ეყვეს მონათა მათ და ამხედრებულთან ესოდენი მოსწყვიდეს, რომელ მცირედნი შეესწრნეს ქალაქს; ხოლო გზანი სავსენი ყველა მძორითა მათითა და ფრიადისა ცემისაგან ხრმაღმანცა დაღვარჭნილმან უარჰყო ქარქაში თავისი" („დავით აღმაშენებელი“, 366).

მწერალი არაფერს ამატებს ისტორიულ სინამდვილეს, აქედანაც საინტერესოდ იკითხება გმირი და გონიერი მეფის პორტრეტი, რომელსაც უპირველეს მოვალეობად ქვეყნისა და ხალხის სამსახური მიაჩნია. მისი ცხოვრების მიზანი ერთია, გააცილოს მტერი სამშობლოს საზღვრებს. როგორმე შეძლოს და თანამოძმეთა ნაკლები სისხლის ფასად მოაპოვებინოს ქვეყანას დამოუკიდებლობა.

ზემოთ მოტანილ ამონარიდში საინტერესოდ იკითხება მეფის მრავალმხრივი უნარიანობა, წიგნიერება, გულადობა, გონების გამჭრიახობა, რაც გარკვეულად განმაპირობებელია დასახული მიზნის წარმატებებისა. იმდენად მიზანმიმართულია მეფე, რომ სხვა ყოველივე მეორეხარისხოვანი ხდება მისთვის. მხოლოდ ბრძოლებისთვის სამზადისი, ბრძოლა და მტრის დამარცხებაა მისი ცხოვრების საზრისი. თითქოს გულნაკლულნიც არიან ქვეშევრდომნი, რომ მეფემ სხვა ყოველივე დაივიწყა, გარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

ამ მხრივ საყურადღებოა ჯონდი ერისთავისა და საბაიას საუბარი, სადაც ეს უკანსკნელი ვერ ურიგდება ნიადაგ ომებს, ქვეყნის თავისუფლებისათვის ბძოლას გამუდმებულად, ჯონდი ერისთავისათვის კი ეს მოვლენა კანონზომიერი და მისაღებია:

„აგრე უბნობენ, ბატონო, ჩვენი ჭაბუკი მეფე და მისნი სპასალარნი ომისთვის ოცნებობენ ნიადაგ“.

ჯონდიმ გაიღიმა და მიუგო:

„ჰაი, ჰაი რომ უომრად მშვიდობა ვერ იქნება, ჩემო საბაიაგ, ისე როგორც ცეცხლი უკვამლოდ, ცხენი უნალოდ, რაინდი უხმლოდ და წისკვილი უღაროდ“.

„არა მე სხვას მოგასხენებ, შენი რისხვაც ნუ მომცემია, ჩვენს პატრონს, ბაგრატ მეფესაც უყვარდა ომი, მაგრამ არც მოღსენანი ამსოფლიურნი სძაგდა დიდებულ მეფეს ჰეი, ვინ უწყის როგორი ნადიმები ახსოვს ამ პალატებს! ჩვენც

ჭაბუკნი ვიყავით მაშინა, ხოლო ეგ დარბაზნიც მოოქროვილნი, მოჭიქულნი და მოხატულნი? ხანდახან ერთი მსგეფის მანძილზე გრძელდებოდა ნადიმი, სამეფოს ჩვენის უტურფეს ქალ-რძალთ სამაია უცეკვნიათ ამ ბუხრის წინ, ერისთვო ბატონო, მეჩანგენი და მუტრიბნი მოალხენდნენ მუინახეთა. უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ნაჭარმაგევში ბრძანდება ჩვენი ახალი პატრონი და გადიმებულიც არავის უნახავს იგი" („დავით აღმაშენებელი“, 393).

თუმცა მხოლოდ საბაია კი არა, სხვებიც არ მაღავედნენ უკმაყოფილებას მეფის სხვათაგან ასე განსხვავებული ბუნების გამო.

„ნაჭარმაგევში მოკლე ხანს ყოფნისას სათითაოდ ჰყავდა შესწავლილი ეს მანდატურნი ჯონდის. ეგეც იცოდა ერისთავმა, რომ მათ არც დავით მეფე მოსწონდათ, არც მისი „თავაწყვეტილი“ სპასალარები. ბიზანტიურ მკაცრ ეტიკეტზე გაზრდილთ ეუცხოვებოდათ დავით მეფის „მდაბიორული ჩვევანი“.

ფეხით სიარული უყვარსო, ღამდამობით მარტო სეირნობსო ღიახვის პირად, ბერი არაა, მაგრამ ბერულ ცხოვრებას ეწევაო ჭაბუკი.

არც ეს მოსწონდათ, მუდამ ეტრატებში რომ იჭვრიტებოდა, ლანდივით მიმოდოდა პაპისეულ პალატებში, ხანაც ფსალმუნს ჰგალობდა ბნელში დაჩოქილი.

ბაგრატ მეფისა და გიორგისდარად, ნადიმებს არ მართავდა, სტუმრობა არ უყვარდა, პურად ძვირიაო, ჩურჩულებდნენ კუთხე-კუთხე ხანაც.

წავიდოდა სადმე, არავის უმხელდა მიზეზს წასვლისას, არც მოსვლის დროს დასთქვამდა, წინასწარ ჟამს მოახსენებდნენ რაიმეს, ვერავინ შეატყობდა სახეზე: ეამა თუ ეწყინა ნაუწყები, მონახსენები" („დავით აღმაშენებელი“, 389).

დავითის ამ მახასიათებლებში კარგად ჩანს იდეისათვის თავდადებული მეფის თავგანწირული ბრძოლა. როგორი თიხითაც არ უნდა იყოს მოხელილი კაცთაგანი ყოველი, ყველამ კარგად უწყის, თუ როგორ ძნელია ასეთ პირობებში ცხოვრება: სხვა რომ არაფერი, ის მაინც ხომ ძალიან კარგად ვიცით, შეყვარებულ მეფეს სატრფოსთან ახლოს ყოფნა ძალიანაც სიამოვნებს, მაგრამ სიამოვნების უფლებას არ აძლევს გულს დავითი. არიან ადამიანები, რომელთაც სიჭაბუკიდანვე შეუძლიათ თავისი დანიშნულების შეცნობა, გრძნობენ, რას მოითხოვს განგება მათგან და ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებენ, თავადვე იმ ხმასა და გზას გაუყვებიან, რისკენაც მათ ბედი მოუწოდებთ. ვფიქრობთ, სწორედ ასეთ ბედნიერთა და რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება მეფე დავითი. მას თავიდანვე ჰქონდა გონებაში აწონილ-გაზომილი თავისი ცხოვრების გზა და საქართველოს მომავალი. დღეს, როდესაც ამდენი საუკუნე გვაშორებს გმირი მეფის

ცხოვრებიდან, კვლავ მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ეთაყვანებიან დიდი მეფის ნაკვალევს და მისი ნაოცნებარისა და მისგანვე მიღწეული ეროვნული მიზნების თაყვანისმცემელნი არიან, სხვა რომ არა, კონსტანტინე გამსახურდიას სახეც გვეყოფა ამ აზრის დასადასტურებლად და XX საუკუნის ქართულ პოეზიასა თუ პროზაშიც საინტერესოდ აისახა დავითისაგან ფიქრსა და ოცნებაში ნალოლიაეები სამშობლოს თავისუფლების მხატვრული ხორცშესხმა. სწორედ დავითის პიროვნების შეცნობისა და კ. გამსახურდიას რომანის წაკითხვის შემდეგ შეიძლება მივიღეთ იმ დასკვნამდის, რომ რამდენი წელიც არ უნდა იცოცხლოს კაცთაგანმა ყოველმა, რაც უნდა იღვაწოს და მოიმოქმედოს, თუ სამშობლოს კეთილდღეობისათვის არ იყო მისი ქმედება მიმართული, „ამოდ დაშვრებიან მუშაკნი“. მხოლოდ სამშობლოსათვის თავგანწირული თუ თავშეწირული ცხოვრებაა მარადისი, უკვდავებასთან შეზიარებული. და აღმაშენებლს დრომ, გარემოებამ და ინდივიდუალურმა მონაცემებმაც შეუწყო ხელი სამშობლოს ხსნისთვის გოლგოთას შესდგომოდა, თავადაც ეტვირთა საუკუნე მხრებით, მომდევნო საუკუნეებსაც გადმოყოლოდა თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეის შთამაგონებელი. თითქოს ყოველთვის გვესმის მისი იდეის გამახმოვანებელი და დამაჯერებელი ხმა:

„ვსტკბები, როცა ქარბორბადა ამოვარდება ხოლმე, შერყვნა უნდა ამ ქვეყნისა, მახო, ამსოფლად მოსვლას რა ფასი აქვს, თუ იგი ისეთივე დასტოვე კაცმა, როგორიც შენამდის ყოფილა“ („დავით აღმაშენებელი“, 42).

რა თქმა უნდა, ამ აზრის შემეცნება ბევრისათვის მიუწვდომელია. იფიქრო მასზე, რომ ისეთი არ დატოვო სოფელი, როგორიც შენადმის იყო და თანაც ყოველივე აღმასვლის გზით წარმართო, თვით ერთეულთა შორის კიდევ უფრო მეტად რჩეულთ ძალუძთ, მაგრამ ფიქრი ერთია და ეს შენი ფიქრი და ნაოცნებარი რეალობად აქციო, ისე რომ საუკუნეთა შემდგომაც ვაღმოსხდილად დაგიგულონ თაობებმა, მხოლოდ ერთს, დავითს ერგო წილად საქართველოში და ამასთან ერთად უკვე მიუვითითეთ, რომ ეპოქამ და გარემოებამაც შეუწყო გმირის ბედისწერას ხელი. დრომ და ეპოქამ განსაზღვრა მისი გმირობის მოტივი, მაგრამ რამდენგზის მომხდარა ისიც, რომ დროისა და გარემოებისაგან გამწარებულნიც უკვალოდ გარდასულან ისტორიის ანალებიდან. როდესაც წარსულის ეპიზოდებს ვიხსენებთ, ვრწმუნდებით, რომ მხოლოდ მათ ძალუძთ მიზნის მიღწევა, სახელისა და ლეგენდების გაყოლება ამ ქვეყნიდან, ვისაც საკუთარი ყოველივე დაუთმიათ და ხალხისა და ქვეყნის საჯილდაოზე უცლიათ ბედი, ვისაც ყოველივე გაუწირავთ მისთვის. ამ პრობლემაზე ადრეც გვქონდა საუბარი დავითსა და

დედისიმედთან მიმართებაში და დავრწმუნით, რომ თავადაც სამშობლოს საკუთრხეველზე ტარიგად შეწირული მიანნია თავი დიდ მეფეს.

დავითის იმდროინდელ მიზნები მხოლოდ საქართველოს თავისუფლების იდეით არ შემოიფარგლებოდა. მან კარგად უწყოდა, დამოუკიდებლობის მიღწევა რა თქმა უნდა აუცილებელი იყო, მაგრამ მისი შენარჩუნებისათვისაც, რომ წინასწარ უნდა მომზადებულიყო ნიადაგი, ამასაც გრძნობდა. არადა მსოფლიო პოლიტიკის წინასწარი განჭვრეტა და იმდროინდელი ძლიერი ქვეყნის სამომავლო გზის გათვლაც იყო ამისათვის საჭირო. უპირველესი და უმთავრესი ძალა თავად საქართველოში უნდა გამოძებნილიყო, რადგან:

„დავითს აღრევე მინიშნებული ჰქონდა ერთი ჭეშმარიტებაც: სხვისი დახმარების შემყურე, ყველაზე ნაკლებდ რომ ეხმარება თავის თავს.

კონსტანტინოპოლში მოსალოდნელ ამბებს სხვაგვარად აფასებდა დავით მეფე. მას დიხსაც თვალი ეჭირა ბასილი ბულგართმმუსვრელის მიერ მიტაცებულ ბასიანის მიწებზე და არც ღაზთა სამკვიდროს შესცქეროდა გულგრილად, არც ტრაპიზონისა და ხალდესს ქვეყნებს.

იმ შემთხვევაში თუ ბიზანტია შინააშლილობისა და ტახტისმტერთა ცილობის მსხვერპლი გახდებოდა, ვიდრე თურქები იმ ქვეყნებს წაეპოტინებოდნენ, დავით მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა ლიპარიტისა და რატის დაზავებოდა, თრიალეთიდან ლაშქარი გაეყვანა, ტაოსკარიდან გადასულიყო და ხსენებულ ქვეყნებს დაუფლებოდა.

მეორე გარემოებაც იყო ამ შემთხვევაში დამაფიქრებელი; თუ ერთმორწმუნე ბიზანტიაც, სომხეთის დარად, სელჯუკიანებს ჩაუვარდებოდა ხელში, მაშინ მარტოხელა საქართველო უნდა შებმოდა გამძვინვარებულ ისლამურ ღომს და დავით მეფემ კარგად იცოდა, სულტანს ქილირჯარსლანს ღომის მახვილი რომ ერქვა" („დავით აღმაშენებელი“, 538).

აქ კარგად ვხედავთ, რაოდენ წინგამჭვრეტელი იყო დავითი, მას შეეძლო წინასწარ, შეეცნო და დაენახა მოსალოდნელი შესაძლებლობანი საქართველოსი თვით მსოფლიო არენაზეც კი. სწორედ ასეთ წინასწარგამჭვრეტთ და წინასწამგრძნობელთ ძალუბთ თავისი ქვეყნის რამდენიმე საუკუნის იქით გაყვანა, გაძლიერება და განვითარება, მხოლოდ ესეც არის, მომავალმა გარემოებებმა და მემკვიდრეებმაც უნდა წარმოაჩინონ მათი „საქმენი სამამაცონი“, თუმცა გმირობა და რაინდობა არასოდეს დარჩენილა შეუმჩნეველი და მითუმეტეს საქართველოში, როდესაც არა მარტო იბადებოდნენ გმირული სულისა და შემართების ვაჟკაცები, არამედ სათანადო აღზრდას და წვრთნასაც ღებულობდნენ, თანაც სამშობლოს

სიყვარულისა და მისთვის თავდადების თუ თავშეწირვის გრძნობა ყველა მათგანის უზენაეს მოვალეობად იგულისხმებოდა.

სწორედ ამ დროის მემკვიდრე და მესაჭე იყო დავით აღმაშენებელი და სწორედ ამან შთაბერა მას და მთელ მის თანამედროვეთ გმირული სული და დასახული მიზნისათვის ბრძოლის დიდი შესაძლებლობა.

წინდახედულობის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს თუნდაც კოზმან ბერის უვნებლად გაშვება ისპაჰანში.

„იცოდეთ ლიპარიტ ამირას დამფრთხალი მსტოვარი, იგიც ენაჭარტალა კოზმან ბერი, გაცილებით მეტს მოუთხრობს სულტანს ჩვენი ძალმოსილების გამო, გაცილებით მეტს, ვიდრე ჩვენ მოგვეპოვება სინამდვილეში ახლა. ამ საქმეს უთუოდ ჩინებულად შეასრულებს მუსლიმთა ქვეყნებში ნათრევი მსტოვარულ საქმიანობაში საკმაოდ გაქნილი კოზმან ბერი“ („დავით აღმაშენებელი“, 553).

მეფის ეს აზრი მართლაც რომ ალაფრთოვანებს მახარას

„მახარას ვარდი მოუვიდა სახეზე, სელიდან ზეწამოიჭრა და წამოიძახა: „ჭკვიანი მეფე მტრის მსტოვარსაც გამოიყენებს“ („დავით აღმაშენებელი“, 553).

დავით მეფეს კარგად ესმის როგორ მართოს მტრებიც და მოყვრებიც, მისმა პოლიტიკურმა წინასწარმჭვრეტელობამ დიდი შედეგი მოუტანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ ერთიცაა, თვით მეფემ, როგორც გიორგი პირველმა ხომ კარგად იცოდა, როცა ამდენი მტერი, ორგული და ქვეამხედვარი თვით საკუთარ ხალხშიც მოიპოვებოდა, ალექსანდრე მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებდა ქვეყანას, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ აღმაშენებელმა შეძლო შეუძლებელი, მტერნიც და ორგულნიც კი საკუთარ მიზანსა და მიმართებას დაუმორჩილა.

ნაწარმოების ძირითადი იდეის შესამეცნებლად მწერალი იყენებს სხვათა მოსაზრებებს, სიზმრებს, თქმულებებს, ლეგენდებს, რომლებიც ნაწარმოებში სიმბოლოებად დევს და მათი ახსნა-გაშიფვრა ერთი მიზნისაკენ მიემართება, ვიგრძნოთ და ვიგულისხმოთ საქართველოს თავისუფლება. ამ დამოუკიდებლობის დამაგვირგვინებელი კი თავისთავად დავით მეფეა, რომლის მოქმედებისა და მომავლის სახეს უკავშირდება ყველა სიზმარი თუ თქმულება.

ჯერ იყო და არაბთა მეფის ნომანის სახეს ბაღლობიდანვე აზიარებს მახარა და ნომან ძე მედჰარისა, რომ მიწიქვეშა გვირაბის დაგმანულ კარს მიადგება და მის წინაშე თორმეტივე კარი განიხვება - უმრავი სიმდიდრე დარბაზებისა, გარკვეული მინიშნებაა იმისა, რომ დავით მეფის წინაშე ყოველი ჩაკეტილი უნდა გაიხსნას - საქართველოს ბედითი ყოფით ჩაკეტილი. ბაღლობიდან მოყოლებული

ჭარმაგსაც სიამოვნებს ნომან მეფის ამბავის ხსენება და ზმანებაში გადასულიც, საოცარ სახეებს და მოსალოდნელ გარემოებათა სიმბოლო-მინიშნებებს ხედავს:

„დავითს უკვე ჩასძინებოდა არჩვის ტყავებში ნებიერად შეფუთვნილს ეზმანა: ველადაც მიდიოდი სამშვილდეს ბარისაკენ ცხენით და მიღვა ცადაწვილ სვეტს და

ამ სვეტის ზეთავზე ნახევარი მთვარე ესვენა

და მასზე

იჯდა

ლალისნისკარტიანი

მარჯნის ჭანგებიანი

ყორანი

თეთრი...

ქარი ჰქროდა,

ცა ირყეოდა...

... ქარი ქარბორბალად იქცა

მიწა განიხვნა და ქონდრისკაცი ამოძვრა ღრუდან.

მტუტისფერი წვერი ჰქონდა ამ ქონდრისკაცს, ხოლო თვალნი ფირუზისანი, ხელში სპილენძის ჩოგანი ეჭირა და ბურთი სამი.

გაუღიმა ქონდრისკაცმა მეფეს, ფოლადის კბილები შემოანათა და უთხრა, თუ შენ მართლა დავით მეფე ხარ, ძე გიორგისი და შვილისშვილთაგანი მეშურდულე და მეფსალმუნე დავით მეფისა, აჰა ჩოგანი სპილენძისა და ბურთი სამი;

ტყორცნე, ნუ ზოგავ და თუნდაც ერთიც რომ მოახვედრო იმ ყორანს, ის ნახევარი მთვარეც მტვრად იქცევა და ის სვეტიც მარმარილოსი.

უკეთუ ვერ ეწიო საწადელს იმ ღრუდან გამოვიხმობ ურჩხულებს და ღრიანკლებს და მერმე შენ იცოდე და მათო.

დავითმა გამოართვა ქონდრისკაცს ჩოგანი სპილენძის და ბურთი სამი

ქარი ჰქროდა, ცა ირყეოდა, ქარი ჰქროდა და სვეტი ირხეოდა, როგორც ლელის კლერტო...

ხელი შემართა ბურთს გასარტყორცნად მეფემ და გამოადვიძეს...

მასხარაი თავზე წამოდგომოდა პატრონს და ბოდიშობდა

„სწუხდი და შფოთავდი, ამიტომაც გაგადვიძე, მეფეც ბატონო“... („დავით აღმაშენებელი“, 487)

ეს სიზმარი ჩვეულებრივი ზმანება არაა, მასში ჩადებული სიმბოლოები თითქმის მთელი ნაწარმოების იდეის გადმომცემია, მაგრამ გარკვეულად

გაოცებული ვრჩებით, რომ რაღა ამ დროს აღვიძებს მეფეს მახარა. დასკვნა ერთია, ყოველივე მზამზარეული და ახსნილი მოსაწყენია მკითხველისათვის, მეტი ძალა და მნიშვნელობა და დანიშნულებაც მას ენიჭება, როდესაც ფიქრს უჩენს მას მწერალი, სიზმარი სინამდვილესთან ყოველთვისაა დაკავშირებული და თანაც იგი ყოველთვის „ბუნებრივი სინამდვილეა“, რადგან „ცნობიერების თუთიყუშივით გაწვრთნა შეიძლება, არაცნობიერისა კი - არა. სწორედ ამიტომ უხდის მადლობას ავგუსტინი უფალს, რომ მას საკუთარ სიზმრებზე პასუხისმგებლობას არ აკირსებს. არაცნობიერი ფსიქიკური ფენომენია, რომელიც მოჩვენებითად თუ შეიძლება გაიწვრთნას და ისიც ცნობიერების საზიანოდ... ის იყო და არის სფერო, რასაც სუბიექტური თვითნებობა ვერ შეეხება. რისი არც გაუმჯობესება შეიძლება და არც გაუარესება, რომლის იდუმალებას ყური უნდა დაეუგდოთ, თუმცა შეხებას ვერასოდეს შევძლებთ" (გუსტავ-იუნგი 2005 : 49) ამბობს კარლ გუსტავ იუნგი და ვრწმუნდებით, რომ იმ მახასიათებლების გამო რაც სიზმარს გააჩნია, მწერალს საშუალება ეძლევა მას გარკვეული სიმბოლური დატვირთვა მისცეს. სწორედ ამ არაცნობიერისა და ცნობიერის სინთეზირებით, მას შეუძლია შექმნას პერსონაჟის იდუმალი და საინტერესო სახე. მითითებული სიზმარიც რა თქმა უნდა კ. გამსახურდიას მიერ სწორედ ასეთი ასპექტითაა წარმოდგენილი. როგორც ნაწარმოებში, ისე დავითის ისტორიულ სახეშიც შეიძლება ახსნა მოვეუძებნოთ ამ სიმბოლურ ზმანებას.

საერთოდ მთელი ნაწარმოები შეიძლება სიმბოლურ პლანში წავიკითხოთ და დასაწყისიდანვე შევიცნოთ, როგორც დავით მეფის, ისე მთელი საქართველოს ბედისწერა. განსაკუთრებით საინტერესოდ იკითხება უკანასკნელი თავი „დიდი ომი“ და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეფის სიკვდილთან ჭიდილი უკანასკნელი დიდი ომია არა მარტო პიროვნულად მეფისა, არამედ მთელი საქართველოსი. ყველა ადამიანს ბედისწერა ამ უკანასკნელი დიდი ომისათვის ამზადებს და ამ შემთხვევაში ამ დიდი ომის სიმბოლო მთელ საქართველოზეა განფენილი და გვარწმუნებს, რომ ისინი, ვისაც ძალუბთ თავისი ბედისწერა მთელი ქვეყნის სიმბოლოდ და მინიშნებად აქციონ, სწორედ მათ შეძლეს ცხოვრებაზე კვალის დამჩნევა, სწორედ მათ შეძლეს, რომ თავისი წასვლის შემდეგ შეცვლილი იერსახე მისცენ ქვეყანას. ჩვენ ისეთი გმირებიც გვახსოვს ისტორიიდან – არა მარტო თავისი ქვეყნის, მსოფლიოს სახეც, რომ შეცვალებს, მაგრამ ისი ვიცით, რომ ეპოქა და გარემოება განსაზღვრავს ყოველივეს, დავითის მსგავს გონებაგამჭრიახ სარდალსა და პიროვნებას მართლაც ძალუბდა მსოფლიოსათვის ეცვალა იერსახე და როგორც უკვე დავინახეთ, ესეც შეეძლო მის დიდებულ

სულს, მაგრამ ალბათ თითოეული დიდი კაცთაგანაც გარკვეული სიმბოლოა მიზანმიმართული მოქმედებისა და ამ მოქმედების არეალში დავითის ამგვარი როლი არ იგულისხმებოდა.

საერთოდ საკითხი, რომელიც ამ თავში განვიხილეთ, ეროვნული ცნობიერებისა და ხასიათის თავისებურებათა სიმბოლური ახსნა-დანახვაა და კ. გამსახურდიას შემოქმედებაში - ძირეულად წარმოსახვის მითოსურ პლანსა და სიმბოლიკას გვიხსნის.

თავი III

დაკარგული საზრისის ძიებისა და პირველქმნადობის შენარჩუნების იდეა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

საუკუნეებმა დაამძიმა ადამიანის ცნობიერება. საუკუნეობრივმა ცოდნამ და გამოცდილებამ ის პირველსახე დაუკარგა ადამიანს, როგორც მოველინა ის სამყაროს.

ცივილიზაციამ და დიდმა კულტურამ დახვეწა იგი, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად, მაგრამ დაუკარგა ის ძალმოსილება, რომლითაც შესაბამისობაში მოვიდა სამყაროსთან.

„ძველ ბაბილონიასა და ეგვიპტეს რამდენიმე ათასამდე წელიწადი გვაშორებს, მეტი არა. ამ ხნის მანძილზე გაიარა კაცობრიობამ გზა ზიქურატებითა და პირამიდებით დაწყებული და ელექტრონიკითა და კოსმოსური ტექნიკით დამთავრებული. და, როგორც უკვე ითქვა, ამ გზის გავლა სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების შედეგად მოხერხდა. თორემ სულიერი თვალსაზრისით, რა საკითხებიც აწამებდა „გილგამეშინის“ ავტორს, დღესაც იგივენი გვაწვალებენ. ამ ხნის მანძილზე ადამიანის სულიერი არსი არ შეცვლილა. ან იმდენად მცირედ შეიცვალა, რომ ყოფიერებაზე ზეგავლენა არ მოუხდენია. ისიც საკითხავია, ეს სულიერი არსი რა მიმართულებით შეიცვალა - უკეთესობისაკენ თუ უარესობისაკენ? უფრო მაღალ ზნეობრივ იდეალს ვეზიარეთ თუ, საერთოდ, ზნეობრიობას ეჭვის თვალთ შევხედეთ“ (ნაწყვეტი აკაკი ბაქრაძის ლექციების კურსიდან, რომელიც მან 1991-1996 წლებში წაიკითხა ქუთაისის უნივერსიტეტში და რომლის წიგნად გამოცემაც ავტორს აღარ დასცალდა...).

მეცნიერებისა და ხელოვნების დარგების განვითარებამ, საუკუნეობრივმა ცვლილებებმა ერთგვარად გააუცხოვა და გააუცნაურა ადამიანი. სამყაროს მეუფეობის შეგრძნება, რაც თუნდაც ანტიკურ ეპოქამდე მოჰყვა კაცობრიობას, დაიკარგა. ძველი ბერძნები თავის სულსა და მთელ არსებაში ჯერ კიდევ ატარებდნენ იმ ძალმოსილების შეგრძნებას, რითაც აღსავსე იყო პირველქმნილი ადამიანი. მაგრამ ჰელიოცენტრიზმის გაბატონებამ, სამყაროს შემეცნების გზაზე გადადგმულმა მეცნიერების ნაბიჯებმა შეასუსტა ადამიანის ღირსება და მისი ყოველივეზე აღმატებულობის გრძნობა. ამ ტრაგედიას განსაკუთრებით ისინი შეიცნობენ, რომლებიც მეფური დიდებულებით იზრდებიან და თავადაც მეფური ბუნების ბავშვები არიან. კ. გამსახურდია ამ მეფური ბუნების ბავშვების, თანამედროვე ტერმინოლოგიით ე. წ. უნდერქინდების შესახებაც საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს, როგორც თავის ლიტერატურული ნარკვევებსა და წერილებში, ისე მთელ მხატვრულ შემოქმედებაში და მისი ყველაზე საინტერესო პერსონაჟები სწორედ მეფური ბუნების ბავშვები იყვნენ თავის დროზე და გარემოც ხელს უწყობდათ თავისთავადი და საინტერესო სახის გამოსახატავად. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა მარტო სამეფო შტოს წარმომადგენელთა მხატვრული და პერსონოლოგიური პორტრეტები, არამედ თუნდაც ჩვეულებრივ მოკვდავთა, არა მარტო თავადაზნაურთა, გლეხთა წრიდან

წარმოშობილ პერსონაჟთა მხატვრული სახეებიც, რომელთა დაკვირვება ნათლად შეგვაგრძნობინებს მას, რომ თითოეული კაცთაგანი თითქმის სამყაროს მეუფის პოტენციით ჩნდება და ვითარდება, მაგრამ ეს თავად ცხოვრება და მისგან წარმოშობილი გარემოებანია, რომლებიც გარდაქმნის, სახეს უკარგავს და ამცირებს იმ დიად სულს, რაც თითოეულ ადამიანს დაჰყვება - პირველქმნადობის ხელახალი გრძნობით ამადლებული. სწორედ ამ პირველქმნილ სამყაროდან მოდის გალაკტიონი და „საუკუნე მოაქვს მხრებით“. სწორედ აქედან ამოდის თავად კ. გამსახურდიაც, როგორც გალაკტიონი ნათლად ხედავს და გრძნობს „ბავშვ რუსთაველს“, ასევე კ. გამსახურდიაც მთელი არსებით, შეიცნობს და წარმოსახავს საუკუნეების წინ გარდასული გმირი მეფეებისა და ამ პირველქმნადობის მადლშემორჩენილ საქართველოს. საიტერესოა გრ. რობაქიძის აზრი ამ პირველქმნადობისა და პირველმამის სახის გამოსატვისა.

„ბოლო საუკუნეებში ასეთმა ადამიანებმა, სულ უფრო იკლეს და იკლეს, პირველ მამის, პირველ თესლისა და ძირსძირის ძალა მიიღია. ჭკნობა დაიწყო ხალხის ქვეცნობიერებაში. სადღაც ღრმად ფესვებში შიშიც კი გაჩნდა პირველ მამა ეგებ სულაც დაიწრიტაო... ისევ და ისევ გაბრწყინდებოდნენ ხოლმე ჩვენს შორის ადამიანები, რომლებიც ჩვენი ღვთაებრივი შუაგულის, გულის გულის წარმოშობის ძალას ატარებენ თავის წიად“ (რობაქიძე 1992 : 38). გრ. რობაქიძის „გრაალის მცველში“ თავადი გიორგია სწორედ ამ პირველქმნადობის ძალით მადლმოსილი, რომელიც „ღვთაებრივი შუაგულის, გულის გულის წარმოშობ ძალას ატარებს“. ხოლო კ. გამსახურდიას შემოქმედებაში თითქმის ყველა მეფე (განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი და გიორგი I) და ნაწარმოებთა მთავარი პერსონაჟების უმრავლესობა ან მატარებელია, ანდაც მაძიებელია ამ პირველქმნადობის ძალმოსილების, სინათლისა და მადლისა. და ეს პირველქმნადობა მხოლოდ სიმბოლური სახე კი არ არის გამსახურდიას შემოქმედებისათვის, არამედ ერის, სულის განმთლიანებისა, მისი გამოღვიძებისა და ეროვნული ცნობიერების ფორმირების ელექსირია, რამაც უნდა უზრუნველყოს რაინდული საქართველოს გაცოცხლებისა და აღორძინების შესაძლებლობა. ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ის არის, რომ გამსახურდიასა და მისი პერსონაჟებისათვის საქართველოს ფიზიკური და თუნდაც ქართველთა მხოლოდ არსებობა კი არ არის მთავარი, მისი სულიერი მდგომარეობა, მისი ეროვნული სახეა ყოვლისგანმსაზღვრელი. სიცოცხლე ხალხისა, რომელიც მოკლებულია ეროვნულ მახასიათებლებს, ეროვნულ ცნობიერებას, რა თქმა უნდა, არაფრის მთქმელია.

როგორც უკვე ვთქვით და ვიცით კ. გამსახურდია კარგად იცნობდა არა მარტო საქართველოს, მსოფლიო ისტორიასაც და ისიც კარგად უწყოდა, რომ „სხვა, ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში, თაობა თაობას მისდევდა, თაობა თაობას გადასცახებდა ხოლმე თავის ანდერძს, თაობა თაობის მხრებზე იდგამდა ფეხს, ერთ საუკუნეში დაწყებულ სოციალურს, პოლიტიკურს, რელიგიურს და არტისტულ ზრახვათ, მეორე საუკუნეში გამოუჩნდებოდნენ ხოლმე მემკვიდრენი, ერთი თაობის, ერთი გენერაციის მიერ ჩაყრილ დუღაბსა და კირს მახლობელი გენერაცია აწყოდა აგურს. ამ მხრით, ძველი საბერძნეთის, საფრანგეთის ისტორიული ცხოვრება სათვალვრო დრამასა ჰგავს, მოქმედება - მოქმედებას რომ მისდევს თანდათანობით და ერთი მეორის შევსებით, გაძლიერებით, სადაც ფინალი დრამის, ლოგიკური დასკვნაა ყველა აქტების.

ჩვენი ისტორიული ყოფა კი კინემატოგრაფის სეანსებს მოგაგონებთ, თვალის დახამხამებაზე რომ სწყდება ერთი სურათი და მას სულ სხვა შინაარსი მოსდევს. აბა რა აქვს საერთო XII-სა და XIV საუკუნის ან XII-სა და XVII-XVIII საუკუნის ქართველების კულტურულ ყოფას? „ვარდულებულიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ - „ქაცვია მწყემს“ და ჩახრუხადის იდეებს? იშვითად თუ არსებულა სხვა რომელიმე კულტურული ერის ისტორიაში ასეთი უფსკრული ორ დიად ეპოქათა შორის, როგორც იყო XII და XVII საუკუნე ჩვენს წარსულში. ხუროთმოძღვრებას, კაზმულ ხელოვნებასა და საეკლესიო მხატვრობას რომ თავი დავანებოთ, თვით ქართული ენის განვითარებაშიაც საშინელ რეგრესს ვხედავთ“ (გამსახურდია ტ. VIII, 1967 : 147) აღნიშნავდა კ. გამსახურდია.

აშკარაა მწერალს თვალი და გონება მიუწვდებოდა საქართველოს გარდასული საუკუნეების ყველა მონაკვეთზე და გარდასული მოვლენების შეჯამებით სათანადო დასკვნას აკეთებდა. ალბათ, საქართველოს ისტორიის და მისი კულტურული სპექტრის ყველა შემცნობელისათვის განვითარების ეს არათანაბრობა თვალში საცემია, მაგრამ, როდესაც ქვეყნის ისტორიული ძნელებდობის ეპოქებს დავაყურადებთ, ისიც საკვირველად გვეჩვენება, აქამდის როგორ მოატანა ამდენი მტრებისა და ბრძოლების გადამტანმა ქვეყანამ, მაგრამ მართლაც ფენიქსისებრ ფერფლისაგან აღდგომის ძალით იყო მაღლმოსილი ქართული გენი, თორემ რამდენგზისმე დაცემული და იავარყოფილი კვლავ აღორძინებას ვერ შეძლებდა. საერთოდ, ერის სულის უშინაარსობა, მისი მსხვრევა წინამორბედია მისი მთლიანი გაქრობისა, ცნობილია, რომ ბუნებაში ყოველი ცოცხალი არსი წარმოიშობა, ვითარდება და კვდება, მაგრამ რაც დიდხანს გრძელდება მისი განვითარების პროცესი და არსებობა, იმდენად

მრავალისმთქმელი და შემოქმედებითია მისი ფორმა და შინაარსი. საინტერესოდ იყენებს ამ პრობლემათა გასაშუქებლად ფრანგი ფილოსოფოსის ბერგსონის აზრს მიხაკო წერეთლი. „ბერგსონს, მაგალითად არ აკმაყოფილებს არც დარვინის, არც ლამარკის, არც დე ფრისის და სხვათა თეორიები სახეთა იდენტურ ორგანოების შექმნის ახსნისა, იგი რაღაც უცნაური ნიჭის პატრონია და უცნაურადაც ხსნის ასეთ მოვლენებს, მას თავისი ბიოლოგია აქვს“. სწორედ ბერგსონის ბიოლოგიის ზეგავლენით ხსნის მიხაკო წერეთელი საზოგადოებრიობის და ერების წარმოშობისა და განვითარების არსს.

„საზოგადოებრივობა იყო კაცობრიობის დასაბამიდან. რომ თვით ის რასები, რომელთაც ეხლა აღარ აქვსთ საზოგადოებრივობა ამ საერთო საზოგადოებრივობის მქონენი იყვნენ და ამიტომ აქვსთ მათ ეხლა ურთიერთშორის მსგავსება ენისა და სხვა თვისებათა. სოციალურ შთანარჩენთა შორის არსებობდა სოციალური პირველ-დასაწყისი აღფრთოვანება, იგი გადადიოდა ერთი შთანარჩენიდან მეორეზედ, ერთი სოციალური ორგანიზმიდან მოერეზედ, რა ფორმისაც უნდა ყოფილიყო იგი. - ერთი ერიდან ამ უკვე განვითარებული სოციალური ორგანიზმიდან მეორეზედ. ყოველი აღმოჩენა, ყოველივე რელიგიური და ზნეობრივი ქადაგება, ყოველი სოციალური მოძრაობა, ყოველი კულტურული შექმნა გადადიოდა ერთი სოციალური ცენტრიდან მეორეში...

რამდენადაც ერებს იდენტური, საერთო ორგანოები აქვსთ, იმდენად ერი საერთო ცნებას წარმოადგენს, რამდენადაც ეს ორგანოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისთავად, იმდენად ერს აქვს თავისი ინდივიდუალობა" (წერეთელი 1990 : 103).

სწორედ ერის ამ ინდივიდუალური მახასიათებლების მაძიებელია კ. გამსახურდია და იგი თავის რომანებსა თუ ლიტერატურულ წერილებში მკვეთრად და საინტერესოდ ასახავს იმ თავისთავადობას, რომელიც ქართველ ერს, როგორც მთლიან ორგანიზმსა და ცალკეულ პიროვნებებს გააჩნიათ. სწორედ ამ ინდივიდუალურ ხასიათებში უნდა ვეძიოთ ქართველი ერის სიცოცხლის ხანგრძლიობისა და მისი თითქმის „მარადიულობის" საიდუმლო. იმ პირველდასაბამს პირველქმნადობას, რომელიც საფუძვლად უდევს ქართველი ერის ფენომენალურ სტრუქტურას, იგი თავად მოიცავს.

მიხაკო წერეთელი ერთსაც მიუთითებს, „მისწრაფება ეროვნულ-სოციალური მონადისა თავის დაცვისადმი საუკუნო არსებობისადმი, - ეს თვისება ერის გაცილებით უფრო ბუნებრივი და სამართლიანია, ვიდრე ყველა წარსულ და

აწმყო მოძალადე კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმთა, მაგალითად დიდ სხვადასხვა ერთაგან შემდგარი სახელმწიფოსი" (წერეთელი 1990 : 103).

ფიქრობთ, როგორც ადამიანის ემბრიონშია კოდი მისი სიცოცხლისუნარიანობისა, ასევე თითოეული ერის პირველქმნადობის უჯრედში დევს მისი მომავლის, მისი ყოფნის ხანგრძლივობის მონაცემი და ბუნება ყოველთვის ამ თავისივე ნაწყალობევის დამცველად გვევლინება.

ყოველივე ეს კარგად იკითხება გამსახურდიას მთელ შემოქმედებაში, მთელ მის აზროვნებაში და სწორედ ამ პირველქმნადობის არსის წვდომისა და ერის სამომავლო სიცოცხლისუნარიანობის გზის ძიებაა მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ეროვნული გრძნობითა და სამშობლოს წინაშე მოვალეობითაა შთაგონებული კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება და მისი მოღვაწეობის მთავარი მამოძრავებელი ძალა. სწორედ საქართველოსადმი თავდადებისა თუ თავგანწირვის ამაღლებული მიზანი იყო. საიდან და როგორ უნდა დაწყებულიყო ეს გზა, ამის ძიებასაც გარკვეული დრო შეეწირა. და არა მარტო კონსტანტინე გამსახურდია, მთელი მისი თანამედროვე მოაზროვნე თაობაც იმ გზის მაძიებელია „რომელიც ტაძრამდის მიიყვანს" და საუკუნეების განმავლობაში ქართველი გმირების ნალოლიავებ სამშობლოს „წითელი მინოტავრისაგან" გაათავისუფლებს. თუ როგორ ეძებდა ხსნის გზას ეს თაობა, ამაზე ნათლად გამოხატავს ა. ბაქრაძის აზრი:

„დიონისოს ღიმილის" პროტაგონისტი კონსტანტინე სავარსამიძე მოთქვამს:

„ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომადამდა, ისევ შენ გიგონებ და გეძახი - გულთმისანო ჩემო გამზრდელო!

ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრანი ტყიდან განა არ გესმის?

„გზა"! იძახის ადამიანი საუკუნეების ირიბ მიჯნებზე,

„გზა"! იძახიან მგზავრები, მეეტლეები, ვატმანები და შოფრები.

„გზა"! იძახიან მწერლები, მეცნიერები, ბერები და მოძღვართ-მოძღვრები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერავინ მასწავლა გზა.

თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია, ყველა ასპარეზი ნაცადი, ყველა ბორკილი ისევე ტკბილი, როგორც საყვარლისაგან ნაბოძები სამაჯგ, მაგრამ მაინც არ ვიცი, საით წავიდე, რადგან ყველა გზა უღევია და გაუვალი".

ასევე სასოწარკვეთილია გივი შადურიც, არც მას აქვს გზის პოვნის იმედი....

... ვერც „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟმა თარაშ ემხვარმა მიაგნო თავის გზას, როგორც ვიცით - იგი თვლიდა, რომ იმ დროს ორი გზა იყო, სტალინის და მუსოლინის გზა, ე.ი. ბოლშევიზმისა და ფაშიზმის გზა. მაგრამ თავად აღიარებს თარაში - „მე დღემდის უგზოდ ვიხეტიალე და როგორც ხედავ, ვერც ერთს დავადექი... ორივე დახშული აღმოჩნდა ჩემთვის“.

ეს სამი მაგალითიც მკაფიოდ მოწმობს როგორ აქტიურად იყო დახშული 20-30-იანი წლების ქართულ მწერლობაში გზადაბნეული კაცის პრობლემა, მაშინ კომუნისტური ლიტერატურული კრიტიკა ამას იმით ხსნიდა, რომ გამარჯვებულმა მუშათა კლასმა უარყო და გაანადგურა მქონებელთა და პრივილეგირებულთა კლასი.

დამარცხებული ქართული არისტოკრატის შვილებს სასოწარკვეთის, წუწუნისა და ჩივილის გარდა, სხვა აღარაფერი დარჩენოდა. ნაწილობრივ ეს მართალია. მაგრამ იგი გზადაბნეული კაცის პრობლემების ცალმხრივი გაშუქებაა. არც გივი შადური არც კონსტანტინე სავარსამიძე და არც თარაშ ემხვარი მხოლოდ კლასობრივი თვალსაზრისით არ ჩივიან უგზოობას. უგზოობის საკითხი მათ უფრო ეროვნული კუთხით აწუხებთ. თითოეულ მათგანს სურს ემსახუროს სამშობლოს, ხალხს, მაგრამ სოციალისტური იდეალის მიღება არც უნდათ და არც შეუძლიათ" (ბაქრაძე 1990 : 202).

ყოველივე აქედან გამომდინარე ალბათ გაგვიჩნდება კითხვა, რატომ არ ძალუძთ ამ პერსონაჟებს სოციალისტური იდეალის მიღება, რატომ იბრძვიან ისინი ახალი გზისათვის და საიდან იწყება ეს გზა? ესაა უმთავრესი საკითხი იმის შესამეცნებლად, თუ რატომ იყო ასე აშკარა წინააღმდეგობა საქართველოში სოციალისტური იდეალებისადმი, და რატომ იყო, რომ თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ჩვენი სამშობლო სხვათაგან - დამოუკიდებლობისაკენ ღტოლვის სინდრომით?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაა მთავარი კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული მსოფლმხედველობის ამოსაცნობად და საქართველოს მრავალსაუკუნოვან და შინაარსიან ისტორიაშია ფესვები ამ კითხვის პასუხისა. დაკარგული საზრისისა და პირველქმნადობის იდეა კ. გამსახურდიას იდეური მრწამსის საწყისი, სწორედ აქედან იღებს სათავეს საქართველოს სამომავლო ეროვნული პროგრამაც... და არათუ ქართულ პროზაში, პოეზიაშიც მრავალგზის გაუდერებულა ეს პრობლემა და განსაკუთრებით მ. მაჭავრიანთან, და შ. ნიშნიანიძესთან მკვეთრად იჩენს იგი თავს, თუნდაც მუხრანის სტრიქონები „არა სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა კი“.

„...საყველპურო პატრიოტიზმი, ღვთის წყალობით, არასოდეს გვეკლება მანცადამანც. უმთავრესი სხვა რამ იყო, გაცილებით ძნელად განსახორციელებელი რამ: საჭირო იყო ისტორიული საზრისის პოვნა, მანამდე მხოლოდ ინტუიტიურად ნაგზნებ ისეთ ასპექტთა მიკვლევა, წარმოჩენა და დასაბუთება, რომელთა წიადშიც ჭეშმარიტად სცნობდა თავისთავს დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მტვირთველი ერი" (თვარაძე, ცისკარი, 1969 №12 : 70-71).

კ. გამსახურდიას მიანჩნია, რომ ეროვნული ხსნის გზა საქართველომ თავისსავე ცნობიერებაში უნდა ეძიოს, იდეები, რომელიც ევროპიდან მოჰყვება გზას გადაუმუშავებლად ვერაფერში წაადგება საქართველოს. ლიტერატურულ წერილში „სიტყვა, ხატი და მუსიკა“ მწერალი მიუთითებს:

„ახალი დროის მუშაობა ორგვარია: ერთის მხრით, ძველი უნივერსალურ ჰისტორიზმის ბაირახტარნი, რომელნიც ძველ იდეათა სამყაროს ხელს არ უშვებენ, რადგან ძველის გავლენა ახალ კულტურულ ჯეჯილზე სასარგებლოდ მიანჩნიათ, მეორე პირად მეამბოხე ახალგაზრდობა, რომელიც ერთის დაჰკვრით ლამობს ძველი კულტურული ტრადიციებისა და მათი უნივერსალ-ჰისტორიზმის განადგურებას...

იწყება მარადიული ბრძოლა მამებსა და შვილებს შორის.

რევოლუციონერი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი სტოვებს მშობლიურ პენატებს და ტრადიციულ ევროპას და კოლუმბის ქვეყანაში იშენებს სამოცსართულიან კოშკებს" („სიტყვა, ხატი, მუსიკა“, „ცისარტყელა“, №8-12, 1920 : 48).

როგორც ვხედავთ კ. გამსახურდიას პროტესტი ახალი თაობისადმი საქართველოს წარსულის უარყოფისა და მომავლისადმი უყურადღებობითაა განპირობებული, მაშინ, როდესაც მწერალი ქვეყნის არქაულ ძირებს ეძებს და იკვლევს აწმყოსა და მომავლის ეროვნული სულის შესაერთებლად, ქართველთა ნაწილს თვალი სხვა ქვეყნებისაკენ უჭირავს.

ვიციტ, რომ ეროვნულ მსოფლმხედველობას ვერ შექმნის მხოლოდ დროის ერთი გარკვეული მონაკვეთი, დროის სიღრმეში გადადგმულ ფესვებს თუ ვერ მივაკვლევთ და თუ მასზე არ აღმოვაცვენებთ მთელ ეროვნულ შენობას, ამოდ დავშვრებით, კონსტანტინე გამსახურდია რომ ამ აზრის ჯეროვნად შემმეცნებელი და გამხმოვანებელიც გახლდათ, ეს მთელი მისი მხატვრული შემოქმედებიდან და ზოგადად ნააზრევისაგან იგრძნობა. კ. გამსახურდიას პერსონაჟებისა თუ მთავარი მოქმედი პირების გვარი და სისხლი საუკუნეებს მოარღვევს და ახალ გზასა და

სადინარს ექებს. მათი სული საქართველოს დამოუკიდებლობასა და მისი მომავლის გარანტიას ითხოვს. სწორედ არის თარაშ ემხვარის თუ კონსტანტინე სავარსამიძის მუდმივი შეჭირვებისა და გზადაბნეულობის მიზეზი. ამ ორთ არა მარტო გონებასა და აზროვნებაში, სისხლში აქვთ გამჯდარი ძველი, რაინდული საქართველოს ხატი და ნოსტალგია, მათ კარგად ესმით, რომ წინაპართა გმირობაცა და ცოდვებიც თანაბრად მოსდევთ დღესდღეობითაც და მათი ერთგულება მართებთ, თორემ მამისაგან დაწყველილნი ვერასოდეს გაიხარებენ. მამის წყევლითაა შებოჭილი კ. სავარსამიძის ცხოვრების გზა, წინაპართა ცოდვებს შეუბოჭავს თარაშ ემხვარი, ისევე როგორც ქვეწარმავალთაგან ლაოკონი და მისი შვილებია შებოჭილი.

კ. გამსახურდიასთვის გარდასულ საუკუნეთა მხატვრული გახმოვანება თვითმიზანი არ იყო, მას სურდა თავისი მკითხველი, თითოეული ქართველი ჩაეხედებინა საქართველოს წარსულში, თითოეული ქართველი მიეყვანა იმ დასკვნამდე, რომ წარსულის გარეშე საქართველო ფესვებმოჭრილ ხედ რჩებოდა და სწორედ წარსულიდან უნდა ამოზრდილიყო მომავლის ყლორტები.

წარსულის ლაბირინთებში შესაღწევად და მისგან რაციონალური მარცვალის მოსაპოვებლად ერის უდიდესი ენერგიაა საჭირო, მითუმეტეს, ცალკეული პერსონაჟები კ. გამსახურდიას შემოქმედებიდან თითქოს გადამლახავი არიან დროის საზღვრებისა, თითქოს მარადიული არსებობისთვის არიან ისინი შექმნილი. რა თქმა უნდა, აქ თავად მწერლის სულის განუსაზღვრელი ენერგია დომინირებს და თავად მწერალი, რომელმაც კარგად იცის, როგორ, რა გზით უნდა ამოიფრქვეს ეს სულიერი ენერგია პერსონაჟში, ისეთ მხატვრულ სინამდვილეს ქმნის, რომელსაც ძალუძს გმირის რეალობიდან, დროის სივრცის საზღვრებიდან გაყვანა, სწორედ ამიტომ არიან კ. გამსახურდიას პერსონაჟები რეალობიდან ამოვარდნილნი, ერთგვარად ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგარნი:

„ყველაზე მეტად გვაინტერესებს საზღვარზე მდგარი ადამიანი, სიკვდილ-სიცოცხლის, ნორმალობის, დამარცხების და ა.შ. როცა ავლენს შესაძლებლობათა მაქსიმუმს და თითქოს უფსკრულის თავზე ქანაობს.

ასეთია ავტორიც, რომელიც თეზეუსის მსგავსად, ბრძოლით, ტანჯვითა და თამაშით უნდა მისწვდეს მიზანს.

ამდენად, რომ იგი არა მხოლოდ ტკბილხმოვანი ორფეოსია, არამედ გმირიც, მეომარი სარდალი, რომელიც წინ მიუძღვის სიტყვათა ლაშქარს ალთქმული ქვეყნისაკენ" (სიგუა 2007 : 315).

მაინც რა და სად არის აღთქმული ქვეყანა კ. გამსახურდიასთვის, სად უნდა ვეძიოთ პერიპეტები ამ აღთქმული ქვეყნისა?! ამ საკითხზე თვით კ. გამსახურდიას წერილებიც კი გვაძლევს პასუხს და ესაა „დაკარგულის“, სულიერი სამშობლოს მოძებნა.

წერილში „სიტყვა, ხატი, მუსიკა“ მწერალი წერს: „სად არის სამშობლო ჩემი?“ - კითხულობს ზარატუსტრა.

„იმას ვეძებ და ვკითხულობ ვეძებდი, ვეძებდი მარად ჟამს, ვეძებდი და ვედარ ჰვპოვე. ჰოი, მარადიულო არსად, ჰოი, მარადიულო ამაოდ“

თანამედროვე სულიც მწყურვალედ ეძიებს ამ ჭეშმარიტ სამშობლოს

„ვინ დამიფარავს მე?

ვინ შემეყვარებს მე?

მომეცი ხელი და განმარტოვებულს.

მომეცი ხელი, მეგობარო უკანასკნელო,

ჩემო უცნობო, უხილავო

ღმერთო ჯალათო!”

და სასოწარკვეთილი წინასწარმეტყველი თვითთვე ეძებს თავის სულის ცეცხლს განწმენდისას. „ბრძენი, შემცნობი, ყოველივე დასაწყისისა, იგი მომავლის წყაროს მიაგნებს, წყაროს ახალ წყაროთა წარმომშობს, ახალსა და უვალ გზებს“.

„ჭეშმარიტად გარწმუნებთ ძმებო, არ დაყოვნდება ხანი, ახალი თაობანი წარმოიშვებიან, ახალ უფსკრულებში დაიწყებენ ძებნას. ახალი მიწისძვრა ძმებო ახალ წყაროებს აღმოაჩენს, ძველი ხალხებისა და ძველ თაობათა მიწისძვრა ახალ წყაროების შადრევნად ამოსქდება.“

აღსრულდა ფრიდრიჰ ნიცშეს წინასწარმეტყველება: ძველი ხალხებისა და თაობათა მიწისძვრა ომმა - ახალი წყაროები, ახალი გზები უნდა წარმოშვას, ახალი გზები ახალ შესაძლებლობისაკენ“ („სიტყვა, ხატი, მუსიკა“, „ცისარტყელა“ №8-12 1920 : 50).

კ. გამსახურდიას ეროვნული მრწამსის ძიებისას რწმუნდები, რომ მხოლოდ მისი მხატვრული შემოქმედების შესწავლით ვერ აღვიქვამთ სრულყოფილ პორტრეტს მწერლისას, მისი ეროვნული აზროვნების ნაპერწკლები მიმოხეულია შემოქმედის ლიტერატურულ წერილებში და რაც ყველაზე საინტერესოა, სწორედ ამ წერილებშია შეუღლამაზებელი და მკაცრი სინამდვილე. რაც შეეხება მხატვრულ ნაწარმოებებს, იქ ხომ ლიტერატურული სინამდვილე დომინანტობს, რასაც ძირითადად მწერლის ფანტაზია და ნაწარმოებში ასახული გარემო სიტუაციები განაპირობებს. მწერალი „სიტყვათა თამაშით“ დ მათი შეხამება-

შეკავშირებით აღწევს მხატვრულ ეფექტს, ხოლო ლიტერატურული წერილები მწერლის ფანტაზიისაგან განტვირთულია და ძირითადად ობიექტური სინამდვილის სპექტრში წარმოგიდგენს არსებულ გარემო-სიტუაციებს. მითითებული წერილის სინამდვილე ძირითადად „ზარატუსტრას“ ფონზე იშლება და გვარწმუნებს, რომ დაკარგული საზრისისა და პირველქმნადობის შენარჩუნება კ. გამსახურდიას მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში სწორედ ამ წყაროდან იღებს სათავეს, თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თუ თავად მწერლის სულში არ იქნებოდა მზაობა, ამ იდეის გასაცნობიერებლად და მისაღებად, „ზარატუსტრას“ ასეთი სიღრმით ვერ გაითავისებდა იგი და მხატვრულ შემოქმედებაშიც ასე საინტერესოდ ვერ გადმონერგავდა მას.

წარსულისაკენ მრავალი მეცნიერისა და შემოქმედის ხედვა იყო მიმართული, მაგრამ იგი მხოლოდ ნიცშემ წარმოსახა ასეთი სიღრმითა და სრულყოფილებით, ხოლო თავად კ. გამსახურდიამ შეძლო გაეთავისებინა ბრძენთაბრძენი მოაზროვნის წარმოსახვა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თავად გამსახურდიამ ყოველივე ეს ისეთი ინდივიდუალური ასპექტით და ინტერპრეტაციით გაამდიდრა და წარმოგიდგინა, თითქმის ახალი მხატვრული სპექტრი შექმნა და დაგვარწმუნა, რომ სხვათა აზრი და სიტყვაც კი, გონიერი მოაზროვნის მიერ მოხმარებული, ახალ დანიშნულებას იძენს.

კ. გამსახურდია დასაბუთებულად გვიხსნის რა განძი უნდა ავიღოთ, წარსულიდან, რით უნდა გავამდიდროთ ეროვნული ცნობიერება და შესაბამისად განვსაზღვროთ ერის მომავალიც, არადა დროა ისეთი, რომ ბევრს თვალი სხვათა კულტურაზე, სხვათა მომავლის პროგრამებზე რჩება, მაშინ, როდესაც თვით ჩვენს წარსულში დევს ჩვენივე მომავალი. კ. გამსახურდიასთვის უცხო არ არის ქართული სულის ევროპულ კულტურასთან შეზიარება, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს საკუთარის უარყოფის ხარჯზე. წერილში „სიტყვა ხატი, მუსიკა“ მწერალი წერს: „ახალი დროის მუშაობა ორგვარია: ერთის მხრით, ძველი უნივერსალ-ჰისტორიზმის ბაირახტარნი, რომელნიც ძველ იდეათა სამყაროს ხელს არ უშვებენ, რადგან ძველის გავლენა ახალ კულტურულ ჯეჯილზე სასარგებლოდ მიაჩნიათ, მეორე პირად მეამბოხე ახალგაზრდობა, რომელიც ერთის დაჰკვრით ლამობს ძველი კულტურული ტრადიციებისა და მათი უნივერსალ-ჰისტორიზმის განადგურებას.

ამ ახალგაზრდობის ყურადსაღებად ამბობდა რენანი: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველ კონსერვატორის ველური წინაპარი რევოლუციონერი ყოფილა.

იწყება მარადიული ბრძოლა მამებსა და შვილებს შორის.

რევოლუციონერი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი სტოვეს მშობლიურ პენატებს და ტრადიციულ ევროპას და კოლუმბის ქვეყანაში იშენებს სამოცსართულიან კოშკებს" („მაგიური შანდლები", „ცისარტყელა", №8-12, 1920 : 8).

ესაა ზოგადი შეხედულება, მაგრამ თვით საქართველოს კონკრეტული ტიპილებიც მოჟონავს კ. გამსახურდიას ლიტერატურულ წერილებში.

„ჩვენ დღეს კრიზისს განვიცდით, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს მოქალაქენი.

ჩვენი საუკუნის ახალთაობას, რაგინდ მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს იგი თავისი ინდივიდუალური სულიერი სტრუქტურით და ნაშენებით, ერთი რამ აერთებს - ეს არის უარყოფა ჩვენი თანამედროვეობისა... ის რაც ჩვენს თაობას აერთებს, ეს არის პროტესტი გადაჭარბებული ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ მიმართული. ჩვენ თუმცა მოწყვეტილნი ვიყავით უკანასკნელი წლების განმავლობაში ევროპისაგან, მაგრამ იდეები ხშირად ჰაერის ტალღას მიმოჰყვებიან. ამიტომაც ჩვენი უახლესი ლიტერატურის დვრიტა დასუნთქულია ამ ზოგად ევროპული სულიერი განწყობილებებით" („სიტყვა ხატი, მუსიკა", „ხელოვნება" №2, 1921 წ.). რა თქმა უნდა, არც ევროპული იდეოლოგიისაკენ სწრაფვა არ არის გამსახურდიას სულიერი მრწამის გამომხატველი, „ამერიკანიზმი... კი ყოველივე დეკენერაციისა და სულიერი დეგრადაციის" გამოვლინებებად ესახება და ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ისევ საკუთარ ძირებს სურს მიუბრუნოს მთელი ქართველობა. თარაშ ემხვარის ოდისეა სვანეთში სხვა არა არის, თუ არა მესამე გზის ძიება, იმ ეთიკური თუ პატრიარქალური ეპოქის ნარჩენები, რაც სვანეთის ეგზოტიკურ ფონს ქმნიდა თარაშ ემხვარის ფანტაზიის ხსნისა და გადარჩენის გზა იყო, მაგრამ მალე თავადაც დარწმუნდა და მკითხველიც დაგვარწმუნა, რომ ან ახალი ცხოვრების მდინარეს უნდა შერთვოდა, ანდაც დაღუპულიყო. სწორედ იმიტომ არ იყო თარაშ ემხვარისათვის, და თუნდაც გამსახურდიას სხვა პერსონაჟებისათვისაც მისაღები, რომ საერთო მდინარებას უნდა შერთვოდნენ და შეკავშირებოდნენ, თავიანთი პიროვნული, ინდივიდუალური სახე დაეკარგათ. ისევე როგორც მათი სამშობლო „დიადი საბჭოეთის" ერთ-ერთი რგოლი უნდა გამხდარიყო და არა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო. შეიძლება ვთქვათ, რომ საბჭოური იდეოლოგიის მისი მესვეურთა მსოფლმხედველობის ყველაზე დიდი ნაკლი სწორედ ის იყო, რომ ინდივიდუალიზმს მტრობდა და ყველაფერს და ყოველივეს „პროკრუსტრეს სარეცელის" პრინციპით უდგებოდა, თავისთავად ცხადია, რაც მის ნორმებს და

იდევს სცილდებოდა ზედმეტად თვლიდა და მის მოკვეთას ლამობდა. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ გამსახურდიას პერსონაჟების ტრაგედია სუბიექტური კი არა, ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული.

ინდივიდუალური სახე თუ წაიშალა ადამიანში, ის რა თქმა უნდა, დარღვეულია თავისთავად და პიროვნულ სახეს კარგავს. საბჭოური იდეოლოგია ამ პიროვნული სახის წინააღმდეგ მებრძოლია, ისევე როგორც ცალკეული ერების ინტერესების ჩამკვლელი და მოწინააღმდეგეა. როგორც ცალკეული ადამიანი იმსხვრევა პიროვნულ მახასიათებლებს მოკლებული, ასევე ერებიც იღუპებიან ეროვნულ იდეალებს დაშორებულნი. ეს კარგად ესმის თავად კონსტანტინე გამსახურდიას და აქედან გამომდინარე მისი ნაწარმოებების გმირებსაც, კ. გამსახურდია ხსნის გზას იმ ეროვნულ ფესვებში ეძებს, რამაც შექმნა ქართული ეროვნული სახელმწიფო, იმ საყრდენში, რაზეც ქართული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი აღმოცენდა. და ყოველივეს კიდევ უფრო შორიდან იწყებს, კერძოდ, მითოლოგიიდან, სადაც ობიექტურ საყრდენს თუ ვერ მოვიპოვებთ, ფანტაზიას მაინც ავამოძრაებთ.

„რა ღარიბი იქნებოდა ჩვენი ფანტაზიის პარნასი, რა ცარიელი იქნებოდა ჩვენი ადამიანური ხსოვნა, რომ მას ამ მითის, ამ ლეგენდის დამახსოვრების უნარი არა ჰქონოდა. დიდი ბედნიერებაა ადამიანისათვის მოგონება პლატონურის გაგებისა, რამდენადაც მოგონებაა მთელი ჩვენი იდეათა სამყარო, მაგრამ უფრო ცარიელი იქნებოდა ჩვენი ფანტაზია, რომ ჩვენ ნიცშესავე სიტყვებით „თაყვანისმცემელი ცხოველები“ არ ვიყოთ, რომ ჩვენი გული ისე გაითიშოს სკეპტიციზმისა და რელატივიზმის სუსხით, რომ ჩვენ არ გვეყოს წარმოდგენისა და პიეტეტის ძალა ამ მითის, ამ ლეგენდის დასაჯერებელი. ანგელუს სილეზიუს მშვენიერ პოეტურ ფორმულას გვაწვდის ამ მხრით:

„ქრისტე ნამდვილი, სრულყოფილი, ჯერ არ შობილა, მისი ხატება ღვთიური უნდა დასრულდეს მერმისში“.

ამ მითის წყალობით იკვლევენ გზას ბნელი საუკუნოებიდან ჩვენამდის ქრისტე და ბუდდა, სოკრატეს და პლატონ, ჰომერი და შექსპირი, რუსთაველი და გურამიშვილი - ამ ლეგენდის წყალობით იმაგრებენ ისინი თავს გულმაღვიწყობის ოკეანეზე, როგორც ღმერთი დიონისოს ზღვის ზედაპირზე" („ტრადედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან“, „გამსახურდია“ ტ. VI, 1983 : 514).

შემთხვევითი არც სხვათა აზრის მოშველიებაა გამსახურდიასათვის და არც თვით უმნიშვნელო დეტალის შემოტანა თავის ნაწარმოებებში, ანდაც ცხოვრებისათვის უმნიშვნელო ადამიანების პორტრეტის ხატვა, რადგნაც ავტორი

მათ პირველყოფილ, პირველქმნილ სახეს ეძიებს, მათ სულში იხედება და იქედან გვიხსნის სამყაროს ანბანს.

„ზარები გრიგალში“ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ადამიანის, მნათე ოქროპირის, სახეს აგვისახავს და გვარწმუნებს რომ უმნიშვნელო და მნიშვნელოვანი ადამიანი არ არსებობს, ეს ჩვენი წარმოსახვა აძლევს მათ ასეთ კლასიფიკაციას, სინამდვილეში კი იმ პირველქმნილი სახით ყველა თავისთავადი და უფლისწულია. ხომ შეგვაგონებს მწერალი „დიდოსტატის მაჯვენაში“.

„რაც უნდა დიდი ქმნილების წინაშე იდგე, თვით უმნიშვნელო ადამიანიც მეტ ყურადღებას მოითხოვს, შენგან“ („დიდოსტატის მარჯვენა“, 10). რადგანაც მწერლის აზრით ადამიანი ყოველივეზე აღმატებულია. მხატვრული სინამდვილე, ისეთ რეალობას ქმნის, სადაც ყველა და ყველაფერი თანასწორია, სადაც ყველა და ყოველივე პირველქმნადობის ღვთიური სახით წარმოგვიდგება, ეს იმ შემთხვევაში, თუ ნაღდი შემოქმედის ფანტაზიით აისახება გარემოცა და პერსონაჟიც. ერთი შეხედვით ჩვენ მიერ საკვლევი თემის რეგისტრში თითქმის არც ჯდება მნათე ოქროპირის სახე, მაგრამ პირველქმნადობის მძაფრი ბეჭედი, რაც ამ პერსონაჟს საინტერესოს და მხატვრულად სრულქმნილს ხდის, ჩვენც გარკვეულ პასუხს გაგვაცემინებს ზოგიერთ პრობლემაზე.

„ოქროპირს სოფელი ლენხს ეძახდა (ლენხი საშუალოა გლახაკსა და ქადაგად დაგარდნილს შორის). სჩვეოდა ოქროპირს - მოუბარს ხშირად ყურს არ უგდებდა, როცა საქმეზე ელაპარაკებოდნენ, სულ სხვა რამისათვის ფიქრობდა.

სახეზე ეტყობოდა: მის სულს ვნების ქარიშხალი არ მოჰხვედროდა, არ ეკუთვნოდა ოქროპირ ამ ქვეყანას. არც ამ ქვეყანამ დაუდო მას წილი სოფელში. ამბავი დააგდეს: დრო მოვა, გლახაკები ღმერთს გაუტოლდებიან, ძლიერნი ამა ქვეყნისანი შედრკებიან და გლახაკები თავადების პორფირს მოისხამენო. არ იქნება არც ღმერთი და ეშმაკი, მდიდარი და ღარიბი, ქურუმი და მნათე, რადგან ყოველი კაცი თვითონ იქნება თავისი თავის ღმერთი, ქურუმი და მნათე, ასე ამბობდა ქადაგი ტაია“ (გამსახურდია VI, 1980 : 250). რა თქმა უნდა ოქროპირს ამას ცხოვრების ქარიშხალი არ შეხებია, მაგრამ ადამიანი მხოლოდ იმით კი არ არის საინტერესო კ. გამსახურდიასათვის, თუ როგორი სახე მიუღია მას, სამეფო სამოსითაა შემოსილი, მათხოვრის ძონძებით, თუ ბერის ჩოხით, არამედ თუ როგორია მისი სული, თუ როდის ამოხეთქავს მისი სულიდან თავისუფლების წყურვილი. ყოველი ადამიანის სულში თვლემს დიადი წარსულის ექო, მხოლოდ ესაა, ზოგიერთებს ძალუძთ მისი შემეცნება, ზოგიერნი კი ვერც გრძნობენ მას თავიანთი არსებაში. მნათე ოქროპირს კი ბედმა გაუღიმა, თუნდაც ერთხელ მაინც

შექლო პირველქმნილი მითის ექო აებორგებინა თავის სულში, თუნდაც ერთხელ მაინც აჰყოლოდა თავისი სულის რევოლუციის ძაღმოსილებას.

„და მთელი ცხოვრება ფიქრობდა ოქროპირ, რა იყო, თუ არა ზღაპარი ხანმოკლე? ზარების ჯარები ფოლადის აბჯარში, მდეგრები უშიშო, თავგამეტებულნი, მისდევენ გრიგალის გაფრენილ მერნებს. მიჰქროდნენ მოვარისაკენ ღრუბლების გემები აღისფერ სისხლით გამურულ აფრებით და პირვექვე, ეკიდა იესო ზეცაში, ღრუბლების ანძაზე, ვით მანვე მეკობრე, გრიგალი მიახტა ღრუბლების ქეჩოს. ვით მალი ფოცხვერი სისხლს მოწყურებული გასდრიკა წელში მძლე გოლიათები სამრეკლო ტკრციალით შეირყა, გაქანდა, ტორტმანით დაეცა მიწაზე“ (გამსახურდია V, 1980 : 263).

და ყველაფერი ეს სხვა არა არის, თუ არა მნათე ოქროპირის სულში ამოვარდნილი ქარიშხალი, მისი სულის რევოლუცია.

მნათე ოქროპირი, რომელიც ლენჩად იყო შერაცხული სოფლის მიერ და თითქოს ყოველგვარ აზრსა და მნიშვნელობას იყო მოკლებული მისი პიროვნება, სულის სიღრმეში მაინც ატარებს იმ პირველყოფილ სასიცოცხლო ძაღას და თავისუფლებისაკენ ღტოლვას, რაც საუკუნეების განმავლობაში მოჰყვებოდა მის სისხლს და აბა როგორ შეიძლება მოქმედ, სრულფასოვან ადამიანში დაიშირტოს იგი. სულისქთმას, სულის ამბოხს ყოველთვის მიჰყავს კაცობრიობა წინ. სულის რევოლუცია სოციალურ და პოლიტიკურ რევოლუციებზე აღმატებულად მიაჩნიათ ყოველთვის მოაზროვნეთ.

„ებრაელებმა კი კაცობრიობას დაუმტკიცეს, რომ გაუტეხელია ერის სული, თუ ხალხმა იცის რისთვის არსებობს. ორი ათასი წლის გაფანტვის, ტანჯვა-წამების, დამცირების, კარდაკარ ხეტიალის შემდეგ მათ ეროვნული სახელმწიფოც შექმნეს, დავიწყებული ენაც აღადგინეს და დიდ ეკონომიკურ-კულტურულ გამარჯვებასაც მიაღწიეს...

სულის რევოლუციისთვის ერთობლივი მუშაობა მართებს მწერლობასა და ერს. მწერლობა სიმართლით, ავისა და კარგის შეუფარავი თქმით, მიზნის ნათლად ჩვენებით უნდა აწრთობდეს ხალხის სულს. ერი კი პირუთვნელი მსაჯული უნდა იყოს ყოველი მოღვაწის საქმიანობის, პირფერული თვალთმაქცობით გუნდრუკს არ უნდა უკმევდეს ყოველ ლაზღანდარას და შარახვეტიას. ნურგინ იტყვის იმას, რომ ზოგჯერ ხალხი ტყუვდება და ვერ არჩევს მტყუანსა და მართალს, ხალხი არასოდეს ტყუვდება, ოღონდ, სამწუხაროდ ზოგჯერ მას ხელსაყრელად მიაჩნია თავი მოიკატუნოს გაცუცურაკებულად, ეს

ცრუ დიპლომატია უნდა მოიცილოს თავიდან და ყოველთვის ეცოდინება რა აკეთოს და როგორ" (ბაქრაძე 1990 : 224).

აკაკი ბაქრაძის ეს მოსაზრება გვიდასტურებს, რომ ადამიანის სულის რევოლუცია ყოველივეზე აღმატებულია. ტექნიკური, სოციალური თუ პოლიტიკური სპექტრი რევოლუციებისა საინტერესოა და თავისთავად ამზადებს ნიადაგს სულის რევოლუციისათვის, მაგრამ ამისთვის აუცილებელია თავად ადამიანთა სულის მზაობა, ნიადაგი ახალი ეთიკურ-ესთეტიკური იდეალებისათვის და ამ ნიადაგის შემქმნელი ყოველთვის იყო და არის უპირველესად ხელოვნება. ხელოვნების ყოველი დარგი თავისთავად ადამიანის სულის მწვრთნელია, მაგრამ მისი ფორმირების ყველაზე აღმატებული ძალა ლიტერატურას შესწევს. ამ დროითა და სივრცით შემოუსაზღვრელ ხელოვნების დარგს, რომელსაც ძალუძს არათუ ნიადაგი შექმნას, არამედ თავად გამოიწვიოს რევოლუცია ადამიანის სულში. საინტერესოდ გვიხსნის სიტყვისა და ლიტერატურული ხელოვნების ძალმოსილებას, „დიონისოს ღიმილის“ პერსონაჟი კონსტანტინე სავარსამიძე: „მე ვიტყვი სიტყვას - ათასები ყურს დამიგდებენ. მე ვიტყვი სიტყვას მშვენიერზე და ღვთაებრივზე და ჩემი სიტყვა თუ დაეცა ფხვიერ ყამირზე, ამ სიტყვას ათასები ისევ იტყვიან" („დიონისოს ღიმილი“, 194).

თვით რენესანსის ეპოქიდანაც გვახსოვს რომ იმდროინდელმა მოაზროვნე ადამიანებმა, როდესაც ადამიანის სულის რევოლუცია დაისახეს მიზნად, უდიდესი მნიშვნელობა ამისთვის ხელოვნებას მიანიჭეს და მათ შორის გამორჩეული როლი და ფუნქცია ლიტერატურას მიაკუთვნეს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კ. გამსახურდიას, როგორც მხატვრული შემოქმედება, ისე მისი წერილები თუ მეცნიერული ნაშრომები იქეთკენაა მიმართული, რომ ადამიანი თავისი პიროვნებისაკენ შემოაბრუნოს, მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანს თავისი სულის სარკეში ჩაახედოს, იმ შრეებს მიაახლოვოს, სადაც ყველაზე საინტერესო, სუფთა და შთამბეჭდავია მისი პიროვნული სახე. ამიტომაცაა, რომ მწერლისათვის დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება მას, რომელ ეპოქაზე წერს. რა დროსაც არ უნდა ასახავდეს მისი კალამი, რაზეც არ უნდა წერდეს იგი, მისი შემოქმედების მთავარი დანიშნულებაა ადამიანის სულის რევოლუცია, ისევე როგორც რენესანსის ეპოქის მოაზროვნეები და შემოქმედები ფიქრობდნენ - ადამიანის ხელახლა აღმოჩენა.

მართლაც შესძლო კ. გამსახურდიამ ადამიანის სულის იმ შრეებამდე ჩადწევა, რაც მისი დროის თუნდაც კარგი მწერლებისა და მოაზროვნეებისათვის მიუღწეველი იყო, მითუმეტეს მათთვის, რომლებიც დროისა და ეპოქის გარეთ

ვერ გადიოდნენ, რომელთა სული სოციალისტური მსოფლმხედველობით იყო გაჯერებული. არ გამოვირცხავთ იმას, რომ სოციალური პრობლემატიკაც უმნიშვნელოვანესია - როგორც მწერლობისათვის, ისე საზოგადოებისათვისაც, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დროის და თანაც ამო პრობლემას წარმოადგენს, როგორც ჯერ კიდევ ეკლესიასტემ დაინახა და აგვიხსნა იგი. მწერლობა მარადისობის კარიბჭესაა მიახლოებული, მარადისობის პრობლემებისაკენ გარბის მწერლის გულ-გონება და მითუმეტეს, ისეთი რანგის მწერლისა, როგორიც კონსტანტინე გამსახურდია ბრძანდებოდა, რომელმაც კარგად უწყოდა: „ხელოვნება გულისსისხლს მოითხოვსო საფასად, თუ მთელი ჯანი არ შეაღიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან“ („დიდოსტატის მარჯვენა“, 7).

თუნდაც ეს აზრიც „განა ქვაა სვეტიცხოველი, ჩემო? ქვადყოფილია, იგი ამჟამად, უფრო უკვდავი, ვიდრე ასიათასი მოკვდავის სული“ („დიდოსტატის მარჯვენა“, 303). ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი, ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“ („დიდოსტატის მარჯვენა“, 139).

კონსტანტინე გამსახურდიას, რომელსაც ასე ღრმად და საინტერესოდ ჰქონდა გააზრებული ხელოვანისა და ხელოვნების დანიშნულება ქვეყნად, რა თქმა უნდა, „ამო ხმებისათვის არ ეცალა“ და ისიც კარგად იცოდა, რომ მარადისობისთვის განკუთვნილი ხმა და ფერები, ისევ მარადისობის უბიდან უნდა ამოეკრიბა და თავისი, დიდი შემოქმედება ერისა და ქვეყნისთვის უნდა მიეძღვნა.

რა თქმა უნდა, იმდროინდელ სახელმწიფო ინსტიტუტზე გულადრენილის საპროტესტო ნოტა ნიადაგ მოუონავს მისი შემოქმედებიდან, მაგრამ თავისივე პერსონაჟის კონდტანტინე არსაკიძის პირით, ამასაც აცხადებს: „ჩემდა თავად ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავად...“

ყოველი კაცისათვის სანატრელი წყობილება ჯერაც არსად დამყარებულა“!.. („დიდოსტატის მარჯვენა“, 1990 : 305) და მაინც ყოველი კაცისათვის სანატრელი ის პირველყოფილი სისუფთვე და სიმარტივეა, საიდანაც იწყება ადამიანი. საიდანაც სათავეს ვიდებთ. თუმცა სწორედ ამ ფესვებზე ამოიზრდება ხშირად სრულფასოვნებისა და ადამიანური ჰარმონიის სიმბოლო-გენიოსი:

„გოეთეს განვითარებაში შეიძლება მხოლოდ წრეშეწერილ, დასრულებულ რკალების დანახვა, არსად შესვენება, არსად გადატეხა განვითარების ტემპოსი და

ხაზისა - ასე ჰარმონიულად რონინობს და მდინარებს ყოველი დიდი ხელოვანის, ყოველი დიდი პიროვნების განვითარება და ეტლი.

„ჯიშიდან ზეჯიშისაკენ“.

ჩვენი თანამედროვე მცნება დიდი პიროვნებისა, დიდი ინდივიდუუმის სრულიად გაუგებარი იყო ანტიკურ სამყაროში.

ანტიკური პერსონა, ღვთიური ადამიანი იყო, მიტომაც ასე უყვარს ჰომეროს თქმა: ღვთიური ოდისოს, ღვთიური აქილესს, თვით ოდისოს მეფის ერთგულ მელორესაც იგი ღვთიურ ღორის მწყემსს უძახის. რადგანაც ღვთიურობა ანტიკაში ჯიშდასრულებას, სრულყოფას უდრიდა. ანტიკური ღმერთები იგივე ღვთიური სრულყოფილი ადამიანები იყვნენ. ჩვენი „დიდი პიროვნება“ უდრიდა ანტიკურ საუკეთესოს (თავის ჯიშში, თავის რანგში, წოდებაში ან ხელოვნებაში).

... ანტიკურ სამყაროში ხელოვნებაც ღვთაებრივი ფუნქცია იყო, ღვთაებრივი ემანაცია იმ მსოფლიო ლოგოსისა, რომელიც ადამიანში თვლემს" („გოეთე, თუ მისტიკოსი", „ილიონი" №1, 1922 : 30).

და როდესაც მშობელი ერის ფენომენის შემეცნება სურს მწერალს სწორედ იმ მარადისობის კარიბჭის შეღებას ღამობს, სადაც ქართველთა უკვდავი სული თვლემს და სწამს, რომ ქართველთა პირველსამყარო, პირველქმნადობა უდავოდ შეგვაძლებინებს ჩვენივე მომავალი განესაზღვროთ.

„ჩვენი ისტორიის ტრადედია იყო ჩვენი მარტოობა, თუ ისტორიაში მართლაც არსებობს ბრმა მოირა, ეს ჩვენ თავზე ახდა. ამ გაუხარელმა მოირამ დაგვაკისრა ისეთი კულტურული - ისტორიული ამოცანები აღმოსავლეთში, რომლის განხორციელებას ჩვენი საუკეთესო ენერგია და სისხლი შევსწირეთ. ბედმა პირში მიგვცა ფანატიკურ აღმოსავლეთს. პიონერი დასავლეთის ქრისტიანული ცივილიზაციისა ქართველი ერი ჯვარს ეცვა ქრისტეს ჯვარისათვის და ქრისტიანული დასავლეთი ფაქტიურად არასოდეს მოგვშველებია. დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნებიც ებრძოდნენ აღმოსავლეთს, მაგრამ მათ მუდამ საერთო ფრონტი ჰქონდათ. ჩვენი მეფეები და მთავრები მუდამ ევროპას უხმობდნენ, მუდამ მაშველებს ეძებდნენ და გამოხმაურება მხოლოდ დელიკატურ ეპისტოლეებში იხატებოდა. დღესაც მარტოა ქართული რასა" („კარგი ევროპიელი", კ. გამსახურდია, ტ. VI. 1963 : 514).

კ. გამსახურდიას ლიტერატურულ წერილებსა და ესეებში კარგად იკითხება ის, რაც მწერლის პერსონაჟებს აწუხებთ, ის, რაც მათ ეროვნულ მსოფლმხედველობას ქმნის, მწერლის სულიდან მომდინარეობს. მისი პერსონაჟების ტრაგედია, თავად მწერლის ტრაგედიაა, ტრაგედია სულის

სამშობლოდაკარგული ადამიანისა, რომელსაც თითქოს სამშობლოც აქვს, თვისტომნიც გააჩნია, მაგრამ ბარათაშვილის არ იყოს, სულის მანუგეშებელი ძალა მაინც ვერსად უპოვია, ამასთან ერთად, როგორც მწერლის პერსონაჟები, ისე თავად მწერალიც იმ დაკარგულის მაძიებელია, რაც გაამთლიანებს ქვეყანას, რაც ისევ სულის სამშობლოდ გადაუქცევს საქართველოს თითოეულ ქართველს. ვერც იმას ვიტყვით, რომ მხოლოდ საბჭოური წყობილებაა ქართველთა სულის სამშობლოს მიმტაცებელი, ანდაც მხოლოდ რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკიდან იწყება საქართველოს უბედობა, მაგრამ ის უდავოდ აშკარაა, რომ ჯერ მეფის რუსეთმა და შემდეგ საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ეროვნული ტრაგედია იმდენად გაზარდა, ქართველური სული, სამშობლოსადმი განუსაზღვრელი სიყვარული, რითაც ყოველი ქართველი ხასიათდებოდა საუკუნეების განმავლობაში, თითქმის დაიკარგა.

კ. გამსახურდია ეროვნული ენერჯის წყაროს შორეულ, არქაულ სივრცეში ეძებს, იმ დროსა და განზომილებაში, როდესაც ადამიანს პირველყოფილი მთლიანობა თან სდევდა: „სულის არქაიკა - ეს ამ წინაპართაგან შემორჩენილი დაუმორჩილებელი, ბნელი და იღუმალი ძალებია, ანუ პიროვნების მეორე „მე“. ბერძნულ მითოლოგიაში, დემონად მიჩნეული, ქრისტიანობის მიერ სატანად შერაცხული, ლიტერატურაში მეფისტოფელად სახელდებული, ადამიანური ცნობიერების მიერ უარყოფილი და ჩაძირული ფსიქიკის სიდრმეში.

ერთი მხრივ - შთაგონება, მეორე მხრივ - სნეულება (შიში და ტკივილი) გვაბრუნებს ამ მშფოთვარე ძალებთან, რეალობად აღქმულ წარმოსახვასთან, ააქტივებს მათ, ააქტივებს ფიზიკურ შეგრძნებებს, აღქმას, განცდას, ხედვას" (სიგუა 2007 : 111). როგორც მოყვანილი ამონარიდი მიგვანიშნებს, ხელოვნება თავისთავად მოიცავს მეცნიერების ღრმა შრეებსაც და თუ ხელოვნების ყველა დარგსა და მეცნიერებაში განსწავლული არაა შემოქმედი, იგი ვერასოდეს შექმნის ხელოვნების ისეთ ნიმუშს, რომლის ცეცხლი საუკუნეებს გადაენტება, კ. გამსახურდია სწორედ ის ხელოვანია რომლის შემეცნებასა და გულისგულში საუკუნეთა ანალებიდან ამოკრებილი ცოდნა და ხელოვნების დიდი მადლია დავანებული. სწორედ ამან შეაძლებინა მას, რომ უდიდესი გრძნობისა და ცოდნის სინთეზირებით მკითხველის თვალწინ საქართველოს ისტორიული წარსული და ზოგადად ხელოვნების მაგიური ძალა გაეშუქებინა, საიდანაც ყოველ ქართველს ძალუძს თავისი ეროვნული ფესვების სიდრმის შეცნობა და რაც ყველაზე მთავარია კ. გამსახურდიას შემოქმედებას ის ხიბლი მოჰყვება, რითაც ყოველ მოკვდავს ძალუძს საკუთარ სულშიც ჩაიხედოს, საკუთარი ბუნება და ეროვნული

სული შეიცნოს, რადგანაც „ყოველი ადამიანი მაქსიმალურად თავის უნარს გამოხატავს შინაგანი, სასიცოცხლო ძალების უკიდურესი კონცენტრირებით, რაც სიკვდილს ესაზღვრება. ამ ძალებს გამოავლენს თავისუფლებისაკენ სწრაფვით, რაც ღებულობს სხვადასხვა სახეს - ეს იქნება ძალაუფლების ნება, სიყვარული და სექსი, მასობირვი აღტკინება, გამარჯვების სიხარული თუ დამარცხების ძრწოლა, ანუ ემოციური აფეთქებით.

ამ ძალებს ასევე გამოავლენს უეცარი ეიფორია, სულიერი ტრამვა, მელანქოლია და დეპრესია, თრობის ექსტაზი, ოცნება და სიზმრის ლანდები, როცა ადამიანი ეშვება შინასამყაროს უფსკრულში და ამ ჩაძირვით მალღდება რეალობაზე.

ასეთ დროს აზრის დროშას მიაქანებს ვნების და გრძობის ქარიშხალი, გონი იძირება ემოციების ნისლეულში, რაც ნიშნავს უძველესი შეგრძნებისა და განცდის, სულისა და წარმოსახვის გამოხმობას. სულის არქაული ფენების აღზევებას, რადგან ეს არის დაკარგული ძალმოსილების აღდგენის ილუზია, იმის მიღწევა, რაც ადამიანს წაართვა ინტელექტის პროგრესმა...

... ადამიანის ბუნებაში არსებობენ ფარული სარეზერვო ფიზიკური და ფსიქიკური ძალები, რომლებიც ამოქმედდებიან უკიდურესი განსაცდელის ეამს, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ან ძლიერი გამღიზიანებლის ფაქტორით..

ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობა და ერთი ძლიერი გამღიზიანებელი შემოქმედისათვის, მოაზროვნისათვის არის სნეულება, ოღონდ არა ყველა არამედ ზოგიერთი, რომელიც ზემოქმედებს ტვინის, ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირებაზე, როცა შემოქმედს აქვს ნებისყოფა სიკვდილის დამშლელი ძალის შემკავებელი, ან თავისუფლებისაკენ სწრაფვის უნარი, როცა ეს სწრაფვა ქცეულია დიად მიზნად" (სიგუა 2007 : 111).

კ. გამსახურდიას ყველაზე საინტერესო მკვლევარის ს. სიგუას ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, თავისთავად სხვა მკვლევართა მოსაზრების ერთგვარი შეჯამებაა და გვიხსნის ადამიანის და მითუმეტეს, შემოქმედის სარეზერვო (ფარული) ძალების ამოფრქვევის შესაძლებლობის თეორიას. გვარწმუნებს, რომ ყოველი კაცთაგანი უთუოდ იმაზე მეტი და ღრმად ფესვებგადგმულია წარსულში, ვიდრე ჩანს., ან ვიდრე თავად გრძობს ამას და სწორედ გარკვეულ სიტუაციებში ზოგიერთნი მათგანნი, და უპირატესად შემოქმედები, ახდენენ ამ ფარული ენერგიის რეალიზაციას, მაშინ, როდესაც მთელი არსებით მიისწრაფიან მიზნისაკენ, როდესაც მთელი არსებით განიცდიან და შეიგრძნობენ გარდასული დროის ხმოვანებას საკუთარ სისხლსა და მთელს არსებაში. და ამ სისხლის

მესხიერებიდან მოდის არაჩვეულებრივი ცოდნა-შემეცნება ყოველივესი. კ. გამსახურდიაც სწორედ შემოქმედთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც გულისსისხლით ქმნის თავის ნაწარმოებებს, ძერწავს თავის გმირებს თუ პერსონაჟებს და მკითხველსაც იმ არაჩვეულებრივი ძალითა და მადლით ადავსებს, რაც სწორედ პირველქმნადობის მითიური სამყაროდან ამოაქვს მის არსებას.

საით მიისწრაფის ეს მეფური ბუნების მწერალი, საიდან იწყება მისი მსოფლმხედველობა? აი კითხვა, რომელიც ძალაუნებურად გვიჩნდება მისი შემოქმედების შეცნობისას. როგორც აღვნიშნეთ, და ჩვენამდეც მიუთითებდნენ სხვები კ. გამსახურდიას ეროვნული ცნობიერება უშორეს წარსულშია ფესვგადგმული და საუკუნეთა ლაბირინთებიდან ამოაქვს მას ჩვენთვის თვალშეუდგამი და ჩვენთვის ნაკლებად საწვდომი ის არქაული ცოდნა და სინამდვილე, რაც ჩვენს არსებაშიც თვლემს.

კ. გამსახურდიას პერსონაჟების პერსონოლოგიური პორტრეტის შემეცნებისას, მათ პიროვნებაში რამდენიმე შრე შეიძლება გამოვყოთ და ეს არქაული შრე ერთ-ერთი ყველაზე მეტად საინტერესო მონაცემია, რომელიც ამ პერსონაჟთა სრულყოფილი სახის შესაცნობადაა აუცილებელი. სწორედ ამიტომაცაა, რომ მკვლევარი ს. სიგუა გამსახურდიას პერსონაჟებს მხოლოდ ერთი რაკურსით კი არ წარმოგვიდგენს, მითოლოგიურ სპექტრში ჭვრეტს მათ არსებას და ერის ისტორიას, მის ეროვნულ პოტენციას მითოსურ ასპექტში ხსნის.

„რაც უფრო ღრმად ჩაგხედავთ ერის ფსიქიკას, ისტორიას, ხასიათს, - მით უფრო შეიმეცნება ზოგადი, რამდენადაც საკაცობრიო მოტივები საწყისი წერტილის უსასრულო სფერული გავრცობაა. შიგნითკენ შვეული სწრაფვით იძიება უძველესი მოდელი, პირველსაწყისი, არქეტიპი: საგარსამიძე - წმ. კონსტანტინეს, თარაში - ერამსუტი, დავითი - ბაგრატ IV; მარიამი - გორგონა, არსაკიძე - იაკობი, თამარი - ღვთისმშობელი; დედისიმედი - აფროტიდე, - გვანცა-არტემიდა, გიორგი II - ბახუსი, ვახტანგი - კიმოთე და ა.შ. ეს არის მიმსგავსების და გაიგივების სურვილი. არსი უცვლელია, მაგრამ დრო ცვალებადი. ამიტომ გმირი ვერ ეგუება თავის ეპოქას, ყველა ზედაპირიდან, ცენტრისაკენ ჩაბრუნებული სხივი ერთ წერტილში ერთდება.

... თარაშის ცხოვრების გზას განსაზღვრავს მისი სულიერი არქეტიპი ერამსუტ ემხვარი, რუსთ ხელმწიფის მოძულე, მასთან ბრძოლის მსხვერპლი ... თარაშს უფრო შორეული წინაპარიცა ჰყავს - ვარდან ჰემუხვარი .. ერამსუტი მეგრულად „არამ ხუტედ“ გამოითქმის. ერამსუტი ხალხური სახელის

ლიტერატურული ფორმაა. როგორც ვიცით, მითიურ ამირანს მეგრულ ვერსიებში არამხუტუ ჰქვია.

ამგვარად, თარაშის სახის ასოციაციურ ძიებას ამირანის მითამდე მივყავართ სვანეთში მყოფ თარაშს „ამირანის ძალი აწეება მკლავებში," როცა ავტორმა საბოლოო განაჩენი გამოუტანა თავის გმირს, შენიშნა: „გუშინ, გუშინწინ ჭაბუკი ამირანი ეგონა თავი, ბნელ გვირაბში ძალის შემნახველი", „ჩვენს ამირანს გვირაბისთვის ვერ მიუგნია, სადაც მან ძალა შეინახა დღევანდელ დღისათვის..."

ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ ამირანი არის მთელი საქართველო და მტრები კი ყვავ-ყორანი, (აკაკი წერეთელი). ამირანი ძველი საქართველოს მუდმივი ტანჯვის, ჭირთა თმენისა და ბრძოლის ხატია თარაშის სულის სიმი შორეულად მას უერთდება, რადგან მისი არსება შთანთქმულია წარსულის მიერ: ერამხუტის სახით იგი ისტორიულ საქართველოს ეტრფის, როგორც გარდასულ საუკუნეთა შვილი, მსგავსებას პოულობს ამირანთან" (სიგუა 1989 : 90-93).

თარაშის - როგორც პერსონაჟის არქაული ძირების გახსნა მიზნობრივად უკავშირდება ჩვენს გადასაჭრელ პრობლემას - თუ რამდენად დომინირებს კ. გამსახურდიას შემოქმედებასა და მის პერსონაჟებში დაკარგული საზრისის და პირველქმნადობის შენარჩუნების იდეა, თუ რამდენად შორეულ ფესვებს უკავშირდება თითოეული პერსონაჟის პერსონოლოგიური სახე და კიდევ ერთიც, რამდენადაა ყოველივე ეროვნულ ცნობიერებასთან დაკავშირებული, ქართველთა ეროვნული ცნობიერება იწყება მისი მითოლოგიიდან, მისი წარსულიდან, იმ მითოსური გმირების სახე-სიმბოლოებიდან, რომელთაც თავის დროზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს ქართველი ერის ეროვნულ აზროვნებაზე. ისევე როგორც თარაში, გამსახურდიას სხვა პერსონაჟები და არ მარტო ქართველები, სხვა რასის წარმომადგენლებიც, ასევე მითოსურ-არქაული სიმბოლიკითაა გახსნილი ს. სიგუას მიერ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენ მიერ დასახული პრობლემების ასახსნელად თარაშის არქეტიპულ სახეზე დაკვირვებაც საკმარისად მიგვაჩნია და გარკვეულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავად კ. გამსახურდიას ცნობიერება იმდენადაა შეზიარებული ქართულ ზეპირსიტყვიერებას, ქართულ ეროვნულ სულს, რომ მისი პერსონაჟებიც თითქოს ამ საუკუნეთა შრეებში იბადებიან, იზრდებიან და საბოლოო სრულქმნილ სახეს კ. გამსახურდიას ნაწარმოებებში პოულობენ, ამასთან ერთად იმდენადაა გაუღენთილი პირველქმნადობისა და ეროვნული სულის ატრიბუტებით, შეუძლებელია ნაღდი ქართული და თავისთავადი სახეები არ შევიცნოთ მათში და საბოლოოდ იმ დასკვნამდე არ მივიდეთ, რომ

საქართველოს დაკარგული საზრისის აღდგენა, ისევე მის მსოფლმხედველობაში, მის ეროვნულ ძალმოსილებაში უნდა მოხდეს.

დაკარგული საზრისის, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით არაცნობიერის შრეებში ჩარჩენილი სინამდვილის შესახებ საინტერესოა კ. გუსტავ-იუნგის მოსაზრება „არაცნობიერის კომპენსაცია კიდევ უფრო მეტად გნოსტიკურია. ფიზიკური პროცესები მითოლოგიების ენით საუბრობს. ინტელექტუალური ფორმულირება ვერასდროს შესძენს მითოსურ სურათ-ხატებს ისეთ ღრმა გამომსახველ ძალას, როგორც ამას მითოლოგიური ენა აღწევს, რადგან ეს პროცესი პირველსახესთან არის დაკავშირებული, ამიტომ ის მხოლოდ ხატოვანი ენით შეიძლება აღიწეროს" (გუსტავ-იუნგი 2005 : 29). კ. გამსახურდიას პერსონაჟებში, როგორც უკვე მივუთითეთ საინტერესოდ იკითხება როგორც პირველსახე, ისე ზოგადად მითოლოგიური მოდელი.

თარაშ ემხვარის სიგუასეული სახის ინტერპრეტაციამ გვიჩვენა, რომ გამსახურდიას პერსონაჟები სინთეზირებულ სახეებს ქმნიან უშორეს წარსულთან, საერთოდ წარსულთან და თანამედროვეობასთან მიმართებაში - ამირანი - ერამხუტი - თარაში ეს სამსახეობა ხომ ადვილად შესამეცნებელია ემხვარისა, თუმცა აქაც არ ჩერდება მწერლის წარმოსახვა და კარნუ ქალაქის გმირის ვარდან ემხვარის სახესთან აიგივებს იგი მას. გამოდის, რომ დასახელებულ გმირთა სულიერი სახე, თარაშის პიროვნებაში სხვადასხვა შრეებს ქმნის და არათუ საზოგადოებას, ხშირად თავადაც უჭირს ემხვარს საკუთარ არსებაში გარკვევა, რომელი პერსონის სახე დომინანტობს არსებულ სიტუაციაში, მასთანაა გაიგივებული თარაშის პიროვნება. სწორედ ამიტომ გამსახურდიას პერსონაჟები ზოგადად ძალიან რთული ბუნების ბრძანდებიან, რამდენადაც თვით მათი არსების ძირებში დევს მრავალსახეობა, მრავალხმიანობა.

„პოლიფონიურ რომანს ბახტინი მრავალხმიან რომანს უწოდებს და ცნობილ მუსიკალურ ტერმინს დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ხმების თანაარსებობის საუკეთესო გამოხატულებად მიიჩნევს...

პოლიფონიური რომანის პერსონაჟები, ბახტინის აზრით, არ წარმოადგენენ ავტორის მიერ მართვად და მანიპულირებად ობიექტებს, პომოფონიური ანუ ერთხმიანი რომანისაგან განსხვავებით, სადაც ავტორი ღირიჟორის პულტიდან ხელმძღვანელობს პერსონაჟებით დაკომპლექტებულ ორკესტრს, პოლიფონიური რომანის მოქმედი პირები დამოუკიდებელ სუბიექტებად გვევლინებიან, მეტიც, პოლიფონიური რომანის პერსონაჟთა ავტონომია ავტორისეულ ავტონომიას უტოლდება, პერსონაჟის ფასეული სიტყვა ავტორისეულ ფასეულ სიტყვას

უთანაბრდება და ხასიათის შეცნობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტსაც წარმოადგენს.

ამრიგად, ბახტინისეული პოლიფონია გულისხმობს პერსონაჟის ხმის სრულ გათავისუფლებას ავტორის ხმის დიქტატისაგან... პოლიფონიური რომანის პერსონაჟთა თავისუფლება მხატვრული შემოქმედების ლიმიტირებულ დონეზე რეალიზდება, ანუ პერსონაჟის წარმოჩენის ავტორისეული არჩევანი თავად უბიძგებს ავტორს გარკვეული მიმართულებით მოძრაობისაკენ, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ავტორის ჩანაფიქრის ნაწილია, - წერს ბახტინი. ეს ჩანაფიქრი ერთგვარად განაწყოებს გმირს თავისუფლებისაკენ (შეფარდებითი თავისუფლებისაკენ რასაკვირველია).

პოლიფონიური რომანის ანალიზის პროცესში ბახტინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ავტორის ფენომენს - ავტორი მოიაზრება როგორც ყველა ხმის მიღმა მდგარი იდეური და მხატვრული ცენტრი" (ლიტერატურის თეორია 2008 : 45).

მითითებული მოსაზრებიდან რომანის პოლიფონიურობის პრობლემა საინტერესოდ იხსნება და ეს პოლიფონიურობა ანუ მრავალხმიანობა ცალკეული პერსონაჟის მთლიანობაშიც შეიძლება ვიგრძნოთ. როდესაც პერსონაჟს არქეტიპული ძირები გააჩნია მაშინ და კიდევ უფრო მძაფრად აისახება ეს პოლიფონიურობა მითუმეტეს როდესაც რამოდენიმე არქეტიპული ფენა შეიძლება გამოვეყნოთ გმირის მთლიანი სახის აღსაქმელად. ეს პრობლემა როგორც უკვე ვთქვით, წამოჭრა და საინტერესოდ გადაწყვიტა გამსახურდიას შემოქმედების მკვლევარმა ს. სიგუამ, რომელმაც დაგვარწმუნა, გამსახურდიას ცალკეულ პერსონაჟთა მრავალსახოვან არქაულ სისტემაში. საინტერესოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ თარაშის სულის არქეტიპული წანამძღვრები ზოგჯერ პიროვნების გაუცხოებას, საკუთარ თავთან კონფლიქტსა და თითქმის გამანადგურებელ წინააღმდეგობას იწვევს, რატომ დასჭირდა მწერალს ასე მრავალშრიანი სახეების ასახვა, რატომ ერთგვარი არქეტიპული სისტემით ქმნის პერსონაჟთა სახეებს? რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ პასუხის გაცემა არ გაგვიჭირდება, პირველქმნადობის ძირებიდან უნდა ამოიტანოს ეროვნული სული ქართველობისა, აგრძნობინოს და დაარწმუნოს მკითხველი, რომ ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას უშორეს წარსულში აქვს ფესვები გადგმული, ეროვნული თავისუფლების იდეა სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით აღმოცენდება და ვითარდება შესაბამის ეპოქებში.

„კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით ლაბირინთში მესამე გზაც გაილანდა. მწერალმა სცადა თავისი დეკადენტური განწყობილებანი ქართულ ეროვნულ ნიადაგზე გადმოენერგა და მითოლოგიურ-ფოლკლორულ საწყისებზე დაემყნო" (მიშველაძე 2000 : 232). მიუთითებს მკვლევარი რ. მიშველაძე და ფაქტიურად ამ მითოლოგიურ-ფოლკლორულ საწყისებთან სინთეზირებული თანამედროვეობა ინდივიდუალურ, სხვათაგან განსხვავებულ ფორმასა და შინაარსს აძლევს კ. გამსახურდიას ეროვნულ ცნობიერებას.

ამირანის ეროვნული ძირები, საუკუნეების განმავლობაში ამშვენებს ქართულ ზეპირსიტყვიერებას და გარკვეულად მისი სულის ფორმირება ეპოქათა შესაბამისად ხდება. თუ ჩვენ მიერ უკვე მითითებულ თარაშის არქტიპული ძირების სქემას მოვიშველიებთ, თამარის ეპოქაში იგი კარნუ ქალაქის ამღები გმირი ვარდან ემხვარია... რუსეთის თვითმპყრობელობის პირობებში ეს სახე განიცდის ფორმირებას და ახალ დამპყრობელთა წინააღმდეგ მებრძოლ მეტად გამოუცნობი სახის იდუმალ გმირად - ერამხუტ ემხვარად გვევლინება. შეიძლება ვთქვათ, რომ ემხვარების არსებაში ამირანის სისხლი მდინარებს და საბოლოოდ იგი სრულიად სრულქმნილი, მთლიანი ადამიანის – თარაშ ემხვარის სახით წარმოგვიდგება, რომელსაც მწერალი უკვე ქართველთა მარადიულ სულად მიიჩნევს. ეს შეიძლება აგხსნათ ა. ბაქრაძის მიერ დათა თუთაშხიას მარადიული არსებობის რწმენასთან გამოთქმულ მოსაზრების თარაშ ემხვარის სახესთან შეპირისპირებით.

„დათა გვარად თუთაშხიას, თუთაშხია „მთვარის დღის შვილს ნიშნავს, მაშასადამე, დათა შვილია თუთაშხა-რაინდისა, წყალი კი ყოველი მითოლოგიის თანახმად, განახლება-აღორძინებას გულისხმობს „უკეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულსა ვერ ხელეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისას" - კვერს უკრავს მითოსს იოანეს სახარებაც. ეს მითოლოგიური მოტივი კარგად არის ასახული სიტყვაკაზმულ ლიტერატურაშიც.

ზღვაში უკვალოდ შთანთქმა დათა თუთაშხიას კვლავ აღორძინებას გულისხმობს. იგი უკვე გახდა სიკეთის ხორცშესხმული სახე. ახლა მეორედ უნდა მოვიდეს, რომ საბოლოოდ გაბატონდეს და დამკვიდრდეს" (ბაქრაძე 1977 : 164).

„სიკვდილის გზით აღორძინების მოტივს აგრძელებს თარაშის სურვილი: „თუ თავის მოკვლა გადავწყვიტე, ჩემ საყვარელ სტიქიონს წყალს უნდა მივაკითხო" (II, 89). მართლაც იგი ენგურში დაიხრჩო. ე.ი. წყალში სიკვდილს ვერ გაექცა. წყლის ღმერთი იგრი ქართულ მითოლოგიაში სიცოცხლის საწყისია, ხოლო მდინარე ენგურის სახელი ამ დიდებული ღმერთის სახელიდან არის წარმოებული,

იგრის სადიდებელი თვე იგრიკა, საბა ორბელიანის განმარტებით აპრილია, თარაშ ემხვარი კი ენგურში სწორედ აპრილში დაიხრჩო (ბაქრაძე, „მნათობი“, 1967 : 111-119).

აქედან გამომდინარე აკაკი ბაქრაძე ასკვნის, რომ აქაც სიკვდილის საშუალებით ხელმეორედ აღორძინება-განახლების აზრია გატარებული, რადგან თარაშის სიკვდილი იმ დმერთის სახელთან არის დაკავშირებული, რომელიც, მართალია, ხანდახან სიკვდილს თესდა, მაგრამ მაინც სიცოცხლის საწყისი იყო.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში სიკვდილი საოცრად შორს დგას დასასრულისაგან. უამრავი პერსონაჟი ასრულებს სიცოცხლეს, მაგრამ ეს დაღუპვა ერთგვარი დაბადებაა.

თარაშ ემხვარს მთელი ცხოვრება თან სდევდა სიკვდილზე ფიქრი. მართლაც და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, სიკვდილზე ფიქრი ადამიანს ზოგჯერ სიამოვნებას ანიჭებს. ალბათ, ყოველ ჩვენგანში დევს დაუოკებელი, ქვეცნობიერი სწრაფვა იმ სამყაროსკენ, საიდანაც მოვდივართ, სადაც ოდესღაც გვიცხოვრია, მაგრამ არა იმ გონებით, რომელიც გვაქვს. გონება მხოლოდ დედამიწაზე არსებობისათვის შექმნილა თითქოს. იქ კი მხოლოდ გული იყო... გული ფეთქავდა, ცოცხლობდა. ეს მოგონებაც გულს შემოუნახავს, მას ახსოვს მხოლოდ, მაგრამ არამც და არამც არ უმხელს გონებას თუ ვინ იყო მანამდე, რა ერქვა, სად ცხოვრობდა. ის მხოლოდ იცდის და ითვლის შეუჩერებლივ..

და როცა სისხლი საბოლოოდ შემოკრავს ძარღვის კედელს, გული დაუბრუნდება ჭეშმარიტ სამშობლოს, რათა კვლავ შეხვდეს მას, ვისთვისაც შეუსვენებლივ ითვლიდა წამებს.

მთელი ცხოვრება სიკვდილის ფარული მოლოდინის მიზანი კი განახლებაა, ხელახლა შობა, ოღონდ არა იმავე სამყაროში, სხვა ფორმითა და თვისებებით, არამედ შობა იმავე სულით, ოღონდ განახლებული და განწმენდილი არსებით.

სიკვდილის შემდეგ აღორძინება-განახლების აზრს თითქმის ერთხმად აღიარებს განსხვავებული ეროვნების, მრწამსისა თუ კულტურის მქონე ადამიანები.

მითოლოგიაშიც ვპოულობთ კვდომად და განახლებად ღვთაებებს, რადგანაც მითებში უძველესი ადამიანის სამყაროსადმი დამოკიდებულებაა გადმოცემული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადრეულ საუკუნეებში ადამიანის შეხედულება იგივე იყო.

სიცოცხლე თავის თავში იტევს სიკვდილს (ყოველი ცოცხალი მოკვდავია) და პირიქით, სიკვდილი გულისხმობს ხელახლა დაბადებას, განახლებულ სიცოცხლეს.

ამ აზრის მოშველიებით უკვე სარწმუნო ხდება კ. გამსახურდიას ჩანაფიქრი, როგორც იმდროინდელი კრიტიკა ხსნიდა, თითქოს იმ საზოგადოების, ზედმეტი ადამიანი თარაშ ემხვარი, საბოლოოდ იღუპება გააგებული ენგურის ტალღებში, თუმცა ენგურში დაღუპვა ხომ „კვლავ აღორძინებას გულისხმობს“, რა თქმა უნდა, როცა ამ ასპექტში დავინახავთ ემხვარის პიროვნებას, ყოველივე თავის ადგილზე დგება და მწერლის რთული და საინტერესო ჩანაფიქრიც სათანადო მიზანდასახულებას იძენს. თანაც ნათელი ხდება ისიც, რომ ქართველთა ეროვნული სულის ფორმირება კ. გამსახურდიას პერსონაჟებში სრულქმნილებას აღწევს და მისი გაქრობა არავითარ ძალას არ შეუძლია, ისტორიის რომელ მონაკვეთს, რომელ ეპოქასაც არ უნდა ასახავდეს მწერალი, თავისთავად ისეთ მხატვრულ სინამდვილეს შეგვაგრძნობინებს, რაც უმეტესწილად შთამბეჭდავ ეროვნულ გრძნობებს აღვიძებს მკითხველში. როგორც მწერლის თანამედროვეობაში, ისე საქართველოს უშორეს წარსულშიც ჩვენს თანამედროვეებს მკვეთრი ეროვნული პოზიციები ჰქონდათ და იშვიათად თუ გამოერეოდა ერში ამ ეროვნულ ინტერესთა მოღალატე. შეიძლება ვთქვათ, რომ მწერალი გამონაკლის შემთხვევაში ამ ანტიეროვნული იდეების გამომხატველ სახეებსაც წარმოაჩენს და უპირატესად იმისათვის, კონფლიქტური კოლიზიები ყოველთვის აცოცხლებს და საინტერესოს ხდის თვით მხატვრულ ნაწარმოებებს. რაც შეეხება თავად ავტორს, მისი მისწრაფებაა ეროვნულ გმირთა სახეების რთულ და მაღალმხატვრულ ლიტერატურულ კონტექსტში წარმოდგენა და ამ აზრის დამადასტურებელია დავით აღმაშენებლის სახის ასე გამოწველილვით, ასე ღრმაშინაარსიანად და საინტერესო მხატვრული სპექტრით წარმოსახვა. მთელი ეს ფართოპლანიანი რომანი, უპირატესად ერთი დანიშნულებით წარმოჩინდება, შეგვაგრძნობინოს ქართველთა ეროვნული თვითმყოფადობა. სამართლიანად მიუთითებს ა. ნიკოლეიშვილი „კ. გამსახურდიას რომანის უმთავრესი ღირსება, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ფარული, შინაგანი ურთიერთდაპირისპირებულობის ჩვენება მგონია. მწერალმა ძალა და ენერჯია არ დაიშურა თავისი დროის მთვემარე ქართული ცნობიერების გამოსაღვიძებლად და დავით აღმაშენებლის დვთაებრივი ხატის შექმნით ერთხელ კიდევ შეახსენა ქართველ კაცს, „ვისი გორისაა“ იგი, ვინ უნდა გაიხადოს კერპად და რა გზით უნდა იაროს მარადიულად“ (ნიკოლეიშვილი 2007 : 206).

ეს მარდიული გზა, რა თქმა უნდა მოიცავს როგორც ქართული ეროვნული ცნობიერების წარსულს, ისე თანამედროვეობასაც, და კ. გამსახურდიას ყველა რომანში, ნოველასა და წერილში დომინირებს. მწერლისთვის ეროვნული ცნობიერების მყარი შენობა იმდენად კონკრეტული და ხილვადია, რომ მკითხველისთვისაც მისაწვდომი ხდება მისი მვეთრი კონტურები რა პრობლემასაც, რა ეპოქასაც არ უნდა ასახავდეს იგი და სულაც რომ დაცილდეს ასახავი საგანი და მოვლენა ეროვნულ აზროვნებას, საბოლოოდ შეიძლება მონახოს რაღაც შტრიხები, რომელიც ჩვენს აღქმას მაინც მიაახლოებს ეროვნულ ფესვებთან, ზოგჯერ ეს აზრი პირდაპირი ხაზით მდინარებს, ზოგჯერ ალეგორია - სიმბოლოებით ზოგჯერ შედარება - შეპირისპირებით და ზოგჯერ კონტრასტირების გზითაც კი.

თითქმის ერთ გვერდზეა განფენილი ნოველა „დედავ, მისტიურო ქალო!“ მაგრამ თითქოს ეპოქები ცოცხლდება მასში, ქართველთა მარადისობის სადღეგებლოდაა იგი წარმოთქმული. და არა მარტო კონკრეტული დედის, საქართველოს მთელი წარსულისა და თანადროულობის მითი ცოცხლდება ამ პატარა ნოველაში.

„გიყურებ ბნელ თვალებში, მეშინია, ჩემი წარსულის, შორით მოდიხარ ვით ავესტას მოხუცი მოგვი წელში მოხრილი, როგორც მშვილდი ჩემი ბავშვობის, მინდა ვიტყვო, რომ მე ასე ახალგაზრდა ვარ, ასე მოხუცი დედა მყოლია, კითხულობ ჩემს ნაწერებს. გული მტკივა, ჩემი არ გესმის.

შენ ხომ გაიგებ, როცა ავად ვარ, ის კი არ გესმის, თუ რა სტკივა ამ ჩემ უკვდავ სულს. გიყურებ, გხედავ და შენს თვალებში მეღანდება დაღალული სისხლის ბნელი წარსული. ვინ შეგეხვეწა ნაცნობ მინდვრებში გაზრდილი, სინათლის მწვერვალისაკენ, რომ ამისროლე“ (გამსახურდია I, 1992 : 72). სიცოცხლისა და მშობლიურის იდუმალ განცდასთან ერთად, საქართველოს წარსულის, ქართული სისხლის უკვდავი მდინარების ხმაც გვესმის და ვგრძნობთ, თუ რამდენადაა გაჯერებული მწერლის სული მათი არსებით, როგორ წამს ნაციები ველ-მინდვრების და მშობლიური სისხლის ძალა. ძალა, რომელიც კ. გამსახურდიას ყველა ნაწარმოებს მოჰყვება და ჩვენი ერის მარადიულობას შეგვაცნობინებს. დედის სახე თითქმის ყველა ნოველასა თუ რომანში ისე წარმოისახება მწერლის მიერ, თავისდაუნებურად ასოცირდება სამშობლოსთან, საქართველოს ტკივილიანი წარსული თუ თანამედროვეობა ესახება მასთან დაკავშირებით მკითხველს. თვალი გადავაავლოთ თუნდაც სხვა ნოველებს: „დამსხვრეული ჩონგური“, „ქართული ჩაბლახი“, „ქალის რძე“ და სხვები,

რომლებშიც ქალისა თუ დედის სახე ისეთ სიმბოლურ ჭრილში იხატება საქართველოს და მის იმუამინდელ მდგომარეობას შევიცნობთ. მწერლის ხედვა საგანგებოდაა მიმართული დედისა და სამშობლოსაკენ. დედასაც და სამშობლოსაც ერთი ასპექტით გრძნობს და ჭერეტს მწერლის გული და თვალი.

ერთი რამ არის კიდევ საინტერესო კ. გამსახურდიას როგორც ნოველებში, ისე რომანებში. თითქმის ყველგან ხაზგასმულია ქართველი ქალის ის არჩევულებრივი თვისებები, რომელიც ხაზგასმით წარმოგვიდგენს დედის სიმბოლოს - სიკეთის, სიმშვიდესა და ქალურობას და ამასთან ერთად მკითხველს ყოველთვის გვაძლევს ქართველი და უცხოელი ქალის შეპირისპირების საშუალებას. „ლილ“, ერთ-ერთი საუკეთესო ნოველაა გამსახურდიას შემოქმედებაში, მასში საინტერესო და იდუმალი უნგრელი ქალის სახე იხატება. მწერალთან ერთად ჩვენც მოხიბლული ვრჩებით ამ უზადო მშვენიერებით, სანამ ფარდა არ ჩამოეხსნება ყოველივეს და თავად ექიმი შარუსია არ აუხელს თვალს ლილის მშვენიერებით გატაცებულ მწერალს, როგორც თავად მწერალი მიგვითითებს, გარეგნობით ლილის კონტრასტული სახეა პროვიზორის ცოლი. ასევე კონტრასტს ქმნის ლილ ქართველქალობის ზოგად სახესთან. მწერლის საბოლოო დასკვნა ექიმ შარუსიას პირითაა გაცხადებული „როგორ გვატყუებს ჩვენი თვალი“ (გამსახურდია I, 1992 : 62), შეიძლება განვაზოგადოთ კიდევ და ვთქვათ, რომ როგორც ლილ-ის იდუმალი მშვენიერებაა ყალბი და მოჩვენებითი, ასევე სულიერთან დაცილებული ფორმა და გარეგნობა ქალისა არაფრის მთქმელია, მართალია ქართველი ქალის ფიზიკურ მშვენიერებაზეც ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ ვფიქრობთ, ყველაზე აღმაფრთოვანებელი მშვენიერება ქართველი ქალისა მისი ეროვნული სული და თვალთახედვაა, მოყოლებული „დიდოსტატის მარჯვენიდან“, რომელი პერსონაჟიც არ უნდა ავიღოთ კ. გამსახურდიას ქართველი გმირი ქალების სახეებიდან, ყველა მათგანს განსაკუთრებული ქალური სიბლი გააჩნია. ასევე განსაკუთრებული სიყვარული აქვთ სამშობლოს და ზოგადად ადამიანისა. მწერლის რომანების უმშვენიერესი ქალები უმეტესწილად სიყვარულის ტარიგებია, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობთ აალებულ სანთლის მშვენიერებას, რომელიც საბოლოოდ დასაწვავადაა განწირული. მაგრამ თუნდაც, ერთხელ გამზიარებულნი დიდი გრძნობის ამ უბედო წუთისოფელში, იმდენ ფიზიკურ და სულიერ მშვენიერებას აფრქვევენ, ქართველქალობის სიმბოლოდ იქცევიან. შემთხვევითი ფაქტი არც ისაა, რომ კ. გამსახურდიას ასე ემარჯვება ქართველი ქალის სრულფასოვანი და ეროვნული სულით გაჯერებული საინტერესო სახის ასახვა. ყველაფერი, რასაც კ.

გამსახურდიას კალამი ეხება ეროვნულობის საფუძვლიანი და დიდი დაკვირვების შედეგად გამოტანილი დასკვნაა, რაც გვარწმუნებს, რომ უპირველესად თავად მწერალია დიდი მამულიშვილი და ეროვნულის დიდად დამფასებელი. ეროვნულობის ის თვისობრიობა, რითაც გამსახურდიას პერსონაჟები ხასიათდებიან, გვარწმუნებს მასში, რომ თავად მწერლის ეროვნული მსოფლმხედველობა იმდენად ღრმა და ძლიერია, რომ მისი წარმოსახვა ავტორს სხვადასხვა ასპექტით უხდება და რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა სოციალური მდგომარეობისა და თუნდაც განსხვავებული სქესის ადამიანებში ეროვნული სული ყოველთვის დომინანტობს და გვარწმუნებს მასში, რომ ამ საუკუნეთა ლაბირინთებიდან სწორედ ეროვნულობის მძაფრმა გრძნობამ გამოიყვანა და გადაარჩინა საქართველო. ეროვნულობის ის პირველქმნადობის შეგრძნება რაც კონსტანტინე გამსახურდიას მთელი შემოქმედებიდან და მისი გმირების ბუნებიდან მომდინარეობს, თავისთავად ერთგვარი სტიმულია ხვალისდელი ქართული გენისათვის სულში ამოტივიფროს და კიდევ უფრო მეტად გაიდრმავოს თავისი ეროვნულობის მსოფლგანცდა. მიუთითეთ, იმის შესახებაც, რომ კ. გამსახურდიას გმირთა გალერეა საკმაოდ მრავალფეროვანია სოციალური წარმოშობის ასპექტითაც, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ არა აქვს მნიშვნელობა მეფეა ეს გმირი, თავადი, აზნაური, გლეხი თუ სულ არაფრისმქონე ბოგანო - ყველა მათგანის შემეცნებაში დევს სამშობლოს ხატი, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. ამ გრძნობით აღსავსე ქართველები გმირობისა და მამაცობის ფართო სპექტრს წარმოგვიდგენენ კ. გამსახურდიას ნაწარმოებებში და გვარწმუნებენ ერისკაცობა, ერისშვილობა ეს ყველაზე მაღალი წოდებაცაა ყოველივე კაცთაგანისა და ყველაზე დიდი მოვალეობა ქვეყნის წინაშე. საერთოდ კ. გამსახურდიას შემოქმედებაში როგორც გეოგრაფიული მოქმედების არენაა მეტად ფართო და მრავალმხრივი, ისე პერსონაჟთა ეროვნული ჩამომავლობაა მრავალფეროვანი, თუმცა „ძირითადად ყურადღების არეში მოქცეულია ქართველი ადამიანი, რომელშიც ღვივის საქართველოს წარსული, აწმყო და მერმისი. გლობალური ანალიზი ამ პრობლემისა, მისთვის ინდივიდუალური ფორმის მინიჭება და არსის დადგენა, ნაირგვარი სისტემით რეალიზდება. ქართველებთან ერთად მწერალმა გამოიყვანა გერმანელები, ფრანგები, იტალიელები, სომხები, რუსები, უკრაინელები, ყივჩაღები, ბერძნები... მაგრამ უცხო ეროვნების ადამიანთა ფსიქიქის, ქცევისა და ტემპერამენტის გამოსატვა თავისთავად ძნელია. ეს უფრო უჭირს ქართველ შემოქმედს, რადგან როგორც ქართული ენა დგას განკერძოებით და თავის

გარშემო იკრებს იბერიულ-კავკასიურ ენათა წრეს, ისე ქართველის ბუნებაც ღრმად ინდივიდუალური და განსხვავებულია იმ ეროვნების შვილთაგან, რომელთა ასახვაც მწერალმა მონინდომა" (სიგუა 1989 : 238) კ. გამსახურდიას შემოქმედებაზე დაკვირვებით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, – რაც ასე მკვეთრად განასხვავებს ქართველს სხვა ერის შვილთაგან, ეს ეროვნულობის ის გრძნობაა, რომელსაც დედის რძესთან ერთად ითვისებს ყველა ქართველი და მთელი სასიცოცხლო ენერჯიაც, სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ამ გრძნობასთან.

საერთოდ კ. გამსახურდიას ეროვნული მსოფლმხედველობა რაინდული საქართველოს მიჯნას უახლოვდება. როგორც ს. სიგუა მიუთითებს „კ. გამსახურდიას არ გაუვლია „ცხოვრების უნივერსიტეტები“, არ გაცნობია მუშათა კლასის ცხოვრებას. ამიტომ მისთვის ეს თემა უცხო და შორეული იყო, თავისი პირველადი, ბავშვური მიდრეკილებაა ფილოსოფიური დასაბუთება ჰპოვა ევროპულ, კერძოდ ფრ. ნიცშეს ფილოსოფიაში, რომელიც სუბიექტურად მიიღო და გაიაზრა. კ. გამსახურდიას ყველა მთავარი პერსონაჟი ძლიერი და განსაკუთრებული პიროვნებაა (სავარსამიძე, ტაია შელია, ხოგაის მინდია, მზეჭაბუკი, თარაში, არზაყანი, ლომკაც ესვანჯია, ქორა მახეში, ტაგუ, გიორგი I, არსაკიძე, გოეტე, ჯუღაშვილი, დავითი, კორინთელი და სხვ.) ან ყველაფერი, ან არაფერი - ასეთია გმირთა დევიზი.

ყველა მათგანს ამოძრავებს რაინდული სული, უტეხი და ჯიუტი ხასიათი. მათ არ იციან რა არის წუწუნი, სიკვდილის შიში, ლაჩრული განსჯა. სავარსამიძე, თარაში, არზაყანი, ვარდანიძე, ზედგინიძე, გიორგი, დავითი თითქოს თავად ეტანებიან ხიფათს, თავად დაექებენ სიკვდილს, სავარსამიძე ეხმარება გერმანელ რევოლუციონერებს, იმიტომ კი არა, რომ მათ საქმეს თანაუგრძნობს: „ჩემი რევოლუციონერობა ვინ გაიგონა, დიდი ხანია ომში არ ვყოფილვარ, სროლა მომენატრა, მიტომაც მოგეხმარეთ, თარაში უშიშრად შეებმება ჯამღეთ ტარბას...

პერსონაჟების ქედუხრელი, ბუნების საწყისია მეომრული სული, ისინი მხედრებად დაიბადნენ, სავარსამიძე, ვარდანიძე, თარაში, კორინთელი, გულუხაიძე, ელანიძე პოტენციური მეომრები არიან, მათ არ აცვიათ ჯარისკაცის ფარაჯა, ზოგი უქმად ლევს ცხოვრებას, ზოგიც თავგანწირვით შრომობს, მაგრამ, პირველ ყოვლისა, მეომრები არიან, რადგან ადამიანი ბრძოლისა და ტანჯვისათვის გაჩნდა...

ფიზიკურ ძალას, დიდი განათლებაც, სულიერი სიმამაცეც განსაზღვრავს. გმირთა შმაგი ტემპერამენტი. დაუმცხრალი ნება, ტემპერამენტი ნაციონალური ხასიათის გამოსატყულებაა, ადამიანის სასიცოცხლო ენერჯიაა...

... მწერლის მიზანი იყო ქართული ხასიათის გააზრება, ქართული ყოფის ნაციონალური ბუნების განსაზღვრა, ამიტომ აღადგინა წარმართული მისტიკები, გამოიხმო მითოსური პერსონაჟები, გაამითა თავად სინამდვილე, რათა უძველესი დროიდან დღევანდლობამდე შეეკრიბა მხოლოდ ქართული, ეროვნული განუმეორებელი თვისებანი და ნიშნები, თუნდაც გამქრალი, რათა ასე შეექმნა, დაედგინა განესაზღვრა, ქართული სული, ქართული ყოფა... ამიტომაც თავის მისწრაფების აღამდარებად სწორედ ძლიერი პიროვნებანი გამოჰყავს, რომელნიც მკვეთრად ავლენენ ნაციონალურ ფსიქიკას და ცნობიერებას" (სიგუა 1989 : 255).

ხშირად უკიუინებდნენ მწერალს, რომ მის ნაწარმოებებში გარდასული ეპოქები, უპირატესად მეფეებისა და თავადაზნაურების პორტრეტები იხატებოდა, თუმცა ესეც მიზანმიმართული მოქმედება იყო მწერლისაგან. მის მიერ მხატვრულ სინამდვილედ ქცეული საუკუნეები ქართველთა ყოფისა, იყო ეროვნულობის მძაფრი გრძნობების გამოხატულება საქართველოში. ამ ეპოქებში იდო გასაღები ეროვნული ცნობიერების ძირითადი პრინციპებისა, რაც ამდღეებდა თითოეული ქართველის ეროვნულ ცნობიერებას და რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო ის, რომ სწორედ ამ საუკუნეების სიღრმიდან ამოჰქონდა მწერალს ეროვნული ცნობიერების ნაშთები და სურდა ახალ ჭრილში დაენახვებინა იგი თანამემამულეთათვის, ამასთან ერთად თანამედროვეობის ბარბაროსული წნეხი ისე ვერ ეხებოდა საუკუნეებიდან ამოზიდულ მხატვრულ სინამდვილეს, როგორც თანამედროვეობას.

რაც უფრო მეტად იჭრება საუკუნეების სიღრმეში მწერლის თვალთახედვა, ნათელი ხდება, რომ იგი აშკარად ასახავს შესაძლებელ და ზოგჯერ ეროვნულ შემეცნებიდან გამომდინარე, სასურველ სინამდვილეს. ამიტომაც არის, რომ მკითხველი ასე დიდი ინტერესითა და გრძნობით ეცნობა გარდასულ საუკუნეთა ხმოვანებას და რწმუნდება, რომ ეს დიდებული წარსული უდაოდ გულისხმობს სასურველ მომავალს და თუნდაც ეს ფაქტიც ნათლად წარმოგვიდგენს კ. გამსახურდიას მხატვრული სიტყვის დანიშნულებას, გვაცნობს ქართველთა საუკუნეთა ლაბირინთებში დანთქმულ ეროვნულ სულსა და მსოფლმხვედლობას. მიუხედავად იმისა კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანებში ქართველი მეფეები და თავადაზნაურები არიან ძირითადი მოქმედების წარმმართველი, რომანების გმირები თუ პერსონაჟები, მაინც საინტერესოდ იკითხება მთელი ქვეყნის ეროვნული მსოფლგანცდა, კარგად იგრძნობა, რომ ეროვნული მთლიანობის იდეა მთელი საქართველოს სულიერ გამოხატულებას და დანიშნულებას წარმოადგენს. ერის მთლიანობა კარგად აისახება მოძალებულ მტრებთან ბრძოლაში და

განსაკუთრებით საინტერესოდ იკითხება იგი დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში. თანაც ერთი ფაქტიცაა საინტერესო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეფის, ქვეყნის თავკაცის განწყობას, მის ბუნებას. ეროვნული, სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებისა და თავშეწირვის გრძნობით განდიდებული სული დავით აღმაშენებლისა, მთელ საქართველოს ერთ მუშტად კრავს, მთელ ერს სამშობლოსადმი თავდადების გრძნობით აღანთებს. და ქართველთა ეს ეროვნული სული კარგად აისახება არა მარტო იმ ომებში, რომლებიც დავითის მთავარსარდლობით გამარჯვებით დაგვირგვინდა, არამედ ზოგადად საერო ცხოვრებაში. ხალხის რწმენა საქართველოსთვის თავშეწირული გმირისადმი. ბუნებრივია და თითოეული ქართველის გულში შეუძლებელია ტკივილის გრძნობას არ იწვევდეს დავითის სიტყვები, საყვარელი და ერთ დროს საოცნებო დედისიმედისადმი მიმართული: „მაპატიე დაო ჩემო, შენი და ჩემი სიცოცხლე საქართველოს რომ შევწირე ტარიგად“ („დავით აღმაშენებელი“, 795).

ეს სიტყვები ნათლად გვარწმუნებს მასში, რომ როგორც დიდი ხელოვნება მოითხოვს გულისისხლს საფასად, ასევე ყოველი დიდი საქმეცა და მიზანიც გულისისხლსა და ხშირად სიცოცხლესაც ითხოვენ საფასად და როდესაც დიდი მიზნისკენაა გეზადებული ადამიანი, მან აუცილებლად უნდა გააცნობიეროს ის, რომ ყველა ბომონი მთელ სიცოცხლეს მოითხოვს მსხვერპლად. არათუ ბრძენმა მეფეებმა, ჩვეულებრივმა რიგითმა ქართველებმაც კარგად უწყოდნენ ეს და ამიტომაც უამიდან უამზე თავგანწირვისა და თავშეწირვის მეტად მკაცრი რეალობა, ლექსისა და სიმღერის იდეადაც კი იქცევა. ქართველისთვის უპირველესად სამშობლოა ის ბომონი, რომელიც სიცოცხლეს მოითხოვს საფასად. ყოველთვის ამ შეგრძნებით იყო გაჯერებული ქართველთა სული და ალბათ, ეს გრძნობა იყო იმ საოცარ ომებში გამარჯვების მასულდგმულებელი, სწორედ ამიტომ იყო, რომ ისეც ეთნიკურად მცირერიცხოვან ქართველებს, არაერთგზის გაუნადგურებიათ, ძლიერიც და აურაცხელი მტერი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქართველთა გმირობამ და რაინდობამ შექმნა ახალი თვისობრიობა, რომელიც მუდმივ გამარჯვებასა და აღმასვლას მოუტანდა ერს დავითისა და თამარის შემდგომ ეპოქაში.

საერთოდ კ. გამსახურდიას წარმოსახვის გეოგრაფიული სივრცე მეტად მრავალფეროვანია. დიდი ცოდნისა და მრავლისმნახველი თუ შემგრძნობი თვალი მწერლისა, თითქმის მთელი სისრულით გვიხატავს, როგორც ისტორიულ ვითარებას სხვა ქვეყნებისას, ისე მათ კულტურულ ძეგლებს, მათ გეოგრაფიულ

ლანდშაფტს და რაც ყველაზე მთავარია, მათ ეროვნულ სახეს და ამის შემდეგ წარმოუდგენელიც იქნებოდა საქართველოს, ამ ტერიტორიულად ისეც პატარა ქვეყნის გეოგრაფიული ლანდშაფტი და მისი კულტურული ძეგლები ასე რუდუნებითა და საინტერესოდ არ აესახა მწერალს. მწერლის ეროვნული სული კარგად ჩანს მასში, რომ საქართველოს ყველა მხარე და ამ მხარის ისტორიული ძეგლები, ზოგჯერ მათი შექმნის ისტორიაც ისე ღრმად და შთამბეჭდავად აისახება, ვფიქრობთ, თითქოს ყოველისმომსწრე იყო მწერალი, თითქოს არა მარტო დღეს შემორჩენილი რეალობა, გარდასული საუკუნეებიც ხილვადი და მახლობელი იყო მისთვის. ფართო და მრავალფეროვანია კ. გამსახურდიას გმირთა გაღერვა, თავად ქართველთა ცალკეული კუთხეების წარმომადგენელთა თვალსაზრისითაც, მწერალი დიდი სიყვარულით გვიხატავს სვანეთის მდიდარ და თვალწარმტაც ბუნებას, მაგრამ არც სვანი ხალხის შვილები ავიწყდება და მათი ბრძოლისუნარიანობა, მათი გმირული სული თავად კ. გამსახურდიას შემოქმედებას ამშვენებს და ამით უფრო განივრცობა და მდიდრდება მწერლის ეროვნული თვალსაწიერი. ამ ფაქტს მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევს ს. სიგუა, იგი წერს „გიორგი I, გიორგი II, დავით IV, ლიპარიტი ამ მრავალტანჯული მხარის შვილები არიან, მეცნიერთა დიდი ნაწილი, მათ შორის ნ. მარი ფიქრობს, რომ ისინი ლაზები იყვნენ (ბაღუაში ლაზური სიტყვაა და ქართულად უდრის „ბავშვაძეს“).

მკითხველის წარმოდგენაში კვლავ ცოცხლდება და ხორცს ისხამს ოცნება სამშობლოს მიღმა დარჩენილ მიწებსა და ძმებზე. მწერალი ისევ ნაციონალური ძირებისკენ ეშვება. თ.ს. ელიოტის სიტყვები რომ მოვიშველიოთ კ. გამსახურდია იმიტომ ეშვებოდა როგორც საკუთარი ხალხის ბავშვობის ფსკერზე, რომ მომავლისაკენ გზა გაეკეთა. მწერალს თუ მთავარ პერსონაჟად არა, რომანის რიგით მონაწილედ მაინც ყოველი კუთხის შვილი გამოჰყავდა, მაგ: სვანი (ქარიმან სეტიელი), თაკვერელი (შამან ერისთავი, გვანცა და ჯონდი) ფხოველი - ეს ტერმინი აერთებს მთელს მთიულეთს (მამამზე, თალაკვა, შორენა), ინგილო (გიორგი მეფეს ავაზები მოჰგვრა), ხევსური (ხოვაის მინდია) და ა.შ. ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და აფხაზეთი მისი პერსონაჟების სამოქმედო ზონაა, საქართველოს ხერხემალი" (სიგუა 1989 : 263).

ქართული ეროვნული ცნობიერების გაღრმავების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ქვეყნის ტერიტორიული შესწავლისა და აღქმის საკითხიცაა უსათუოდ,

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები განსხვავებული ტომების გაცნობა და მათი საერთო ეროვნული რაკურსით წარმოსახვა ამტკიცებს ქართულ ეროვნულ ცნობიერებას. ამასთან ერთად საქართველოს ისტორიული წარსულის ცოდნა და მის ეროვნულ ფესვებს ზიარება ამდიდრებს ქართველი ადამიანის ზნეობრივ მონაცემებს. მთლიანად ერთა შერწყმის პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიას ახასიათებდა, ემუქრებოდა ამ ცალკეული ეთნოსების ინდივიდუალურ თვისებებს და მიგვანიშნებდა, რომ ეს ასიმილირების პროცესი თითოეული მათგანის გაქრობითა და ნიველირებით უნდა დამთავრებულიყო.

კ. გამსახურდიას მისწრაფება, ისტორიული წარსულის ფონზე გამოესახა მთელი ჩვენი ეროვნული პრობლემები უთუოდ იმითაც იყო გამოწვეული, რომ ისტორიული ბუტაფორია საშუალებას იძლეოდა თანამედროვეობის დიდ ტკივილებზე მიენიშნებინა ერისათვის. ამ აზრს საინტერესოდ ავითარებს ა. ნიკოლეიშვილი:

„როგორც ცნობილია, კ. გამსახურდიას ისტორიულ ჟანრთან დაკავშირებით თავისი მკვეთრად განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა ჩამოყალიბებული, იგი თვლიდა, რომ არავითარი ისტორიული რომანი არ არსებობს, რომ ისტორია მხოლოდ მასალაა მწერლისათვის თანამედროვეობის მისწრაფებათა გამოსახტავად. ამგვარი თეორიის ავტორი, ბუნებრივია დავით აღმაშენებლის შესახებ დაწერილ რომანს, მარტო გარდასულ ეპოქის ასახვას არ დაუსახავდა მიზნად და მასში დასმულ პრობლემებს თანამედროვე ყოფასაც განუყოფელად დაუკავშირებდა. ეს მართლაც ასეა.

„დავით აღმაშენებელი“ საბჭოთა ეპოქის საჭირბოროტო პრობლემებთან გენეტიკურად შესისხლხორცებული რომანია და მასში ჩვენი ისტორიული წარსულის ბევრი პრობლემა სწორედ ამ კუთხით, მკაფიოდ გამოვლენილი სიმბოლურ-ალეგორიული ფორმითაა გააზრებული.

„დავით აღმაშენებელი“, ვფიქრობთ, ერთი მთავარი მიზნითაც შეიქმნა: ეს იყო მძაფრი შინაგანი პროტესტის გამოხატვა იმ პოლიტიკური პროცესებისადმი, რომლებიც იმუამად მთელს საბჭოთა იმპერიასა და მის ერთ უუფლებო ნაწილად ქცეულ ფსევდო-რესპუბლიკაში - საქართველოში აღზევებულიყო. ამ პროტესტს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავდა. ჯერ ერთი თანამედროვეობაზე მართალი სიტყვის თქმა, ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა. სოციალისტური რეალიზმის მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდი, რომელიც

პარტიამ და ხელისუფლებამ ჩვენი მწერლობის მაგისტრალურ მიმართულებად გამოაცხადა, მწერალს ავალდებულებდა მოვლენები მკვეთრად გამოვლენილი იდეოლოგიური ტენდენციურობით გამოეხატა და ხოტბა შეესხა საბჭოთა სინამდვილისათვის.

მეორეც „დავით აღმაშენებლის“ მონუმენტური მხატვრული სახის შექმნით კ. გამსახურდიამ ცადა „მანქურთიზმის“ ტყვეობისაგან დაეხსნა ჩვენი ეროვნული ცნობიერება და იდეოლოგიური ბანგისაგან შოკირებული ქართველი კაცის გონების თვალი ჩვენი ისტორიის ყველაზე დიდი სიმაღლეებისაკენ მიეპყრო“ (ნიკოლეიშვილი VII 2006 : 204).

მიუხედავად ძალმომრეობის პირობებში მოქცევისა, ქართული ეროვნული ენერგია გროვდებოდა, ვითარდებოდა და მიზანსწრაფული ხდებოდა. სიმბოლოებითა და ალეგორიებით ქართველი მწერლები და ზოგადად შემოქმედები ბევრ რამეზე მიანიშნებდნენ და დროთა განმავლობაში ნათელი ხდებოდა, თუ რაოდენ დიდი შეცდომა იყო ქართველთა რწმენა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის საფარქვეშ საქართველო ეროვნულ თვითმყოფადობას შეინარჩუნებდა. წინაპართაგან დაშვებულ შეცდომებს აშკარად გრძნობდნენ კ. გამსახურდია და მისი თანამედროვენი, მაგრამ ისტორიულ ავბედითობას გლობალური ანარქიაც ემატებოდა და ასე აღმოჩნდა იმ დროისათვის უძღური საქართველო ჯერ რუსეთის თვითმპყრობელობისა და შემდეგ „წითელი რუსეთის“ უღელქვეშ. ის იდეური პროპაგანდა, რითაც რუსეთმა შეძლო დამკვიდრება საქართველოში, კიდევ უფრო მეტად გამანადგურებელი იყო ეროვნული სულისა, ვიდრე მეფის თვითმპყრობელობის აშკარად დამპყრობლური პოლიტიკა.

არა მარტო კ. გამსახურდიას პერსონაჟები, თავად მწერალი თავის უახლოეს თანამოაზრეებსა და მეგობრებთან ერთად აშკარად ამხელდა და წინააღმდეგობას უწევდა მოძალებულ იდეოლოგიურ შემოტევებს, თუნდაც „შაჰნოხოსნობაც“ სომ უდიდესი პროტესტი იყო, ქართველთა მგლოვიარობის ეს ფორმა ეროვნული სულის მძაფრი გამოხატულებაა. კ. გამსახურდიას როგორც ეროვნული აზროვნება, ისე მისი ანტისაბჭოური ქმედებები შეუნიშნავი არც ხელისუფლებას და მითუმეტეს ქართველ ერს არ რჩებოდა, მაგრამ ამ პროტესტს თვით ხალხისათვის არავითარი შედეგი არ მოჰყვა, რადგანაც იდეურად და პოლიტიკურად გაძლიერებული რუსეთი უკვე ნამდვილად საშიშ ძალას წარმოადგენდა, თუმცა მიუხედავად ასეთი ვითარებისა, კ. გამსახურდიას ხელი

არასოდეს აუღია არც ეროვნულ აზროვნებაზე და არც ანტისაბჭოურ მოქმედებებზე.

აკაკი ბაქრაძე მიუთითებს:

„არავინ დაუგდო ყური, თორემ კონსტანტინე გამსახურდიამ დიდი ხის წინათ ამხილა რუსეთის იმედით ყოფნის უსუსურობა და უნიადაგობა.“

„დიმიტრი ყიფიანს ეგონა: რუსის მეფე კარგია, რუსის მეფეს საქართველო უყვარს და პატივს სცემს საქართველოს თავად-აზნაურობის ისტორიულ გარანტიებს. მხოლოდ რუსის მინისტრები არ ვარგან.“

ნოე ჟორდანიას და არჩილ ჯორჯაძე ფიქრობდნენ ერთ დროს: არ ვარგა რუსის მეფე, არც რუსის მინისტრები, არც რუსის უნდარმერია. ყველანი მტრულად განწყობილი არიან ჩვენდამი, კარგია რუსის დემოკრატია.

დღეს ზოგიერთები ფიქრობენ: ყველა-ყველა და რუსის მსახიობები და რუსის მწერალი ეს კულტურის წარმომადგენელი არიან, ჩვენ ისინი გვიყვარს.

ჩვენ სულ სხვანაირად ვფიქრობთ, ყველა კარგია თავის ადგილას, თავის დროს და თავის ქვეყანაში. ჩვენ გვაქვს ჩვენი გეზი, ჩვენი მწერლობა, ჩვენი კულტურული პოლიტიკა და ყველას იმდენად დავაფასებთ, რამდენადაც ისინი ჩვენ ანგარიშს გვიწევენ და სარგებლობას მოგვიტანენ.

თუ ქართველი ხალხი და ქართული მწერლობა არ იქნება თავისუფალი, არ ივლის თავისი გზით, ვერც ერი და ვერც მწერლობა ვერ გახდება სრულუფლებიანი თავისთავადი წევრი კაცობრიობისა, უნივერსუმისა, როგორც ჩვენი ხალხი, ისე ჩვენი მწერლობა მუდამ დარჩება სხვისი ჩრდილი, ჩრდილი კი ყველას კარგად მოეხსენება, რა იოლად ქრება" (ბაქრაძე 1990 : 221).

აკაკი ბაქრაძე ამ შემთხვევაში ძირითადად კ. გამსახურდიას აზრის თავისებურ ინტერპრეტაციასაც გვაძლევს, მაგრამ ბაქრაძის მოღვაწეობის დროს ისტორიული ხაზი რუსეთთან მიმართებაში უკვე გამოკვეთილი იყო, კარგად ჩანდა, რომ ხელოვნურად შეკავშირებულმა სოციალისტურმა სტრუქტურამ ვერ გაამართლა. ფაქტი სახეზე იყო. ამ თემაზე აზრის გამოთქმა თუ წერა, უკვე იმ საშიშროებას არ ქმნიდა, როგორც ეს კ. გამსახურდიას მოღვაწეობის დროს იყო.

პრაქტიკა არის ჭეშმარიტების კრიტერიუმი - ამ აქსიომას თუ კ. გამსახურდიას ეროვნულ აზროვნებასთან დაკავშირებით გამოვიყენებთ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ საქართველოს ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობა, სწორედ კ. გამსახურდიას ნააზრევის პრაქტიკული გამოვლინება იყო.

მაინც რა აძლევდა კ. გამსახურდიას პიროვნებას ასეთ ძალასა და შემართებას ეროვნულ პოზიციაზე მდგარიყო და კალმით თუ საქმით ებრძოლა ქართველთა ეროვნული ცნობიერების შეფხიზლებისათვის იმ ეპოქაში, როდესაც ერთი სიტყვაც კი სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ ადამიანებს.

მწერალი პირდაპირი თუ ალეგორიული აზრით გამუდმებით ეროვნულ იდეებს ქადაგებდა და ყოველთვის მზად იყო ქვეყნის თავისუფლებისათვის ებრძოლა, ანდაც ამ ბრძოლას შეწირვოდა. რწმენა ქართველთა ეროვნული სულისა და უღრმესი ცოდნა საქართველოს ისტორიის, საქართველოს კულტურისა და მისი ხალხის უდიდესი სულიერი პოტენციისა, რომელთაც ძალა შესწევდათ, თუ რუსეთის აგრესიისგან იხსნიდნენ თავს დამდგარიყვნენ ერთად სხვა ერთა შორის. კ. გამსახურდიას მიაჩნდა, რომ დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის შემთხვევაში საქართველო თავის მომავალს მიზნობრივად წარმართავდა და ეროვნული მთლიანობისა და თავისუფლების იდეით აღფრთოვანებული ქართველი მსოფლიოს თავის სახეს დაანახვებდა, რაც დღესდღეობით შეუძლებელი ხდებოდა. ყოველივე კარგი, რისი შექმნის ძალაც შესწევდა ქართველ ერს, „ბაბილონის გოდოლის“ საერთო მდინარებას ერთვოდა და ერის თავისთავადი სახე იკარგებოდა. საჭირო იყო დაკარგული ისტორიული საზრისის პოვნა, რა თქმა უნდა, დაცემისა და შეფერხების წლებიც მრავლად უგემნია საქართველოს ისტორიას, მაგრამ იგი ძირითადად მაინც ის ორგანიზმი იყო, რომელიც წამიერად დაბრკოლდებოდა, შეისვენებდა და მომავლის იმედით სავსე, კვლავ რწმენით და თავდაჯერებული მიემართებოდა თავისი ეროვნული ძალის ამოსაფრქვევად.

„განვიმეორებთ - ჩვენ ერი ვყოფილვართ და ვართ დღესაც, - განსაზღვრული, კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, რომელსაც ისეთივე უფლება აქვს სიცოცხლისა, როგორც ყველას, დიდსა თუ პატარას, ბრწყინვალესა თუ დაქვეითებულს, თუ საბუთია საჭირო „კაცობრიობის“ წინაშე თავისუფალ არსებობის უფლების მოსახვეჭად, აი, ეს საბუთებიც: განსაზღვრული ეთნიური და ლინგვისტური ტიპი, განსაზღვრული კოჰეზიის მქონე სოციალური ორგანიზმი, ისტორია, კულტურა ხანგრძლივი და თავისებური, ხან შავ-ბნელი და შფოთიანი, უფრო იშვიათად კი მშვიდობიანი, - განსაზღვრული უფლება, ნამდვილი და მართალი მოქმედი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით“ (წერეთელი 1980 : 237).

მ. წერეთლის ყველა ის ჩამონათვალი, რაც უფლებას აძლევს ქართველ ერს ჰქონდეს პრეტენზია თავისუფალი არსებობისა, კ. გამსახურდიასათვისაც კარგად იყო ნაცნობი და მთელი მისი რომანები სწორედ იმ მიზნის გამოვლენაა, რომ დაგვანახოს - ვინ ვიყავით, რა ვართ და ვინ უნდა ვიყოთ მომავალში. კ. გამსახურდიას ყველა ეროვნული იდეის მატარებელი პერსონაჟის თვალთახედვა წარსულისკენაა მიმართული და ჩვენც გვწამს, რომ ამ წარსულში გადგმული ფესვები, ძალა და რწმენა გადაგვარჩენს, ამ წარსულის ეროვნული სული და სამშობლოსადმი თავდადების გრძნობა მომავლის მტკიცე საყრდენი და განმამტკიცებელი ძალაა, ამიტომაც სწორედ აქედან ამოდის კ. გამსახურდიას ეროვნული მსოფლმხედველობა და გვარწმუნებს, რომ საქართველოს წარსულში დევს მისი მომავლის საძირკველი, თუმცა თავად ძველი საქართველოს მკვიდრები, უკვე ვერ ფლობენ იმ ძალას და ენერჯიას, რაც ქვეყნის განახლებას, მის აღმშენებლობას სჭირდება, მართალია თავის დროზე მათ დიდი როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიასა და მისი სულიერი აღორძინების საქმეში, მაგრამ ახლა, გალაკტიონის არ იყოს, დროის ახალი მერნებია საჭირო, რომელიც ამ საყოველთაო განახლებისა და მშენებლობის რიტმს შეერწყმება. კ. გამსახურდია მართლაც დიდად შეყვარებული იყო საქართველოს წარსულზე, თან მის სათქმელს ალეგორიულ-სიმბოლური დანიშნულება ჰქონოდა, ამისათვისაც იყენებდა ძველი ეპოქის ისტორიულ თემატიკას, მაგრამ დიდი სიყვარული რომ ჰქონდა ამ გარდასულისადმი, ეს ნამდვილად იგრძნობა მისი ისტორიული რომანებიდან და არა მხოლოდ გარდასული ეპოქის სიყვარული, გარდასული ისტორიული პირებისადმიც დიდი თაყვანისცემა გამოსტკვივის მისი მადლიანი კალმიდან, თავადაც ხომ აცხადებდა, რომ ძალიან აინტერესებდა ორ კუროპალატს შორის გამოსრესილი გიორგი I და, რა თქმა უნდა, თაყვანისცემამდე მისული გრძნობით იყო გამსტკვალული დავით აღმაშენებლისადმი და თუნდაც თამარ მეფისადმი... და ეს დიდი სიყვარული და თაყვანისცემა საქართველოს წარსულისა და მისი ისტორიული გმირებისადმი მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა მწერალს..

თუმცა არ შეიძლება მასზეც არ მივუთითოთ, რომ არა მარტო სახელოვანი მეფეებისა და გმირი რაინდების სახეები ავლენდნენ კ. გამსახურდიას ეროვნულ ცნობიერებას, ჩვეულებრივი, სამშობლოსათვის თავდადებულთა წარმოსახვაც და არა მარტო დიდ ისტორიულ რომანებში, ნოველებშიც იელვებდა მათდამი

სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა. მოთხრობა „ამბავი ხუთასი ბოლნისელისა“ ერთ-ერთი საინტერესოა ამ თვალსაზრისით, ძიება სამშობლოსათვის ხუთასი თავშეწირულთა საძმო საფლავისა, მკითხველსაც ინტერესს აღუძრავს, თუმცა, ნაწარმოები თითქმის ისე მიდის დასასრულამდე, ვფიქრობთ, რომ ნეტარსენებული გმირების სამუდამო განსასვენებელის მიკვლევა ვერ მოხერხდება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდება, რომ „ასეთ გმირებს წმინდანებად შერაცხდნენ იმ დროში, ალბათ, და შესაძლოა არც დაემარხათ ისინი“ (გამსახურდია I, 1992 : 352).

ტაძრის სამარხ კამერაში აღმოჩენილი ხუთასი გმირის ბოლნისელის ნეშტი უდიდეს გულისტკივილს იწვევს ყველა იქ მყოფი ადამიანისას და სურთ მათ სულის მოსახსენებელის შესმა, „რადგან ჯერ არავის დაუღვებია ამ ხუთასი ვაჟკაცის შესანდობარი“ (გამსახურდია I, 1992 : 354).

თავად მწერლის სიტყვები, მათი გმირობისა და თავდადების გამომხატველი, გვაგრძნობინებს რომ „მწერლობა მართლაც გმირობის გამოსარჩლებაა მხოლოდ მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი და სხვა არაფერი“ („დიდოსტატის მარჯვენა“, 12).

ჩვენის მხრით დავძენდით, – არა მარტო მწერლობა, მთელი ხელოვნებაც. რომ არა ხელოვნება – თუნდაც დიდ გმირობათა ექო საუკუნეებს ვერ ამოხეთქავდა და ხალხის ინტერესიც ასეთი არ იქნებოდა მისადმი.

ამ ხუთასი ბოლნისელის გმირობის გამოსარჩლებად მიგვაჩნია კ. გამსახურდიას ეს მოთხრობაცა და განსაკუთრებით გმირების შესანდობარის ასე დიდი გრძნობით გამოხატვა:

„ხედავთ, რა წარმავალია, ძმებო, ყოველივე დიდება ამ ქვეყნად, არც ტკობაა გარდაუვალი, არც სახელი და არც მიჯნურობა, რადგან ეს ყოველივე იქვე ჰქრება, სადაც მათი განმცდელი მოათავებს სარბიელს.

მხოლოდ გმირობაა წარუხოცველი!

რადგან ნამდვილი გმირობა უსახელოა მეტწილად და იგი განაგრძობს ზეგავლენას მაშინაც, როცა გმირობის ჩამდენელს ვერ მიუვა ამბავი ამისა.

მაშ, დავლით ძმებო, შესანდობარი მათი, ვისაც ჯერაც არ ღირსებია სიმხურვალე ჩვენი ნიადაგის, ვინც ხუთი საუკუნის შემდეგაც გვასწავლიან თავდადებას ჩვენი მიწისთვის“ (გამსახურდია I, 1992 : 354).

გამსახურდიას პერსონაჟები უარყოფენ ცივილიზაციას, და ამ უარყოფით ისინი მიემართებიან ღვთაებრივისაკენ, ამ მხრივ საინტერესოა ნოველები: „პორცელანი“ და „ფოტოგრაფი“.

„ცივილიზაცია, რომელიც ბურჟუაზიის პირშია, ღუპავს კულტურას და მის ჭეშმარიტ მსახურს - არისტოკრაციას. „მოკვდა“ პორცელანი და მასთან ერთად მთელი ეპოქის სულიერი სიმდიდრე. რადგან იგი „ეპოქის სულიერი სიმდიდრის ჭურჭელი იყო“.

...შავმა ფრინველმა გადაუქროლა ევროპას და ფოტოგრაფიის ქვეყანას ეწვია. აქაც დაიწყო საყოველთაო უბედურება: გაპარტახება, ციება, სიკვდილი, სიძვის ისტერია... უბედურებაში ხალხმა ღმერთი გაიხსენა - ეკლესიას მიაშურა, შეკრებილი ხალხის თვალწინ ჯერ ვიღაც ჩოხოსანმა, ხოლო შემდეგ შავმა ფრინველმა უარყვეს ღმერთი. „ვერ გაიგე? ღმერთი რომ მოკვდა?“ - დაიძახა შავმა ფრინველმა, ჩოხიანმა კი ხატს ტყვია დაახალა. „შენ შემაყვარე ღმერთი!“ - ასეთი იყო ფოტოგრაფის რეაქცია.

შავმა ფრინველმა თავისი მტკიცებით „ღმერთი მოკვდა!“, ფაქტიურად გააცოცხლა იგი.

საგულისხმოა ნოველის ფინალი:

„კარი გაიღო, შავი ფრინველი დინჯად შემოვიდა. ნისკარტით აიღო ნაციები სოფლის და ელექტრონიანი ქალაქის სურათი, თავზე გადაახია ფოტოგრაფს. ფოტოგრაფი წამოდგა. ფოტოგრაფიულ აპარატზე წამომჯდარ სტუმარს დააცქერდა.

- ქვეყანა სურათის გადაღებად არა ღირს, - დაიყრანტალა სტუმარმა და გაფრინდა.

ფოტოგრაფმა უარყო სინათლე - სიმბოლო ცივილიზაციისა და სხვა ნათელი აღიარა. „ყველაფერი და ყოველივე მიმართულია იმისაკენ, რომ რეალობის მიღმა მივიდეთ კოსმიურ სულამდე“ სინათლის, ცივილიზაციის უარყოფა, სულობის, ღვთაებრივის აღიარებას ნიშნავდა" (დოიაშვილი, ცისკარი №1, 1982 : 146).

მაგრამ გმირობისა და რაინდობის საუკუნეები გადავიდა, ახლა სხვა დრო მოდის და სხვა ეთიკური ნორმები მკვიდრდება და ის სახეები, ვინც რაინდული საქართველოს მშვენიერებას ქმნიდა, დღესდღეობით მხოლოდ სამუზეუმო ექსონატებად იქცევა. ახალ დროს ახალი სახეები, ახალი ეთიკური ნორმები და თამამად შეიძლება ვთქვათ, მთლიანად განახლებული ადამიანი სჭირდება, მაგრამ

არა ისე განახლებული, როგორც სოციალისტური რეალიზმს ახასიათებდა – თუ რევოლუცია უბრძანებდა, წარბშეუხრელად რომ მოკლავდნენ დედას და მამას; ანდაც ახალი დროის გმირებს, რომ სამშობლო საერთოდ არაფრად ჭირდებოდათ და სადაც თავად იარსებებდნენ, იქ იქნებოდა მათი სამშობლო, ეს ზედაპირული გაგება იყო განახლებული ადამიანის სულისა, ზედაპირულიცა და არა ჰუმანური, შეიძლება ვთქვათ, არაადამიანური, სოციალისტური იდეოლოგიის წნეხქვეშმოქცეული ადამიანობადაკარგული მანქურთების ამო დღადისი იყო, რაც მხატვრულ სიტყვასთან და მის დანიშნულებასთან სრულიად დაცილებული არ შეესაბამებოდა, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულის რევოლუცია იმდროინდელ საქართველოში უდაოდ უნდა განხორციელებულიყო, ახალ დროს ყოველივესადმი დამოკიდებულების ახალი ფორმა და შინაარსი სჭირდებოდა და მიუხედავად ამისა, წარსულზე ისე იყო შეყვარებული კ. გამსახურდია, იგი ნათლად გრძნობდა, რომ რაინდული საქართველოს დასასრული დამდგარიყო და გუშინ ღვიძლი ღვიძლთაგანი იმ დროებისა, დღეს ცხოვრების ნიადაგს მოწყვეტილებად ექცია. სწორედ ამიტომაც, რომ კ. გამსახურდიას პერსონაჟები, როგორი რუდუნებითაც არ უნდა გვიხატავდეს მათ სახეებს მწერალი, მომავლის ქართველები ნამდვილად არ არიან.

„მრისხანე ეპოქის ბეჭედი აზის ძველი ყოფის ადამიანთა გარეგნობას, სამოსელს, ქცევას, ხასიათს, სასაფლაოსაც კი. ყოველი მათგანი ახალი სინამდვილისადმი დამოკიდებულებას ისე გამოხატავს, როგორც ძალუძს: კონსტანტინე და თარაში საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას გლოვობენ, ყრუ პროტესტს აცხადებენ, კაც საქონელს დახოცავს, გვანჯი ფართო მოქმედების გეგმას სახავს, ლუკაია ქრისტიანულ-წარმართულ რიტუალებს ეხიზნება, ზოსიმია ქვეყანას განუდგა, დიდი იოსები სხვისი ბინის მითვისებას ღამობს. ქოსა გახუ მემკვიდრეობის გადარჩენას ცდილობს, ოქროპირი ზარებს დაარისხებს, აბრია ინდივიდუალისტურ ბრძოლას ეწევა, კანკრე ხულიგნობს, ვარა წარსულს მისტირის, მედეას ეზიზღება აღმშენებლობა და ა.შ.

„კ. გამსახურდიამ აღადგინა ქართული ნაციონალური ყოფიერება, პრაქტული ენა, მითოსი და წარმართობა, გეოგრაფიული გარემო, დაადგინა გმირთა ფსიქიკისა და ცნობიერების, ტემპერამენტისა და ხასიათის ინდივიდუალური ქართული რასობრივი სახე. მაგრამ ამავე დროს რეალისტური სიმართლით სასტიკი განაჩენი გამოუტანა ძველი საქართველოს

ოცდათხუთმეტსაუკუნოვან ისტორიას. მის შთამომავლებს, რევოლუცია არის უდიდესი უღელტეხილი ქართველი ერის ისტორიაში, რომელმაც დაამთავრა ძველი ყოფის კვლევა, რომლის შორეული სათავე XIII საუკუნეში ძვეს. რომ არა რევოლუცია, ქართველი ხალხი გადაგვარებას ვერ გადაურჩებოდა" (სიგუა 1989 : 270).

აღბათ, უმჯობესი იყო მომხდარიყო აღსრულება რაინდული საქართველოსი, რადგანაც მისი არსებობა ახალ პერიოდში ჭეშმარიტ აღსასრულს მოასწავებდა, ნელ-ნელა ფერისცვალებითა და უჩუმარი შერწყმით მოხდა ერთგვარი სიკვდილი კვლავ შობისათვის. მარადიული დაბრუნების კონცეფციის თანახმად „ყოველივე რაც იყო კვლავ მეორდება“. ამიტომ შედის თარაშ ემხვარი წყალში, არა სასიკვდილოდ, არამედ გადარჩენისათვის, რადგან იცის, რომ მისი სიცოცხლე უფრო მეტი სიკვდილია, ვიდრე გაცხადებული სიკვდილი. თარაში იხრჩობა, რათა კვლავ ამოვიდეს წყლიდან სრულყოფილი, შეუბღალავი, ჩოხით მოსილი. მთავარია, ადამიანებს გაუჩნდეთ სურვილი მისი დაბრუნების, რადგანაც თავად უფალი ამბობს - ეძიებთ და ჰპოვებთ, ითხოვეთ და მოგეცემათ. სწორედ ამიტომ მხოლოდ რაინდული საქართველოს დასასრული კი არ არის უმნიშვნელოვანესი, არამედ ყველაზე მეტად ტრაგიკულია ის, რომ მისი საჭიროება საზოგადოებაში აღარ არსებობს.

გრიგოლ რობაქიძე წერილში - „რაინდული საქართველო“ წერდა: „ქართული რასსა რაინდული სისხლით არის აცეცხლებული. ეს არ არი უბრალო სიტყვა და არც უბრალო თვისება. საქართველოს ისტორია რაინდობის პათოსით იმართებოდა ყოველთვის, რაინდობა ჩვენი ეროვნული პროფილის მნიშვნელოვანი ხაზულია.

ჩვენ ვართ მზეთა შვილები და გვიყვარს მეტად მზეოსანი ღაღებით მოთენთილობა. ჩვენი საშოს წყაროსთვალნი მუქი ზურმუხტია და სიამით ვეფინებით მწვანელოვან მდელოს. მოტრფიალენი ვართ „უსაქმო“ სილამაზის, გამუდმებით ვიწვით მშვენიერებისათვის. ვაღმერთებთ სიცოცხლეს, როგორც ცეცხლის მოთაყვანე წარმართები და ყველაზე მეტად უდარდებობას ვაფასებთ. გვიყვარს ღაგამახსნილი ქეიფი და გვათრობს ალესილი ხმლის სისხლიანი სიმღერა.

ჩვენ სიფიცხეს გვწამებენ და უთმენელობას. დიას: ჩვენ ფიცხელნი ვართ და უთმენელობა ჩვენი რკინეული ნების შურისძიებაა მხოლოდ“.

სამყაროში ყოველივე ერთ მთლიან არსად ერთიანდება, მილიარდობით უჯრედი ერთ სხეულს ქმნის. მაგრამ თითოეულ ამ სასიცოცხლო უჯრედს თავისი

დანიშნულება აქვს და საოცარი თვითყოფადობით ხასიათდება. გრიგოლ რობაქიძე ამ მოვლენას შემდეგნაირად აფასებს „მთელი არა გროვა ცალკეულების, არამედ ნაწილი თითოეულების“. მარადიული ბრუნვისას სამყარო არსებობის ახალ ფაზაში შევიდა, გამოჩნდა ახალი სახეები სრულიად განსხვავებული იდეოლოგიითა და მრწამსით. სასიცოცხლო უჯრედებიც თვითყოფადობის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, მათაც ახალი ნიღბები უნდა მოერგოთ (ცდილობენ კიდევ. ზოგი თავადი კინოში იწყებს მუშაობას, ზოგიც გლეხზე ქორწინდება, მაგრამ ეს ყოველივე უნაყოფო) ფიზიკური გადარჩენისათვის, მაგრამ ვინც ეს ნაბიჯი გადადგა, უნაყოფობით დაჯილდოვდა. ეს ფაქტორი კი უეჭველ აღსასრულზე მიუთითებს. ნამდვილი აღსასრული კი საკუთარი თავის დაკარგვაა სხვის არსებაში. ეს საფრთხე ემუქრებოდათ სწორედ იმ ადამიანებს, რომელთა არსებობაც ზედმეტად ქცეულიყო. მათი დაღუპვა გადარჩენისათვის მოხდა. ქართული რაინდული სული გადავიდა წარსულში, რათა მომავალში მთელი სიმძაფრით გაცხადებულიყო.

რაინდული საქართველო ზეციურ საქართველოდ გარდაისახა, და მუდმივ თანამგზავრად აედევნება ყოველი ქართველის სულს.

ს. სიგუა საინტერესოდ წარმოსახავს ძველის კვდომისა და ახლის დამკვიდრების რთულ პროცესს გამსახურდიას შემოქმედებაში, მაგრამ ის რევოლუცია, რომელიც საქართველოს განახლებისთვის იყო საჭირო, სულ სხვა შინაარსით და ფორმით ჰქონდა მწერალს წარმოსახული, როგორც უკვე მივუთითეთ, ეს სულის რევოლუცია იყო და მხოლოდ სოციალისტური რევოლუცია, რომელიც უპირველესად ჯიშის, გენის, ეროვნულობის მტერი იყო, საქართველოს პრობლემებს ვერ გადაჭრიდა. პირიქით, ახალ პრობლემებს უქმნიდა. ჩვენ მიერ მითითებული იდეები უსამშობლოობისა და მამისმკვლელობის შესახებ, რაც სოციალისტური რეალიზმის შემოქმედთათვის იყო დამახასიათებელი, კიდევ უფრო სისრულითა და სისასტიკით გადმოიცა კ. გამსახურდიას შემოქმედებაში და დაგვარწმუნა, რომ რევოლუციამ კიდევ ახალი პრობლემები წარმოშვა ქართულ ყოფაში.

მამისმკვლელობის საშინელება, რომელიც სოციალისტური საზოგადოების პირობებში კ. გამსახურდიას, „მოვარის მოტაცებიდან“, ამოღებულია, მაგრამ თავისთავადი ფაქტია ეპოქალური საშინელებისა. მითუმეტეს, საქართველო, რომელიც სანახევროდ ისევ პატრიარქალური ცნობიერების ზეგავლენას მოუცავს, რა თქმა უნდა, ვერ შეეგუება მამისმკვლელობის უბედურებას, არადა ახალმა დრომ განახლებული ენერგია მოუტანა, მაგრამ ეს ენერგია უშორესი წარსულის

სიღრმიდანაც მოედინება და ადამიანის ადრეულ საუკუნეთა სიღრმეში, სისხლში დაღეკილი მამისმკვლელობისა თუ საზოგადოდ ველური ინსტინქტების აბობოქრებასაც იწვევს. სწორედ იმის გამო, რომ არზაყან ზვამბაია სოციალისტური ყოფის იდეოლოგი და მოწინავე პიროვნებაა, საჭირო გახდა მამისმკვლელობის ფაქტი ამოღებული ყოფილიყო. იმდროინდელი საზოგადოება, ვერაფრით შეეგუებოდა თუნდაც ლიტერატურული პერსონაჟის, მითუმეტეს, თუ ის კომუნისტი და თან აქტიური კომუნისტის, ისეთ წარმოუდგენელ არაადამიანობის, როგორც მამისმკვლელობა იყო. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ დროითა და გარემოებით გაზულუქებული ახალგაზრდობა წონასწორობას კარგავდა და მათში დაძაბულ სიტუაციაში თავს იჩენდა უშორესი წარსულის ბუნებრივი თვისებები, თუმცა ეს ქართული ბუნებიდან არ მომდინარეობდა. ეს დროისა და შექმნილი ვითარების კუროზი იყო და კ. გამსახურდიასაც იმიტომ შეაქვს, ეს პასაჟი თავის ნაწარმოებში, რომ ამ ფაქტით ერთხელ კიდევ მიგვანიშნოს, თუ როგორ იმსხვრევა ქართული ეროვნული ცნობიერება. საქართველოს ყველა კუთხეში და განსაკუთრებით სამეგრელოსა თუ აფხაზეთში. მამის განდმრთობის პრობლემა ოჯახის უფროსის ხელშეუხებლობა კი არა, უბატონოდ მიმართვის ფორმაც კი არ არსებობდა და საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავებულ ამ ამაღლებულ თვისებებსა და ტრადიციებს, ერთბაშად არღვევს ახალი ყოფა, რომელსაც არა მარტო უფროსი თაობისადმი, წარსულისა და ყოველივე ტრადიციულისადმი უაღრესად სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდა. ერთ რამეზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, ასეთი გარდასახვა ხდება იმ არასრულფასოვანი ფსიქიკისა და განვითარების ადამიანებში, რომელთაც ყოველივე ახლის უკრიტიკოდ მიღების მისწრაფება გააჩნიათ, თორემ კარგად ვხედავთ იმასაც, თუ როგორი პატივისცემით ეკიდება თვით გამზრდელს და საერთოდ უფროს თაობასა და ტრადიციებს თარაშ ემხვარი, ადამიანი, რომელიც დიდი ერუდიციითა და დიდი მგრძნობელობითაც გამოირჩევა სხვათაგან. მას ბუნების ამგვარ გაწონასწორებაში სწავლა-აღზრდა და განათლებაც ესმარება. ვფიქრობთ საგანგებდ ხატავს ასეთ სრულფასოვან სახეს ემხვარისას ავტორი, რომ ერთხელ კიდევ დაგვანახოს კონტრასტი ამ ორ პერსონაჟს შორის - ერთი ქალის რძით აღზრდილი გმირებისა, რომელნიც დედის ძუძუსთანაც კი წაკიდებულები იყვნენ. ეს სოციალური განსხვავებულობის ფესვები თანდათან ღრმავდება და ახლა უკვე ძალმოსილი არზაყანის ბუნებაში ისეთ თვისებებად ყალიბდება, რაც მართლაც არაქართული, უფრო მკვეთრად თუ გამოვხატავთ აზრს - არაადამიანურია, რაც ქართული სულისათვის მეტად უცხო და შეუსაბამოა. როგორც უკვე მივუთითეთ,

სწორედ ქართული ბუნებისთვის მეტად მიუღებელ, მეტად განსხვავებულ თვისებებს აყალიბებდა სოციალისტური იდეოლოგია და სწორედ ამ ფაქტის დასაფიქსირებლად დასჭირდა მწერალს არზაყან ზვამბაიას მამისმკვლელობა, და თუ თავიდანვე არ იქნებოდა მხილებული ეს ადამიანის სულის გამანადგურებელი მახასიათებელი, ქართული ეროვნული ცნობიერება, თანდათან გაქრებოდა, მის ადგილს ზომბირებული ადამიანი დაიჭერდა, რომელიც „სოციალიზმის ჰაშიშით“ გაბრუნებული მამისმკვლელობაზეც კი წავიდოდა.

როდესაც კ. გამსახურდიას პერსონაჟების სულის სიღრმეში გვსურს ჩაღწევა, ძალიან ბევრ რამეს ვგრძნობთ ამ ძიებისას, უპირველეს ყოვლისა მას, რომ ახალი საზოგადოებისთვის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიზებული ადამიანების ადგილი არ არის. ისინი ერთგვარი „ზედმეტი ადამიანობით“ ტვირთდამძიმებულნი უცხო ხდებიან საზოგადოებისათვის, რომელიც მამისმკვლელებსა და ზოგადად კაცისმკვლელთ ალაზევებს და ბელადობას, მეთაურობას უთმობს.

გამსახურდიას რომანების პერსონაჟთა ფსიქიოლოგიურ პორტრეტებს თუ დავაკვირდებით და მიზეზ-შედეგობრიობის კატეგორიის არსიდან დავინახავთ მათ, ერთხელ კიდევ დავრწმუნდებით, რომ თითოეული პერსონაჟის სახე და მოქმედება მკვეთრად გამოხატავს იმდროინდელი საქართველოს გაუსაძლის მდგომარეობას, აქ ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც ვითომ აქვთ სამშობლო, მაგრამ სინამდვილეში სულის სამშობლო განადგურებულია, ქართული სული თანდათანობით ქრება და თარაშ ემხვარების ადგილს ქართულ სივრცეში არზაყან ზვამბაიები იკავებენ, რომელთა სახის ფორმირებაზე არსებულმა საზოგადოებრივმა ინსტიტუტმა, სოციალისტურმა მსოფლმხედველობამ იმუშავა.

ფესვების ქონა, შესაძლოა, ადამიანის სულის ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება იყოს. ადამიანს ფესვები აქვს ადამიანური ერთობის ცხოვრებაში რეალური, აქტიური და ბუნებრივი მონაწილეობის წყალობით, ერთობის, რომელიც ცოცხლად ინახავს წარსულის დანატოვარს, ყოველი ადამიანი ესწრაფვის, რომ მორალური, ინტელექტუალური, სულიერი არსებობის მთელი სისავსე აღიქვას იმ გარემოს მეშვეობით, რომელსაც ბუნებრივად ეკუთვნის.

უფესვობა, უეჭველია, ყველაზე საშიში დაავადება იმ დაავადებათა შორის, რომელიც ადამიანთა ერთობას შეიძლება მოედოს, რადგან იგი ძალიან ადვილად ვრცელდება. ფესვებდაკარგული არსებები თითქმის ყოველთვის ორგვარად იქცევიან: ან სიკვდილის მსგავს სულიერ ლეთარგიაში იძირებიან, ან მთლიანად ინთქმებიან მოქმედებაში, რომელიც იმისკენ არის მიმართული, რომ ფესვები დააგლიჯოს მათ, ვისაც ისინი ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს.

ყოველივე იქეთკენ მიემართება, რომ ქართული ეროვნული ცნობიერება თითქმის მთლიანად წაიშალოს და ახალი დროის დემორალიზებული იდეებით სულგაჯერებული ადამიანი დამკვიდრდეს. ერთ დროს რაინდულ და ზნეობრივ საქართველოში ყოველ დღეს, ყოველ წელიწადს აქეთკენ მიჰყავს ქართველი და ყოველივე ამის მგრძობელი და შემმეცნებელი კ. გამსახურდია და ბევრი სხვაც ეროვნული სულის მწერალი თუ მოღვაწე და ზოგადად ხელოვანი, მთელი შესაძლებლობით იღვწიან და იბრძვიან იმისთვის, რომ ეს კატასტროფა ააცილონ სამშობლოს, როგორმე შეინარჩუნონ ეროვნული სულის ნერგები, რათა მომავალმა მათი გააზრება და გამრავლება შეძლოს, სწორედ ამიტომაც რომ „ბელადის“ ავტორი „დავით აღმაშენებელს“ თუ „დიდოსტატის მარჯვენასაც“ ქმნის, ან თუნდაც „მთვარის მოტაცებასა“ და „ვაზის ყვავილობას“, სწორედ „ბელადმა“ თუ „ვაზის ყვავილობამ“ მისცა მწვანე შუქი „დავით აღმაშენებელს“, „დიდოსტატის მარჯვენას“ თუ „მთვარის მოტაცებას“ და არა მარტო ამ ნაწარმოებებს, კონსტანტინეს მთელ სულიერ მემკვიდრეობას. განა მარტო ლიტერატურულ ნაწარმოებებში იკითხება კ. გამსახურდიას ეროვნული სულის მოძრაობა, თუნდაც მისი ლიტერატურული თუ ზოგადად პუბლიცისტური წერილები ავიდოთ, აქაც უდიდესი ეროვნული მოღვაწის, აქაც ქართული კულტურით სულგაჯერებული ადამიანის სუნთქვა იგრძნობა მწერლის ნააზრევის მიღმა.

თუნდაც კ. გამსახურდიას წერილი „აპოლოგია რუსთაველისა“ (გამსახურდია VI, 1963 : 41) მოვიგონოთ, ვისაც წაუკიხთავს და ვინც მომავალშიც გაეცნობა მას, მართლაც დარწმუნდება, თუ რაოდენ ეპვიროფასება მწერალს ყოველივე ქართული და მითუმეტეს გენიალური. ამ მიმართებით ერთსაც დავამატებდით კ. გამსახურდიას დიდმა ერუდიციამ და ზოგადად აზროვნებამაც შ. ნუცუბიძესთან, ვ. ნოზაძესთან და ი. აბაშიძესთან ერთად უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს გენიის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანის საქმეში. მაგრამ, როდესაც კ. გამსახურდიას „დანტე ალიგვიერს“ (გამსახურდია VI, 1963 : 57). ვკითხულობთ და მის მეშვიდე თავს „დანტე და რუსთაველს“ ჩავუღრმავდებით, დავრწმუნებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ერისათვის დიდი ნიჭისა და ასე დიდი განათლების მქონე შვილების გამოზრდა, რომ მარადიულად ვიდგეთ სხვა ერთა შორის და ჩვენი ხმა არ გაიფანტოს სამყაროში, როგორც „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ალბათ ბევრჯერ გავცნობივართ დითირამებს, თუ პოლემიკას ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ ასე დიდი ერუდიციით ასე დამაჯერებლად ახსნა, იმისა, თუ რატომ და რით დგას შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დანტე ალიგვიერის „ღვთაებრივ კომედიაზე“ მაღლა, იშვიათად შეგვეხედრია, საქმე ის კი არ არის,

ჯიუტად დაიჩემო, რაიმე და მთელი ცხოვრებაც შესწირო გაუგონარი სისულელის მტკიცებას, არამედ იმდენი იცოდე, შენივე გამოთქმული მოსაზრება, ისევე მწყობრად და ლოგიკურად დაასაბუთო, როგორც კ. გამსახურდიამ მოახერხა ეს ჩვენს მიერ მითითებულ წერილში. რუსთაველის ამ სიმაღლეზე აყვანით, მან ქართველი ერიც აიყვანა აზროვნების კვარცხლბეკზე.

„ამ პატარა გამოკვლევაში მე ვცდილობდი ალაგ-ალაგ პარალელები გამეტარებია რუსთაველსა და დანტეს შორის. ვგონებ ეს არ უნდა ეუცხოვოს მკითხველს, რადგან თვით რუსთაველის ეპოქა, მისი პიროვნება და შემოქმედება იძლევა საამისო საბაბს, გარდა ამისა, რუსთაველი ჯერაც არ გვყავს მსოფლიო პოეზიის მასშტაბით გაშუქებული“ (გამსახურდია, VI, 1963 : 102).

ასე იწყებს მითითებული წერილის მეშვიდე თავს ავტორი და ვგრძნობთ მის უდიდეს ეროვნულ გულისტკივილს იმის გამო, რომ „რუსთაველი ჯერაც არ გვყავს მსოფლიო პოეზიის მასშტაბით გაშუქებული“.

დანტე ალიგჰიერთან რუსთაველის შეპირისპირებით კ. გამსახურდიამ ცხადყო, რომ შეიძლება საუკუნეზე მეტი დროის მონაკვეთით ადრე, „ღვთაებრივ კომედიაზე“ თითქმის აღმატებულ ნაწარმოებს ქმნის საქართველო, ქართველი პოეტი.

„დანტე როგორც ქრისტიანი პოეტი, ქრისტიანულ მისტიური გარინდების უამს გადადის სულეთში, „გამოფხიზლებამდი“ არამც და არამც ფიზიკური ძილი არ უნდა წარმოვიდგინოთ.

თავადი ბერძნული Mystikus ნიშნავს იდუმალს, მიუსის Myesis - ლათ. თვალის მოხუჭვას ნიშნავს.

რუსთაველი მოუღალავი წარმართი გენიაა, მისთვის უცხოა დანტესებური მისტიური გარინდება და მიუსის. მისი გმირები იარაღის ძალით გადალახავენ ხილულობის, ხმელის სამანს და იარაღითვე იკავენ გზას ქაჯეთს მიმავალს. ეს, ალბათ, რაინდული ვაჟკაცობის კულტის ზეგავლენაა“ (გამსახურდია VI, 1963 : 106).

სხვა მრავალი ფაქტით და აზრითაც გვიდასტურებს ავტორი რუსთაველის გენიალობას და გვარწმუნებს, რომ იდეოლოგიური, კულტურული სამანები რუსთაველის ეპოქისა, მსოფლიო კულტურის მესაჭეობისაკენ მიისწრაფვის. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ დაასკვნა, რომ კ. გამსახურდიას როგორც ისტორიული რომანები, ისე მთელი მისი შემოქმედება, მთელი მისი მოღვაწეობა ეროვნულ ინტერესებს ექვემდებარებოდა და რაც ყველაზე მეტად საინტერესოა ეროვნული ცნობიერების გაღრმავებასა და განმტკიცებას

გულისხმობდა. ერთის მხრივ თანამედროვეობისა და მეორეს მხრივ ისტორიული წარსულის შეპირისპირება კ. გამსახურდიას შემოქმედებაში, გვარწმუნებს, რომ ისტორიის სიღრმეში მოქცეული ეროვნული ცნობიერების ფესვების განედლებასა და აყვავებას მიეღწვის მწერალი. საინტერესო შეხედულებას გამოთქვამს ამ მხრივ ს. სიგუა:

„სავარსამიძემ და ემხვარმა გამოიგლოვეს საქართველოს ბედი, ეპოქის ქარბორბალას პირისპირ ამაო აღმოჩნდა კულტურა, ფიქრი და ტანჯვა. ახალი არ მიიღეს, მაგრამ ვერც მომავლის უკეთესი გზა იპოვნეს, რადგან ყველაფერს წყვეტს ძალა და ძალაუფლება. წამოიჭრება ახალი საკითხი - რა მიზანს ემსახურება ძალაუფლება, როგორ მივდივართ იდეალისაკენ რა გზით ვციდლობთ მის ხორცშესხმას („მოვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“) არზაყან ზვამბაიამ უარყო წარსულის მორალი, ზნეობა, ადამიანთა ურთიერთობის წესი და ყველაფრის თავიდან დაწყება მოინდომა, რაც ისევე შეცდომა და დანაშული იყო, როგორც ტრადიციებისადმი ბრმა ერთგულება. მაგრამ ხელოვანი არსაკიძე, მეცნიერი კორინთელი, გლეხი და ჯარისკაცი ელანიძე მწერლის ოცნებაში ქმნიან ერთიანი, ძლიერი და ჯანსაღი საქართველოს მოდელს, რომელსაც მიმართულებას აძლევს დავით აღმაშენებლის ფიქრი და მარჯვენა. ამდენად არის დიდგორი გმირი არა მხოლოდ გარდასული დიდების ხატი, არამედ უპირველესად შეუმუსრველი ქართული სულის მახვილითა და კალმით გადამტანი წელთა უსასრულო მდინარებაში“ (სიგუა 1989 : 278).

თითქოს ყველა პერსონაჟის ფიქრი და ოცნება, ყველა დროის პრობლემა ერთ პრიზმაში უნდა გარდატყდეს და საქართველოს მომავლის თვალსაწიერი გამოჩნდეს, ქართველთა რწმენა, ქართველთა ეროვნული ცნობიერების ძირები მისი წარსულითაა ნასახრდოები და მისი უგულვებელყოფა ქართველთა ეროვნული ცნობიერების ხის ცოცხალ სურათს ვერ შექმნის. ის, რაც დროის მდინარებით არ ინისლება, ეს ქართველთა ეროვნული სულია - დაუთრგუნველი და მარადიული.

„ორი სინამდვილის - წარსულისა და თანამედროვეობის - დაპირისპირებისას აშკარად იკვეთება მწერლის პოზიცია; წარსულის რომანტიზირების გზით და აწმყოს ანტიჰუმანურობის ჩვენებით უარყოს დღევანდებობა“, დოიაშვილის ეს აზრიც ამტკიცებს, რომ გამსახურდიას შემოქმედებითი ორბუნებოვნება წარსულისა და თანამედროვეობის ერთ სიბრტყეზე ასახვას, ერთგვარი კონტრასტების ხერხია და თანაც სულიერ საკვებს აძლევს იმ მკითხველს, ვისაც თავისი ეროვნული მრწამსი ვერ უპოვნია. გამსახურდია სულიერ სარკეში ახედებს

მას და არწმუნებს, რომ საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც თავისი სამომავლო გზა წარსულიდან უნდა დაიწყოს, სულის „ახალ ნერგზე“, წარსულის შეფჯვარებაა საჭირო, რომ საქართველოს მომავალი ეროვნული ასპექტით გადაიჭრას.

სწორედ ამიტომ იყო, რომ მწერალს სულიერად ნამდვილად აღფრთოვანებდა, მის ისტორიულ რომანებს საქართველო ასე, რომ დაეწაფა, უდიდეს კმაყოფილებას სძენდა ის ფაქტი, რომ მიუხედავად გამოცემის საკმაოდ დიდი ტირაჟისა, საზოგადოებაში მისი ნაწარმოების ხელახლა დაბეჭდვის სურვილი იყო. „დიდოსტატის მარჯვენის“ ახალი გამოცემით აღფრთოვანებული კ. გამსახურდია წერდა:

„უეჭველად ეს არის სიძაბუნე ჩვენი გულისა, ავტორი მუდამ ღელავს, როცა წიგნი ხელახლა უნდა მოეფინოს ქვეყანას.

... ჩვენი უდიდესი სიხარული ეგ არის: თვალნათლივ ვუცქიროთ, თუ როგორ უძლებს ჩვენი სულის ნაშიერი დროის ცვალებადობათა ზღვაურს, ან რა ზეგავლენას ახდენს იგი თანადროულ ლიტერატურასა და ადამიანებზე...

... ცნობილია, არც ერთ ერს არაფერი შეუქმნია მნიშვნელოვანი, თუ მას ოდესმე რომელიმე დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მეურვედ არ უცვნია თავი. ამის გარეშე ყოველივე ეპიგონობაა და მსოფლიო პროფანაციის უნიათო ლულული.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შუა საუკუნეთა ქართველობამ ყველაზე დიდი და შესანიშნავი სიტყვა თქვა სწორედ XI-XIII საუკუნეთა მანძილზე. ამ ეპოქაში განვითარების ზენიტს მიაღწია როგორც სახელმწიფომ ჩვენმა, ისე ენამ ქართულმა.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ - ეგ იყო ჩემთვის ორმაგი წყურვილის მოკვლა. უწინარეს ყოვლისა ფიგურალურად რომ ვთქვათ, რომანის ფორმებში გავამუღვანე ჩემი *Lart poetique*

გარდა ამისა დიდი საქართველოს ჩვენება განვაცხადე თანადროული რომანის მიხედვით“ („დიდოსტატის მარჯვენა“, 390).

თავად კ. გამსახურდიასაც იმიტომ გაურბის თვალი საქართველოს XI-XIII საუკუნეებისაკენ და ცდილობს ამ ეპოქის მხატვრული სინამდვილის მოდელის შექმნას, რომ ეს ეპოქაა ქართველთა სულიერი, ეროვნული აღზევებისა. ესაა დრო, როდესაც ქართველთა ეროვნულმა ენერგიამ არსებობის მწვერვალს მიაღწია და რენესანსის - პრეისტორიული ხანის წარმმართველი გახდა. ადრერენესანსული ხალხების აზროვნების ცენტრი საქართველოზე გადიოდა და ქართველთა

ეროვნული ცნობიერება მსოფლიო პროცესების წარმართველიც ხდება, მაგრამ როგორც თავად კონსტანტინე ბრძანებს".

„... დღესაც უმართებულად ექცვიან ქართველ ერს. თუმცა შეიძლება ჩვენ გაცილებით მეტი წვლილი შეგვიტანია ქრისტიანულ კულტურაში ვიდრე იმ ხალხებს, რომელთაც ორიოდ საუკუნის წინ დააღწიეს თავი სომადურ ყოფას და დღეს დიდის ამბიციებით იხსენიებიან სქელტანიან ლარუსებში და ენციკლოპედიებში. ეს შეგნება და სიამაყე მუდამ შეგვრჩება, რომ მუდამ უთვალავი მტერი გვეყოლია და მეგობარი მუდამ თითზე ჩამოსათვლელი" (კ. გამსახურდია, ტ. VI, 1963 : 514).

კ. გამსახურდია იყო არა მარტო ის მწერალი და მოღვაწე, რომელიც მხოლოდ სამშობლოში იღვწოდა ეროვნული პრობლემებისათვის, არამედ სამშობლოს გარეთაც გაბედულ სიტყვას ამბობდა ქართველთა წარმოსახენად, მსოფლიო ხალხების წინაშე. როგორც მისივე სიტყვებიდან გამოჩნდა, კ. გამსახურდიამ კარგად იცოდა ის, რომ უპირველესად თავად ქართველთა ეროვნული მრწამსისა და ეროვნული ენერჯის ფორმირება იყო აუცილებელი, რადგან ყოველთვის დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა მწერალი, ქართველთა „ტრაგედია იყო ჩვენი მარტოობა" და ვიდრე საკუთარ ფეხზე არ დადგება ქვეყანა და ერი, მუდამ „უთვალავი მტერი ეყოლება და მეგობარი მუდამ თითზე ჩამოსათვლელი". სწორედ ამიტომ იყო, რომ ჟამიდან ჟამზე კონსტანტინე გამსახურდია შეეხმიანებოდა ერს, რომ მისი ეროვნული ცნობიერება შეეფხიზლებინა. ის მაინც არ გამქრალიყო, რაც საუკუნეების განმავლობაში ომებისა და დაპირისპირებების შედეგადაც არ აღმოფხვრილა ქართველთა სულიდან.

„ეროვნული ცნობიერება საუკუნეების მანძილზე ყალიბდება. იგი განპირობებულია ენით, ისტორიით, რელიგიით, ზნე-ჩვეულებებით, ფსიქიკით, ტერიტორიით, მსოფლადქმით, მსოფლგანცდით და ასე შემდეგ. ყველაფერ ამას აერთიანებს სამშობლოს ცნება. ერთ განუყოფელ მთლიანობად აქცევს.

როცა სამშობლოს ცნება ირღვევა (სულერთია გაფართოებით თუ დავიწროებით), ყველაფერი ეს იშლება, ხალხს ეროვნული კატასტროფა ემუქრება. თუ სამშობლოს ცნებას გავაფართოებთ, იმდენი უცხო ელემენტი შემოვა რომ ქართული ეროვნული ცნობიერება ქაოსად გადაიქცევა. ასევე დაემართება რუსულ ეროვნულ ცნობიერებასაც. არაფერს ნიშნავს, რომ იგი დღეს გაბატონებული ერია. ეროვნულ ცნობიერება ბატონსაც ისევე შეიძლება დაერღვეს, როგორც ყმას. თან შესაძლებელია გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე დამონებულს. ამიტომ იშლება

დიდი იმპერიები და მათ ადგილას ეროვნული სახელმწიფოები იბადება" (ბაქრაძე 1990 : 197).

ჯერ კიდევ ადრე მიუთითებდა ა. ბაქრაძე და დიდ სიმართლეს, რომ წერდა იგი, ნათლად გამოკვეთა ისტორიამ. მაგრამ მთავარი და საჭირობო პრობლემა ისაა დიდი იმპერიების ნგრევისა, ისინი ჰლამობენ თავიანთ ნანგრევებში მოიყოლონ სხვებიც. ეს ისტორიული კანონზომიერებაა და როგორც არ უნდა შეეცადონ სხვა ერები უმტკივნეულოდ თავდახსნას, შეუძლებელი იქნება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ყოველივე ბატონობა და სხვებზე აღმატებულობა დროებითია და იმავე დროს მძვინვარე მდინარე „მარადიული ბატონობისათვის" შემართულს უთუოდ დანთქავს. ეს ერთი დღის, ანდაც ერთი წლის და ზოგჯერ ერთი საუკუნის პრობლემა არ არის, ეს კარგად ესმის კონსტანტინე გამსახურდიას და სწორედ ამიტომაც იყო, რომ თავისი ეროვნული სუნთქვით აფხიზლებდა ერს, თავისი ეროვნული მრწამსით საუკუნის ცეცხლს აღივებდა და სწამდა, რომ თუ თესლი ნოყიერ ნიადაგზე დაეცემოდა, მისი სიტყვა და აზრი ხვალ ათასეულებს გაუცოცხლებდა ეროვნულ სულს, ამიტომ ძერწავდა ასე დიდი სიყვარულით ეროვნული ცნობიერების მქონე გმირთა სახეებს, თავის პირად განცდებსა და ტკივილებს აქსოვდა მათ ფსიქოლოგიურ პორტრეტებში.

სწორედ ეროვნული ცნობიერების ძირისძირიდან ამოაქვს სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ მწერალს ის პირველი იდეები, ის პირველსახეები, რომელმაც შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში ჰპოვა განფენა ქართველთა ცნობიერებაში, სწორედ ამიტომ არის, რომ მისი პერსონაჟები მუდამ მაძიებელნი, მუდამ დაუკმაყოფილებელნი არიან არსებულთ, რადაგანაც პირველქმნადობით და პირველიდეთ შთაგონებული მათი გულისთქმა რეალურ ცხოვრებაში ვერ ხედავს პირველყოფილ ფერებსა და სახეებს, ამიტომაცაა, რომ ასე უსივრცო და უსამანოა კ. გამსახურდიას გმირთა გეოგრაფიული ლანდშაფტი, ამიტომაც, ეძიებენ ისინი ასე გატაცებით სულის სამშობლოს. უახლოვდებიან იმ მთლიანსა და განუყოფელ სახეს, რაც პირველქმნადობიდან გადმოდის მათ არსებაში. მათი ცხოვრების გზის წარმართველი სამშობლო და სიყვარულია, თვით უძლიერესი მეფეებიც კი სამშობლოსა და სიყვარულისათვის თავგამეტებულნი და თავშეწირულნი ბრძანდებიან. ამ მცნებებს კ. არსაკიძისათვის ხელოვნებაც ემატება და როგორც ვხედავთ, ამ პირველყოფილი გრძნობითაა შეყვარებული არსაკიძე თავის ხელოვნებაზე და სამართლინადაც მიაჩნია, რომ ყველა წარმატებულ გრძნობაზე, აღმატებულია ხელოვნება - უფრო უკვდავი, ვიდრე ასიათასი მოკვდავის სული". მაგრამ ასეთი სიყვარულიც ხომ თავისთავად

პირველქმნადობიდან ამოდის. ეს სიყვარული სულსა და სისხლში აქვს გამჯდარი არსაკიძეს და იგი უფრო ძლიერია, ვიდრე გრძნობა საყვარელი ქალისადმი, ესაა განმაპირობებელი იმისა, რომ უმშვენირეს მიჯნურსაც ვერ მისცემს სულს ხელოვანი.

„შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატაური ფარჩის კაბა ეცვა ხშირი, ოქროსფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს.

დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული.

ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოვლისათვის შეეწირა იგი“ („დიდოსტატის მარჯვენა“, 379).

მოტანილ ამონარიდში კარგად იკითხება ის აზრი, რომლის დასადასტურებლად მოვიხმეთ იგი, მაგრამ მეორეცაა კ. გამსახურდიას ამ სიტყვებიდან ერთხელ კიდევ გვინდოდა შეგვეგრძნო მაღლი და იდუმალება არა ზოგადად ქართულისა, არამედ კონსტანტინეს ქართულისა.

ბევრი რამ თქმულა და დაწერილა კიდევ კ. გამსახურდიას ენობრივ ფენომენზე, ბევრს დაუგმია ის და ბევრსაც შეუმკია. ამ თვალსაზრისით, სხვადასხვა ვარიაციით შეიძლება წარმოვადგინოთ სხვათა შეხედულება, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვსურს, ეს პრობლემაც ეროვნულ ასპექტში წარმოვსახოთ და ჩვენი შეხედულება გამოვთქვათ ამ მიმართულებით.

უპირველესად დავაკვირდეთ კ. გამსახურდიას მთელ შემოქმედებას. მთელ მის ნააზრევს ენობრივი თვალსაზრისით ერთმანეთისაგან ვერ გავმიჯნავთ, არა აქვს მნიშვნელობა მხატვრულ ნაწარმოებს ქმნის მწერალი თუ ლიტერატურულ წერილს, თუნდაც ისტორიულ ნარკვევს, თუ ზოგადად რაიმე სურს გადმოგვცეს. კ. გამსახურდიას სტილი ერთია, იგი განუყოფელია ყველგან და ყოველთვის, მართალია, ენა არქაიზმებითაა მდიდარი, მაგრამ ზოგჯერ არქაიზმებად კი არ მოიაზრება ისინი, არამედ საუკუნეთა ლაბირინთებში დაკარგული ლექსიკური ერთეულების აღმდგენად და მაცოცხლებლად, ქართული ენის გამდიდრებად და სრულყოფად, რადგანაც არა მარტო XI-XII-XIII საუკუნის ქართველთა ენას ახასიათებს არქაული ლექსიკა, არქაული სინტაქსი და მკაცრად ინდივიდუალური სტილი კონსტანტინესი, არამედ თითქმის თანამედროვე ეპოქის პერსონაჟებიც ამ ენით გვესაუბრებიან და შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ენა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფენომენია კ. გამსახურდიას ეროვნული სულის შესაცნობად. წმინდა ქართული ლექსიკა, ძველქართულთან ზიარება და შერწყმა თანამედროვეობისა, არა მარტო კონსტანტინეს ინდივიდუალურ სტილზე

მიგვანიშნეს, მხატვრული ლიტერატურის ეროვნულ სტილსაც კი ქმნის და ვფიქრობთ, რომ სწორედ გამსახურდიას ენაა, რომ ასე სწორუპოვრად შეგვაცნობინებს არა მარტო გარდასულსა და არქაულს, არამედ თანამედროვეობის ეროვნულ ძალისხმევასაც.

კ. გამსახურდიას ყველა ნაწარმოები, ეროვნული ენერჯის დიდი გამოვლინებაა, უძვირფასესი ნობათია ეროვნული სულისათვის და ეროვნულობის უჩვეულო სპექტრი, საიდანაც თითოეული სიტყვა, ეროვნული ენერჯის უშრეტ ნაკადს გადასცემს შთამომავლობას.

სიტყვა და ენა ტყუილად არაა ღმერთთან გატოლებული, ღვთის ძალისხმევა და ღვთის ხატი თავისთავად მოიპოვება სიტყვაში. სწორედ ამისათვის ძალუმს სიტყვას და ზოგადად ხელოვანს „არაფრისაგან რამის შექმნა“. სწორედ ქართული სიტყვის მაღმა მისცა უდიდესი ძალმოსილება ყოველივე ქართულსა და ეროვნულობაზე ეგზომ შეყვარებულ შემოქმედს ეროვნული სულით მომავლის რწმენითა და სიყვარულით აღვესო თაობები.

„კ. გამსახურდია თავის მამულიშვილურ მოვალეობად თვლიდა აქტიურად ებრძოლა ჩვენი ენის ამ საფრთხის წინააღმდეგ და ბევრი რამ გააკეთა ძველქართულ ენობრივ სამყაროსთან გაწვევტილი გენეტიკურ-მემკვიდრეობითი კავშირების აღსადგენად. მის ამ დიდ ძალისხმევას საფუძვლად ედო რწმენა იმისა, რომ „საკუთარი ენის გაღრმავება და გააღმასება ისეთივე დიდი საქმეა, როგორც ხმალშემართულად დაცვა მამულისა“ (ნიკოლეიშვილი I, 2010 : 215).

კ. გამსახურდიას სწამს თავისი ხალხის, თავისი ერის და სამშობლოს ისტორიული დანიშნულებისა, ამასთან ერთად მან კარგად იცის ისიც, რომ საქართველოს ისტორიული მისიის ძირები მისსავე წარსულში უნდა ვეძიოთ. ქართული ენა, ქართული ფოლკლორი, მთელი მისი არქაული შრეები იძლევა საყრდენს მისი მომავლის გზის გასაკვაღავად. სწორედ ამიტომაცაა, რომ თავად კონსტანტინე გამსახურდია დიდი განცდითა და ემოციით ეზიარა ამ არქაულ ძირებს და მხატვრული სიტყვის ასპექტში გააცოცხლა ყოველივე.

„საჭირო გახდა ქართული ენის მართებულად წარსამართავად სამი რამ: მისი მობრუნება ჩვენი ენის უძველეს და უბრწყინვალეს სათავეებისაკენ, იმისათვის, რომ ჩვენს ენას მშრალი მწიგნობრული ნიშატი არ მისცემოდა, ქართული მეტყველების არტერიებში უნდა შემოგვეშვა ქართული ზღაპრის, ქართული მითოლოგიის, ქართული ფოლკლორის, ქართული მრავალსახიერი დიალექტების წიაღში მიჩქმალული უღვევი ეტიმოლოგიური მარაგი“ (კ. გამსახურდია, ტ. VIII, გვ. 894).

პირველქმნადობასთან, დაკარგულ საზრისთან გვაახლოვებს კ. გამსახურდიას სტილი და ენა. შეიძლება ვთქვათ, რომ პირველქმნადობის მითი და სიმბოლიკა კ. გამსახურდიას ნაწარმოებთა მხოლოდ შინაარსსა და მხატვრულ სახეებში კი არ ცნობიერდება, არამედ მის ენაშიც, მის ზოგად აზროვნებაშიც. თითქოს მისი ენა და მისი მხატვრული სახეები, მისი პერსონაჟები თუ მთელი არქიტექტონიკა რომანებისა, იმ პირველსახესთან გვაბრუნებს, საიდანაც თითოეული ჩვენგანი ვიწყებით, საიდანაც ჩვენი სისხლი და სული იღებს სათავეს, და სადაც ასე ბუნებრივადაა შემონახული ჩვენი ეროვნული ცნობიერების პირველსახე.

ძირითადი დასკვნები

კ. გამსახურდიას შემოქმედების ეროვნული ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტაციის კუთხით შესწავლამ გვიჩვენა, რომ:

1. მწერლის ეროვნული სულისკვეთება თავისთავად გაგრძელებაა იმ იდეებისა, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებიდან მომწიფდა საქართველოში.

ეროვნული ცნობიერების საკითხი აქტუალურია, როგორც მის პუბლიცისტურ ნაშრომებში, ასევე მხატვრულ ნაწარმოებებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მივიჩნევთ კ. გამსახურდიას ესთეტიკურ მოსაზრებებს ეროვნული პრობლემების დასმისა და გადაჭრის თვალსაზრისით წერილებში: „მოზაიკები, მაგიური შანდლები“ (1921 წ.); „ტრადიციის წარმოშობა მისტიკის სულიდან“ (1922 წ.); „1921-1922 7 მაისი“ (1922 წ.); „აპოლოგია რუსთაველისა“ (1937 წ.). ყველა წერილში ჩანს ავტორის სწრაფვა, დაგვანახოს საქართველოს ისტორიული მისია, დაგვეხმაროს ეროვნული სულის გადრმავებაში, აგვიხსნას თითოეული ქართველის ფუნქცია საქართველოს საზოგადოებასა და ისტორიაში. აქ გამოთქმული თეორიული მოსაზრებები მხატვრულად ტრანსფორმირდება მწერლის პროზაულ ნაწარმოებებში („დიონისოს ღიმილი“, „მოვარის მოტაცება“, „დავით აღმაშენებელი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დიდი იოსები“, „პორცელანი“, „ქალის რქე“, „დამსხვრეული ჩონგური“).

2. კ. გამსახურდია თავის წერილებსა და ესეებში: „კარგი ევროპელი“ (1922 წ.); „იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი“ (1922 წ.); „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ (1922 წ.); „ახალი ევროპა, ლიტერატურული პარიზი“ (1924 წ.) საქართველოს ეროვნული ორიენტაციის პრობლემას სხვადასხვაგვარად გვიხსნის. მწერალი აღნიშნავს, რომ საჭიროა ქართული კულტურის მოდერნიზება. თავად ავტორი დასავლური კულტურის აპოლოგეტია და მიიჩნევს, რომ ევროპულ კულტურას სწორი გეზი აქვს აღებული. აღსანიშნავია ისიც, რომ კ. გამსახურდიას ესთეტიკური თეორიები არასოდესაა მოწყვეტილი ქართული ისტორიული სინამდვილისაგან. მის მოსაზრებებში ყოველთვის იგრძნობა დასავლურ კულტურასთან უსახოდ შერწყმის შიში, ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საშიშროება, ამიტომაც ზემოაღნიშნულ წერილებში გამოთქმული თეორიული მოსაზრებებისაგან განსხვავებით კ. გამსახურდია მხატვრულ შემოქმედებაში ეძიებს ქართული ეროვნული ცნობიერების გადარჩენის მესამე გზას („დიონისოს ღიმილი“, „მოვარის მოტაცება“).

3. კ. გამსახურდია საინტერესო აზრს ავითარებს ქართული ენისა და მისი კულტურის განუყოფლობის შესახებ („ქართული ენის მეურნეობისათვის“, 1956 წ.). იგი მიგვითითებს, რომ როგორც ქართული ენა ქმნის განმსოლოებულ ჯგუფს მსოფლიო ენათა ოჯახებს შორის, ისე მისი ეროვნული მისწრაფებებიც სხვათაგან განსხვავებულია. კ. გამსახურდიას აზრით, სწორედ ქართული ენის განსაკუთრებულობამ შეუწყო ხელი ქართული ეროვნული თავისთავადობის საკითხს. კ. გამსახურდიასათვის ენა ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელი

ფაქტორია და დაკავშირებულია სახელმწიფოებრიობის საკითხთან. მწერალი ამ მოსაზრებებს მხატვრულად ტრანსფორმირებულად წარმოსახავს „დიდოსტატის მარჯვენაში“, „დავით აღმაშენებელსა“ და „მთვარის მოტაცებაში“, სადაც ავტორი თავისი მაღალი ინტელექტითა და სიტყვის გამომსახველობითი ძალით აცოცხლებს ეროვნული პრობლემის უღრმეს შრეებს, წვდება ერის კულტურისა და სულის უშორეს პლასტებს.

4. კ. გამსახურდიას შემოქმედებაში ყველა პერსონაჟს მოეპოვება არა მარტო არქეტიპი - პიროვნება, არამედ არქეტიპი - იდეაც. პიროვნებისა და არქეტიპის ერთობა ქმნის მესამე ადამიანს, რომელსაც იდეა-ადამიანი ეწოდება. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ეს მესამე იდეა არის თავისუფალი საქართველოს სიმბოლური გამოხატულება, ანუ კ. გამსახურდიას ნაგულისხმევი მესამე გზა, საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლების გზა.

5. კ. გამსახურდიას შემოქმედებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წმ. გიორგის სახე-სიმბოლო, რომელიც სახეა გამათავისუფლებელი გმირისა, ბოროტების დამთრგუნველი ნათლის რაინდისა, მისი სახე-სიმბოლო საუკუნეების განმავლობაში უდიდეს ზეგავლენას ახდენდა ქართველთა ეროვნულ ცნობიერებაზე. „ლანდებთან ლაციცში“ გაცხადებული სიმპათია წმინდა გიორგისადმი ამის დასტურია და ეს თემა-მოტივი, როგორც ერის გადარჩენის სიმბოლო, მწერლის შემოქმედებაში მხატვრულ ტრანსფორმაციას განიცდის („დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „ტაბუ“).

6. კ. გამსახურდიას შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს ქართული მეფობის ინსტიტუტი, როგორც ეროვნულობის საფუძველი საქართველოში. გიორგი პირველისა და დავით აღმაშენებლის სახეები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით მსოფლმხედველობრივ პრიზმაში მეტად მაღალმხატვრულად ასახავს ქართველ მეფეთა როლს, და ზოგადად, სამეფო ინსტიტუტების მნიშვნელობას ქართული სახელმწიფოებრიობისათვის და ქართული ეროვნული ცნობიერებისათვის.

7. ეროვნული ცნობიერების პრობლემატიკასთან არის დაკავშირებული კ. გამსახურდიას რომანებსა და მოთხრობებში მკვეთრად ხაზგასმული ეროვნული ტრადიციებისა და ჩულებების მხატვრული ტრანსფორმაცია. რომლებიც ერის ინდივიდუალურ სახეს ქმნიან („მთვარის მოტაცება“, „დიონისოს ღიმილი“, „დავით აღმაშენებელი“).

8. დაკარგული ეროვნული საზრისის ძიებისა და პირველქმნადობის შენარჩუნების იდეა კ. გამსახურდიას შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

საკითხია. პირველქმნადობის შენარჩუნების იდეა გამსახურდიას შემოქმედებაში მოიაზრება ეროვნული მსოფლმხედველობის ასპექტში და უკავშირდება თავისუფლებისა და მარადიული დაბრუნების იდეის გამოვლენას. კ. გამსახურდიას რომანების ქვეტექსტები მიუთითებს, რომ სწორედ წარსულში, რწმენასა და მითშია ჩადებული ერის მომავლის კოდი. გარდასული ეპოქების ყველა თქმულება თუ ლეგენდა, გარკვეულ მინიშნებას იძლევა ერის მომავლის შესახებ და ამით სრულყოფს ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას („მოვარის მოტაცება“, „დიონისოს ღიმილი“, „დავით აღმაშენებელი“, „დიდოსტატის მარჯვენა“).

9. გამსახურდიას ნაწარმოებებში საინტერესოდ იკითხება ქართული დიდი გვარების ისტორია, რომლებიც უძველესი წარსულის გამო თითქმის მითოლოგიურ საბურველშია გახვეული. მწერლის აზრით გვარის ეს მითოსური ერთეულები, ანუ არქეტიპები ზეგავლენას ახდენს შთამომავალთა ფსიქიკაზე, მათ პიროვნულ სახეზე. ეს პრობლემაც ეროვნულ ასპექტში იშლება და საინტერესო მხატვრულ სახეებში ტრანსფორმირდება („მოვარის მოტაცება“, „დიონისოს ღიმილი“).

ასევე დიდ მნიშვნელობას იძენს კ. გამსახურდიას შემოქმედებაში ბიბლიური სიუჟეტების განფენა მის მხატვრულ სივრცეში, რაც ასევე უკავშირდება ეროვნულ ცნობიერებას („მოვარის მოტაცება“, „დიონისოს ღიმილი“, „დავით აღმაშენებელი“, „დიდოსტატის მარჯვენა“). კ. გამსახურდიას ეროვნული მსოფლმხედველობის შესწავლა გვარწმუნებს, რომ დაკარგული საზრისის პირველადი მოდელის, პირველქმნადობის შენარჩუნების იდეა ხსნის გზას ნიშნავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ა., *მითოლოგიური ენგადი*, თბილისი: 1999.
2. ბაქრაძე ა., *მითი „მოვარის მოტაცებაში“*, „მნათობი“, №12, 1967.
3. ბაქრაძე ა., *დიონისეს თვითმკვლელობა* („დიონისეს ღიმილის შესახებ“) „მნათობი“, 1968.

4. ბაქრაძე ა., *წარმავლობის მარადეამულად ქცევა (საუბარია კ. გამსახურდიას ქალთა პერსონაჟებზე)*, „სკოლა და ცხოვრება“, №7, 1983.
5. ბაქრაძე ა., *მწერლობის მოთვინიერება*, თბილისი: გამომცემლობა „სარანგი“ 1990.
6. ბაქრაძე ა., *კარდუ*, თბილისი: 1999.
7. ბაქრაძე ა., *მთვარის მოტაცების მედიტაცია*, „მნათობი“, №10, 1967.
8. გამსახურდია ზ., *ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება*, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.
9. გამსახურდია კ., *ლანდებთან ლაციცი (ავტობიოგრაფიიდან)*, „მნათობი“, №8-9, 1963.
10. გამსახურდია კ., *ჩემი პროგრამა ჩემი ერის სამსახური იყო!* „განთიადი“, №5, 1975.
11. გვერდწითელი გ., *მწერლებზე და მწერლობაზე*, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1949.
12. გრიგალაშვილი ნ., *სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები*, თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1999.
13. გომართელი ა., *„მთვარის მოტაცების“ სათაურის გაგებისათვის*, „პირველი სხივი“ №9, 1973.
14. დოიაშვილი თ., *მატერიაზე გავლით - სულობისაკენ!* (კ. გამსახურდიას ექსპრესიონისტული ნოველა) „ცისკარი“, №1, 1982.
15. თვარაძე რ., *მთლიანი საქართველოს მესიტყვე*, „ცისკარი“, №12, 1969.
16. თევზაძე დ., *კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა*, თბილისი: 1996.
17. იუნგერი-ხოტივარი შტეფი., *„დიონისეს ღიმილის“ სტრუქტურა და ფილოსოფიური ძირები*, „ცისკარი“, №10, 1982.
18. იუნგი კარლ გუსტავ, *ფსიქოლოგია და ალქიმია*, თბილისი: 2005.
19. კანკავა გ., *„დიონისეს ღიმილის“ მითოსური სტრუქტურა (კ. გამსახურდიას დიონისეს ღიმილის მიხედვით)*, კრიტიკა, №2, 1983.
20. კანკავა გ., *კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“*, „მნათობი“, №9, 1958.
21. კანკავა გ., *ქართული ისტორიული პროზის ტრადიციები („დიდოსტატის მარჯვენის“ თემატური პრობლემემატიკიდან)*, „მნათობი“, №5, 1962.
22. კიკნაძე ზ., *შუამდინარული მითოლოგია*, თბილისი: 1976.
23. კიკნაძე ზ., *ქაჯავეთის განძი*, ქართული ლიტ. ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. თბილისი: 1984.

24. ლომიძე გ. საქ. მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტიტუტის ლიტერატურული ძიებანი XIX თბილისი: 1998.
25. მაზნიაშვილი გ., *მოგონებანი*, ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1990.
26. მერკვილაძე გ., *ორი ბედი (წერილი პირველი) (კ. გამსახურდიას ორი რომანის „მოვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავლობა“ განხილვა)*, „ცისკარი“ №12, 1963.
27. მიშველაძე რ., *უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია*, თბილისი: 2000.
28. მიწიშვილი ნ., *რჩეული*, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971.
29. ნიკოლეიშვილი ა., *XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტ. VII*, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007.
30. ნიკოლეიშვილი ა., *XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტ. VI*, ქუთაისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
31. ნიკოლეიშვილი ა., *XX საუკუნის ქართული მწერლობა*, ქუთაისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.
32. ნიკოლეიშვილი ა., *ქართველოლოგიური ეტიუდები, I*, ქუთაისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
33. ონაშვილი ნ., *„დიდოსტატის მარჯვენის“ ხალხური წყაროები*, ქართული ენა და ლიტ. სკოლაში, №1 1979.
34. სიგუა ს., *„მოვარის მოტაცება“ ეპოქის დოკუმენტი*, „კრიტიკა“, №2, 1989 წ.
35. სიგუა ს., *კონსტანტინე სავარსამიძის სევდა (დიონისეს ღიმილის)*, „კრიტიკა“, №3, 1991.
36. სიგუა ს., *„დავით აღმაშენებლის“ ნაციონალური პოლიტიკური არსი*, „პოლიტიკა“, №5, 1991.
37. სიგუა ს., *კ. გამსახურდიას პროზის სტრუქტურა*, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989.
38. სიგუა ს., *მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა*, თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 2007.
39. სიგუა ს., *ქართული მოდერნიზმი*, თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 2002.
40. სიგუა ს., *მარტვილი და ალამდარი*, თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 1997.
41. უზნაძე დ., *ფილოსოფიური შრომები*, თბილისი: თსუ. გამომცემლობა, 1984.
42. ქურდოვანიძე თ., *ქართული ფოლკლორი*, თბილისი: 2001.

43. შავგულიძე გ., *ფრანგული სტრუქტურალიზმის შესახებ*. „განთიადი, №5-6 2002.
44. შარაძე გ., *უცხოეთის ცის ქვეშ*, წიგნი მესამე, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1993.
45. ჩიქოვანი მ., *მიჯაჭვული ამირანი*, თბილისი: 1947.
46. ჩხეიძე ი., *„მთვარის მოტაცების“ თავისებურება*, „მნათობი“, №4, 1969.
47. ჩხეიძე ი., *კ. გამსახურდია („მთვარის მოტაცება“ და ხასიათები)*, „ცისკარი“ №1, 1962.
48. ჩხეიძე რ., *ნიკოლოზ ბარათაშვილიდან ლუარსაბ თათქარიძემდე*, თბილისი: 2005.
49. ცანავა ა., *წარმართობის პრობლემა კ. გამსახურდიას შემოქმედებაში*, „სახალხო განათლება“, 8 სექტემბერი, 1972.
50. ცანავა ა., *წარმართობის პრობლემა კ. გამსახურდის შემოქმედებაში*. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17-18 მაისი, 1998.
51. ცანავა ა., *მითოსური ასპექტები „ვაზის ყვავილობაში“*, „პოლიტიკა“, №5, 1991.
52. ცანავა ა., *კ. გამსახურდია და ქართული მითოსი*, „ერი“, 15 მაისი. 1991.
53. წერეთელი მ., *ერი და კაცობრიობა*, თბილისი: 1990.
54. ჭანია ლ., *კ. გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი*, თბილისი: გამომცემლობა „ბედია“, 1997.
55. ჭილაია ს. *უახლესი ქართული მწერლობა*, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975.
56. ხელაია ნ., *მიუწვდომელი მწვერვალები*, თბილისი: გამომცემლობა „თობალისი“, 2008.
57. *ევროპა თუ აზია*, თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, 1997. (შემდგენლები ნ. ხოპერია, ი. ორჯონიკიძე)
58. ჯავახიშვილი ივ., *თხზ. 12 ტომად, ტ. I*, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1979.
59. ჯორჯაძე ა., *სამშობლო და მამულიშვილობა*, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.
60. ჯალიაშვილი მ., *ქართული მოდერნისტული რომანი*, თბილისი: გამომცემლობა „წყაროსთვალი“, 2006.
61. *ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები*, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.

62. ლიტერატურული ძიებანი XXIX, თბილისი: 2008.
63. ქართული ფოლკლორი 4 (XX), თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.
64. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწილი I, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1984.
65. გრ. რობაქიძე, „გრძალის მკვლანი“, გასცენირებული ნ. გელაშვილის მიერ. „კლდეკარი“, №1, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1991.
66. გაზ. „სამშობლო“, 25 თებერვალი, 1991.
67. „წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში“, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და ლექსიკ. დოკუმენტ. დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბილისი: 1991.
68. სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, საქ. სსრ. სახ. გამომც. ტფ. 1926.

**ნაშრომში ციტატები მოყვანილია კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების
შემდეგი გამოცემებიდან:**

1. გამსახურდია კ., *თხზულებანი 20 ტომად, ტ. I, ნოველები*, თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 1992.
2. გამსახურდია კ., *ტ. VI*, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1963.
3. გამსახურდია კ., *ტ. VIII*, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1967.
4. გამსახურდია კ., *თხზულებანი 20 ტომად. ტ. II, დიონისოს ღიმილი*, თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 1992.
5. გამსახურდია კ., *მთვარის მოტაცება*, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1990.
6. გამსახურდია კ., *დიდოსტატის მარჯვენა*, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1990.
7. გამსახურდია კ., *ვაზის ყვავილობა*, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1978.
8. გამსახურდია კ., *დავით აღმაშენებელი, წიგნი I-II*, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968.